

Կենտրոն

6

1972



სესია

180

გამომცემის მეთავესმება წელი

6

ივნისი

1972

თბილისი

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა

ლიბერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფრალთა კავშირის საგანგებო




შინაარსი

— 50 —
თავისუფალ ერთად
მკლე კავშირი ქვეყნი
სომეხი კომედი

- 3. აზოტ გრანი. პარული სეპატი. ანაპილ კარსაშიანი. ლექსები. თარგმნეს ქანსულ ჩარკვიანმა, ვიცი შანა-ზარმა
- 113. იმანი კოხალია. ლინინური მკომგნული კოლიტი-კინ ბრინიში.
- კ რ ე ზ ი ბ
- 44. ვივი ქნელამი. ბალადა პატარა გომგომა ანა-გი-ვიგო, ალარ იმეზა ომი! გივიგო, ომი იმეზა ხვალ! პოემა
- 49. ტაგუ მუხარეზილი. ლექსები
- 51. ქეთინო ქვიტრაში. ლექსები.
- 95. ილია ხოშტარია. ლექსები
- 96. შოთა ქავთარაში. ლექსები
- 98. ზაალ მბანოში. ლექსები
- კ რ ო ზ ა
- 8. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. შანი მღვრიმ ფუალში. მოთხრობა
- 52. ვაგუა ამირჯიანი. დათა თუთაშინი. რომანი. გავრ-ქელება
- მ რ ო ნ ი კ ა
- 99. სერგი ვილიანი. შვილები. მეორე წიგნი. გავრ-ქელება
- 108. ბ ხ ა ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი
ფრიდრიხ კოლდერლინი, კური და ლინო. გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა
- ნ ა რ კ ვ ი ვ ი
- 119. ნათელა ონაშვილი. ცისარტყალა ცრემლში
- 121. ვახტანგ კალანდარიანი. სამოგლობო ფი-კრიტი
- ფ ე რ ი ლ ე ბ ი
- 123. ასრათ ომარაშვილი. სინებლო ქართულ მწი-ლოგანი
- 131. ისა დაპითაშვილი. ოლფერტ დავაის ცნობები სპარტოვლონ შესახებ
- 141. ქეთევან გურჯანაძე. რამდენიმე სიტყვა XIX სა-კუნის ერთ მივიწყებულ კომედი
- 150. მარინე დანელია. ეთიკის პროგნოზა ფოლკანდის ფსიქოლოგიურ ნოველაში
- რ ე კ ლ ი კ ა
- 155. ვახტანგ პაიკია. თქვეთვის, კომედი
- 157. ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
პაპი ბაქრაძე,
ვივი გავიშვიანი,
გურამ გვირგვინი,
მარკა ელიზბეგოვი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტია პაპიანი,
(პასუხისმგებელი მდიანი),
ნუგზარ ფოქაძე,
ნოღარ ფულეისკირი,
ტარიელ ზანტარია,
სერგი ვილიანი,
თამაზ ვილიანი,
ლანა ჯანაშვილი.





თავისუფალ ერთს ექალ ქვეყნირი ქვეყრი

სოფენი პოეტანი

ამოგ ბაჰუი

ტოროლები

მოქსოვენ ბუდეს ტორთლები ქერის ულვაშით,
მათი წყრიალით დღე ჩაწვება ცისფერ ბურანში.
იმ ნათელ დღეთა მშვენიერი ხმები ჩამესმის,
თოვენ ფიფქები, ატმისა და ნუშის ფიფქები,
ისევ დადგება გაზაფხული ულამაზესი,
მაგრამ მე და შენ აღარ ვიქნებით

ნაცრისფერ ყორეს მოდგებიან, მოვარდებიან,
მამისეული ბალის ვარდები.
ოი, ბულბული ვარდზე დადნება
და მზეს დაღვევენ ლურჯი ჭიქებით...
ულამაზესი გაზაფხული კვლავაც დადგება,
მაგრამ მე და შენ აღარ ვიქნებით.

თქვენ, გადამხდარო ტკივილებო და მოვლენებო,
ანათეთ ისე, როგორც გენებოთ.
ასეა მუდამ, მშვენიერი დილა ღამეს ცვლის,
თქვენც იმ დილამდე ნუ გამიქრებით,
ისევ დადგება გაზაფხული ულამაზესი,
მაგრამ მე და შენ აღარ ვიქნებით.

პრწივი

არწივი არ კვდება ცაში,
არწივი კლდეებზე კვდება,
ფრთას ღრუბელივით გაშლის,
მერე ეშვება და კვდება.

მზესავით დაუვლის ტანში,
ლურჯი უფსკრულების ვნება,
არწივი არ კვდება ცაში,
არწივი კლდეებზე კვდება.

თარგმნა ჯანსუღ ჩარაჰიანია.

პაკუი

ვითარცა ყველას —
 არც მათ ძალუძთ უქანგბადობა.
 თუმცა ყოველთვის, ყოველ წამში ჯერ უქანგბადოდ
 უნდებათ ცეცხლი, — უქანგბადოდ!
 და მხოლოდ მერე,
 აენტებიან ქვანახშირის ნაკვერჩხლებივით.

და ათასგვარი ტკბილეულის მიღების ფასად
 ტირილს არ სწყვეტენ!
 თუ სტირიან, სტირიან ხოლმე
 შიწისქვეშა გასასვლელივით...

ისინი კიდევ იცინიან,
 მათი სიცილი
 სუფთად წკრიალებს კეთილზმოვან მონეტასავით!
 რაიც განძია მხოლოდ ქვეყნის
 და არა მათი...

თუ ოფლი მოხდით, სირცხვილისგან არ მოხდით ოფლი!
 არამედ მხოლოდ —
 მინასავით — შიდა სითბოთი —
 როდესაც გარეთ სიცივეა, მკაცრი სიცივე!

მათი ტყუილი (თუ ამბობენ!) სულ დიდი-დიდი
 მონადირეთა ტყუილია
 და მეტი არა.

მაგრამ თუ სხვაფრივ, სხვანაირად იტყუებიან,
 მაშინ ისინი არ არიან! არიან მხოლოდ
 მოხერხებული და უძღები მათი შეილება,
 რომელნიც მათი პასპორტებით ძვრებიან ხვრელში...

ვითარცა ყველას —
 არც მათ ძალუძთ ცხოვრება ისე —
 წყალი და პური თუ არა აქვთ,
 მაგრამ ისინი
 მხოლოდ წყლითა და პურით მაინც ვერა ცოცხლობენ!...

ღმერთმანი,
 მათი არა გმურდეთ, არ შეიძლება,
 მაგრამ მათთვისაც ღვება ხოლმე ისეთი უამი,
 როცა ისინი... ვაგლახ, უნდა გებრალეობდეთ.

ნაწილი პირველი

საგანთა სახე და ნილაპი

საგანთა სახე!

საგანთა სახე...

მათი სიცოცხლე ერთიანად უცხოა ჩვენთვის,
 ისინი მხოლოდ
 თავ-თავისთვის ცხოვრობენ. — როცა
 ჩვენ თეატრალურ წარმოდგენებს თუ გვიმართავენ,
 და ისიც მაშინ, თუ ვუყურებთ..
 მაგრამ, როდესაც
 კარგად იციან,
 რომ არავინ არ უთვალთვალვებს,
 ნიღბებს იხსნიან და დაცინვით ენას გვიყოფენ.
 ყველა საგანი
 თავის ნიღაბს მოიხსნის უცებ
 და ერთმანეთთან წარსდგებიან ნამდვილი სახით;
 და შერე როგორ ოსტატურად!
 (გჟეროდეთ ჩემი)
 გამონახატველნი და შეტყველნი ხდებიან უმალ,
 როგორც ქარებთან შეჭიდებულ ხესა სწვევია,
 აბობოქრებულ მთის მდინარეს
 და ლამაზ ასულს..
 საგანთა სახე!
 საგანთა სახე...
 ნეტავი ვისმეს მისცემოდა იმის უნარი,
 საგნები მაშინ ჩაეხატა,
 როცა იყვნენ
 ნიღბებს იხსნიან და ჭეშმარიტ სახეს აჩენენ;
 რაღაც კუთხიდან დაენახა
 ისე უჩუმრად,
 რომ შემცბარიყვნენ მოულოდნელ განსაცდელისგან...
 ღილის ნახვრეტით, ავტოკალმის უხილავ სვრელით
 ისე მალულად გადაედო. ვითარცა სურათს
 საქვეყნოდ ცნობილ კინოვარსკეულს უღებენ მაშინ.
 როს დღისით-მზისით სათნოებებს აფრქვევს ათასურად...
 ან ბოროტმოქმედს —
 დანაშაულს როდესაც სჩადის,
 ანდა მთოვარეს — ჩაბნელებულ. მეორე მხრიდან..
 ო, თეატრალურ ნიღბოსანთა მთელი მიღეთი!..
 ნამდვილად ვიცი, ამ ნიღბოსან საგნებს ყოველთვის
 შიში აქვთ ჩემი, ერცხვინებათ და გამირბიან,
 როგორც შიშველი ქალი — უცხო თვალთ შემცბარი..
 მთელი ცხოვრება ერთი საქმე იციან მხოლოდ,
 ნიღბებს ირგებენ და იხსნიან და... ისევ ისევ...

რომ, აქაოდა, მათი სახე არ ვნახო ხშირად...
და ისიც ვიცი, ჩემს სიკვდილს რომ გულით ნატრობენ,
რათა... ნიღბები მოიხსნან და ისე იცხოვრონ...
მაგრამ როდესაც აღსრულდება მათი წადილი,
ზოგი მათგანი

(თავის ნებით თუ უნებლიეთ.

გახარებული და მწუხარი)

ჩემს ნეშტს საფლავთან

მიაცილებს და ჩემთან ერთად დაიმარხება.

როგორც ძველთაძველ დროში მსახურს ყმას თუ საყვარელს
მარხავდნენ ხოლმე განსვენებულ პატრონთან ერთად...

და სულ ერთია, ნიღბოსანნი თუ უნიღბონი,
საგნები მიყვარს მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ,
სიკვდილის შემდეგ... როგორც ჩემი ნამდვილი ყმები...

ანაკრ პაკსაშიანი

ჭ ი მ ნ ი მ გ ე ს

ქერივი ქალია დღე უშენოდ.

მოწყურებული ჩემი ფრთები გასაბანად
შენი სხივების წვიმას ელიან...
შენს მობრძანებას ტყე, ველი და
სახლები ელის.

შენ გელოდება დილის მკერდი,
გამთენიის რჩით რომ აღივსოს.

გელიან ღამით გატანჯული ჭრელი საბნები.

ო, მზეო,
ელოცავ თვალთა ჩემთა,
რამეთუ მუდაჲ
ვხვდავ ხოლმე შენ ჟღალ სიშიშვლეს.

ო, მზეო, ელოცავ ფერხთა ჩემთა —
შენი ნათელის ფიანდაზზე რომ მატარებენ.

და — ჩემს დალალებს, შენი ხილვით
აკისკასებულ ჩანჩქერებად რომ იქცევიან.

მზეო, მაღირსე შენი თავი,
მზეო, ამოდ.

გზას მიყვებოდი
და ამ გზაზე
ვინც კი მხედებოდა —
მეუბნებოდა:
— შენ ჯერ კიდევ შინ უნდა იჯდე,
ტანჯვისათვის პატარა ხარო.

გზას მიყვებოდი
და ამ გზაზე
ვინც კი მხედებოდა —
მეუბნებოდა:
— რაღა დროის შენი ცრემლია,
ბებერი ხარო.

გზას მიყვებოდი
და ამ გზაზე ვინც კი მხედებოდა —
ღდუმდა და
მდუმარს დაეხარა თვალები დაბლა...

სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა.



ქონსგანგონი ღოკთქიჟანიძე

შაბი მღვრიე ფყალში

გაიანეს დღიურიდან

1

ჩვენს ოთახს ირმის ოთახს ეძახიან. დეიდა გოგუცამ გვიამბო, ამ სახლში თურმე ვილაც კახელი თავადი ცხოვრობდა, ნადირობაზე გაგიყვებული კაცი ყოფილა. სანამ სულ არ მიიხრწნა და მუხლებში ჯანი არ დაელია, თოფი ხელიდან არ გაუშვია. მერე ამდგარა და რუსეთიდან მხატვარი ჩამოუყვანია, კედლებზე ნადირობის სურათები დამიხატეო...

ქვეყანა რომ აირია, ამ დარბაზში სომეხი ლტოლვილები ჩაასახლეს.

აინთო ნავთქურები, ადუღდა ქვაბი და ჩაიდანო, გააბეს სარეცხის თოკი... მოგვამა ჭირი მოხატულმა კედლებმა. საღებავი დასკდა, აიქერცლა და ჩამოიყარა, თუმცა ზოგიერთ სურათს კაცი მაინც გაარჩევს.

აგერ, ამ კედელზე, ეშვებგადმოყრილ ტახს ახალგაზრდა მონადირე მისდევს. მონადირეს მალალუყლიანი ჩექმები ჩაუცვამს, ქუდზე რალაც ფრინველის ფრთა გაურჰვია და ნაღეწ ტყეში მირობის...

მეორეგან—კარგად ჩაცმული, ლამაზი ქალები მინდორზე ცხენებს მიაკენებენ.

ცოკლიდან „ჩემო გაიანე“.

ისინიც რალაცას მისდევენ, — მხოლოდ რას? ამ სურათს ბევრი ვუტრიალე, მაინც ვერაფერი დავლანდე. ძალიან კი მსურდა ვამეგო, რას მისდევდნენ ეს ლამაზი, მდიდარი ქალები.

ყველაზე კარგად ამ კედელს ქორბუღა ირმის გამოსახულება შემოუნახავს. მეფესავით ამაყი ირემი წყაროსთან მისულა, მაგრამ წყალს არა სვამს. ყურები დაუცქვეტია, თავი ოდნავ გვერდზე მიუბრუნებია და განაბულა. ეტყობა, საიდანღაც მონადირის სუნი დაცია, თუმცა სურათზე კაცი არსად ჭანებს.

როცა ეს დარბაზი შუაზე გატიხრეს, ქორბუღა ირემი ჩვენ დაგვჩა, რამაც ყველანი უზომოდ გაგვახარა. ოთახის მეორე ნახევარში კი კედლები შელესეს, შეათეთრეს და იმ ლამაზი ქალების სახსენებელიც ამოაგდეს.

ჩვენს ოთახსაც ეს ბედი ელოდა; პოლიგრაფსკოლის კომკავშირის უჯრედის მდივანმა ალექსი თოთიაურმა კრებაზე გამოგვიცხადა, ამ სურათებში წვრილბურჟუაზიული სული ტრიალებს, ეს კედელიც უნდა შეეთეთრდესო, მაგრამ ჩვენი ქალები დეიდა გოგუცას მუ-



ხლებში ჩაუვარდნენ და ირემი ვადა-
რჩონეს, მღებავებს მოსაკლავად არ და-
ანებეს. იგი ისევ ისე დაძაგრული
სდგას კედელზე, ჩემი საწოლის პირ-
დაპირ; ასე მგონია, ავერ-ავერ კამარას
შეპკრავს და თვალს მიეფარება.

ამ ორი წლის მანძილზე ქორბუდას
ისე შევეჩვიე, ხანდახან კიდევ გამოვე-
ლაპარაკები, რჩევას ვკითხავ, მასწავ-
ლე, ჩემო ქორბუდავ, რა ვქნა, რა ვი-
ღონო მეთქი... და ისიც ყოველთვის
წითანაგრძნობს, არასოდეს უპასუხოდ
არ დამავდებს. ხან თავს დამიქნევს, თ-
ქოს გულის წადილი გამოვიღო და და-
სტურთ მომცაო, ხან კიდევ ნაღვლიანად
შემომხედავს...

მეჩვენება?

რა ვიცი, რამდენი რამ მეჩვენება ამ
ბოლო დროს!

2

გუშინ ბაბე ხარბელიამ დღეობა გა-
დაიხადა, თვრამეტი წელი შეუსრულ-
და. ჩვენი უჯრედის გოგო-ბიჭები ყვე-
ლანი დაჰპატიჟა, თუმცა ჯათიას პირით
კი შემოგვითვალა, ძალიან მშვივრები
ნუ მოხვალთ, ბევრი არაფერი მექნე-
ბაო.

„ჩვენ შენი სიმღერის მეტი არაფერი
გვინდა-თქო“, — დავაბარეთ ჯათიას,
მერე დეიდა გოგუცა შეგვეკრეთ და და-
მის თერთმეტ საათამდე ჩუღურეთში
„დავიკარგეთ“.

ბაბე ისევ მშობლებთან ცხოვრობს.
მამამისმა რამდენჯერ სთხოვა ტექნიკუ-
მის გამგეს, ხელმოკლე კაცი ვარ, ბინაც
ხელს არ მიწყობს, იქნებ ეს ერთი გო-
გო მაინც მომაცილოთო...

უარი უთხრეს, თბილისელი მოსწავ-
ლე ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელ-
ში არ მიიღებო. არადა, ასეთი შეხა-
ლიჩე გოგო ჩვენთან მეორე არ მოიძებ-
ნება.

არავითარი მადლი და ბარაქა ხალი-
ჩის ქსოვამ არ იცის, შრომა-წვალემა
კი, ნულარ მკითხავ, იმდენი უნდა.

მთელი ერთი კვირა, დილიდან საღა-
მომდე, თითები უნდა დავაწყდეს, თვა-

ლის ჩინი დაგელიოს, — ნაქსოვი კი
გოჯა-ნახევარი თუ გამოვიდა, ტექნიკის
მადლობა უთხარი.

ერთი არშინი ხალიჩა რომ მოქსოვო,
ორასი ათასი სხვადასხვა ფერის კვან-
ძი უნდა ამოიღო. ამიტომ თბილისელ-
მა გოგოებმა ხალიჩის საქსოვ დაზგებს
გული ვერ დაუდეს, ისინი ქრა-კერვას
ეტანებიან, ცხოვრებაში ეს უფრო გა-
მოგვადგებაო.

ხალიჩაზე მხოლოდ თუში და ფშა-
ველი გოგოები მუშაობენ. რა უენო და
გამგონი ხალხია ეს მთიელი ქალები!
რაც არ უნდა დაავალო, ყველაფერზე
თანახმა არიან, ოღონდაც რამე ისწავ-
ლონ და შეითვისონ. ჩვენგან მხოლოდ
ბაბე ხარბელია შერჩა მახმედ-ოღლის
საამქროს.

დღეობაზე ყველანი წამოვიდნენ,
მხოლოდ თოთიაურმა გაიდგა ფეხი,
დღეობის გადახდა მეშჩანური ჩვეულებ-
ა არისო.

ერთი კი წავტურჩულე, ჩემი ხათრი
მაინც დაიღე-მეთქი.

არაო, მითხრა, რწმენას ვერ ვუღალა-
ტებო.

გული დამწყდა, მაგრამ რას ვიზამდი.
არც ვიღონი, არც თოთიაური... სხვა
ბიჭები გინდ ყოფილან, გინდ არა, —
მომხებრდა მათი უშნო ქათინაურები.

თოთიაურის სიტყვამ ვარდიკო დვა-
ლიც დააფრთხო და ისიც შინ დარჩა.

მისმა არწამოსვლამ ძალიან დავვა-
ზარალა. ინტერნატის გოგოებში ვარ-
დიკო ყველაზე შეძლებული ოჯახის
შეილია. მისი მამა განჯაში მესირედ
მუშაობს. ვარდიკოს სანახავად რომ
ჩამოვა, ისეთ რამეებს ჩამოიტანს,
ჩვენი ოთახის გოგოებს აღდგომა გაუ-
თენდებათ.

ერთხელ ბაქოში ყოფილიყო და იქი-
დან მთელი ერთი გირვანქა შაქარყინუ-
ლი ჩამოიტანა. იმ დღეს გაკვეთილებზე
კრაზა-კრუხის მეტი არაფერი ისმოდა,
სანამ გეოგრაფიის მასწავლებელმა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შანი მოვირიდე წყალში



ფაცურია მერკვილაძე და დოდონა ვოლაშვილი გარეთ არ გაჰყარა.

დღეობაზე ხელცარიელი მაინც არ წავსულვართ. გზაში ბიჭებმა რამდენიმე ბოთლი ღვინო და ლიმონათი იყიდეს, ჩვენ კი კუჭუნია-მზარეულს ჩვენი ვახშამი გამოვართვით და ქვაბების ზრივინით ბაბე ხარბედიას მივადექით.

ღედა, როგორ გაუხარდა ბაბეს ჩვენი დანახვა! თვალზე ცრემლიც კი მოაღვა, არ მეგონა, თოთიაურის სიტყვას თუ გადაუხვევდითო.

„ჩვენ რომ ამ საღამოს ცოტა ვიზიარებოთ, მსოფლიო რევოლუციას ამით რა დააკლდება?!“ — სთქვა ფაცურია.

დატრიალდნენ გოგოები და თვალისწამში ისეთი სუფრა გაშალეს, მუხრან-ბატონის მაყრებიც არ დაიწუნებდნენ.

ბევრი ვიღერეთ, ვიცეკვეთ, ფანტიც ვითამაშეთ. სანამ თითები არ დაუზრუჟდა, ბაბეს გიტარა ხელიდან არ გაუშვია. ბოლოს ჩემი საყვარელი სიმღერა წამოიწყო.

შევაჩერე, „შემიციოდე, გოგო, ამ ხალხში ნუ ამატირებ-მეთქი!“

— კიდევ იტყვი, შეყვარებული არა ვარო! — წამჩურჩულა ბაბემ.

პირზე ხელი მივაფარე და წამოვღეჭი. ჩვენი წასვლის დრო იყო.

ღერეფანში რომ გავედი, მანგიამ საკიდელთან მიმასწრო და პალტო მომავროდა.

— დღეს თქვენი რაინდი ვიქნები! — მითხრა მან.

პალტოს რომ მაცმევდა, უეცრად თავი გადამიწია და ტუჩებში მაკოცა, ჯერ ვიფიქრე, აგერ იმ ქოლგას ავიღებ და თავზე დავამტვრევ-მეთქი... ვერ გავბედე. გოგოები გაიგებენ და ამ პატარა ამბავს რალაც კულს გამოაბამენ, შეიქნება ერთი მითქმა-მოთქმა, ბაბესაც დღეობა ჩამწარდება... ამიტომ ცრემლი ჩემად გადაველაპე და მხოლოდ ეს ვუთხარი მანგია ნოზაძეს:

— ეს არის, ბიჭო, შენი რაინდობა! უშნოდ გაიღრიჯა და მითხრა:

— ნამეტანს წმინდანობ, ჩემო გვიანე! ვითომ ჯერ არავის უკოცნებებოდა ვის!

მაშინ კი ვეღარ მოვიტომინე და ჩემი პატარა ჩანთა ცხვირპირში ვთხლიშე.

— რომ იცოდე, როგორ არ გიხდება, გაბრაზება! — ნირი არ შეიშალა მანგიამ. ამ დროს კარი გაიღო და კიბიდან დოდონამ შემომძახა:

— ჩქარა, ხალხო, რა გაქვთ ამდენი საჩურჩულო!

— გაიანემ სიყვარული ამიხსნა! — სიცილით უთხრა მანგიამ.

— მართლა, მანგო? — დოდონამ ღერეფანში ფეხი შემოდგა და ალმაცურად გადმომხედა.

— არ მეტყობა?! — მანგიამ ცხვირზე ხელი მოისვა.

— ჯერ ადრეა, გოგო, სიყვარულის ახსნა! მთვარის ამოსვლას მოუტადე! — სთქვა დოდონამ და კარი გაიხურა.

ეტყობა, ვერ დაინახა მანგიას გაწითლებული ცხვირი და ხუმრობით ნათქვამი სიტყვა გულზე მწარედ მოხვდა.

თურმე ტყუილად არ ამბობდნენ, დოდონას მანგია ნოზაძე მოსწონსო.

ეს სასიკვდილე ბიჭი ჯათია ჩქარეულსაც რომ გულში ჩაუყარდა! ვერ გამიგია, რა ნახეს ასეთი.

ლამაზი ბიჭი არისო, მითხრა ერთხელ ფაცურია. სულ არ იციან გოგოებმა ბიჭის სილამაზის გარჩევა. არ კმარა მარტო ბრიალა შავი თვალები, დახატული ტუჩპირი და კოხტა ქოჩორი.

ადამიანს საქციელი ალამაზებს, მხოლოდ საქციელი.

რამდენჯერ მინატრია, ნეტავი ის ბიჭი ჩემი ძმა იყოს-მეთქი, ან ჩემი მეგობარი.

მანგია ნოზაძეს რომ დაინახავ, გულში გავივლის ასეთი ფიქრი?

არასდროს.

მანგიას მხოლოდ ერთი რამ ახსოვს: გოგოს გაელლაბუცოს, მოეხვიოს და ხელი მოუსვას.

ღმერთო ჩემო, რარიგ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან ჩვენი უჯრედის



ბიჭები. ალექსი თოთიაურმა კარგად იცის, რომ ის ძალიან მომწონს, მიხარია მასთან გასეირნება და საუბარი. ყველა სიმწარე მაგიწყდება, როცა ბოტანიკურ ბაღში ალექსის გვერდით ვზივარ და თვალდახუჭული ყურს ვუგდებ იმის ლაპარაკს. მან ეს იცის, მაგრამ ჯერ ჩემთან ერთი გადაკრული სიტყვაც არ დასცდენია...

ერთხელ ფანტში ჩემთან კოცნა ამოუვიდა. არ მაკოცა, ფანტი შემიცვალეო, შეეხვეწა დოდონას.

— შუბლზე აკოცე. ფანტის შეცვლა არ შეიძლება, — დაჩქემა დოდონამ.

როგორ უნდა ამ გოგოს, რომ ჩვენი უჯრედის ქალები ყველა ნაკოცნი და ნაუღლემი იყოს.

— ნუ გვაჩერებ, ბიჭო, ხელზე მაინც აკოცე! — დაუძახა ბაბემ.

— ქალის ხელზე კოცნა თავადური ჩვეულებაა, კომკავშირელს არ შეეფერება! — სთქვა თოთიაურმა და ისე გაწითლდა, ეს დოდონამაც შეამჩნია და ტუჩების აბზუებით გადმომხედა.

აბა ერთი მანგია ნოზაძეს ამოუვიდეს ასეთი ფანტი!

გაკოცებს კი არა, სამუდამოდ შეგაძულებს ფანტის თამაშს.

ხანდახან ბრაზი მომდის, რომ თოთიაური მეტისმეტად მეკრძალება, ნამეტანი წესიერად მექცევა, თითქოს გადამთიელი ვინმე ვიყო. ნუთუ არ მოვწონვარ, რომ ასე მაჭიდებს პირს!

რა სისულელეს ვამბობ! ნამდვილადამიანს ადამიანობას ვუწუნებ...

თოთიაურისა არ ვიცი და, მე კი ხანდახან ისე მომენატრება მისი ნახეა, რომ გული შემეკრთება, ეს ბიჭი ხომ არ შემეყვარდა-მეთქი...

3

გუშინ დარაიას ქსოვა რომ დავიწყე, მაქო კიდევ გამექცა და დოდონას ფეხზე მოხვდა. ვიცი, რა მწარეა საესე მაქო, მაგრამ რაც იმან წივილ-კივილი ასტეხა, იმდენი არაფერი მომხდარა.

კოტაზე ხორცი გაუყარა მუხლს მთოთ. მომდგა და გამლანძღა, ხომ სენდავ, შენგან ფეიქარი არ გამოვა, წაეთრეი სამზარეულოში და ქვაბები დახეხეო.

გული დამეთუთქა; სიტყვა მაინც არ შევებრუნე. დამნაშავე ვიყავი და რაღა მეთქმოდა. ფაცურიას ამ დროს დგიმ-სავარცხელში ძაფი ვაჰყავდა. გაჩუმებული რომ დამინახა, საქსოვს თავი მიანება და დოდონას მივარდა.

— შენ რომელი ნაბუქლონოსორის ასული მყევხარ, ასე რომ იჯიმები! ეგ ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ წამოგდღეს, თორემ ბიუროზე შავი ცრემლით გატირებ, იცოდე! — უთხრა ფაცურიამ.

მტრისას, ვისაც ბიუროს კრებაზე ფაცურია მერკვილაძე დაეტაკება. სანამ კარგად არ გაპუტავს, ხელს ვერ გააშვებინებ. დოდონაც ამიტომ გაუჩუმდა, მაგრამ მეორე დღეს თოთიაურს მუხლი მიუშვირა და უთხრა; ხედავ, შენმა გაიანემ რა მიქნაო.

თოთიაური ჯერ დაიბნა, გაწითლდა, როგორც იცის ერთბაშად გაწითლება, მერე კი, იცოცხლე, დაუტანა:

— კაბა ჩაიწიე, გოგო, შენი მოქცეული ფეხები არავენ დაინახოს, თორემ ორი ურემი მზითევი ვერ გაგათხოვებს!

მოქცეული ფეხებიო!

დოდონა გაგიჟდა, ეს რომ გაიგონა. კაბის კალთას უსირცხვილოდ ხელი აჰკრა და ოთახში დატრიალდა.

— მე მაქვს მოქცეული ფეხები! გოგოებო, შემომხედეთ, ეს არის მოქცეული ფეხები?! — იყვირა და რატომღაც ფეხის წვეკრებზე შედგა, თითქოს მალაქუსლიანი ტუფლები ჩაიცვაო.

— რას გაჩუმებულხართ, მაგის სასაცილო ვარ!

ხმა აუქანკალდა. ეტყობა, გული ამოუჯდა. გაღიმება სცადა, რომ ცრემლი შეეჩერებინა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ყელზე მომდგარ ქეითინს თავი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიე წყალში



ვერ მოუტრა და ლოყებზე ხვარხელა კურცხალი გადმოჰყარა.

ამას კი ველარ გაუძლეს გოგოებმა, ატყდა ისეთი ზრიალ-ჰყვილი, თითქოს ოთახში ხუთი ფანჯარა ერთად ჩაღეწესო.

მარტო ფაცურია ემარა, რომ ქვეყანა შეიყაროს. მიინც რანაირი კისკისი იცის იმ სასიკვდილემ! თუ ერთი ხმა ამოიღო, მეორედ მოსვლამდე პირს აღარ დამუწავს, კისკისებს და კისკისებს...

— ვაი დედა, მოკვდი! — წიოდა იგი და ტახტზე უმწეოდ თახთახებდა.

ქვემოდან უმცროსი კლასის მოსწავლეები ამოცვივდნენ, მერე დეიდა გოგუცაც მოვარდა გულგახეთქილი, რა მოხდაო.

ჯათია, ბაბე და ვარდიკო მაშინვე ზედამხედველს შემოეხვივნენ, მაგრამ სიცილისაგან ფერდებდაწყვეტილმა გოგოებმა ყელიდან ერთი სიტყვა ვერ ამოიღეს, ერთმანეთს აწყდებოდნენ და დეიდა გოგუცას რალაცას მუნჯურად ანიშნებდნენ.

დოდონა კი ისევ ბლაოდა, ლოყებზე ცრემლი დაბაღუპით ჩამოსდიოდა (გოგოები ამბობენ, დოდონას თვალების უკან სავსე კოკები უდგასო). ყველაზე საოცარი ის იყო, რომ იგი ისევ ფეხის წვერებზე იდგა...

— გასწით, თქვენს საქმეს მიხედეთ! — დაგვიცაცხანა დეიდა გოგუცამ. დოდონას ხელი მოხვია და სამასწავლებლოში წაიყვანა.

ბედი უნდა ყველაფერს; ეს გოგო ისედაც ამრეზილი მიყურებდა, დღეიდან კი მთლად საბლის წვერზე დამკიდებს. თუმცა რას მიზამს, ბაკიდან რქა-დეკეული არ გამოიყვანოს.

ისე კი, მე ვარ მოსაკლავი, რომ დღემდე საქსოვის კუდას ფეხი ვერ შევაჩვიე. იმ კვირას გოგოებს მთაწმინდაზე სასეირნოდ რომ არ წავყოლოდი, ეს არ დამემართებოდა. არადა, ჯერ ქვეყანაზე რა მინახავს, რომ ახლა ყველაფერზე უარი ვსთქვა და საამქროში ჩავიკეტო. თეატრიც მინდა, დღეობა-

სეირნობაც მინდა, თან ისიც მინდა, კარგი მქსოველი ვიყო! ეს კი თურმე უკლებილე აღვილი ყოფილა.

ხვალიდან ყოველ საღამოს საამქროში დავრჩები და ძველ დაზგაზე ვივარჯიშებ. ვისწავლი, ვისწავლი, ვისწავლი, რომ ქვეყანაზე არავის სასაცილო არ გავხდე.

გუშინ საღამოს თოთიაური და დეიდა გოგუცა სამასწავლებლოში ჩაიკეტნენ და დიდხანს რალაცაზე საუბრობდნენ.

პოლიგრაფსკოლის კომკავშირის უჯრედის მდივანი ჩვენი ტექნიკუმის არემარეზე რომ გამოჩნდებოდა, ყველამ იცის, რომ მომავალ კვირას რალაც კარგი ამბავი უნდა მოხდეს. ჩვენი შეფი სადმე წავვიყვანს: ან წითელ თეატრში, ან მლაშე ტბაზე — ძველი ბრძოლების ადგილები რომ დავათვალიეროთ.

ალექსი თოთიაური ორად გაიჭრება ხოლმე, ოღონდაც ტყიდან გამოსულ გოგოებს თვალი აუხილოს და ქვეყანა აჩვენოს. ამიტომ მისი დანახვა ყველას უხარია. ატყდება ერთი ჩურჩული და მკითხაობა, ეს კვირა რას მოგვიტანსო. მესამე ოთახის გოგოები სიხარულისაგან ცას ეწევიან, უჯრედის მდივანს რომ დაინახებენ. ყველას მაშინვე გადაუდებელი საქმე გამოუჩნდება, თოთიაურს შემოეხვივან და პირში ჩაადნებიან. ზოგი რას ეკითხება, ზოგი რას ეხვეწება, — თავსა და ბოლოს კაცი ვერ გაუგებს. თანაც რანაირად ქექლუცობენ და იმანჭებიან. თითქოს თოთიაურს პირველად ხედავდნენ.

მესამე ოთახში ყველაზე ლამაზი გოგოები ცხოვრობენ. შეიძლება ამიტომ არიან ისინი ჩვენზე უფრო თამამები და ენაგატლექილნი. მაგრამ შენც არ მომიკვდე, თოთიაური ვითომც ვერ ხედავს გოგოების მანჭვა-გრეხას, — ყველას დინჯად მიუგებს მისაგებელს და თავის გზას გაუდგება.

უცნაური ბიჭია ეს თოთიაური. ვერ შეატყობ, გულში რას ფიქრობს. ვინ მოსწონს, ვინ არ მოსწონს. ყველას ერთნაირად ექცევა. არავის არ გამოარ-



ჩვეს: ვინც არ უნდა იყოს, ყურადღებას არ მოაკლებს, პასუხს არ დაუგვიანებს. გული მწყდება, რომ ჩემთანაც ამგვარად უჭირავს თავი.

მე კი მინდა ყველგან და ყველადღერში გამომარჩიოს, მეტად დამაფასოს, მეტი ყურადღება მომაქციოს!

საიდან სად გადავუხვიე!

თოთიაური რომ წავიდა, დეიდა გოგუცამ დაგვიძახა და გვითხრა, პოლიგრაფსკოლის ახალგაზრდა მუშებმა საპირველმართო კარნავალის მოწყობას აპირებენ და ჩვენც გვეპატივებიან, დღეობა ერთად გადავიხადოთ.

— კარნავალი რა არის? — იკითხა ფაცურამ.

რა უტიფარია ეს გოგო! მაშინვე იკითხავს, რაც არ იცის. არაფრისა არ ეშინია. არც ერიდება.

„რა არის“ და „რატომ არის“, სულ პირზე აკერია.

— კარნავალი — იტალიური სიტყვაა, — გვითხრა დეიდა გოგუცამ და იმ სიტყვის შინაარსი აგვიხსნა.

გოგოებმა რომ გაიგეს, კარნავალის მონაწილეებმა პირისახეზე ნიღაბი უნდა აიფარონო, სიხარულით ტაში დაჰკრეს და დეიდა გოგუცა ხვეწნაკოცნით კინალამ დაახრჩვეს.

ვინ არ იცის, რა მიმზიდველია საიღუმლოება!

მთელი ის კვირა საცხოვრებელ ოთახებში იყო ერთი გაუთავებელი ფუსფუსი და კუთხე-კუთხე ჩურჩული. ყველას უნდოდა ისეთი ნიღაბი და ტანსაცმელი გამოეგონებინა, რომ იგი მშობელ დედასაც ვერ ეცნო.

მზეთუნახავებს ბედმა გაუღიმა. სად იყო, სად არა, კლუბში ოდესღაც სცენის ფარდად ნახმარი, ძველი, გამოხუნებული ტილო იშოვეს და სკოლაში მათათრეს.

დაერივნენ გოგოები ამ ნახმარ ფარდას, დასკრეს, სხვა და სხვა ფერად შელებეს და ექვსი ისეთი კაბა შეკერეს, თვალი ზედ დაგრჩებოდა, მერე ამ კაბებს — ზოგს ატლასის ლენტი შემოავლეს, ზოგს ფერადი აბრეშუმის ძა-

ფით ვარსკვლავები, ყვავილები და ჩრქუნული ტები დააქარგეს და მძივებით გააშენეს თვითელ სამოსელს თავისი სახელი დაარქვეს და შესაფერი ნიღაბი შეურჩიეს.

ხევსურმა გოგოებმა ბოლჩიდან თავიანთი ფარაგები და ვერცხლის სამკაულები ამოალაგეს, ტოლის ნაჭრებიდან რალაც ქაჭური ნიღბები გამოსკრეს და მეტიც აღარაფერი უნდოდათ, — საპირველმართო მზად იყვნენ. ყველაზე მეტად ჩვენ გაგვიჭირდა, — ირმის ოთახის გოგოებს. ჩვენ ხომ თითზე გადასახვევი ძაფიც არ გავაჩნდა.

მთელი ჩვენი ავლადიდება კედელზე დახატული ირემი იყო. ამიტომ იმ დღეებში თუ ვინმეს დაეკარგა ან გაებნა რაიმე, — ლენტი თუ მძივი, შალის ნაჭერი თუ ფერადი ქალაღი, ძაფი თუ მაკრატელი, ღილი თუ მუშამბის ნაგლეჯი, — ყველა ჩვენ შემოგვივიარდა ოთახში და გვეჩხუბა, თქვენს მეტი ვინ წაიღებდაო.

ჩვენ ისე გაგვიჭირდა საკარნავალო ტანსაცმლის შოვნა, რომ ფაცურამ სკოლის მეგზოვეს ბრეზენტის წინსაფარი და ჩექმები გამოართვა. ჩექმა კი არა, ნამდვილი გოდორი იყო, პატარა ფაცურია შიგ ყელამდე ჩაძვრა, მაგრამ ჩვენ ხომ ჩვენი ეინაობის დამალვა უფრო გვხიბლავდა, ვიდრე ლამაზი ტანსაცმელი! ამიტომ ფაცურია ამ გოდრებს არ შეუშინდა.

„ასე უფრო ვერ მიცნობენო“, — სთქვა და იმ ღამეს ტკბილად დაიძინა.

რალაც იღბლად დედაჩემის სკივრში სიძველისაგან დამსკდარი ატლასის საბნისპირი ვიპოვნე. დედამ იმ ნაჭრიდან ბოშა-ქალის კაბა შემიკერა, იმავე ატლასიდან ნიღაბი გამომიჭრა და მითხრა, შენ მკითხავი იქნებიო.

„ერთხელ მამაშენმა მუშტაიდში წამიყვანა, იქ პატარა კარავში ამგვარად

კონსტანტინე ლოხოთიფანიძე
ზაზი მღვრიძე წყალში

მორთული ქალი ოჯდა და ქალღმერთს
მკითხაობდაო! — სთქვა დედამ.

ბაბე ხარბედამ ყველას გვაჯობა.
მისი ბიძა ნაძალადევის კლუბში მენახმ-
რედ მუშაობს. სთხოვა კლუბის გამგეს
და თავის ძმისშვილს გურული ჩაქურა
გამოუტანა. ბაბე პირდაპირ დახატა ამ
ტანსაცმელმა. კარნავალზე დიდი მოწო-
ნება ექნება. მთლად გადარეგს ისედაც
გადარეულ ბიჭებს. მხოლოდ ეს კია,
შარვალ ცოტა უღალატა, საჯდომი
უფრო დილად გამოუჩინა. მაგრამ არა
უშავსო, ამბობს ბაბე ხარბედია, დავჯ-
დები ერთ ადგილზე და არ ავდგები,
სანამ კარგად არ დაღამდება... მერე
რალას შემამჩნევნო!

ვარდიკო დვალის საქმე იყო ცუდად;
საისეთო ვერაფერი შეარჩია და, არ
წამოვალო, იძახდა.

დედა გოგუცამ გული არ დასწყვი-
ტა. საკუჭნაოდან წითლად შეღებილი
ნარმის ნაჭერი ამოუტანა და გრძელი
მოსასხამი შეუტერა,

გახარებულმა ვარდიკომ ფეხზე ქო-
შები ჩაიცვა, წვივზე ლეკვერთხები
შემოიკრა და გამოგვიცხადა, მე სპარ-
ტაკი ვიქნებო.

გადასარევი ამბავია! გოგოები გიყ-
დებიან ვაჟების ტანსაცმელზე, ყველას
უნდა გრძელი შარვალი ჩაიცვას, ბიჭუ-
რად გამოეწყოს, მაგრამ არცერთი ბი-
ჭი ქალის კაბას არ იცვამს. ვითომ რა,
ქალობა სირცხვილია?!

ამ ღელვასა და ორომტრიალში ორი
მაისის დილაც გათენდა. ავდექი თუ არა,
კაბა ხელახლა დავაუთოვე, ერთხელ
კიდევ მოვიზომე და კმაყოფილი დავრ-
ჩი. ცისფერი მართლაც ძალიან მიხდება.

ზოლებიანმა ნილაბმა კი პირისახე
ცოტა დამიგრძელა, მაგრამ რა უჭირს.
ის, შეიძლება, სულ არ მოვიდეს კარ-
ნავალზე, არ უყვარს ასეთი ზიზილ-პი-
პილა ამბები.

თოთიაურს კი უთქვამს, გაიანემ რაც
არ უნდა ჩაიცვას, რა ნილაბიც არ უნ-
და გაიკეთოს, მაინც ვიცნობო.

ვნახოთ.

აგერ სარკის წინ ვდგეარ და თავში

სულელური აზრი მიტრიალებს: გა-
მოტყდი, გაიანე, ასე რომ კონტრადიქცი-
იკაზმები, ვის ეპრანჭები, ვის გინდა ამ
სალამოს თავი მოაწონო!

არავის, დედა არ მომიკედეს, მინდა-
მხოლოდ ლამაზი ვიყო, ყველასათვის
ლამაზი!

მეტი შენ რა გითხრა, მაისურაძის ქა-
ლო! აბა, ის ვინ სდგას ამ სარკის უკან!
არ გინდა თოთიაურს მოეწონო?

ტყუილი არ შემიძლია. მინდა, რო-
გორ არ მინდა, მაგრამ როგორც კი
ამას გავიფიქრებ, თოთიაურს იმ წამს-
ვე ის გადარეული ბიჭი წინ ჩამოე-
ფარება...

კიდევ კარგი, ადამიანს ადამიანის
გულში ჩახედვა არ შეუძლია, თორემ
აღბათ მტაცებდნენ ხელს და საგიჟეთ-
ში წამოიყვანდნენ.

4

ნასადილევს კარნავალში მონაწილე
გოგოებმა წითელ კუთხეში თავი მოვი-
ყარეთ და ერთხელ კიდევ შეგვიცეთ
ერთმანეთს, სანამ სეირნობა არ დაიშ-
ლება, ჩვენი ნიღბების საიდუმლოება
არავის გავუშხილოთო.

5

არ მეგონა, კარნავალს ამდენი ხალხი
თუ მოაწყდებოდა. თბილმა საღამომ
მთელი ხარფუხი და ორთაქალა ქუჩაში
გამოიტყუა.

ყოველი მხრიდან სიმღერა და სი-
ცილ-ქისკისი მოისმის. სტამბის მუშებო
მტკვრის პირას ჩავიდნენ, ვეება კო-
ცონი ააბრიალეს და ისეთი ფერხული
ჩააბეს, გუგუნი აქ ამოდის, კლუბის
ეზოში.

ეტყობა, ცოტა ზარხოშად არიან,
სიმღერას ლამაზად აკაკანებენ.

სიმღერას ბანი ამშვენებს,
სუფრას კი ღვინო წითელი.
ფერხულა — ქალი ლამაზი,
კაბა ჩაეცას მზისფერი!

ლამაზი ქალი, ლამაზი ქალი!
რაც კი ლექსი წამიკითხავს, ან სიმ-

ღერა გამიგონია, ლამაზ ქალს ადიდებს და აღმერთებს ყველა...

მზეს და მთვარეს ადარებენ, სიცოცხლის გაზაფხულს ეძახიან, იმის სახელს ლოცულობენ. რა უბედური ვიქნებოდი, ბუნებას უშნო და ულამაზო რომ გავჩინე.

საწყალი ბაბე. ყველაზე კარგად სწავლობს, შრომაც უყვარს, — მისი მოქსოვილი ხალიჩა გუშინწინ საგარეჯოში შინამრეწველობის გამოფენაზე გაგზავნეს, მაგრამ რად გინდა!

გამოხტება აგერ სულელი დოდონა, ლამაზ თვალებს ააუქუქუნებს და მორჩა, — მერე ვილას ახსოვს შენი ხალიჩა და ფრიალები.

ქალი თუ კაცი, ბებერი თუ ჯეელი, — ყველა მისკენ მიიწევს მოხიბლული, ყველა ტაშს უკრავს ლამაზი მაიმუნის მანკვა-გრეხას. ასეთი ყოფილა ეს ცხოვრება.

ქადრის ძირში გაბრუებული ვდგევარ და გულს ვაწყნარებ. ერთბაშად ჩამიხვია ამ სადღესასწაულო სულისკვეთებამ. თითქოს ჰაერშიც რაღაც მათრობელა სუნნი დატრიალდა. ასე მგონია, ამ საღამოს რაღაც დიდი ამბავი უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში...

— წამოდი, გოგო... აგერ იმ სკამზე ჩამოჯექი და მკითხაობა დაიწყე! — მეუბნება ჯათია და სადღაც მიმართევს.

მთელი ის კვირა კუდში დამსდევდა ჯათია ჩქარეული. ხან ქაღალდის გაშლას მასწავლიდა, ხან კიდევ ხელისგულზე მარჩიელობის საიდუმლოებას მიზიარებდა. რომელი ხაზი რას ნიშნავდა, რომელი ხორკლი და ნაკეცი — რას.

სანამ შინამრეწველობის ტექნიკუმში მოხვდებოდა, ჯათია ჩქარეული მოახლედ იდგა გაქართველებული პოლონელის ოჯახში. „მთელი ეს სიბრძნე-მეცნიერება ჩემმა დიასახლისმა მასწავლაო“, — მითხრა ჯათიამ.

— ახლავე ჯათია, ახლავე! ცოტა დამაცალე, სული მოვიტყვა და თვალებში გამოვიხედო!

— მანგია თუ მოვიდეს, ხომ იცი, რა უნდა უთხრა? შენ ქაღალდში გოგო ამოგივიდა-თქო; ერთი — შავგვრემანი, შავთვალა... მეორე კი პირთეთრი და ცისფერთვალა! ორივეს ძლიან მოსწონხარ, მარა შენი ბედი პირთეთრი გოგო იქნება-თქო, გესმის?

— ვაი თუ ვერ ვიცნო?

— იცი, როგორ იქნება მორთული? პოლიგრაფსკოლის ბიჭებმა ძველებური ბერიკაობა უნდა წარმოადგინონ. მანგიას გადმობრუნებული ტყავის კაბა ეცმევა. წითელ ნიღაბზე თხის რქები ექნება გაკეთებული.

— კარგი, ჯათია.

— კიდევ რა, ღმერთო მომავონე! ჰო, ხელში სტვირის გუდა უქირავს. დაი-მახსოვრე, სტვირის გუდა.

— დავიმახსოვრე...

— უთხარი, ის შავგვრემანი გოგო მარტო შენ კი არ გეპრანჭება, გუშინ საღამოს ინტერნატში ერთმა უცნობმა ვაჟმა მოაცილა-თქო! გესმის?

— ტყუილი ვუთხრა?!

— არ მოაცილა თუ?

— ის ბიჭი მისი ბიძაშვილი ყოფილა!

— ბიძაშვილი კი არა... დოდონას ამბავს შენ მასწავლო! მაგას რომ ჰკითხო, თბილისში მარტო მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილები დადიან!

— ერთი რამ მაინც მაფიქრებს. მანგიას რას გამოაპარებ... მიცნობს!

— ხმა გამოიცვალე. იცი, როგორ? სიტყვები ცოტა გააბრტყელე და ხშირ-ხშირად ამოაოხრე. ერთი-ორი სომხური სიტყვაც გაურთიე...

ქუჩიდან დაფა-ზურნა და ხალხის ღრიანცელი მოისმა.

— ყენი მოჰყავთ, ყენი! — დაიძახა ვიღაცამ.

თვალისწამში სკამზე დავებერთყე და ქაღალდი გავუშალე.

ბაღში ბერიკები შემოჭირითდნენ დოლის ბრაგუნითა და ყიყინით.

არ მეგონა, ჩვენზე უფრო გიჟური ნი-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიე წყალში



ღებებისა და მორთულობის გამოგონება თუ კიდევ შეიძლება, მაგრამ ამ ბერიკებს რომ შეეხედე, სიცილი ვერ შევიკავე და კინალამ ნიღაბი ჩამომივარდა.

რქები, საქონლის კუდები, ტყავები, ჭრელ-ჭრელი ძონძები, მაღალ ოჩოფეხებზე შემდგარი ნაბღიანი ნიღბოსნები ერთმანეთში ისე არეულიყო, სიზმარში რომ აირევა ხოლმე ეს ქვეყანა.

ვისაც ნიღაბი არ ეკეთა პირისახეზე, შავი მური წაესვა, ხელში ხისგან გამოთლილი ხმალ-ხანჯალი დაეპირა და ყეენის გარშემო დავლურს უვლიდა. ბერიკები როკვა-სიმღერით ხეივნებში მიიმაღნენ.

— მალე დაიშლებიან და თვალყური გეპიროს! — მითხრა ჯათიამ და წინ პატარა სკამი დამიდგა ქალაღის გასაშლელად.

საწყალი ჯათია!

ნუთუ მართლა სჯერა, რომ ჩემი მკითხაობა მანგიას გულს შემოაბრუნებს. ფაცურიას ბებია სოფელში თურმე სიყვარულის წამალს აკეთებს. ბიჭმა ის წამალი ძილის წინ უნდა დალიოს, ოღონდ ჭერ სასთუმალში ქალის სურათი უნდა დაუდო, თორემ ჭადო არ გასჭრისო!

— ფაცურია სოფლიდან წამალს კი ჩამომიტანს, მხოლოდ ეს მაფიქრებს, სურათის საქმე როგორ იქნება! — მითხრა ჯათიამ.

— მაგაზე ადვილი რა არის გოგო? — ღიმილი ძლივს შევიკავე, რომ ჯათიას გული არ სტკენოდა. — ვეტყვი გოდონ წამალაშვილს და სურათს კი არა, თუ გინდა ზარბაზნს დაუდებს სასთუმალში!

— მართლა, შენი ჰირიმე! — მომვარდა, მომეხვია.

ამ ღამემ უფრო დაგვაახლოვა; სწორედ ამიტომ გამანდო თავისი გულისწინაღობა, მაგრამ ეს ჩვენი პატარა შეთქმულება მანგია ნოზაძის თვალის ანაბმელად, ისევ იმ გაუტანელმა დოდონამ ჩაგვიშალა. პირდაპირ მივიქირს, რანაი-

რად შეიძლება, ასე ღამაზ სხეულებში ასეთი არაწმინდა სული ბუღობდნენ.

უკვე გვიან არის. კედლის საათმა დერეფანში თორმეტჯერ დარეკა. ხვალამდე, ჩემო დღიურო, ხვალამ გავაგრძელებ კარნავალის ამბავს.

უეცრად დოდონამ გაიღვიძა და ბუზღენი დაიწყო, სინათლე ჩააქრე, ძილი მაცალეო!

— ძილი თუ არა, ერეკლე მეფის შვილი არ დაგეისუმროს! — ვუთხარი მე.

— დავუძახო მორიგეს! — სთქვა და საწოლიდან თეთრი ბარკლები გადმოყარა.

— დაგიძახა სიკვდილმა! — ერთი კი მიეაწყველე და სინათლე ჩააქრე.

ენატანია გოგო კი მინახავს, მაგრამ დოდონასაგან ღმერთმა დაგიფაროს. თუ წააგდო ენა, მერე მისი გაჩერება არ იქნება. რას არ გამოაბამს კუდს.

იმ კვირას ფაცურია მ სიზმარი გვიამბო, ვითომ სოფელში ვიყავი და დედაჩემი ახალ კაბას მიკერავდაო.

დოდონამ მაშინვე ხმა გააერცელა, ფაცურია მერკვილამე სოფელში გაპარვას აპირებსო. გაზაფხულზე ერთი ხევსური გოგო მართლა ვაიპარა ბარისახოში. ამიტომ ჭორი ადვილად დიჭერეს და ფაცურიას სამასწავლებლოში გამოუძახეს. იქიდან კი ეს ყველაზე კარგი გოგო ტირილისაგან თვალმბდასიებული გამოვიდა.

ნეტა ერთი სხვა ოთახში გადააბარებდნენ დოდონა გოლაშვილს.

ჩემი და ფაცურიას საწოლები გვერდი-გვერდ დგანან. საბნებში რომ გავხვებოდა, ჩვენ მერე დიდხანს ვეჩურჩულებით ერთმანეთს. გულში ათასი ფიქრი და ეჭვი გვიბრუნავს, ჩემად რა გავაჩერებს! დოდონას ნერვები ეშლება, მეც გამაგონეთ, რას პუტუნებთო! არადა, სულ გაიუმღიეთ, მეძინებო.

მოდო და გააგონე ჩვენი ნაჩურჩუ-

ლები, რომ მერე ყველაფერი უკუღმა შეატრიალოს და სკოლაში თავი მოგვქრას.

7

კარნავალი დოდონამ ჩაგვამწარა.

ეს ამდენი ნილაბი და ქაჭური ტან-საცმელი გოგოებმა იმიტომ გამოჭრეს და შეკერეს, რომ საშეფო უჭრედის ბიჭები ვერ გვიცნობენო, იქნება ერთი მარჩიელობა და მითქმა-მოთქმა, სიცილი და დანაძლევება, ვინ ვინ არისო.

აბა ნემსით რატომ დავიჩხვლიტეთ თითები! რამდენი სიამოვნება უნდა მოეტანა ჩვენთვის ამ საღამოს, რამდენი რამ ჰქონდა ჩათქმული და ჩაფიქრებული ყოველ ჩვენთაგანს, მაგრამ გაუგონარი ამბავი მოხდა.

ბერიკებმა ჩვენი ოთახის გოგოები ყველანი იცვენეს. პირველად ჩემთან მოვიდნენ და თავი დამიკრეს, ვაიანეს ვახლავართო. მერე ვარდიკოს შემოეხვივნენ და უთხრეს, მამაშენმა ბაქოდან შაქარ-ყინული თუ ჩამოიტანოს, ჩვენ არ გამოგეტოვო, დაგვაბატყეო.

არ გასულა დიდი ხანი, ფაცურია მოვარდა ატირებული, ბაღში ვერ გამოვიღია, ბიჭები მომსდევენ და მეძახიან, მოიხადე ნილაბი, ფაცურია მერკვილაჟე ხარო.

მალე ბაბე ხარბედიაც შემოგვიერთდა. ნილაბი უკვე მოეხსნა და შინ წასვლას აპირებდა.

— ეილაცამ გაგვთქვა, თორემ ასე ხელდახელ როგორ გვიცნეს! — სთქვა ბაბემ.

ბაბე ხარბედია მართლაც რომ კარგად იყო „დამალული“. ნილაბზე საპირტყე კი არ ამოსჭრა, ხმაზე არ მიცნონო. საშხირად კი ორი ისეთი პატარა ქუქრუტანა დაატანა, არ მეგონა ბაღში თუ მარტო ვავილიდა. ან სკამს წამოედება, ან ხეს შეეხეთქება და რაღაცას მოიწმობიწვეს მეთქი.

— ახლა აქ რა შინდა, ყველაფრის ხალისი დამეკარგა! — ამბობდა ის და რიყისაკენ მიმავალ ტრამეის უძლიდა. დეიდა გოგუცამ არ გაუშვა, „ცოც-

ხალ სურათებში“ მონაწილეობა უნდა მივიღოთო.

გულმა უკვე მითხრა, რომ ჩვენთვის მარცხი უბრალო შემთხვევის ბრალი არ იყო. ვილაცამ გაგვცა ირმის ოთახის გოგოები, მაგრამ ვინ?

ამ დროს ჯათია ჩქარულმაც მოირბინა და ტირილით გვაუწყა, ეს ოინი დოდონამ მოგვიწყაო...

— რა იცი? — შესძახა ბაბემ.

— ედიშერ შარაბიძემ მითხრა, დოდონა გოლაშვილმა ბიჭებს სათითაოდ ჩამოუარა და ჩაუტყვიკა, ვის რა აცვია, ვის რა ნილაბი აქვსო...

— უსინდისო! ის გრძელი ენა უნდა მოაქრას კაცმა! — სთქვა ბაბემ.

— ახლა გინდა მოაქერი, გინდ არა, ჩვენ კი ჩაგვაშხამა ეს საღამო და...

— კლუბში შევიდეთ, მარგარიტა გოტიე მაინც ენახოთ, — სთქვა ჯათიამ.

ნიღბები და ზედმეტი სამკაულები დეიდა გოგუცას დაუუტოვებთ და კლუბისაკენ წავედით.

8

გაზაფხულის მსუბუქი, გამჭვირვალე ბინდი სწრაფად დაეცა მტკვრის პირებს. დაიწყო მამშალეების ტაკა-ტაკული. ჯერ კიდევ ნათელ ცაზე ხუთი თუ ეგვსი ფერადი ქოლგა გაიშალა და ქვეითვენ დაეშვა. ერთი ქოლგა ისე სწრაფად მოსრიდლებს ჩემსკენ, აგერ-აგერ ცაზე დამემზობა და დამწვავს.

შიშისაგან ვიციანი და გაქცევას ეპირებ, მაგრამ ცეცხლიანი წვიმა უტბად ჩაპქრა და ისევ წყნარი და ნათელი ცა დამადგა თავზე.

ჩვენს გარდა თერთმეტი გოგო კიდევ იყო საყვეროდ მოვაზმული. ისინი ახლა მძაყად დასეირნობენ ხეივნებში, თითქმის ძველი ზღაპრიდან გადმოსული დედოფლები არიანო.

ბერიკები დაფა-ზურნითა და ხორბოცი თფერხულს უვლიან მათ ირგვლივ.

მართლა რა ძნელად საცნობი არიან ის მაიმუნები! დღემდე ვერ გამიგია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიე ყვალვი



რალა მინცა და მინც ჩვენ გავგწირა
დოდონამ...

ის-ის იყო კიბეზე ფეხი შევდგო,
რომ უეცრად მისი ხმა გავიგონე.

მოვიხედე.

გიდონი ისევ იმ დაგვაჯულ გოგოს
ელაზღანდარებოდა, ერთხელ ქუჩაში
რომ გამაცნო. პოლექსიას ეძახიან. რა
სასაცილო სახელია, არა?

მანგია ნოზაქემ მითხრა, შარშან ამ
გოგოს ჩემს ძმას ურიგებდნენო.

— იცი, რა მდიდარი მამა ჰყავს? ავ-
ლაბარში ორსართულიანი სახლი სულ
ხალიჩა-ფარდაგებით აქვს მოფენილი.
ვინც იმ ოჯახს ჩაესიძება, სამოთხეში
იღებოვრებსო, ამბობდა მაჰანკალი, მაგ-
რამ დედაჩემმა არა ჰქნა, „თაღლითო-
ბით შეძენილ ქონებას ჩემი სიღარიბე
მირჩევნია! ის ქორვაჭარი ერთხელ
ფეხს წაიმტვრევს და ციხეში ამოჰყოფს
თავს, ყველაფერს ჩამოართმევენ და
გაუყიდიან, — ჩვენ კი მარტო ეს დრო-
გადასული პატარძალი შეგვრჩებაო
ხელში!“... ახლა, როგორც ვატყობ,
პოლექსიას მამას გიდონის გამოჰკერა
უნდა. ამას წინათ შინ მიიპატიჟა და
ნეფური სუფრა გაუშალა. სულ დაბეჭ-
დილი ღვინო ასვა და „სიმპატიის“ კო-
ლოფებით ჭიბე გაუტენა. ასე რომ,
ფრთხილად იყავით, გოგოებო, ერთი
კარგი ბიჭი არ წაგართვან!

რა აბრწელების კაბა აცვია ამ უწნო
გოგოს! გულზე ოქროს მედალიონი ჰქი-
დია. ხელში თეთრი იასამნის ტოტი
უჭირავს, ხან თვითონ უყნოსავს, ხან
კიდევ გიდონს ცხვირთან მიუტანს და
ჩაიკისკისებს... ერთი სიტყვით, დიდ
ამბავში არიან.

ნეტავ ეს არ დამენახა და ღმერთს
ჩემგან რა უნდოდა! გული ცუდად გა-
მიხდა. მუდამ ასე მემართება, როდე-
საც გიდონს სხვასთან დავინახავ. ახვა
გოგოსთან.

არ მინდა, არა, რომ გიდონ წამალაშ-
ვილს სხვა ვილაყეები უცინოდნენ და
ცხვირწინ იასამნის ტოტს უფრიალებ-
დნენ.

რა მომდის, რა ღმერთი მიწყრება!
თოთიაურიც ხომ მომწონს, მაგრამ
როცა იგი სხვას ესაუბრება, ^{ერჩენალო}
მიჰყვება კლუბში, — ეს განა მწყინს...
მაშინ არც ის გოგო მეჯავრება, — პი-
რიქით, — მიხარია, თუ ალექსი თოთი-
აური სხვასაც მოეწონება. მინდა ყვე-
ლამ იცოდეს, რომ ასეთი კარგი ბიჭი
ჩემი მეგობარი არის...

მეგობარი?!

ღმერთო ჩემო, მე თვითონ არ ვიცი,
ვინ მიყვარს... ან რა არის სიყვარული!
ამას წინათ წიგნში წაგიკითხე, სიყვარ-
ული ადამიანს ცაში აიყვანსო.

რა ვიცი, მე კი მგლის ორმოში ჩამა-
გდო და არ გამახარა.

— ახლავ დაგეწივი, — ვუთხარი
ფეკურის და იქით კი არ გავიხედე,
საითაც წასვლას ვაპირებდი, —მტკვრი-
საკენ შევბრუნდი, ვითომ ტივებზე ან-
თებულ ქინედილებს ვუტყუებდი, მაგ-
რამ ფეკურია მერკვილაძეს შენ მოა-
ტყუებ?

— წადი და ჰქვიანად იყავი! — დიდი
ქალივით მითხრა და მარტო დამტოვა.

„მივიდე თუ არ მივიდე“, — ამ ფიქ-
რში რომ ვიყავ, კლუბის აივანზე სასუ-
ლე ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა. ყმა-
წვილებმა იმ წამსვე წრე შეჰკრეს და
გიდონ წამალაშვილს დაუძახეს, დაიწ-
ყო. ცეკვა და სიმღერა გიდონის მო-
გონილი იყო.

დაუძახეს თუ არა, თავპატივი არ გა-
იდო, — დაგვაჯულ გოგოს ხელი დაავ-
ლო და წრეში შეიყვანა, მერე გაშალა
შკლავე და წავიდა, წავიდა, წავიდა ისე-
თი ნაფარდით, იმის ყურებას არაფერი
სჯობდა. მეც მაშინვე ხალხი მივსწი-
მოვსწიე და იმ გოგოს ახლო დავდექი.
ჩვენ შორის ოთხი თუ ხუთი კაცი
იდგა.

მიწა გამისკდეს, თუ ვიცოდე, რატომ
დავდექი!

გიდონმა ორჯერ შემოუარა წრეს და
ცეკვა-ცეკვით იმ გოგოსაკენ წამოვიდა.
ის გოგო წელში ვასწორდა, ჩანთა ვი-
ლაცას ხელში მიაჩეჩა და მოახლოებულ
გიდონს ნაზი ღიმილი შეაგება.

მერე რა მოხდა, კარგად არ მახსოვს.

მხოლოდ თვალი კი მოვატანე, მკლავებგაშლილმა გიდონმა უცბად ვეზი იცვალა, პოლექსია გამოსტოვა და ჩემს წინ გაჩერდა.

თავი დახარა — საცეკვაოდ გამიწვია.

გავშეშდი. ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე.

— გაჰყევი, გო! — წამჩურჩულა ჩათიამ და თეძოზე მიბწვინა.

გავშალე ხელები და გავყევი. ჯერ არასდროს ისე ბედნიერი არ გუოფილვარ, როგორც იმ საღამოს ვიყავი, და შეიძლება, გიდონ წამალაშვილი არასდროს ისე არ მყვარებია, როგორც იმ წუთში მიყვარდა.

მიყვარდა იმიტომ, რომ გული არ დამიჩაგრა და ჩემი თავი იმ მუნიან მდიდარ გოგოს ამჯობინა.

რა სხვანაირი იქნებოდნენ კაცები, ქალის გულში ჩახედვა რომ შეეძლოთ.

ერთი ასეთი წუთის გამო რამდენ რამეს ვაპატიებ გიდონ წამალაშვილს! ვაპატიებ უხეშობას, ლოთობას... კიდევ კარგი, გიდონმა ეს არ იცის, თორემ იგი არ დამინდობს და ჩემი გულის სისუსტეს ბოროტად გამოიყენებს.

9

კარნავალი რომ დამთავრდა, ჩათიამ და ფაცურიამ მოილაპარაკეს, რომ დღონა გოლაშვილის საქციელი ბიუროზე განიხილონ. თოთიაური დაგვეთანხმე, გამცემი გამცემია, უნდა დაისაჯოსო...

10

ნამოსევს საშეფო უჯრედმა „ქრისტინეს“ გასამართლება მოაწყო.

ეს ამბავი ჯერ კიდევ შარშან განიზრახა ალექსი თოთიაურმა, მაგრამ „ქრისტინე“ ვერ იპოვნა. ჩვენმა გოგოებმა ითაკილეს, იუკადრისეს, ლაფში ამოსვრილი ქალის როლის შესრულება.

თოთიაური ირმის ოთახს გაეშუტა და ისევ ბაბე ხარბედიას გამოელაპარაკა.

— შე სულელი, — უთხრა თოთიაურმა: — აბა ნუცა ჩხეიძემ თავი უნდა

მოიკლას, კვირაში ორჯერ შარგარტას თამაშობს! შენ რა ჩირქი მოგეცემა, გოგო, ერთი-ორი საათით საბრალდებულო სკამზე რომ დაჯდე და იმ უბედური ქალის სახელით ილაპარაკო!

— ორი საათით კი არა, ორი წუთითაც არ მინდა ქრისტინეს სახელი მერქვას! — მიუფო ბაბემ, თავი ამაყად შეარხია და ოთახიდან გავიდა.

ბაბეს სხვებიც აჰყვნენ.

— ეს რომ მამაჩემს ყურში ჩაეწვეთოს, სიკვდილს მომანატრებს! — ისეთი ზმით სთქვა ჩათიამ, თითქოს-და მართლაც საროსკიპო სახლში ეპატიყებოდნენ.

საქმე ჩაიშალა.

საშეფო უჯრედის მდივანმა გული არ გაიტეხა. ამჯერად ფაცურია მერკვილად დააღვა თვალი.

ფაცურია მერკვილამ თამამი გოგო იყო და ენაც უჭრიდა. თოთიაურმა ადვილად დაიყოლია: შეპირდა, „მოთა ბროლიძეს“ გათხოვებო.

ფაცურია „ქრისტინეს“ ჩაუჯდა. მთელი მოთხრობა გაიზეპირა, მერე სადაც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იშოვნა, იმ ჟურნალში დაბეჭდილი იყო „ქრისტინეს“ ერთი შარშანდელი გასამართლების ამბავი.

ფაცურიამ იქიდან რალაც-რალაცები გადმოიწერა და გეგმაც კი შეადგინა, რა და როგორ ეთქვა სასამართლოს წინაშე. ერთი სიტყვით, გოგო „როლში“ შევიდა, მაგრამ უკულმართმა მანგაიმ აწყობილი საქმე საორხელოდ გაუხადა ალექსი თოთიაურს.

სადაც კი დაინახავდა ფაცურიას, ხელად ქრისტინეს დაუძახებდა, თანაც თვალს ისე ქალაქურად ჩაუკრავდა, ვითომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ელლაბუტებოდა.

ეს კიდევ არაფერი, — ერთხელ თვითონ თოთიაურსაც წამოსცდა: ქრისტინე, რატომ დაიგვიანეო...

ამას კი ვედარ გაუძლო ფაცურიამ: ეს ბიჭები ნამდვილად სახელს შემიც-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიე წყალში



ვლიან და რალაც უბედურებას ვაღამ-
კიდებენო — გაიფიქრა და ნინოშვილის
მოთხრობა უკანვე დაუბრუნა თოთი-
აურს.

კომკავშირის უჯრედის მდივანმა თავ-
ში ხელი შემოირტყა, მაგრამ რალას
იზამდა... ისევ მე დამიჩოქა და მითხრა:
ე გოგო, მიშველე, თორემ ბიჭებიც
გულს აიყრიან და ღონისძიება ჩამეშ-
ლებო.

რა თქმა უნდა, ქრისტიანე გულზე
ზეც არ მებახტა, მაგრამ უარის სათქმე-
ლად ენა აღარ მომიბრუნდა.

ისეთი რა უნდა მთხოვოს თოთიაურ-
მა, რომ მისი გაწბილება შევეძლო!

მსაჯულებად ექვსი გოგო და ექვსი
ბიჭი შეარჩიეს და მეორე დღესვე ჩვე-
ნი სკოლის დერეფანში წითელ-ყვით-
ლად მოხატული აფიშა გამოაკრეს.

15 მაისი, 1923 წელი.

კვირას, დილის, თორმეტ საათზე, ქალთა
საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში
გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

დიდი პოლიტარული მწერლის ეგნატე
ნინოშვილის მოთხრობის მთავარი გმირის

ქრისტინას

ლიტერატურული გასამართლება.

სასამართლოს თავმჯდომარეა —

ქართული ენის მასწავლებელი
გერონტი ლლონტი.

ხარალღებელი — ქრისტიანე ხელმოკლები
— ჩვენი სკოლის მოსწავლე

გაიანე მისსურაძე.

ხარალღებელი — პოლიგრაფ-სკოლის
შეგირდი მანვია ნოზაძე.

დამცველი — პოლიგრაფ-სკოლის კომკავში-
რის უჯრედის მდივანი ალექსი თოთიაური.

მომხივანი:

იასონ უჩაძაძე — პოლიგრაფ-სკოლის შეგირ-
დი გელეონ (გიღონა) წამალაშვილი.

მარიამ — ჩვენი სკოლის მოსწავლე

ფაცურია მერკვილაძე.

სონა — ჩვენი სკოლის საქმისმწარმოებელი
ნათო იაშვილი.

დათია ხალოვალიძე — პოლიგრაფ-სკოლის
მეინჰევი ედიშერ შარაბიძე.

დღეა, რა ხალხი მოაწყდა გასამართ-
ლებას! მოვიდნენ პოლიგრაფ-სკოლის
შეგირდები, სტამბის მუშები... მთელი
ჩვენი ინტერნატი უკლებლად ჩამო-
ლაგდა კლებში.

თავიდანვე ყველაფერი კარგად იყუ-
ყო, სასამართლოს თავმჯდომარე მადონა
წრე საზოგადოებას საბრძანებელი
ოქმი წაუკითხა. ქრისტიანე ბრალად
ედებოდა:

პირველი მუხლით — ბურჟუა-
ზიული კლასის წარმომადგენელთან
დაახლოება და მასთან სიყვარულის ძა-
ფების გაბმა.

მეორე მუხლით — ძუძუმწოვარა
შვილის მიტოვება.

მესამე მუხლით — გარყვნილი
ცხოვრება.

იყო მეოთხე მუხლიც: სანამ არ და-
ქორწინდებოდნენ, ქრისტიანე იასონა
უქმაძის ბიჭიერ სურვილს არ უნდა
დაჰყოლოდაო, მაგრამ ეს მუხლი მაშინ-
ვე დაიწუნა დოდონამ.

თოთიაურს დღემდე ახსოვს მისი სი-
ტყვები:

„თუ მამაკაცს არავინ უჯრძალავს,
რომ ქორწინებამდე ქალთან იცხოვე-
როს, ქალმა რაღა დააშავა, — ის ჯვარს
რატომ უნდა ვაცვათ ასეთივე „ცოდ-
ვის“ გამო. რეკლუტციამ ამ უთანასწო-
რობასაც ბოლო უნდა მოუღოსო!“

თოთიაური გრძნობდა, დოდონა კაჭ-
კაჭივით სხვათა ნათქვამს იმეორებდა,
არ ესმოდა მისი ნამდვილი შინაარსი,
თორემ ავტე იოლად ამ მღვრიე მორევ-
ში არ შესტოპავდა; გული ვერ ეხმო
უჯრედის მდივანს, ვინ ურევდა გზა-
კვალს ამ ცხვირმოუხოცავ გოგოს...

მოულოდნელად დოდონას ჯათიაც
მიემხრო და ის მეოთხე მუხლი ოქმიდან
ამოშალეს.

— მოქალაქე ქრისტიანე, სცნობთ თუ
არა თავს დამნაშავედ? — მკითხა გე-
რონტი მასწავლებელმა.

— არ ვცნობ, მოქალაქე თავმჯდომე-
რე! ამ სამარცხვინო სკამზე მე კი არა,
ძველი წესწყობილება უნდა დაბრძან-
დეს... იმან წაიყვანა უკულმართად ჩემი
ცხოვრება! — ხმამალა მოვახსენე სა-
სამართლოს, მერე ჩემად თოთიაურს
გადავხედე, ხომ არაფერი შემეშალა-
მეთქი.

თოთიაურმა მკრთალად გამოიღმა, მერე ისევ შუბლი შეიკრა და გაქვევდა. ჩემი პასუხი, ეტყობა, ბევრს მოეწონა. ხალხში ჩურჩული ატყდა: შეხედე, რა მაგრაღ დახედდაო.

მხოლოდ დოდონამ წამომძახა: იასონას შენ ესევეოდი, ძველი რეჟიმი აქ რა მოსატანიაო...

ვიკოდი, დოდონას ჩემი ჩაფლავება უნდოდა.

წუხელ კიდევ გამაფრთხილა ერთმა გოგომ, დოდონამ კვიმატობა თუ დაიწყო, შენ არ აპყვე, თორემ სულ დაგაბნევსო. მაგრამ ნურას უკაცრავად, უკან არ დავიხიე და გერონტი მასწავლებელს ეკითხე:

— გაცვე პასუხი, მოქალაქე თავმჯდომარევე?

— გაეცი. — მითხრა გერონტი მასწავლებელმა.

სული მოვიტყვი და მსაჯულებს მივუბრუნდი (ასე დამარბია თოთიაურმა, ლაპარაკის დროს მსაჯულებს უცქირეო).

უცქირე რამდენიც გინდა!

აღვლებსივან თვალები დაიღვა თუ რა დამემართა, არ ვიცი. მსაჯულების სკამზე მხოლოდ ლანდები დავინახე, უსახო, შავი ლანდები, ერთმანეთში არეული და გაბრტყელებული, თითქოს შორიდან კედელზე უთავბოლოდ გაქრულ სურათებს ვუცქირდი.

ის კი ვიგრძენი, ხმა რომ ვერ მოვზომე და ყვირილი გავაბი:

— ვინ წამართვა მე, მშრომელ ქალს, ყველა უფლება და ღირსება?! ვინ ჩამსვა ოქროს გალიაში და მამაკაცის სათამაშო ნივთად მაქცია?! ვინ? თქვენ გეკითხებით, მოქალაქე მსაჯულებო! აქ პასუხი მხოლოდ ერთია! ძველმა, დახვესებულმა წესწყობილებამ ჩამაგდო ამ დღეში! ის რომ არ ყოფილიყო, მარტო იასონა მე ვერ დამიმონებდა! ეს უნდა იცოდეს კომკავშირელმა დოდონამ! — სულმოუთქმელად ამოვაფრქვეე ჩემი სათქმელი და გავჩუმდი.

„ოქროს გალია მგონია ზედმეტი იყო!“ — გამკრა ფიქრმა, მაგრამ რა-

ღის! გაფრენილ სიტყვას სისწრაფის უკან ვერ დააბრუნებდა.

დავკეტი და თავი ჩავლუნე. თვალის ჩინიც უკვე დამბრუნდა. ოღონდ ახლა აღარავის დანახვა აღარ მინდოდა. ასე მეგონა, მსაჯულები და სხვებიც დამცინავი ღიმილით მომჩერებთან-მეთქი.

„რა გაღრიალებდა, შე გამოთავყანებული, ნელა ვერ სთქვი ის ორი სიტყვა?!“ — ვლანძლავდი საკუთარ თავს და სიმწრის ოფლში ვიწურებოდი.

ამ დროს გერონტი მასწავლებლის ხმა გავიგონე:

— ცოტა ნელა ილაპარაკე, გოგო, მდივანმა ჩაწერა მოასწროს.

პირი მომწმინდა კეთილმა კაცმა. რა გაყვირებსო, კი არ მითხრა, — ნელა ილაპარაკე, მდივანმა ჩაწერა მოასწროსო...

გული კინაღამ ამიჩუყდა, ისე გამახარა მისმა გულისხმიერებამ.

— ყოჩაღ, გაიანე, ყოჩაღ! — წამჩურჩულა თოთიაურმა და მაჯაზე ხელი მომიჭირა.

ახლა კი ავწიე თავი და მსაჯულებს შევხედე. ისინი მართლა იღიმებოდნენ, ოღონდ არა, — მსაჯულები არ დამცინოდნენ, — პირუტყუ, — მაქებებდნენ, მათამამებდნენ, პირგანათებული მიცქერდნენ.

— თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ ქვეყანაზე ყველა კაცი მართალი იქნება! ყველა შავი საქმე ნიკოლოზის რეჟიმს გადაეპარალოთ და მორჩა, ყველანი ანგელოზები ვიქნებით! — მაინც არ მომეშვა დოდონა. ის ახლა ფეხზე იდგა და თვალეში მატყუდებოდა, ისე მიცქერდა.

— ასე არ შეიძლება, დოდონა! — გაუწყრა გერონტი მასწავლებელი: — სასამართლოს თავისი წესი და რიგი აქვს. გვაცალღეთ, ჯერ მოწმეები დავკითხოთ, მხარეებს მოვეუსმინოთ, მერე თქვენც გალაპარაკებთ.

მოწმეების დაკითხვა რომ დაიწყო, თოთიაური და გოდონი ერთმანეთს აუ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შავი მღვრიე წააღში



ხირდნენ და მაგრად წალაპარაკდნენ. გიდონი, ეტყობა, კარგად არ მოემზადა. მოთხრობის შინაარსი არ ახსოვდა. ამიტომ ცოტა აურია და ოინბაზობა დაიწყო. ქრისტიანებს დამცველს ალექსი თოთიაურს ერთი-ორჯერ უზრდელად უპასუხა და ხალხი გააცინა. ვილაც გოგობმა ტაშიც კი დაპკრეს.

წამალაშვილი გათამამდა...

თოთიაურმა პკითხა:

— მოქალაქე იასონ უქმაძე! მიპასუხე, კაცი და ქალი ერთმანეთს დამშობას რომ ეტყვის, მერე შეიძლება იმ სიტყვის გატეხა? ხალხური ლექსი მინც არ გაგიგონია? თუ ქალი გეტყვის ლობასა, ის უკეთესი და არის...

წამალაშვილმა მიუგო:

— შენ მაგ შაირებს თავი გაანებე, ჩემო ალექსი, და შენი თავი გაიხსენე. და-ძმობა შენც შეჰფიცე ერთ გოგოს, მაგრამ...

აქ წამალაშვილმა დოდონას თვალი ჩაუკრა და ერთი იმგვარად დაუსტვინა, დამცველს ყველაფერი წყალში ჩაუყარა. ყველანი მიხვდნენ ის გოგო ვინც იყო და თუმცა თოთიაურს და-ძმობის სიტყვა ერთხელაც არ გაუტეხია, ხალხის ამბავი ხომ იცი: ხალხი ასეთ დროს მრუდსა და მართალს კაბდოსავით აღარ არჩევს, ოლონდაც კი ენის ქავილი დაიცხროს. ბიჭებმა ერთმანეთს მუჯლეგუნე წაპკრეს და ყურში ჩურჩული დაიწყეს.

გიდონ წამალაშვილს არასდროს არ უყვარდა წიგნი და მოხსენება. კრებაზე რომ დაუძახებდნენ, მაშინვე გულზე ხელს მიიდებდა, გამიშვით, თორემ აქვე წავიქცევიო. დღემდე ვერ გამიგია, ეს პარიპარალე ბიჭი საიდან მიეწება ამ გასამართლებას.

შეგატყვე, ალექსი თოთიაურს შიგ გულში მოხვდა წამალაშვილის უხამსობა. მე მინც ვიფიქრე, მუდამ თავშეკავებული მდივანი მოშულარს არც ახლა გამოედავება-მეთქი.

შეცდი- ამჯერად თოთიაურმა წყენა გულში არ დაიდულა და არსათქმელი უთხრა წამალაშვილს:

— შენ, ამხანაგო, გეტყობა, წამალაშვილი დამსგავსებინარ იასონ უქმაძეს!

იასონ უქმაძეს დამსგავსებინარო! გაგიელა წამალაშვილი, ეს რა მითხრაო ამ ჯარსა და ჯამათში. მიუბრუნდა თოთიაურს და ისეთი რაღაც ჩაულაპარაკა, ქალღღმზე რომ არ დაიწერება. მე და ჩემი დამცველი ცალკე ვისხედით გატეხილ ფანჯარასთან. მადლობა ღმერთს, გიდონის უქმაწერი სიტყვა სხვას არავის გაუგონია.

ალექსის ფერი ეცვალა. წამოიწია.

ქამარში ხელი ჩივავლე და წავჩურჩულე:

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ახლა არაფერი უთხრა!

დამიჯერა... მაგრამ არ გასულა დიდო ხანი, გიდონის ოხტში მინც ამოვიდა. მისდგა და ისეთი კითხვები დააყარა, მოუშაღებელი მოწმე ბრინჯივით დაინბა. ბლუკუნე დაიწყო და პოლიგრაფსკოლის შეგირდებმა სიცილი დააყარეს. რა თქმა უნდა, ნაკითხი და კარგად მოლაპარაკე თოთიაურის გვერდით უსწავლელი წამალაშვილი სულ არაფერი გამოჩნდა, ძალიან წააგო ხალხის თვალში. ამას თვითონ გიდონიც მიხვდა და საწყალი ბიჭი მთლად აიშალა.

წამალაშვილი ვერ იტანდა, ბოდმით ივსებოდა, როდესაც ამხანაგი რამეში აჯობებდა. მე რომ იქ არ ვყოფილიყავ, მთელი ეს დავიდარაბა, შეიძლება, არც კი ატეხილიყო, ბიჭები უფრო მოუთმენდნენ ერთმანეთს. ახლა კი გიდონი იმით დაიწვა, რომ ის ჩემს თვალწინ დასჯაბნა თოთიაურმა.

დასჯაბნა და მერე, როგორ!

თოთიაურმა ილაპარაკა ვილაც მესამედსელებზე; ჟურნალ „ივერიანზე“, გურის აჯანყებაზე... ხელად გამოაშკარავდა, რომ გიდონ წამალაშვილს ეს ამბები გაგონილოც არა ჰქონდა. ისიც კი არ იცოდა, მესამედსელებს მესამეს რატომ ეძახდნენ.

თოთიაურმა კი ენა აღარ გააჩერა. ხურჯინში რაც ელაგა, ყველაფერი წამოპყარა და გამოაშხვევა. უეტრად მომჩვენა, თოთიაურმა ეს განგებ გააკეთა.



თა, წინასწარ მოემზადა, რომ გიდონ წამალაშვილი ხალხის თვალში დაემცი-რებინა. რა არ შეეკითხა, საიდან არ მოუტრიალა, რომ წამალაშვილი მახე-ში გაება, — ჩემთვის კი ეთქვა, აი შე-ნი გიდონი რას წარმოადგენსო.

ეს არ მომეწონა. ნასწავლმა უსწავ-ლელს ფეხი რომ დაადგას, ეს რა კაცო-ბაა! ან რად დასჭირდა თოთიაურს ამ-დენი ბლანდვა და ბაჭიბუქი.

ან იქნებ ეს უსიამოვნო ამბავი სულ ტყუილუბრალოდ მოხდა, — ხანდახან ბიჭებმა რომ იციან — ერთმანეთს სი-ტყუას არ შეაწევენ და აიშლებიან, მე კი ცილს ვწამებ თოთიაურს, გულში ბოროტი განზრახვა გედო-მეთქი...

არ ვიცოდი, რა მეფიქრა, გული მიკვ-დებოდა, გიდონს რომ ვუტყქერდი. ასე როგორ ჩაიფერფლა და ჩაპქრა!

დაკითხვა რომ დამთავრდა, მერე ერ-თი ხმა არ გაუღია. სკამზე ჩუმად დღეშ-ვა და ტუჩების კვანტა დაიწყო. სასა-მართლოს თავმჯდომარემ უთხრა, თავი-სუფალი ხარო. გამგუნებულმა ბიჭმა ისიც კი ვერ მოახერხა, ამღვარიყო და დერეფანში გასულიყო. ხალხი მაინც არ დაინახავდა იმის საცოდობას. ერთი სული მქონდა, მივსულიყავ, მხარზე ხე-ლი დაქედო და მეთქვა: „არაფერია, ბი-ჭო. ნუ ღელავ! მართალია, აქ გაჯობეს ამ სწავლულებმა, მაგრამ აბა ერთი შე-ნი სიმღერა გაიგონონ! რა უფრო გააგი-ყებს ხალხს, ამათი ლაილი თუ შენი „ან, მთვარევე, მთვარევე!“. რა ხმა აქვს, ღმერთო ჩემო!

შარშან სტამბის მუშებმა გიდონ წა-მალაშვილი მცხეთობაზე წაიყვანეს და სუფრაზე ამღერეს; თურმე იქვე, ეკლე-სიის გალავანში, სანდრო ინაშვილიც ყოფილა. გიდონის ხმა რომ გაუგონია, მეგობრების სუფრა მიუტოვებია და მუშებთან გადამჯდარა. გიდონას შეხ-ვეწნია, ერთი კიდევ იმღერეო. წამალა-შვილმა თავპატივის გადება არ იცოდა, ერთი კი არა, თორმეტი უმღერა და მთლად მოხიბლა ის კაცი...

კარგად რომ მოიღბინეს, მერე ინა-

შვილმა ჰკითხა თურმე, ღვინო თუ ვერა... ვარსო...

მიყვარსო, უთქვამს იმ სულელს.

— ქალები?

ქალებიც მიყვარსო, — არც აქ დაუ-ხვია უკან წამალაშვილს.

ინაშვილს თავი გადაუქნევია და უთქ-ვამს: — შენ ისეთი ხმა გაქვს, ბიჭო, თუ ამას ორივეს თავს დაანებებ, ნამდვი-ლად კარგი მომღერალი დადგებიო.

არ გასულა ორი კვირა, გიდონ წამა-ლაშვილი კონსერვატორიაში უგამოც-დოდ მიიღეს. პროფესორი ერონსკი თვითონ მიუჯდა თურმე როიალს და მთელი ერთი საათი „აო-მაო“ მაყვი-რაო, მითხრა გიდონმა.

როგორც იშვიათი ხმის პატრონს, სა-ხელმწიფო სტიპენდია დაუნიშნეს და ბინასაც შეჰპირდნენ. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, ვიფიქრე, იქნებ ახლა მაინც ჩამოშორდეს ტაშ-ფანდურის ხალხს და ახალი ცხოვრება დაიწყოს-მეთქი.

არ დაადგა საშველი. ერთი-ორი კვი-რა წესიერად დადიოდ: ჰეცადინებომაზე-მერე თანდათან აურია, ხან ნახაშარ-ნაარაყალი, ხან კიდევ უძინარი და ხმა-ჩახლექილი გამოცხადდა გაკვეთილზე.

ბევრი მოუთმინეს, ბევრი ეხვეწეს, ხმას მოუარე, ბუნებამ დიდი ძვირფასი საუნჯე მოგცა და ღვინო ნუ გაატანო...

მეც რამდენი ვემუდარე, მაგრამ შეა-ყარე კედელს ცერცვი... გაუგონა ვინ-მეს?! ბოლოს სულ აიგდო თავი და პროფესორ ერონსკის გაკვეთილზე გა-ხეთქილი მთვრალი მიბრძანდა. ეს კი აღარ აპატიეს და კონსერვატორიიდან დაითხოვეს.

წამალაშვილმა მწარედ განიცადა ეს ამბავი.

გამიკვირდა. მე კი მეგონა, ერთს მაგ-რად შეუკურობენს იმ კონსერვატო-რიას და მერე მისკენ აღარ გაიხედავს-მეთქი. მაგრამ არა, ბიჭი ძალიან დაალო-ნა იმ ფათერაკმა და მთელი ის კვირა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიძე შალაში



ახლო არ გამკარებია. ჩემი რცხვენოდა, შემალეზოდა. მართალია, ქვეყნის დასანახავად ვითომ აინტნში არ ჩააგლო თავისი მარცხი, — უჯრედის კრებაზე ისევე ძველებურად ვიყობს და ოინბაზობს, მაგრამ მე რას გამომაპარებს! ამ წუთში გულთანად რომ ხარხარებს, უეცრად ენა ჩაუეარდება, ტუჩ-პირზე ისეთი ნაღველი გადაუვლის, გული შემეკუმშება. ამას წინათ თვალს შევასწარი, წითელ კუთხეში ჩუმად, მოწყენილი იჯდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. მე რომ დამინახა, მერე კი შედგა თავის ლიანდაგზე, — ლოყები გამოზერა, მოკეცილი ხელისგულები ტუჩ-პირზე მიიღო და მეზურნის გამოჯავრება დაიწყო, მაგრამ რად გინდა! აშკარად ეტყობოდა, ამ ჩვენს თავშესაქცევ დაპლიპიტოს ძალისძალად უკრავდა.

ერთხელ ვერ მოვიტომინე და ვუთხარი:

— სთხოვე, ბიჭო, პროფესორს, იქნებ დაეაბრუნოს!

მომიბრუნდა და ავღებულად მითხრა:

— რად მინდა, რომ დამაბრუნოს! ძლივს მოვშორდი იქაურობას. რა ჩემი საქმეა ბურჯუების ოპერა!

— აბა შემომხედე თვალეში!

— თავი გამანებე!

— რატომ მატყუებ, გიღონ, ბრმა კი არა ვარ!

— არ ვიცი, რა გინდა ჩემგან?

— მიდი პროფესორთან, გეპეწეები...

— ეპ, არ მინდა ეს შენი სოლფეჯიო და ძალაზე ხარ?! ჰირმა წაილოს მეშინების დრომოქმული ხელოვნება. გაისად სკოლას დავამთავრებ, ოსტატის წოდებას მივიღებ და ქვეყანაზე კაცი ვიქნები. მორჩა და გათავდა!

მთელი ამ საუბრის დროს გიღონი ცდილობდა რაც შეიძლება უდარდელი კილო ებოვნა, მაგრამ ერთი-ორჯერ ხმამ უმტყუნა, პითქოს ენა სხვას ამბობს, გული კი სხვას ფიქრობს.

ამიტომ ვაგებდე და ვუთხარი:

— შენ თუ გერიდება, ბიჭო, მე წავალ პროფესორთან. დეიდა გოგუცაც

წამომყვება. ვითომ შენი ნაპირს ვიწვევართ.

ხმა არ გამკა. თავი გვერდზე მიაბრუნა და ტუჩების კენცთა დაიწყო.

— წავიდეთ? თუ მარტო შენ წასვალ? უხალისოდ ჩაიციხა და მითხრა:

— ვიყავი, გაიანე! ერთხელ კი არა, ორჯერ ვიყავი! ვრონსკიმ ახლოც არ გამიკარა. მაგ ბურჯუებმა კაცის შებრალება არ იციან!

ჯერ არ მინახავს გიღონი ასეთი გულდაწყვეტილი. ეტყობა, უარს არ მოელოდა.

— რა უსინდისო კაცი ყოფილა! — ვსტევი მე, აუშმა უსინდისო ის კი არა, ნამდვილად ჩვენ ვიყავით, დაფასება და პატივისცემა რომ ვერ შევიფერეთ და და კეთილ ადამიანს გული გავუტეხეთ: — უსინდისო ყოფილა! — მინც ვავიმეორე, იქნებ ამით წამალაშვილს ჰირი გავუხანავებო-მეთქი. ადამიანს მუდამ უხარია, როდესაც ქვეყნის ავ-კარგს მისი არშინითა ზომავ.

— არ უნდა მივულოყავ! ტყუილად დავიმცირე თავი. ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის.

ამას რომ ამბობდა, ხმა უყანკალებდა. გიღონი და ასეთი რამ! დაუჯერებელია.

— კომკავშირის რაიკომში წავიდეთ. მე ვიცი, რასაც ვეტყვი ამხანაგ მალრადეს! ღვინო რა შუაშია! უცხო ელემენტებმა მთელი ხელოვნება ხელში ჩაიგდეს და მუშათა კლასის წარმომადგენელი სათოფეზე არ გაიკარეს!

ჩემდაუნებურად მეც ისე ავლაპარაკდი, როგორც ჩვენი ურა კომკავშირელები ლაპარაკობდნენ. ალბათ ძალიან მეცოლიებოდა გიღონი.

— არა, გაიანე, — მკლავზე მოფერებოთ ხელი მომიკლა და მშვიდად გამიღიმა: — თუ ჩემი ხათრი გქვს, დღეოდან ამასზე ერთი სიტყვა არ მითხრა. დაივიწყე ეს ამბავი.

იმ დღიდან მიატოვა სიმღერა გიღონ წამალაშვილმა.

ყელი მტკიეო, ეუბნება ამხანაგებს. ცოდვა არ არის, მისი ხმის პატრონი ამ დღეში იყოს? თუმცა გიღონის გულის

ამბავი რომ ვიცი, დარღე დიდხანს არ გაჰყვება, მალე გაუვლის.

ღმერთო შეგცოდნე და ერთი კი უნდა ვსთქვა: ეს დარღი და წუხილი ძალიან კი მოუხდა. ელფერი შეუცვალა. ამღერებულ წყალში შაბი რომ ჩააგდო, იმ დარღმა ისე დაუწმინდა დაცინვითა და კვიმატი ნაპერწკლებით საესე გამოხედვა. ეს ბიჭი სულ ჩახმახზე რომ იდგა, ახლა ის ჩახმახი დაუშვა და დაწყნარდა.

11

გიღონ წამალაშვილის სიმღერას რომ გაიგონებს, გაიანეს უცნაური ამბავი ემართება. რაღაც უმიზეზო ნაღველი მოერევა, მაგრამ ეს ნაღველი გულს კი არა სტკენს, თითქოს შვებას აძლევს ახალგაზრდა ქალს.

მღულარე ცრემლმა რომ იცის ადამიანის დამშვიდება, ამგვარად დაუამდება გაიანეს ყველა საწუხარი და უკვე ჰგონია, რომ ქვეყანაზე მხოლოდ კეთილი და გულგახარებელი ადამიანები ცხოვრობენ, რომ უკვე გადაშენდა ვახო წულაძეების ჯილაგი, და არსაიდან, სულ არსაიდან არავითარი საფრთხე და უბედურება არ მოგელის.

გიღონ წამალაშვილი რომ მღერის, მაშინ ყოველგვარი წყენა და უსიამოვნება ადვილად გავიწყდება, მაშინ ენატანია დოდონაც კი აღარა გძულს და, შენ წარმოიდგინე, ისიც კი აღარ გახსოვს, რომ დღეს სადილად ხმელი ჰური და ცივი წყალი გაქვს და ფეხსაცემლში აგერ-აგერ თითი გამოგივარდება.

„ ამ წუთებმა შემაყვარა გიღონი, — ფიქრობს გაიანე და თვითონვე უყვირს, როგორ შეიძლება ადამიანს ასერიგად ავიგებდეს მეორე ადამიანის ხმა.

— იცი, მისი ხმა რაფერ მოქმედებს ჩემზე? — გაენდო ერთხელ გაიანე პატარა ფაცურისას: — სირცხვილით შენთვისაც ვერ მითქვამს! გიღონი რომ მღერის, მაშინ ვერაეცის თვალს ვერ ვუსწორებ; ასე მგონია, შემხედავენ თუ არა, მაშინვე მიმიხედებიან, გულში რა ურცხვი სურვილი მებაღება! მინდა მი-

ვიდე და მოვეხვიო... მოვეფერო... რაც არ უნდა მითხრას..

სიტყვა აღარ დაასრულა, თავი შეარხია, თითქოს ძილის ბურანი მოიცილაო.

მცირეხანს იყუჩა, მერე სინანულით სთქვა:

— ხედავ, რა სისულელეს ვამბობ!

— სისულელე დაუძახე შენ! მთლად გადავარდნილობარ სიყვარულის მორევში! იმან იცის ეს ამბავი.

— არა, გოგო, რას ამბობ!

— ჰოდა, არც გააგებინო, თორემ ჩაგიგდებს ხელში და არ შეგიბრალებს! იცი, გიღონზე რა მითხრეს? ქმრიან ქალებს დასდევსო...

— ვისაც უნდა, იმას სდიოს, მე რაში მენაღვლება.

— დავიჯირო ვითომ?!

გაიანემ პასუხი დააჩქარა:

— არა, ფაცურია, მე ისე კი არ მიყვარს გიღონი, შენ რომ ფიქრობ. მე მხოლოდ მისი სიმღერა მომწონს.

— ჯერ ხმა მოგეწონება, ან გაცივება, ან სიტყვა-პასუხი:

— ერთი კი არის, — ნახევრად ფაცურიას, ნახევრად კი თავის რაღაც მოულოდნელ ფიქრს გასცა პასუხი გაიანემ: — ის რომ სიმღერას დაიწყებს, სულ მავიწყდება მისი უზნეობა და ცუდი ხასიათი!

— აი სწორედ მაგას ჰქვია ნამდვილი სიყვარული! კაცი კუზიანია, შენ კი იმ კუზს ვერ ხედავ! ამიტომ ამბობენ, სიყვარული ბრმა არისო...

12

ქრისტინეს გასამართლება საღამოხანს დამთავრდა. ჩემი დამცველის სიტყვა ყველას მოეწონა. თოთიაურმა მართლაც კარგად ილაპარაკა წმინდა სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე.

„ადამიანს შეიძლება ბევრი რამ მიეტევოს, ფიცის გატეხა კი არაო!“ — სთქვა თოთიაურმა.

„რა ბედნიერი იქნება შენი ცოლი!“ გავიფიქრე მე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიე წყალში



— შენმა საბოლოო სიტყვამ კინაღამ ამატირა! შენ დაწერე თუ მოგეხმარა ვინმე?—მკითხა დეიდა გოგუცამ, ვახშ-მად რომ დაესხედით.

— მე დაწერე... ნინოშვილის მოთხრობები თოთიაურმა მომიტანა.

— კარგი წერა გცოდნია, გოგო! ერთი გასამართლება კიდევ უნდა მოვაწყუთო... დაინახე, როგორ ჩაითრია ყვე-

ლა ქრისტინეს ამბავმა! ახლა გეფიქრებოდა წარბა დავსვათ საბრალდებულო სკამზე, წავიკითხავს „პირველი ნაბიჯი“.

— არა, დეიდა!

— „მამის მკვლელი“?

— ჩამწერა სამკითხველოს გამგემ, მარა ჯერ ჩემი რიგი არ მოსულა! მქარგვლები კითხულობენ.

— რა ბედნიერი ხარ გოგო! რამდენი კარგი წიგნი გიცდის წასაკითხად! — მითხრა დეიდა გოგუცამ.

ალექსი თოთიაური

1

— რატომ ვარ მესამე, რატომ? ვინ ჩაიხედა ჩემს გულში, ვინ ჩამომკიდა ეს ნომერი! — ვეკითხები მანგიას და თვალბეჭებში ვუყურებ, — მეშინია არ შემიცოდოს, ტყუილი არ მითხრას.

მანგია იღიმება.

— როცა ორს ერთმანეთი უყვართ, მესამე შუაში არ უნდა ჩაეჩხიროს, ბიჭო! მესამე განზე უნდა გადგეს, თუ ის წესიერი კაცია.—მეუბნება ის და ჩუმჩუმად ფანჯარაში იცქირება. ვიცი, რატომ იცქირება. იქნებ დუქანში ვინმე წაცნობი შემოვიდეს და საუბრის ლარი შეგვიცვალოს. მოზეზრდა მანგიას ჩემი წუწუნი.

— არა ვარ წესიერი! არ მინდა ვიყო წესიერი!

— ნუ ყვირი, ბიჭო, ხალხი გვიყურებს. ღვინო მოგერიდა თუ რა მოგივიდა!

— იქნებ ის არის მესამეც და მეცხრამეტეც! ვინ არის ჩვენი გამკითხველი! ვინ გაზომა ჩემი გული! მაჩვენე, რა არშინით გაზომეს... ან არის კი ქვეყანაზე მაგის საზომი?!

— მაგდენი აღარ ვიცი, ჩემო ალექსი. ეგ იმ შუალდე ეცოდინება, თქვენს შორის რომ სდგას! — მშვიდად მეუბნება მანგია და ცარიელ ბოთლზე ჩანგალს აკაუნებს.

— მოიცა, მელაპარაკე...

— თუ წყალში არ ჩავედი, მომკლავს ეს ძმარღვინო. ცოტა უნდა გავგრილდე.

— კაცმა რომ გკითხოს, ჩემზე ახლობელი მეგობარი არავინ გყავს!

— შარზე ნუ ხარ, ალექსი! წამოდი, იქ ვილაპარაკოთ. ეგერ იმ გაჭირებულ ხალხსაც მივეშველოთ!

მდაათოვის კუნძულთან, მეჩჩვზე, ტივი გარჩენილა. აწყურელი მეტივები მუხლამდე წყალში დგანან და ვეება ხელკეტებით მორბებს ეჭაჭტურებიან. ტივი ადგილიდან ვერ დაუძრავთ.

— გაჭირებულ ადამიანს სხვაგან ეძებ, შე უსინდისო?!

— არ ამატირო, თუ ძმა ხარ! — მანგია ისევ ჩანგალს აკაუნებს და ჯიბიდან საფულეს იღებს.

ვაი შენი ბრალი, ალექსი თოთიაურო, ჯერ კიდევ გუშინ მეშვიდე ციდან დასცქეროდი ამ ცოდვილ ღეღამიწას, დღეს კი ეს მელაკულა ბიჭიც დაგცინის! გუშინდლამდე მართლა მჯეროდა, რომ გაიანეს გული ჩემთვის ძგერდა. მე კი თურმე ბეცი ვყოფილვარ. მერე რა მოხდა, უჯრედის კრებაზე გოგო თუ ხანდახან ჩუმად გადმოგხედავს და მუნჭურად რალაცას გეტყვის...

ან კიდევ: დილა-უთენია, მუხრანის ხიდან, გაყინულ ტრამვაიში რომ დაგინახავს, სიხარულს ვერ დამალავს და მაშინვე შენთან გადმოჯდება.

ან კიდევ: უეცრად ქაჭურად რომ დაგიწყებს ლაპარაკს. თუფუ იფიციფი შეფენ, როფოგოფორ გაფამიფიფაფარდაფა შეფენიფი დაფანაფახეფაფა...

ან კიდევ: კლუბში წარმოდგენა რომ დამთავრდება, ჩვენი ბიჭები გაიანეს შემოებევეიან: არა მე გაგაცილებს, არა — მეო.. გაიანე კი ყველაში შენ ამოგარჩევს: შენთან სიტყვა მაქვს, თუ გცალია, ცოტაზე გამომყვიო, — გეტყვის და მკლავს გაგვიტეხს. შენ კი ეს არჩევანი ისეთ რამეს გეუბნება, ცათაფრენა გეწყება.

ტუილად როდი ამბობენ, შეყვარებულ ადამიანს ჭკუა არ მოეკითხებაო.

მაშ რატომ დროზე ვერ მივხვდი, გაიანე ჩემი ლამაზი თვალების გამო კი არ მეძახდა გასაცილებლად...

— შენ ყველაზე წესიერი და ზრდილობიანი ბიჭი ხარ! — მითხრა ერთხელ გაიანემ. მაშინ ამ სიტყვებს არ ჩავუფიქრდი. გრძნობით სახსე გულმა არ მიიკარა მათი ფარული აზრი და მხოლოდ მერე გავიგე, აგერ უკვე მთელი წელიწადი რომ გავიდა, რად მომენდობოდა გაიანე—წამოდი, შენ გამაცილეო.

შარშან ისინი პირველად რომ წალაპარაკდნენ, გიდონმა ქალს ჩემი სახელი წამოაკრა თურმე:

„დიდი სულიწმინდა არც შენა ხარ! გაიხსენე, ყოველ საღამოს რიყეზე ვინ მიგაცილებდაო“...

აი სწორედ მაშინ უთქვამს გაიანეს:

— ამას რატომ მეუბნები, შე უღმერთო! შენ ხომ იცი, რატომ მიმაცილებდა თოთიაური და არა შენი უწესო ამხანაგები, გზაზე ღლაბუციის მეტი რომ არაფერი იცოდნენ. ჭერ ვითომ წმინდა სიყვარულზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას, მერე კი, ბნელ ქუჩაში რომ შეეუბნებოდით, ხელებს ზედმეტ თავისუფლებას მისცემდნენ და...

ერთხელ, თუ გახსოვს, შენც დამიწყე ჭიდაობა, ჩემო რაინდო! ალექსის კი ჭერ ჩემსკენ სხვა განზრახვით ხელი არ გამოუწვია! არასდროს ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია! რიყეზე კი არა, აფრიკაში წამყვიო, რომ მითხრას, ვენდობი და წაყვები, ეგ ისეთი წესიერი ბიჭი არის!

გიდონ წამალაშვილს ენაზე რა დაა-

მაგრდება! მეორე დღესვე ტარტალი, ეს ჩვენი ალექსა პლატონური სიყვარულის მიმდევარი ყოფილაო! გული ჩამწყდა, ეს რომ მითხრეს.

მე კი მეგონა, ამურის ისარი გაიანეს შიგ გულში მოეახვედრე-მეთქი. ქალს კი თურმე სხვა ანგარიში ჰქონია, ზრდილობიანი გამცილებელი ნდომებია!

ასე ამედევნა კიდევ ერთი მწარე მოგონება.

რა ადვილია ცხოვრება, როცა მოსაგონარი არაფერი გაქვს...

— ნუთუ სიყვარული არ გამოგიცდია, ბიჭო! — ვეკითხები მანგიას.

— ერთხელ თუ ათჯერ! — მეუბნება ის და თვალები ისე უმანკოდ უცინის, თითქოს რასაც ახლა მეტყვის, ყველაფერი საზარებიდან იქნება ამოკრეფილი: — მაგრამ ჩემი სიყვარული, ჩემო ალექსი, საწოლში იწყება და, მადლობა ღმერთს, იქვე თავდება!

— პირუტყვებს დაემგვანოთ? ეს არის ახალი ადამიანის მორალი?

— აბა შენისთანა სენტიმენტალისტები მსოფლიო რევოლუციას ვერ მოახდენენ, ჩემო ძმაო! ახლა კი წავიდეთ. ამ ძმარმა შენ კი არა, მეც დამაწყებინა ფილოსოფოსობა!

რა უნდა ველაპარაკო ამ ვირისთავს. არსენას არშინივით დაუჭერია ხელში „მსოფლიო რევოლუცია“ და ყველაფერს იმ არშინით ზომავს, — ერთი უბრალო გოგო-ბიჭის სიყვარულსაც კი.

უნდა წაყვებო. უნდა მივეშველო აწყურელ მეტივეებს, თორემ მანგია მთლად მასხრად ამიგდებს: ერთმა გომბიომ ზურგი შეგაქცია, შენ კი ჯავრისაგან ძმარში გინდა ჩაიხრჩოო...

დარდითა და ოხვრით შენი ცარიელი ოთახი გაავსე, ჩემო ალექსი, იქ მოწმე არავინ გეყოლებო.

ნახარჯი გადავიხადეთ, მერე რიყეზე ჩავიბრინეთ და ტანთ გავიხადეთ.

მეტივეები ორნი არიან: ხანში შესუ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიე ფაქალიძე



ლი ელალწვერა კაცი და ჭეელი ბიჭი, ეტყობა, მამა-შვილი.—ორივეს ერთნაირად შეეკრიბო ლურჯი სატინის ხალათი აცვია, საყელოზე კობტად ჩაჭიკჭიკებული სადაფის ღილებით.

ელალწვერა კაცმა ჭერ ჩვენ შეგვათვალა, მერე რიყეზე გამოვიდა, ტრვის ბოლოში, ორკაპზე ჩამოკიდებულ ტანსაცმელს გაჰხედა. მეტივეებს სველა შარვლები და კურტაკები მზეზე გაეფინათ.

მანგიამ გაიცინა:

— ნუ გეშინია, ძია-კაცო, ახლა თბილისში მაგისთანა ძველმანებს ფასა აღარა აქვს!

— დიდი შეღავათია, შენ ნუ მომიკვდები! — სთქვა ელალწვერამ.

ქვედასაცვლის ცალი ტოტი ბარძაყამდე ჰქონდა ავეცილი. მეორე კი წყალს ისევ ჩამოეშალა და მიწაზე ეთრეოდა.

— რა ვქნათ, გიშველოთ? — ჰკითხა მანგიამ.

— აბა, ბიჭო, მართლა ამ კონკების მოსაპარაფად ხომ არ მოსულხართ! — გვითხრა უფროსმა მეტივემ და წყალში ისე თამამად შეტყაბუნდა, თითქოს ფეხის ძირებზე კამეჩის ტყავი ჰქონდა გადაკრული. არც ქვას მოერიდა, არც ლაშში ჩაფლული ხერგის ნამუსრევს.

მე კი დიდიხანია ფეხშიშველა სიარულს გადავეჩვიე...

დედაჩემი მეუბნება, თბილისი მოგზიხდა, ქალაქურმა ცხოვრებამ ცოტა დაგწმინდა და სინაზე შეგმატაო.

სინაზე არ ვიცი და—ლაჩრად კი მაქცია, დედაჩემო, შენმა თბილის-ქალაქმა. მე ლაჩრად მაქცია, შენ კი ისეთი რძალი დაგიკარგა, ჭერ ქვეყანაზე არც ერთი დედაპითილი რომ არ მოსწრებია.

ლაჩარი რომ არა ეყოფილიყავ, განა იარაღს ასე უბრძოლველად დაეყრიდი! ლაჩარი თუ ზრდილობიანი! იქნებ ეს ერთი და იგივეა. არ ვიცი.

არც ის ვიცი, მესამე ყოველთვის განზე უნდა ვადგვს თუ არა!

ამიტომ მეშინია, შემცდარი, გადავდგა. მე მხოლოდ იმის მეშინია, რაც არ ვიცი.

ელალწვერა მეტივე შესახედავად პირქუში კაცი იყო. ძნელ ხელობას თავისი დალი დაეკრა მისთვის. ხმაზე კი ეტყობოდა, კეთილი გულისა უნდა ყოფილიყო. ასეთ მოხუცებს ჭველ ბიჭებთან მუსაიფი და ჰქუთის დარიგება უყვართ.

— შენ აქედან მოუდექი, — ელალწვერამ მარაგად წამოღებული ორთაყვირი მანგიას მიაწოდა, მერე ჩემსკენ მობრუნდა, ამხედ-დამხედა და ჩუმად ჩაიცინა.

— რა გაცინებს, ძია-კაცო! — ვკითხე მე.

— მზე აღარაა, ბიჭო, თქვენში?! — ისევ ჩაიცინა მეტივემ.

მთელი ზახუბული ისე გავიდა, მტკვარზე ერთხელაც არა ეყოფილვარ. ჭირყულების ვადიდება მქონდა, ბანაობა ამიკრძალეს.

შარშანდელი ნაშხუერი მთლიანად გადამივიდა და ახლა ტანზე ქალაღივით თეთრი ვიყავი. ამიტომ გაცივია მოხუც მეტივეს.

წყალი არც ახლა მომიხდებოდა, მაგრამ მანგიას მოვეერიდე. გული სიყვარულის ჭიამ გამოუხრა და ქვეშიდან გამოდისო, იტყოდა, მისი ენის ამბავი რომ ვიცოდი.

ძნელია ჩემისთანა კაცისათვის ამგვარ მეგობრებში ცხოვრება, მაგრამ რას იზამ! როგორმე უნდა გავუძლო და, როგორც ლენინი ვვასწავლის, ერთი ჭიქა წყლის თეორიას დაუწოდებელი ბრძოლა უნდა გამოვეუცხადო.

რა ჯანიანი ბიჭია მანგო ნოზაძე.

ორთაყვირი კინაღამ ხელში შეატყდა, ისეთი ძალით მოჰკიდა ლაშში ნახევრად ჩაფლულ მორებს. კისერზე თითის სისხო ძარღვები დაასხდა, ყბა მოექცა, მუხლებმა კანკალი დაუწყეს. რაც იმან თავს ძალა დაატანა, მიკვირს, გულბოყვი რატომ არ ჩაენგრა. მანგიამ მუდამ ასე იცის: გაჭირვებულ კაცს გვერდზე

არ ჩაუვლის, მუდამ ვილაცას უნდა და-
ეხმაროს, ხელი მოუშარტოს, უამისოდ
ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. თანაც
ამ დახმარებას ისეთი თავდაპირვით, ჩუ-
მი თანაგრძნობით გაგიწევს, რომ არავი-
თარ თავილს არ იგრძნობ, არავითარ
დამცირებას.

გიდონ წამალაშვილს კი არა ჰკავს,
მაშინვე ქვეყანას რომ შეჰყარის, მოდიოთ,
ჩემი გულის სიყვით ნახეთო.

გასულ კვირას ჩვენი უჯრედის წევ-
რები წითელი თეატრის წარმოდგენაზე
რომ იყვნენ, სწორედ ამ ნიდაგზე მოხ-
და დიდი უსიამოვნება. წინაღუდს თე-
ატრში წამსვლელთა სიის შედგენა რომ
დაიწყეს, ჯანო არაბიძემ უარი სთქვა,
უქეიფოდ ვარ, თეატრში ვერ წამოვა-
ლო. ბიჭებმა მაშინვე ხელი სტაცეს და
სკოლის ექიმთან გააქანეს. არაბიძე გზა-
ში გამოტყდა: თავი გამანებეთ, სხვა ხა-
ლათი არა მაქვს, ამით კი თეატრში ვერ
გამოუჩნდებიო, და ამხანაგებს იდაყვებ-
ზე დაკერებული ხალათი აჩვენა.

„ხალათი ჩემზე იყოსო“, — სთქვა
გიდონ წამალაშვილმა, იმავე საღამოს
არაბიძე შინ წაიყვანა და თავისი ახალ-
გარეცხილი, გაქათათებული ხალათი
ჩააცვა.

მერე რა, რომ ჩააცვა, — პატივისცე-
მა სისხლად ანთხევინა...

თეატრში ჩვენი ბიჭები ნაცნობ გო-
გოებს შეხვდნენ და წარმოდგენის და-
წყებაამდე სარკეებიან ფოიეში გაისეირ-
ნეს. ჯანო არაბიძე გატაცებული ჰყვე-
ბოდა რაღაც ამბავს, რომ უტბად წამა-
ლაშვილმა უთხრა: ე, ბიჭო, ჩაიხედე
სარკეში, ამ ჩემმა ხალათმა როგორ
დაგხატაო...

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებში არავი-
თარი ფარული აზრი არ ჩაუტანია წამა-
ლაშვილს. მან უბრალოდ მოიგდო კბი-
ლებში ამხანაგი, მაგრამ თავმომწონე
ბიჭმა იუკადრისა მისი უღამაზო ხუმ-
რობა; მოტრიალდა, ის ხალათი იქვე,
ყველას თვალწინ, გაიხადა, პატრონს
მიუტვლო და თეატრიდან პერანგის ამარა
გაიქცა.

ამ მხრივ მანგია ნოზაძეს სამკურნალო
არ ეთქმის. ის მხოლოდ ერთ ღამეს
სკოლადეს. წმინდა სიყვარული არა
არავითარი ერთგულება... ცოლ-ქმარს
მხოლოდ შინში აჩერებს, თორემ ერთმა-
ნეთს ყოველდღე უღალატებდნენო, —
თუთიყუშვით იმეორებს საღდაც გა-
გონილ აზრებს.

ქალი თუ დარწმუნდა, რომ მისი
ცოდვა დაფარული იქნება, მერე იმას
ვერავეითარი ფიცი და ხატი ვეღარ შეა-
ჩერებსო, — იტყვის იგი და თავმომწო-
ნედ გადახედავს გოგოებს, გამოუცნობი
შიშითა და ცნობისმოყვარეობით რომ
მისჩერებიან ამ ახლადმოვლენილ მო-
ძღვარს.

გააბრუებს ჩვენი უჯრედის წევრებს
ამგვარი ლათიებით, მერე თვითონ
ქუდს დაიხურავს და კლუბში ბილიარ-
დის სათამაშოდ წაბრძანდება. ისინი კი,
ეს დაუბუშბლავი ბარტყები, ერთმა-
ნეთს ყელში სწვდებიან და არის ერთი
გაუთავებელი დავა და კამათი თავისუ-
ფალ სიყვარულზე, სქესობრივ საკითხ-
ზე, ახალი ადამიანის მორალსა და კო-
მუნისტურ ოჯახზე.

ვერ გამოგია, საიდან მოაქვს მანგია
ასეთი მავნე და მაცუთუნებელი აზრები.

ჩვენი სკოლის უჯრედში ნოზაძეს უკ-
ვე მიმდევრებიც გამოუჩნდნენ; ერთი
— სამტრედიელი ბიჭი, გვარად ყალიჩა-
ვა, მეორე კი თბილისელი სომეხი, —
ის ახლახან მივიღეთ კომპაგვირში, მბეჭ-
დავის შეგირდად მუშაობს ნოზაძის
საამქროში. ისინი ცოლქმრულ ერთგუ-
ლებას ბურჯუაზიულ ჩვეულებას ეძა-
ნიან, თუმცა ორივეს ერთად ორმოცი
წელიც კი არ შესრულებია და ჯერ ქა-
ლისა არა იციან რა. მაგრამ ხომ იციან,
სქესობრივი საკითხი ყველაზე მეტად
სწორედ ამ ასაკში იზიდავს ქაბუქს...

მანგია ნოზაძე კი ჩვენზე უფროსია
სამი თუ ოთხი წლით, იმას უკვე თავისი
„ნაშაც“ ჰყავს და ეს ამბავი საოცარ გავ-
ლენას ახლენს ამ პირტრეველა ღლაპებ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიე შაალში

ზე. სამეგობროდ ადიდამი გამოსულ შე-
გირდს დაეძებენ. მეგობრობა კი ნამდ-
ვილად იცის მანგია ნოზაძემ. არამცთუ
ისინი, აგერ მეც რომ გამოვიტოვებ, რჩე-
ვის საკითხავად იმავე ნოზაძეს მივა-
დექი.

მე, რა თქმა უნდა, ვგრძნობდი, ეს
„ახალი“ აზრები მანგიას ჭკუის ნაფიქ-
რალი არ იყო. ალბათ სადმე წიგნში თუ
ამოიკითხა, ან სხვების ნათქვამს იმო-
რებს და ამით თავს იწონებს, ბაქიბუ-
ქობს: ერთი შემომხედეთ, რა ახალი
ქეშმარიტება აღმოვაჩინეთ.

ერთხელ გავხედე და ვთხოვე, ის წიგ-
ნი წამაკითხე-მეთქი.

— რა წიგნი?

— აი, სადაც სიყვარულზე ასეთი უც-
ნაური ამბები სწერია...

— რა ამბები, არ მესმის! — ყასიდად
შეიკვირვა ნოზაძემ. განა ვერ მიხვდა,
რას ვეკითხებოდი, მაგრამ სწორედ იმ
დღეებში კომკავშირის უჯრედის მდივ-
ნად ამირჩიეს, — ეტყობა, ამან ცოტა
ფახი გაუნელა ნოზაძეს. არ მოისურვა
ჩემთან პირისპირ საუბარი თავის საყ-
ვარელ საგანზე.

ამიტომ კები შევებრუნე.

— ამ საკითხზე მეც ბევრი მიფიქრია,
მანგო, და იცი, რა გითხრა? რალაცა სი-
მართლე კი უნდა იყოს შენს ნალაპარა-
კეში...

— მართლა? — ნოზაძეს თვალები გა-
უბრწყინდა.

— ძალიან მაინტერესებს...

— წიგნი არა მაქვს, — სთქვა ნოზა-
ძემ: — არც კი ვიცი, საერთოდ არის თუ
არა ასეთი წიგნი ქართულ ენაზე!

— რუსულად იყოს, ბიჭო, იმდენი
რუსული კი ვიცი, წავიკითხო და აზრი
გამოვიტანო! შენ რომ გისმენ, ასე მგო-
ნია ფურცლებამოხეულ წიგნს ვკითხუ-
ლობ... ზოგი რამ გაუგებარია ჩემთვის!
მათხოვე, თუ ძმა ხარ.

— რა გათხოვო, რაც არა მაქვს! მე,
ხომ იცი, რუსულთან ცოტა მწყრაღადა
ვარ!

— აბა სიზმარში ნახე ეს ამბავი?

— რატომ სიზმარში, ბიჭო? ^{ცოტა}
მყავს ნასწავლი მეგობარი?! მოულოდნელად
კი არაა ჩემი საქმე! — დაიტრახა მან-
და ამით უკვე მიხვდები, რომ ის ანეკსზე
ადვილად წამოეგებოდა. ამიტომ პირდა-
პირ ვუთხარი: გამაცანი ის ხალხი, ერთი
მეც გავიგო, ქვეყანაზე რა ზღედა-მეთქი.

გაგაცნობო, დამპირდა ნოზაძე, მაგ-
რამ მერე მიაფიწყდა თუ გადაიფიქრა,
მთელი ერთი კვირა ჩემსკენ არ გამოუ-
ხედავს. მეც აღარ მივეძალე, არ დავა-
ფრთხო-მეთქი. გული მეუბნებოდა, რომ
აქ ყველაფერი რიგზე არ იყო.

2

ასეთი ჩახუთული საღამო თბილისში
ჯერ არ მინახავს, თუმცა ძალე ხუთი წე-
ლიწიადი გახდება, რაც დედაქალაქში ჩა-
მოსახლდი. ეზოში რომ ჩავედი, ასე მე-
გონა, გახურებულ თონეში ჩამკიდეს-
მეთქი, ისეთი ალმური მეტაკა თავპირ-
ზე; ერთი ფოთოლი არსად ირხევა, თით-
ქოს ეს მტკრიანი ცაცხვები ქალაღღზე
დახატულები არიანო.

პირის გასაპარსი ფული მაინც მქონ-
დეს, აქვე გავღამაზდები და ნოზაძეს
ზემელის აფთიაქთან მოვუტედი. ამ სა-
ღამოს მანგიამ ის ნასწავლი ხალხი უნ-
და გამაცნოს.

— პირი გაიპარსე და ცოტა კოხტად
ჩაიცივი. იქ, იცი, რანაირი ხალხი დაგ-
ვხვდებო?

— საღ იქ?

— ლიტერატურული წრის კრებაზე.
იქ უცხო კაცს ეგრე ადვილად კარს არ
გაუღებენ, თუ თავდები არა ჰყავს.

— სტუმარს თავდები სჭირდება?

— არა, მაგრამ მასპინძელს ვილაცამ
შენი თავი ხომ უნდა გააცნოს! თუ არ
გინდა, მე კი არ გაძალე, — სწრაფად
მიპასუხა მანგიამ.

— რა მოხდა, მანგო, შემარჩინე ერ-
თი სიტყვა!

— კარგი, ნასადილეგს ზემელის აფ-
თიაქთან შევხვდეთ ერთმანეთს, — მი-
თხრა მან.

მაღე შვიდი საათი გახდება, მე კი



ჯერ პირიც არ გამიბარსავს. ისევ ოსმანს უნდა მივავითხო, ის არ მეტყვის უარს, ნისიად გამალამაზებს, მაგრამ ამ პაპანება სიცხეში არ გინდა ვარაზის ხევში სული მიიტანო?! ფულს კი ვიშოვი, ჩემი დისახლისი ორსამ აბაზზე არც კი დამალაპარაკებს, მაგრამ არ მინდა!.. არ მინდა!.. არ მინდა!.. მარგუშას ოლონდ ფული დავეცესხო და სხვა არაფერი უნდა. ორი შაური რომ ვთხოვო, იმ წამსვე მანეთიანს მომაჩეჩებს და ჩურჩულით მეტყვის:

— წაილე, ლექსოჯან, წაილე! შენისთანა ლამაზი ბიჭი სულ გააპარული და გამოწყვეპილი უნდა დადიოდეს.

ამას რომ მეუბნება, თვალები ისე უყუყუენებს, სიცოცხლე მეზარება. არ ვიცი, რა უნდა ჩემგან ამ ექვსფუთიან ქონს. ღერეფანში ვერ გამივლია, სამზარეულოდან რომ არ გამომძახოს:

— მე ხომ არ მეძებ, ლექსოჯან, მე აქა ვარ!

ჭირმა მოკვებნა, მარგუშ, მე კი თავი გამანებე, თორემ ჩემისთანა კარგი მღვმური გაგექცევა და მარტო ის ხრინწიანი ნოტარიუსი შეგრჩება ხელში...

უწინ კარზე მინც აკაყუნებდა. ახლა შენც არ მომიკვდე, — ისე შემოვარდება ოთახში, თითქოს ვინმეს დანაშაულზე უნდა წაასწროსო.

ამ დილით პირის დაბანა აღარ დააცალა თოთიაურს.

— ვინ არის ის გოგო, გუშინ შენთან რომ იყო? მე, იცი, როგორი ექვიანი ვარ?

ქალი თან იცინოდა, თან წყენას ვერ ფარავდა.

— ჯერ მაცალე, მარგუშა, სიყვარული აგიხსნა! — გაეხუმრა ალექსი. დანახავად ეჭაერებოდა თოთიაურს ეს შვიდფურცელა ნაზუქივით გასიებული დედაკაცი, მაგრამ რა ექნა... ამ ბოლო დროს მარგუშამ თავისი ახალგაზრდა მღვმურის სარეცხი და ოთახის დალაგება სხვას არავის დაინება, ის კი არა, ერ-

თი-ორჯერ თავისთან დაუძახა და მურაბიანი ჩაი დააღუენა.

ამდენი ზრუნვა და პატივისცემა ტკბილი სიტყვით მინც უნდა გადაეხადათოთიაურს. უშნოდ ახუნტრუცებულ ქვრივს თეთრი კბილები უჩვენა, — ერთხელ ყვაილების ოდეკოლონი უყიდა, მეორედ — სტამბაში სურათების ალბომი გააკეთა, რვა მარტს მარგუშას ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და ის ალბომი მიართვა.

ქვრივმა მეტად თავისებურად გაიგო მღვმურის გულის სიკეთე და ერთ საღამოს, როდესაც თოთიაური მასთან მურაბიანი ჩაის დასაღევად შევიდა, დისახლისი რაღაც უცნაურად აფუსფუსდა, — ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა, კართან მიიბრინა და გასაღები ორჯერ გადააბრუნა, მერე ჩაიკისკისა და სტუმარს უთხრა:

— მოდი, ამ საღამოს ღვინო დავლიოთ, ლექსოჯან, ვიქეიფოთ ჩვენი მტრების გულის გასახეთქად!

ამას რომ ამბობდა, თვალებს ისე ნაბავდა, აგერ-აგერ გული შეუღონდებოდა. განჯინა გამოაღო და სანამ თოთიაური აზრზე მოვიდოდა, მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინო და ქიქები შემოაფრინა. მერე ატყდა თეფშების ჩხრიალი...

თოთიაური მიხვდა, საქმე ცუდად არისო და სკამიდან წამოვარდა.

— სხვა დროს, ქალბატონო მარგო! ახლა სადგურზე უნდა გავიქცე, სოფლიდან ბიძაჩემი ჩამოდის. ჩვენები ყველანი ხვდებიან და მე რომ გამოვაკლდე, ბერიკაცს ეწყინება.

კარი გააღო და ხის კიბეს ისეთი ბრაგაბრუგი აუყენა, თითქოს ცოფიანი ძაღლი მოსდევდა.

ქუჩაში რომ გავიდა, პაპიროსი მოსწია და ნაღვლიანად გაიფიქრა: «რა ჩემზე შეეშალა ნახტომი მაგ უპატრონოს! სად ვეძებო ახლა სხვა ოთახი!»

გაიანეს გარდა მთელი საქალეთი გაწყვეტილი იყო თოთიაურის თვალში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიე წყალში

დღე და ღამე იმ ერთი ქალის სახელს აბოლებდა, სხვას როგორ შეხედავდა!

ის ერთი ქალი კი...

აი ერთი ადგილი გაიანეს დღიურიდან:

„ვის გავანდო ჩემი წუხილი!

კომკავშირის უჯრედს, ალექსი თოთი-აურს?

ვაი რომ სწორედ თოთიაურს ვერ გადავუშლი გულს. ჩემი გაჭირვება რა პირით ვუთხრა იმ ადამიანს, ვისაც შარშან, მუხრანის ხილთან გული მოვუჯალი.

როგორ მინდა იმ საღამოს დავიწყება, მეტადრე ახლა, როდესაც ჩემმა ქმარმა სახელოში დამალული კლანჭები უკვე გამოაჩინა და სიცოცხლე გამიმწარა, მაგრამ ეს დაღუპული მესხიერება ჩვენ აღარ გვეკითხება, რა გვინდა და რა არა. სწორედ იმ დროს გამოაფრიალებს მუხრანის ხილთან მომხდარ ამბავს, ყველაფერი შავად რომ მეჩვენება და სიკვდილს ენატრობ.

დღიურსაც კი დავუშალე ის ავადმოსავონარი წუთები.

მუხრანის ხილი უკვალოდ უნდა ამოვშალო ჩემი გულიდან.

ამოვშლი კი?

ამ ბოლო დროს ჩემი ქმარი ისე მეტყევა, იმ საღამოს სიკვდილის მეტი ვერაფერი დამავიწყებს.

დღესაც არ ვიცი, რა დაეკარგე მუხრანის ხილთან — ცხოვრების ერთგული თანამგზავრი თუ ძმაზე უკეთესი ძმობილი, ჩემი სიყვარულით სავსე ქმარი თუ უანგარო მეგობარი?

ვაი ჩემი ბრალი, მგონი ორივე ერთად...

რა უკუღმართად წავიდა ჩემი ცხოვრება. ვინც ჩემზე ლოცულობდა, ვისაც გულთთ ვუყვარდი, იმას ხელი ვკარი და ზურგი შევაქციე, და ისეთ ადამიანს გავყევი ცოლად, ვისაც ჩემი ერთი ბეწო ხათრი და პატივისცემა არა ჰქონდა.

...ის საღამო კიდევ იმით მახსოვს, რომ ტრამვაი არ მუშაობდა. ამბობდნენ, დენი არ ყოფნისო. ქუჩებში მხოლოდ

აქა-იქ ბეუტავდა ელნათურა. მუხრანის ხილი მთლად ჩაბნელებული იყო. დაღამებულში აქ ისედაც არ მუშაობდა მარტო გავლა, აქ მუდამ ავლარელი ბიჭები დგანან, მარტოხელა ქალს რომ დაინახავენ, ხან აეტორღილებიან, ხან კიდევ უწმაწურ სიტყვებს გააგონებენ.

ხილის თავში ცოტა შევიცადე, იქნებ ვინმე კარგად ჩაცმული კაცი გამოჩნდეს, უკან გავყვები-მეთქი.

ამ დროს თოთიაურის ხმა არ გავიგონე?

— აქ რას უცდი, გაიანე, ტრამვაი არ მუშაობს! — მითხრა და გახარებულნი მომვარდა, ხელი მომხვია.

— სწორედ შენ გიცდიდი, ალექსი.

— მეტი შენ რა გითხრა!

— მართლა, მართლა! ამ ხილზე მარტო გავლა მეშინია და შენისთანა პატიოსან კაცს ვუცდიდი...

— ჩემისთანა პატიოსან კაცს, რა თქმა უნდა, ყველა ქალი ენდობა! — უხალისოდ ჩაიცინა და ხელი გამიშვა. ეტყობა, ჩემი სიტყვები გულზე ცუდად მოხვდა.

— წამოდი, გამაცილე.

— სად დაიკარგე, გოგო, შაბათს წითელ თეატრში ვიყავით, შენთვისაც მქონდა ბილეთი.

— დედა მყავს აეად, ახლაც იქიდან მოვდივარ, — უსირცხვილოდ ვიცრუე და, ვითომც არაფერი, ალექსის მკლავი გაუშეთე: — წავიდეთ.

ვიგრძენი, რა ნაზად მიიკრა ჩემი მკლავი გამხდარ ფერღზე... მერე ჩემი თითები იპოვნა და გაუბედავად მომეფერა.

ვითომ ცხვირსახოცი დამჭირდა, მაშინვე ხელი წაეართვი და ჩანთა გავხსენი...

...მთელი ის ერთი კვირა წამალაშვილს დავყვებოდი ხან კინოში, ხან მთაწმინდაზე, ხან კიდევ სად, ვინ იცის! თვითონაც არ მესმის, რატომ დავუშალე ეს ამბავი თოთიაურს. მან ხომ კარგად იცოდა ჩემი და გიღონის დამოკიდებულება.



— გეჩქარება? — მკითხა ალექსიმ.
სად გეჩქარებოდა! არსად. მართალი
მამინც არ ვუთხარი.

— კომპრესის ქალაქს ვეძებ, ზემე-
ლის აფთიაქში უნდა მივიღო.

— სადაც გახდა, იქ წამოგყვება
ოღონდ მერე ერთ ადგილას წამომყე-
ვი! — ხვეწნით მითხრა ალექსიმ.

— სად?
— მანგოსთან მივდივარ, სოფლიდან
მამამისი ჩამოსულა და ხომ იცი, რას
ჩამოიტანდა! სხვათა შორის, შენც დაგ-
პატიეა.

— ავადმყოფს მარტო ვერ დავტოვებ!
— ძალიან გეხვეწები!

სწორედ ეს არ მომეწონა, რომ ასე
ძალიან მეხვეწებოდა.

სხვა დროს ეს არ მოხდებოდა, უსიტ-
ყვოდ შევეუსრულებდი სურვილს. მეგო-
ბართან სტუმრად კი არა, ერთხელ „არ-
ტოს“ რესტორანშიც კი წავყევი თოთი-
აურს. შარშან, მაისობაზე მთელი ღამე
ქუჩაში გავათენეთ გაცილება-გამოცი-
ლებაში. თოთიაური არა ჰგავს სხვა ბი-
ჭებს, მარტო საკუთარ თავზე რომ უყ-
ვართ ლაპარაკი. ალექსიმ მთელი ქვეყ-
ნის ამბავი ზეპირად იცის. ხანდახან ისე-
თი გატაცებით მიამბობს ძველი რევო-
ლუციონერი ქალების ცხოვრებას, თოთ-
ქოს მაქებებს, მაგულიანებს, მევედრე-
ბა, შენც ისეთი იყავიო. როზა ლუქსემ-
ბურგის სახელი პირველად მისგან გავი-
გონე.

ოღონდ დღეს არა, დღეს არ მინდოდა
მასთან შეხვედრა და საუბარი.

ამ ბოლო დროს თოთიაური ისეთი
თვალებით მიყურებდა, რომ ვატყობდი,
საცაა არსათქმელს მეტყოდა, გულში
დიდხინის ნაგუბარს გადმოაფრქვევდა.
ამის მეშინოდა. ამიტომ ვემალებოდი.

— წავიდეთ.
— მოიცა, გაიანე, — მაჯაში ხელი წა-
მავლო: — რაღაც უნდა გითხრა!

— ვიცი, ალექსი, რაც უნდა მითხ-
რა! — რაც შეიძლება მშვიდად, რაც
შეიძლება მეგობრულად ვუთხარი და
ისევ ჩანთაში დავიწყე ფათური.

— საიდან იცი? — პირველად თოთ-
ქოს შეიკვირვა ალექსიმ, მერე ნაღველი
ანად ჩაიციხა და სთქვა: — შენ ყველა-
ფერი იცი, გაიანე! ყველაფერი იცი და
მამინც არაფერს მეუბნები! თუმცა არა,
როგორ არ მეუბნები! ეს მე ვარ ასეთი
ბრიყვი და ჩერჩეტი, რომ არაფრის გა-
გება არ მაქვს, თორემ როგორ არ მე-
უბნები! წელან ვითომ ცხვირსახოცი
დავჭირდა... მერე კომპრესის ქალაქი
მოიგონე... როგორ არ მეუბნები! მაგ-
რამ მე ვინ მომცა იმდენი სირცხვილი
და თავმოყვარეობა, რომ ეს გავიგო და
გაგეცალო! არ მეგონა, თუ ასე გძულ-
დი...

დავიზაფრე, ეს რომ გავიგონე.
დინჯი, თავშეკავებული თოთიაური
ახლა ისე ლელავდა... მგონი ცრემლიც
კი გადაულაპა ერთი-ორხელ.

მაშინდა მივხვდი, რომ დღემდე უსინ-
დისოდ ვიქცეოდი. თავიდანვე სიმართ-
ლე არ ვუთხარი ამ დიდებულ ადამიანს.
მხოლოდ იმიტომ არ ვუთხარი, რომ მა-
ხარებდა, მემამყებოდა მისი სიყვარუ-
ლი, ყურადღება...

მეშინოდა, მისი მეგობრობა არ დამე-
კარგა.

განა ვერ შევამჩნიე, საითკენ გადა-
უხვია თოთიაურის გრძნობამ! მან უკვე
ისეთი ეჭვიანობა დამიწყო, ძმობილს
რომ არ შეეფერებოდა: სად ვიყავი,
ვისთან ვიყავი, ეს წერილი ვინ მომწე-
რა... ამას ყველაფერს კარგად ვხედავ-
დი და მამინც ვლუმდი.

ამ დღემიღმა კი, ხედავ, სანამდე მი-
იყვანა ჩვენი და-ძმობა!

„ღმერთო, შემადლებინე!“ — გავი-
ფიქრე და ალექსი ჩემსკენ მოვაბრუნე,
თვალეში ჩაეხედე:

— რას ამბობ, ბიჭო, მძულხარ კი არა,
შენზე უკეთესი ქვეყანაზე ვინ მყავს!
შენ ხარ ჩემი ერთადერთი პატრონი და
მასწავლებელი!

— ვაშა მასწავლებელს! — ისევ ჩაი-
ცინა თოთიაურმა: — ბრძანებით მაღ-
ლობა გამოეცხადოს!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიძე წყალში

— მიყვარხარ, ალექსი, მიყვარხარ, როგორც ღვიძლი ძმა, როგორც ჩემი ყველაზე ახლობელი დედმამიშვილი... მეტი არაფერი შემიძლია შენი ცოლი ვერ გავხდები... სხვა მიყვარს, ბიჭო, თვითონაც არ ვიცი, რატომ მიყვარს! ვერაფერში შენ ვერ შეგედრება, გაუნათლებელია, უხეშია, მაინც მიყვარს... ასე მგონია, უმისოდ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ! გული მიკვდება, ამას რომ გეუბნები... ნუ გამეჩქევო, შევასრულოთ ჩვენი დაქმობის ფიცი... ნუ მომაკლებ შენს მეგობრობას, ხომ იცი, უშენოდ როგორ ვამიტირდება!

ხმა არ გამცა. პაპიროსი მოსწია, მერე ხიდის მოაჯირს გადაეყრდნო და თვალები წყალში ჩაყარა.

მე კი ეს სიჩუმე ვერ ავიტანე და ისევ ავლაპარაკე.

მამინვე შემაჩერა და მითხრა:

— არ გინდა, გაიანე, მეტს ნურაფერს მეტყვი! წავიდეთ.

3

ჩახუთული საღამო. ხეზე ფოთოლი არ ირხევა. მარტო ეს შევიწუხებს გულს, ამ უძრავ ფოთოლს რომ შეხედავ.

რუსთაველის პროსპექტზე ხალხი უკვე გამოსულა სასერიჩოდ. დასიცხული თბილისელები წაღმა-უკუღმა ბრუნავენ რუსების სობოროდან მესსაათე ბურეს სახელოსნომდე.

კონსერვატორიის ასახვევთან გავლა არ შეიძლება. ხალხი ბუზივით ეხვევა ლალიძის ლიმონათს. შებინდებულში აქ თავს იყრიან ახლად გამომცხვარი ნემსანები. მერე აქედან არტოს ბაღში გადაინაცვლებენ და მათი ჭიხინის მაგვარი ხარხარი გვიან ღამემდე არ ასვენებს თბილისის ქუჩებს.

ტრამვაის გამაყრუებელ გრიალს, ხალხის ყრიაშულს, ფატიონის ცხენების თქართეტურს ყვავების ყრანტალი შეერევა დრო და დრო. მთავრობის ბაღში მთელი გუნდი ერთბაშად წამოიშლება და სობოროს თავზე დაიწყებენ რიალტორიას.

ალექსი თოთიაურის და მანგია ნოზაძის „ზარია ვოსტოკას“ რედაქციასთან ტრამვაიდან ჩამოხტნენ და მამადავითის აღმართს შეუღდნენ. უკვე დაღამდა, მაგრამ ჭერ ბული არ დამცხრალა, სახლებში ლამპები არ აუნთიათ.

— არ მეტყვი, სად მივდივართ? — ჰკითხა თოთიაურმა.

— ვერ აგიწერ ენითაო, — წაიმღერა მანგია.

წყაროს უბანში, სადაც მეთევზე მელიქას ღუქანი იდგა, პატარა აღმართი კიდევ აიარეს და ნაშინდარის ქუჩაზე ერთი ძველებური სახლის წინ გაჩერდნენ.

მანგია მზარის სახელოსნოს თითი ჩამოჰკრა და რატომღაც მიიხედ-მოიხედა.

მოსიმა ყრუ ქლრიალი. ეტყობა, ზარი შორს იყო ჩამოყიდებული. კარი კი მამინვე გაიღო და მკრთალად განათებულ კიბიდან ქალის ხმა მოისმა, მობრძანდითო.

„ჩვენ გვიცდიდა?“ — გაიფიქრა თოთიაურმა.

— აქ კიბეა, ფეხი არ დაგიცდეს, — სთქვა მანგია და თოთიაურს ხელი მოჰკიდა.

დერეფანი ჩუმად გაიარეს და აივანზე რომ გავიდნენ, ქალიშვილმა უცხად მანგია შეაჩერა და უთხრა:

— ეს არის შენი მდივანი? რა კარგი ბიჭი ყოფილა! გამაცანი, მანვო! — გაცნობას აღარ დაუცადა, თოთიაურს ხელი გაუწოდა და ღიმილით უთხრა: — ანგელინა. მამაჩემმა განგებ დამარქვა ეს სახელი, იქნებ ანგელოზს დამეგვანოსო, მაგრამ ვერ გავამართლე მისი იმედი, ასე რომ, ჩემი არ შეგეშინდეს, ბატონო მდივანო, მოლაზონი არ გეგონო! — ამას რომ ამბობდა, ღამაში ცისფერი თვალები ისე მეგობრულად უცივნოდა, თითქოს ახლობელ ადამიანს ელაპარაკებოდა.

მიუხედავად ამისა, თოთიაურს მაინც არ მოეწონა პირველ გაცნობილ კაცთან ასეთი შინაურულობა.

— რატომ დაიგვიანე, მანვო? ყველა-

ნი დროზე მოვიდნენ. რეფერატი უკვე დაიწყო, ჩუმად შევიდეთ, თორემ ნურის ამბავი ხომ იცი, ყველას გარეთ გამოგვყრის! — ელურტულეზდა ანგელინა და ლამაზი თეძობების რხევით სტუმრებს წინ მიუძღოდა.

ფეხზე წინდა არ ეცევა. კობტად ჩამოქნილი, ძალიან თეთრი წვივები ძალაუვნებურად იქცევა კაცის ყურადღებას. თოთიაურს თვალი მოსტაცა მისი კანის უჩვეულო სინაზემ.

— აქ მომიცადეთ, მეორე კარს გავაღებ, თორემ აქედან ნური არ შეგვიშვებს! — სთქვა ანგელინამ.

— ვინ არის ეს ნური? — იკითხა თოთიაურმა, დიასახლისი რომ წავიდა.

— ლიტერატურული წრის ხელმძღვანელია. ნური თაბაგარი. დიდად განათლებული კაცი! მოსკოვში სწავლობდა ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, სწავლას თავი მიაწება და საქართველოში დაბრუნდა...

— სად მსახურობს?

— არსად. ჩამორჩენილ მოწაფეებს ამეცადინებს, ახლა წიგნს სწერს, „ფრიდრიხ ნიცშე და რევოლუცია“.

— ფრიდრიხ ნიცშე?! პირველად მესმის ეს გვარი!

— დიდი მოაზროვნე კაცი ყოფილა. თაბაგარი შეგვპირდა, ნიცშეს მოძღვრებას გაგაცნობთო! — უთხრა მანგიამ.

თოთიაურმა ჯიბიდან ფანქარი და უბის წიგნაკი ამოიღო, ბეჯითად ჩაიწერა: „ეკითხო ჩვენი სემინარის ხელმძღვანელს, რას წარმოადგენს ფრიდრიხ ნიცშე“...

აივნის ბოლოში ანგელინა გამოჩნდა, სტუმრებს ხელი დაუქნია.

4.

რამდენადაც შეუხედავი იყო ეს სახლი გარედან, იმდენად მორთულ-მოკაზმული გამოდგა შიგნით.

ასეთი ლამაზი ავეჯი და ამოდენა ხალიჩა, კინოშიც კი არ ენახა თოთიაურს.

თვალისმომჭრელად ჩახახებდა ცეცხლბრალის ქალი. მისი უხვი სინათლე დაეცა სადღესასწაულო ელფერს და ამ ვარდისფერ დარბაზს...

ერთმანეთზე ნახევარწრედ მიწყობილ სავარძლებში ახალგაზრდა ქალები და ყმაწვილები ისხდნენ. ხავერდგადაფარებულ მრგვალი მაგიდის გვერდით მაღალი, ხმელ-ხმელი, სათვალეზიანი კაცი იდგა და ხამამღლა ლაპარაკობდა. თოთიაურმა ჯერ კიდევ ოთახში შესვლამდე გაიგონა მისი რიხიანი ხმა. კარი რომ გაიღო, ის კაცი გაჩუმდა, თმაზე ხელი გადაისვა და ოთახის სიღრმეში კედელზე ჩამოკიდებულ ნაპოლეონ ბონაპარტეს სურათს მიაჩერდა.

მაგიდას მეორე მხრიდან წითური, თმაგაჩეჩილი ბიჭი უჯდა.

დიასახლისმა თოთიაურსა და ნოზაძეს ორი სელის სკამი დაუდგა განაპირა სავარძლის უკან და თვითონაც იქვე ხალიჩაზე მოიკეცა ფეხი.

დაგვიანებული სტუმრები რომ დალაგდნენ, მაგიდასთან მდგომმა კაცმა, ნური თაბაგარმა, სიტყვა განაგრძო.

დაქმუნული ქალადი რაც არ უნდა გაასწორო და ხელით დააუთოო, მისი გაახლება არ შეიძლება, — წვრილ-წვრილი ნაოქები მაინც დაეტყობა.

ასეთ ნასწორებ ქალადს უგავდა პირისკანი ნური თაბაგარს. უამრავი წვრილი ძაფები დახვევოდა ლოყებსა და ტუჩპირზე, შუბლზე, თუმცა იგი ჯერ ოცდათხუთმეტი წლისაც არ იყო.

გულიდან წამოსული ხმა აქესო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთი სასიამოვნო ხმა ჰქონდა ნური თაბაგარს. სიტყვაც უჭრიდა.

მომხიბლავი ხმა და მჭრელი სიტყვა!

ამ არეულ დროში კაცი ამითაც მოიპოვებდა უდარდელ ცხოვრებას, სხვა დიდებას კი ყოფილი სტუდენტი უკვე აღარ დაექებდა.

თოთიაურს პირველად მოეჩვენა, რომ ნური თაბაგარი ცოტა გადაკრულში

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაბი მღვრიძე წყალში

იყო. აღზნებული ლაპარაკობდა, რატომღაც ცხარობდა, ზოგიერთ სიტყვას უეცრად ხმამაღლა წამოიძახებდა, თითქოს იმ წუთში რაღაც ტივილიმა გაუარა და წამოაყვიროს.

ლაპარაკის დროს გვერდზე იხედებოდა, თითქოს არავის უყურებდა. ასე იცის ავმა ძაღლმა. თვალღებში არ შემოგხედავს, თავი საღვაც განზე მიაქვს, მაგრამ შენი უმციბრესი მოძრაობაც კი არ გამოეპარება. ერთი წარბიც რომ შეარხხო, იმ წამსვე გებღღუნება.

ამგვარი მოდარაჯებული თვალი ჰქონდა ნური თაბაგარსაც.

5.

— მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებ, — სიტყვა თაბაგარმა და საფერფლე მოიჩინა, პაპიროსს წიკპურტით ფერფლე მოაცილა. ლამაზი თითები ჰქონდა. ამიტომ პაპიროსი ხელში ისე ეჭირა, მათი სილამაზე რომ გამოეფინა. — ვაცხადებ, რომ ქალის ფსიქოლოგია, მისი შინაგანი ბუნება ჩვენთვის დღემდე უცნობი და შეუსწავლელი ტერა-ინკოგნიტა!

ეს უცხო სიტყვა ისეთი კილოთი წარმოსთქვა, თითქოს მეტი თუ არა, ახლა, ამ წუთში, ნახევარი თბილისი მაინც უნდა დაქცეულიყო.

— რატომ არის ტერა-ინკოგნიტა? არ შეიძლება ჩვენი დროის ახალგაზრდას ეს კითხვა არ დაეხადოს. პასუხი მხოლოდ ერთია: ქვეყნის გაჩენის დღიდან, ევადან დაწყებული აგერ შენამდე, ჩემო ანგელინა, ქალის ფსიქოლოგიას იკვლევდნენ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები!

„დედაკაცის სრული ანტიპოდი, — მამაკაცი სწავლობდა ქალის ფსიქოლოგიას, მხოლოდ ის ეწეოდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას ამ საკითხზე... არასდროს, მშვენიერთა სქესის არცერთ წარმომადგენელს ქალის ფსიქოლოგია არ შეუსწავლია, ერთი წიგნი არ დაუწერია... ამიტომ ამ პრობლემის განხილვის დროს ჩვენ მოკლებული ვართ იმ სი-

მართლეს, რასაც პირვანდელი წყარო მოგვცემდა, რასაც მთავარი მოწმე გვაძლავდა... ჩვენ იძულებული ვართ ვთქვათ, — გენდლოთ მოპირისპირე მხარეს, — მამაკაცის ნაგრძნობ-ნაფიქრალს... მამაკაცი კი ქალის ფსიქიკაზე, ქალის გრძნობებსა და განცდებზე თავისი სქესის თვალსაზრისით მსჯელობს, ქალის ცხოვრებას კაცის თვლით უცქერს.

ამ პირობებში, რა თქმა უნდა, დედაკაცის ნამდვილი სულიერი სამყარო ჩვენთვის ჯერ ისევ გაუგებარია. ცხრაკლიტული ადევს ქალის სულიერ სამყაროს!

„კერძო საკუთრებაზე დამყარებულმა საზოგადოებრივმა ფორმაციებმა შექმნა მთელი ფილოსოფიური მოძღვრება, დასწერა ეგოიზმით გაელენილი მორალური კოდექსი, როგორ დაიმონოს ქალი, როგორ აქციოს ის მამაკაცის კერძო საკუთრებად! მონოგამია მხოლოდ ქალისათვის დააწესა დამპალმა ბურჟუაზიამ. დაიმასოვრეთ, მხოლოდ ქალისათვის! მამაკაცს კი მიანიჭა განუსაზღვრელი სქესობრივი თავისუფლება! მამაკაცს არ ეკრძალება, რომ ცოლის შერთვამდე სხვა და სხვა ქალთან იცხოვროს. ცოლს რომ შეირთავს, ის არც მერე მოიხედავს უკან და ისე ადვილად უღალატებს თავის კანონიერ მეუღლეს, თითქოს ხელთათმანი გამოეცვალოს. ეს კიდევ არაფერი. კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილმა საზოგადოებამ სხვა უფლებაც მიანიჭა მამაკაცს! შარშან ერთი ჩემი ნათესავი ახალნათხოვ ცოლს გაეყარა. იცით, რატომ გაეყარა? თურმე ის ქალი უმანკო არ აღმოჩნდა! ექიმთან წაუყვანია შესამოწმებლად! ახლა ისიც ვიკითხოთ, თვითონ ის ჩემი ნათესავი თუ იყო უმანკო და სულიწმინდა! რა თქმა უნდა, არა! მაშ რა უფლება ჰქონდა იმ სალახანას, ასე გაექელა და აბუჩად აეგდო ქალის ღირსება და ადამიანობა! აი ეს არის ბურჟუაზიული მორალის პირველი მუხლი, რამაც ქალს წაართვა ყველაზე დიდი უფლება, — უფლება თავისუფალი სი-

ყვარულისა, უფლება იმისა, რომ ვერავითარმა ჯვარმა და ხატმა, ვერავითარმა ქალაქის ნაქუფმა ვერ დაგებას იმ კაცის საწოლთან, სადაც შენი სული და ხორცი საზარელ ტყვეობაში იქნება.

ვერც ნივთიერი დამოუკიდებლობა, ვერც ხმის უფლება, ვერც კარგი სამსახური დედაკაცს მამაკაცთან ვერ გაათანასწორებს, სანამ ლიბიდო განაგებს და ამოძრავებს კაცობრიობის ცხოვრებას.

„თუ კი მამაკაცს უფლება აქვს ცოლის შერთვამდე სხვა ქალთან ინტიმური კავშირი დაამყაროს, და ეს არ ითვლება არც დანაშაულად, არც გარყვნილებად, არც სამარცხენო საქციელად, მაშ“...

თაბაგარმა სეარძლებში სულგანაბულ ქალებს თვალი გადაავლო და ისევ ანგელონას მიუბრუნდა:

„ჩემო ანგელინა, რატომ შენ არ უნდა მოიპოვო ისეთივე უფლება, რაც უკვე დიდი ხანია მოიპოვებ ცხოვრებაში შენმა მომავალმა ქმარმა! აი რისთვის უნდა იბრძოლოს თანამედროვე ქალმა, თუ კი ჩვენ მართლა გვსურს, რომ სქესთა შორის თანასწორობა დამყარდეს! რამდენიმე ქალის გამოცვლა მამაკაცს ვაუკაცობად ეთვლება, ქალი კი ლამის ჩაჰქოლონ, რამდენიმე საწოლი რომ გამოიცვალოს! ეს არის ახალი მორალი? ეს არის თანასწორობა? არა, მეგობრებო, ეს არის დახვეწებული საზოგადოების სახარება, მისი ძველი და ახალი აღთქმა, მისი მხეცური კოდექსი! კერძო მესაკუთრეს ქალიც თავისი კერძო საკუთრებად მიაჩნია... მაგრამ დღეს რევოლუციამ მშვენიერთა დაჩაგრული სქესი ახალი ცხოვრების გზაზე გამოიყვანა! ქალი მხარში უნდა ამოუდგეს მამაკაცს არა მარტო ქარხანაში, მეცნიერების ტაძარში თუ არჩევნებში, არამედ ის სქესობრივი უფლებითაც უნდა გაუთანაბრდეს თავის ანტიპოდს. ეს კი არ მოხდება, სანამ ქალს ამ სექსუალურ ზორკილს არ შევცხნით!

გაისმა ტაში. თაბაგარმა მაშინვე ხე-

ლი ასწია, ლამაზი თითები გამოავლინა და ნაღვლიანად სთქვა:

— არ მიყვარს ტაში, მეგობრებო! სანამ კაცობრიობის მეორე ნახევრის ბედი არ გადაწყდება, მე ვერც ტაში გამოხარებს და ვერც ყვავილების თაიგული!..

6

პირველი მსოფლიო ომი რომ მიიწურა, დიდი ტანჯვითა და ვი-ვაგლახით გაოგნებულ, გადაღლილ, სულიერად დაბერჩეხებულ ხალხს,—უმთავრესად საშუალო ინტელიგენციის წრეებს სახადივით მოედო ლიტერატურომანია, ასე ეძახდნენ მაშინ ამ ავადმყოფურ გატაცებას.

როგორც ნაწვიმარ ტყეში მჭადა სოკო, ერთბაშად მომრავლდნენ ლიტერატურული წრეები და სალონები.

იბადებოდნენ ისინი ხან რომელიმე შებენიერი მეცენატის სუფრასთან, ხან კიდევ რომელიმე კნენია ლიზიკოს სალონში, იბადებოდნენ გიმნაზიის კედლებში, არტისტულ კაფეში ან საღმედიდმისა თუ კოჯრის გზაზე ამოჩემებულ ლუქანში, სადაც თავდავიწყებას მონატრებული მშვიერი ბოჰემა ყოველდღე ახალახალ მანიფესტს უკითხავდა შეზარბოშებულ სტუმრებს.

რა თქმა უნდა, ეს წრეები და სალონები უნიჭო და უხეირო წაბაძვა იყო იმ დიდი სიკეთისა, რასაც ნამდვილი ლიტერატურული სკოლები აკეთებდნენ. სხვათა ნაფიქრალი და ნასუფრალი ასაზრდოებდა ამ უღლეურ ეპიგონებს, მაგრამ რაკილა ისინი დიდ სახელებს ებღაუჭებოდნენ, დიდად ამალღებულ ცნებებს აფრქვევდნენ და თავიანთ თავს ახალი ქვეყნის მოციქულებს უწოდებდნენ, ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ადვილად ირწმუნა მათი სიტყვა, რამეთუ ეგონა, ამ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრეებში უებარ მალამოს უბოვნიდა თავის სულიერ ტკივილებსა და ჭრილობებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაბი მღვრიე ყყალაში



პირველ ხანებში ამ წრეობანას მეტად უწყინარი და მიაპიტობის ელფერი დაპყრავდა, მაგრამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ სხვა და სხვა პარტიების ლიდერებმა ხმებისა და მომხრეების ძებნა რომ დაიწყეს, ამ წრეებსა და სალონებშიც შეიხედეს და თვალნათლივ დაინახეს, რომ აქ კარგი თევზაობა შეიძლებოდა.

და, მართლაც, ბუდიდან ამოვარდნილი, „წყვეთი კითხვებით“ აფორიაქებული, გზაჯვარედინზე გაჩხერილი თაობა მეტად რბილი და დამყოლი თიხა აღმოჩნდა, — გამოქერწე რაც ვინდა; ოღონდაც მისი დავებებული გულისთქმა შესაფერ ღარზე მიუშვი...

დაიწყო ბრძოლა, თუ ვინ მიიმბრობდა ამ ვხადანეულ ახალგაზრდებს. საქართველოში საბჭოების გამარჯვებამ ეს ბრძოლა უფრო გამძაფრა, — მიჯნები უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა იმ ბანაკებს შორის, ოდითგან ერთიმეორის პირისპირ რომ იღვნენ.

ლიტერატურული დაჯგუფება „ამეთვისტო“ ამ წრეობანას ერთი ნახმევი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ამეთვისტოში“ თავმოყრილი ქალ-ვაყები უფრო მიწიერ მიზანს უკმევდნენ გუნდრუქს და როგორც სჩანდა, „სულის უკვდავებაზე“ ნაკლებად ფიქრობდნენ.

სწორედ ამგვარ წრეებსა და სალონებში გაითქვა სახელი ნური თაბაგარმა; ის ახლა სარჩენად ჰყავდა აკიდებული ცნობილ თბილისელ ნეპმანს სანდრო გამყრელიძეს, თუმცა კაცი ვერ იტყოდა, რა აკავშირებდა ფილოსოფიისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტს ვაჭრულ ხრიკებსა და მაქინაციებში ყელამდე ჩაფლულ ნეპმანთან. ერთი კი უნდა ითქვას: ის ვარდისფერი დარბაზი ნაშინდარის ქუჩაზე სანდრო გამყრელიძემ ყოფილი სტუდენტის სახელზე დაიქირავა. თაბაგარს კი იმ ბინაში ჯერ ერთი ღამეც არ გაეთია. მამ, რატომ იხარჯებოდა გამყრელიძე?

ეს ამბავიც საიდუმლოდ იყო შენახული. ცრუ მდგომური ნაშინდარის ქუჩა-

ზე მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა დესაც „ამეთვისტოში“ რეფერატი უნდა წაეკითხა, ან ლექსების გარჩევაში მონაწილეობა მიეღო. სხვა დროს ნაშინდარის ქუჩაზე მისი ბაბბურიც არ ისმოდა.

●
თოთიაური გარეტებული უსმენდა მომხსენებელს.

„აი თურმე საიდან მოდის ეს ამდენი კუჭკუი და ნავაგი ჩვენს უჯრედში!“ — გაიფიქრა და ნოზაძეს გადახედა.

პირგანათებული მისჩერებოდა მანგია ნოზაძე ქადავად დეკარდნილ თაბაგარს. არა მარტო ნოზაძე.

თოთიაურმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა ეს უცნობი ქალ-ვაყები, მწვანე საუარძლებში გაქვავებულნი რომ ისხდნენ და ნური თაბაგარს თვალს არ აშორებდნენ.

გაოცება, რაღაც მოულოდნელი, შიშნარევი სიხარული, — სხვა ვერაფერი ამოიკითხა თოთიაურმა იმათ თვალებში. ეტყობოდა, ნური თაბაგარის ყოველ სიტყვას ამ ვარდისფერ დარბაზში ღიღი წონა ჰქონდა.

„ალბათ დოდონაც მოიყვანა აქ ამ რეგენმა!“

გაახსენდა თოთიაურს, რაჩიგ არ უნდოდა დოდონას იმ მეოთხე მუხლის დამატება ქრისტინეს საბრალოდებლო ოქმში;

გაახსენდა და გულს შემოასკდა.

ასე რამ დაუკარგა გულისყური! რატომ მაშინვე ხმა არ ამოიღო, ეს სისულელე პირველად რომ გაიგონა. რატომ გაუჩუმდა დოდონას, ნოზაძეს, იმ თავწერილა სამტრედიელ დონკუანს ბიჭიკო ყალიჩავას! მაშინ ეს ამბავი უბრალო ლაზლიანდარობად მიიჩნია თოთიაურმა. ცეტობენ ბიჭები, თავს ერთობენო... ესენი კი, მწვანე საუარძლებში ჩაფლული ვაყბატონები თურმე სულაც არ ხუმრობენ, გათახსირებისა და გარყვნილების მორევეში მიიქანებენ ამ საცოდავებს.

ფიქრისაგან ტაშისცემამ გამოარკვია. ნური თაბაგარმა ხალხს თავი დაუკარა,



თმაზე ხელი გადაისვა და სავარძელზე დაეშვა. მალე ისევ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს ქუჩაში რაღაცას უქცერდა, მერე ისევ მობრუნდა, პაპიროსი გააბოლა და მრგვალი მაგილის უკან სიარული დაიწყო. ოთხი ნაბიჯი წინ, ოთხი ნაბიჯი უკან. მაგრამ მისი ყოველი მოძრაობა, — ფანჯარასთან მისვლა, პაპიროსის მოწვევა, წინ და უკან სიარული — უბრალო გამოხედვაც კი რაღაც უცნაური და გაუგებარი იყო. თაბაგარს თავი ისე ეჭირა, თითქოს მართო იყო ამოდენა ოთახში.

რეფერატი ყველას მოეწონა. ყმაწვილები ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებდნენ შთაბეჭდილებას და ისეთი თვალეზით შესცქეროდნენ კუთხიდან კუთხემდე მოსიარულე თაბაგარს, თითქოს ეს რა გვეღირსა, მოციქულთასწორი კაცი მოგვევლინაო.

თოთიაურის უკან ერთი ქერა, პირთეთრი გოგო ვაცხარებულნი ეღაპებოდა მეორეს:

— Не говори, Зина! სად ჩვენი ნური და სად ის თავგასიებული პროფესორი ჯაში! იმას რომ თავში უყვრია, ნურის ერთ ნეკში აქვს იმდენი ჭკუა და ცოდნა!

თაბაგარს ესმოდა ეს ქათინაურები. მედიდურად გაქვავებულ პირისახეზე ერთი ნაკეთიცი არ შერხევია, თითქოს ამ ხალხთან უკვე აღარაფერი აღარ ჰქონდა საერთო: მოციქულმა თავისი სიტყვა და უფლის სამყოფელს დაუბრუნდა.

„კარგად დაკირული კოჭია!“ გაიფიქრა თოთიაურმა. მერე მანგიას მაჯაში ხელი წაავლო და თავისკენ მოახედა.

— ცოლი ჰყავს თაბაგარს?

— საცოლე ჰყავს. ამას წინათ ქუჩაში დამანახეს. ლამაზი ქალია. შემოდგომაზე უნდა დაქორწინდნენ...

— ახლა აქ არის მისი საცოლე?

— აქ კი არა, თეატრში არ დაჰყავს თურმე, ეგ ნური ისეთი ეჭვიანი ყოფილა! რა დაგემართა, ბიჭო, როგორ გაფითლებულხარ!

— მცხელა, მანგო, მცხელა!

ნოზაძეს არ მოეწონა, რომ ალექსიმ რაღაც ნამეტანი სწრაფად ამოიქმნა: ეს უნდა სამი სიტყვა.

დარბაზში მართლაც ცხელოდა, მაგრამ არც ისეთი ბული იდგა, რომ თოთიაურს ქშენა და ვაი-ვუი დაეწყო.

ალექსი თოთიაური დილიდან მზის ჩასვლამდე უთოსავით გახურებულ საამქროში მუშაობდა. „ჩვენი მანქანის ტალერზე კვერცხი შეიწვებაო“, ზუმრობდნენ ბიჭები. მაშ ახლა რა მოხდა, გული რამ შეუწყუნა ბოლოში ლორივით გამოყვანილ ბიჭს!

აქ სიცხე არაფერ შუაში იყო, ეს უკვე იგრძნო ნოზაძემ და მეგობარს მხარზე ხელი დაადო.

— რა გინდა? — ჰკითხა ალექსიმ.

ნოზაძემ ყურში წასჩურჩულა:

— თუ ძმა ხარ, ახლა არაფერი იკისრო!

იგი ერთბაშად მიხვდა, ალექსი თოთიაური „ამეთვისტოში“ არ უნდა მოეყვანა.

— კარგი დამცველი უშოვნია, ამ სალახანას! — უთხრა თოთიაურმა.

— ალექსი... — ისევ აჩურჩულდა მანგია.

თოთიაურმა პირზე ხელი მიაფარა, გაჩუმდით. კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, ზარის წკრიალმა სიტყვა შეაწყვეტინა. წითურმა ბიჭმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ისეთი რიხით გამოაცხადა, პოეტი ქალი, — მოწყვეტილი ყვავილი! ახალ ლექსებს წაიკითხავსო, როგორც ქუთაისის ცირკში მოჭიდავეს გამოაცხადებდნენ ხოლმე.

სავარძლიდან ერთი ლოყებდაბრაწული გოგო წამოდგა და მაგიდისაკენ გაემართა. ნოზაძეს ღიმილი მოერია. ის გოგო ფეხმოკლე იყო, თხემიდან ტერფამდე ერთნაირად ჩამრგვალებული და მიჯიფთული. დობილოს საკრეფ გიდელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ყვავილს.

სანამ ის მაგიდასთან მივიდოდა, თოთიაური წამოდგა, სკამი უკან დასწია,

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
შაგი მღვრიე წყალში



მუხლი თავისუფლად გამართა და ხმა-
მალლა სიტყვა:

— თქვენთან ერთი შეკითხვა მაქვს,
მოქალაქე თაბაგარო!

ეს რომ სიტყვა, ყველანი შემობრუნ-
დნენ და თითოეულს მიაპყრეს თვალი,
ვინ არის ეს მოუარიდებელი ყმაწვილი,
კრების უბრალო წესი რომ არ იცისო.

— დაბრძანდით, ხელს ნუ გვიშლით!
მე უკვე გამოვაცხადე „მოწყვეტილი
ყვავილი!“—უთხრა წითურმა ბიჭმა.

— მოიცა, დათო,—დაიძახა თაბაგარმა:
— როდის იყავი ასეთი ფორმალისტი!
სტუმარს პატივი ვცეთ...

მაგიდასთან სწრაფად მივიდა, პაპი-
როსის ნაშწვი ცისფერი ფაიფურის
ვეება საფერფლეში ჩააგდო.

— გისმენთ,—თავაზიანად უთხრა თო-
თიაურს, მგონი კიდევ გაუღიმა, — ასე
მოეჩვენა მანგია ნოზაძეს.

თაბაგარმა იცოდა „ამეთვისტოს“
დღევანდელი სტუმრის ვინაობა. ამი-
ტომ მისი თავაზიცა და ღიმილიც ცოტა
დამცინავი იყო. „ბუნდლას არ დავტო-
ვებ ამ ლაწირაკისაგან, თუ ახლა მარქ-
სიზმზე და კლასთა ბრძოლაზე დამიწყო
კამათი!“ გაიფიქრა მან და ხელი მალლა
ასწია,—გაჩუმდითო, ანიშნა „ამეთვის-
ტოს“ წევრებს.

მათაც ივრძნეს, ჩვენი სათაყვანო ხა-
ტი უკვე აიფხორაო, და სული გატრუ-
ნეს. „არ უნდა მომეყვანა, არ უნდა მო-
მეყვანა!“ — არ მოეშვა ეს ფიქრი მან-
გია ნოზაძეს.

მან იცოდა თაბაგარის ხასიათი. ამას
წინათ მასწავლებელთა სახლში ლიტე-
რატურული პაექრობა გაიმართა. ნურის
მოწინააღმდეგეს, კომკავშირული გაზე-
თის „სპარტაკის“ თანამშრომელს ერთი
სიტყვა გადაუბრუნდა, შოპენგაუერის
წიგნის სათაური შეეშალა... თაბა-
გარმა ეს უბრალო წამონაცდენი ხელზე
დაიხვია და მოკამათე ოთხში ამოიღო,
შენ წიგნის სათაური ვერ დავიმახსოვ-
რებია, წიგნის შინაარსს როგორღა გაი-
გებდიო.

პაექრობის თემა მთლად მიიგვიწყნა და
მთელი თავისი ოქროპირობა სპარტაკის
ლი ჭაბუკის გატრიზავებას შეაღია.

ასეთი კაცი იყო ნური თაბაგარი; მო-
კამათეს არასდროს სიღრმეში არ შეჰ-
ყვებოდა. იმ ერთი გადაბრუნებული სი-
ტყვით ფონს ადვილად გადიოდა.

ნოზაძეს გუნება წაუხდა. აშკარა იყო,
არამცთუ მოხსენება, მთელი ეს გარემო
არ მოეწონა თითიაურს: არც ხალხი,
არც ეს დარბაზი და მწვანე ხვევრდის
სავარძლები და არც ის ამბავი, რომ აქ
ნოზაძე შინაურ კაცად ითვლებოდა.

აღელვებისაგან პირისახეზე წითელა
ლაქებიც კი გამოაყარა უჯრედის მღუ-
ვანს. სწორედ ამან შეაშფოთა ნოზაძე,
ვთუ ალექსიმ სიტყვა ვერ მოზომო,
და ენაბილწ თაბაგარს ყბაში ჩაუფარ-
დესო.

— არ გინდა, ლექსო! — ისევ წას-
ჩურჩულა ნოზაძემ, ერთხელ კიდევ
სცადა მისი შეჩერება, მაგრამ უკვე
გვიანდა იყო.

ქვა რომ მოხვდება ფანჯარას უცაბე-
დად, ისე მჭახედ მოხვდა ამ სიჩუმეა
თითიაურის ხმა:

— რატომ თქვენი საცოლზე არ მოგ-
ყავთ ამ დარბაზში, მოქალაქე თაბაგა-
რო! რატომ არ გინდათ ისიც ამ ჭკუაზე
მონათლოთ?!

თაბაგარი შეცბა.
ყველაფერს მოელოდა, ამგვარ შე-
კითხვას კი არა.

— შენ ვინ გეკითხება, ლაწირაკო,
ჩემს საცოლეს სად წავიყვან-წამოვი-
ყვან!

თითიაურმა სული მოითქვა და ხმა-
მალლა, მთელი დარბაზის გასაგონად
უთხრა:

— ოღონდ თქვენი ქალბატონი იყოს
წესიერი და თავშენახული, სხვები კი
გაირყვნენ და გათახსირდნენ, ისინი რა-
ში გენდვლებათ, არა?!

— ვის უბედავ, შე...
თაბაგარმა სავარძლები მიჰყარ-მოჰ-
ყარა და თითიაურთან მიიჭრა. დარბაზ-
ში მყოფი ბიჭები მაშინვე წამოცვიდ-
ნენ და ნურის გვერდში ამოუდგნენ.

— ბატონო ნური, თქვენ აივანზე გაბრძანდით! თქვენც, გოგოებო! ამას ჩვენ მოვევლით! — სთქვა ერთმა.

— ხელი არ ახლოთ, არ გაბედოთ! — შესძახა ნოზაძემ და უჯრედის მდივანს წინ აეფარა.

— განა არ ვიცოდით, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახვედა! — სთქვა თაბაგარმა, გაშალა ხელისგული და მანგია ნოზაძეს სახეში სთხლოშა.

— ასეა საქმე?! — კბილებში გამოსცრა თოთიაურმა.

ამის თქმა და ხელის შემოკვრა ერთი იყო.

ბიჭებმა განძრევაც ვერ მოასწრეს, რომ თოთიაური შეეჩერებინათ. თაბაგარი ფეხზე ვერ დამაგრდა და სკამებს გადააწყდა.

კომკავშირის უჯრედის მდივანი თაბაგარზე დაბალი და თხელი ტანისა იყო. თანაც ამ გაზაფხულზე ციებამ გაუხსენა და ჯანი გაუნახევრა.

მინც არ შეშინდა, რადგან იმედი ჰქონდა, დარბაზში მყოფი ბიჭები ორთარბოლაში არ ჩაერეოდნენ, თბილისურ რაინდულ ადამს არ გადაუხვევდნენ და ერთზე ხუთი არ მოვიდოდა.

ერთი კაცი კი თოთიაურს უკან ვერ დაახევინებდა.

ყველაფერი პირუტყულმა მოხდა.

ის ოთხი ბიჭი მაშინვე თოთიაურს დაეძგერა. თვალისწამში ხელები გადაუგრინეს და დერეფნისაკენ გაათრიეს.

— ხელი გაუშვით, რას ჩადიხართ! — იყვირა ნოზაძემ და თაბაგარის ბიჭებს მივარდა.

ჯერ იმის სინანულმა, რომ კომკავშირის უჯრედის მდივანი ამ დღეში ჩააგდო, მერე იმის შიშმა, — ვინ იცის, ეს გამხეცებული ბიჭები ალექსის რას უზამენო, მანგია ნოზაძე ძალიან გააჟწვარა და გააცეცხლა. დაავიწყდა, რომ ისინი ბევრნი იყვნენ. გიჟივით ებღღვნა მოძალადეებს და ვისაც კი მიატანა, ისეთი მოწყვეტილი ხელი შემოჰკრა, რომ ისინი წამიერად დაიბნენ, თოთიაურს ხელი გაუშვეს და ნოზაძეს მიუბრუნდნენ.

ამით ისარგებლა თოთიაურმა, ბიჭებს ხელიდან დაუსხლტა, კედელს მიეყრდნო და თაბაგარს უთხრა:

— ერთი ერთზე გამოდით, თუ ვაეკაცები ხართ!

— არა, ბიჭო, არ იცი, თორემ ხელთათმანს გადმოგიგდებ! — მიუგო თაბაგარმა და ფანჯარა მოხურა.

თაბაგარმა ფანჯარა რომ მოხურა, ქალები მაშინვე ოთახიდან გაიქრთნენ.

ქალებმა იცოდნენ, რა თქმა უნდა, რომ ახლა თაბაგარს ვერავითარი ხევეწა და მუდარა ვერ შეაჩერებდა.

დარბაზში მხოლოდ ერთი გოგო დარჩა, — „მოწყვეტილი ყვავილი“. კუთხეში სკამი დაიდგა და კიდევ ნაზად ჩამოგდა, თითქოს ოთახში ვარ და არცა ვარო.

— შენ რას უციდი? — შეუბღვირა თაბაგარმა.

— მაყურებინე, გეხვეწები! — უთხრა მოწყვეტილმა ყვავილმა.

თაბაგარმა ხელი ჩაიქნია და სათვალე მოიხსნა. ჯერ გულის ჯიბეში ჩაიღო, მერე ამოიღო და მაგიდაზე დასდო, ჩხუბში არ გამიტყდესო.

6

ღამის თერთმეტი იქნებოდა, „ამეთვისტოს“ სალონში დაკა-დაკა რომ დაიწყო.

7

არ გასულა ნახევარი საათი, დაბეგვლი, თავპირდასისხლიანებული თოთიაური და ნოზაძე ნური თაბაგარის ბიჭებმა ქუჩაში გამოყარეს და შესასვლელში სინათლე ჩააქრეს.

ქუჩაში თვალშეუვალი წყვდიადი იდგა. ერთი ობოლი ნათურაც კი არსად ბეუტავდა. არც არავინ სჩანდა. ამ დროს სახლიდან ადამიანს მხოლოდ დიდი გაქირვება თუ გამოავადებდა. ხმა დადიოდა, დაგვიანებულ გამვლელებს ვილაც სათოკე ბიჭები სძარცვავენო. ღმერთს

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ზაზი იმედიანი წყალში

მადლობა უთხარი, ჯიბეში ფული ან საათი თუ აღმოგჩნდა, — წაიღებენ და ჩუმად გაგეცლებიან. არადა, მაგრად დაგთეთქვავენ, ღარიბი რატომ ხარო.

ნაშინდარის აღმართზე ეტლი ვერ ადიოდა, ფეხით სიარულს კი მარტო კაცი ვერ ბედავდა. რამდენჯერ მინახავს, მაშინდავითის ქუჩის თავში აქაური მკვიდრები ერთმანეთს მოუცდიდნენ ხოლმე, სანამ რამდენიმე კაცი არ მოგროვდებოდა. მერე გულარხინად შეუდგებოდნენ ღამის წყვედილში შემძვრალ აღმართს.

ასეთი შიშინანობა იყო იმ წელიწადს, როდესაც ვაი რა ბედშავად დასრულდა ჩემი გმირების სტუმრობა „ამეთვის-ტოს“ სალონში.

სანამ კარგად სული არ მოითქმევს, ხმა არ გაუღიათ.

თოთიაურს მთელი ნახსმანი სტეხდა, ტან-ფეხი უქრიალებდა, თითქოს შიგლითონის მკეთულები ჩაუბესო. სულის-თქმა უჭირდა. ნაკვეში ფერდების ბრალი იყო.

„კიდევ კარგი, ნეკნები მთელი შემარჩინეს!“ — გაიფიქრა და თავბირზე ხელი ჩამოსვა. არა, სისხლი არ სდიოდა. მხოლოდ კისრის ძარღვები სტკიოდა რაღაც უცნაურად. სულ არ შეეძლო თავის მობრუნება. არც აქეთ, არც იქით.

ის ჩუმად მიყრდნობოდა გრილ ყოჩეს და პაპიროსის შეხვევას ცდილობდა. თითები თითქოს ხისა ჰქონდა, კაცის ნებაზე არ მიდიოდნენ.

ნოზაძე კი ტროტუარზე დამხობილიყო და კენესოდა.

რა გაწუხებსო, ჰკითხა ალექსიმ.

ნოზაძე მაშინვე გაყურდა.

— არაფერი! — სთქვა მან.

— აბა რა გაკენესებს მოსარჩენ ქალივით!

„კიდევ ხუმრობის თავი აქვს ამ გადარეულს?“ გაიფიქრა ნოზაძემ.

თოთიაურს კი უთხრა:

— რა ვიცი, რა მაკენესებს! ერთხელ რომ დაიწყე, მერე ვეღარ გავჩერდი...

ისე კი, სიმაართლე რომ გითხრა, ცოტა ქე მისაშველა ამ ხენეშა-კენესამ!

გაჩუმდნენ.

თოთიაურმა, როგორც იქნა, პაპიროსი შეახვია და გააბოლა.

— ხანდახან რა გემრიელია სისხლის თამბაქო. გინდა?

— სული მიმდის, მარა ამას ხედავ? აბა გაანათე!

ალექსიმ ასანთი ამოიღო და სამი-ოთხი ღერი ერთად გაკჭრა. მანგამ თავი წამოსწია. დახეთქილ-დასივებულ ტუჩპირზე სისხლი ისევ სწვევთავდა.

— თავური დამკრა!

— რომელმა?

— წითურმა. კაცს მაინც ჰგავდეს!

— რას იზამ, ბევრნი იყვნენ...

— ბევრნი კი იყვნენ, მარა საშავიეროდ ერთი მუშტი არ გამცდენია! რამდენს მოვიქნევდი ხელს, ვილაცას უწყველად მოხვდებოდა. — სთქვა მანგამ.

— გულს იკეთებ?

— აბა რა ვქნა, ხომ ხედავ, რას მიგავს ცხვირპირი!

— სუფთა ცხვირსახოცი მაქვს, სისხლი მოიწმინდე.

— ამას არ დავეძებ, ოღონდ ეს ხალათი არ დამხეოდა! დღეს პირველად ჩავიცვი!

— მაგას გაიანე მოუვლის. ისეთი კერვა იცის, სულ არაფერი დაეტყობა.

— რა ვუთხრა, რომ მკითხოს, ასეთი პატივი ვინ დაგდო!

— უთხარი, ნიცშეს მოციქულებმა გვცემეს-თქო...

— სირცხვილით სად გამოვყოთ თავი!

— არაფერია... ეს ამბავი, ჩემო მანგო, უბრალო შარი და ყაილა კი არ ყოფილა! ეს იყო ნამდვილი კლასთა ბრძოლა! მიხვდი? აქ დამარცხება სირცხვილი როდია! ოღონდ უკან არ უნდა დაიხიო და მტერს ზურგი არ უნდა უჩვენო! — თოთიაურს ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მისი ხმა საესე იყო რაღაც ჩუმი კმაყოფილებით, თითქოს სულ ახლახან მეტისმეტად ძნელი და უნდომი საქმე მოათავაო.

ეტყობოდა, ამ არასასიამოვნო ამბავს იგი არც ისე მწარედ განიცდიდა, როგორც ნოზაძე ფიქრობდა.



— ნუ გეშინია, ჩვენც კი ვაი-დედა
ვძახებთ! ბოლოს წაგვაქციეს, თორემ...
რამდენი საწყენი შეგახვედრე, ალექსი!
მაპატიე თუ ძმა ხარ! — უთხრა მანგიამ.

— უმსხვერპლოდ ქვეყანაზე არაფე-
რი კეთდება, ჩემო მანგო! ერთ გალახ-
ვად კი ღირს, იმ ხალხს რომ ჩამოგაშო-
რე! დიდი ხანია, აქ დადიხარ?

— შარშან ახალწლის ღამეს ერთი
გოგო გავიცანი ქართულ კლუბში...

— ანგელინა?

— მიხვდი? — ჩაიცინა ნოზაძემ. —
კარგი ნაჭერი იყო და წავეყვი, სადაც
წამიყვანა...

— ლალატი სწორედ ასე იწყება, ბი-
ჭოი ძნ ქალი გაგიტყუებს, ან ფული და
ქონება შეგაცდენს, ან კიდეც ზოგიერთს
თავის გამოჩენა რომ უყვარს, ის გადა-
ფლებს ლიანდაგიდან! იცი, კიდეც შენი
რა არ მომწონს? გოგოს შეიძლება ნ ა-
ქვ რი დაუძახო?! რას ავიჩემებია ეს სი-

ტყვა! თუ ქალის პატივისცემის
გაქვს, მაშინ რა გინდა მასთან!

— ე ბიჭო, ახლა მაინც ნუ მიკითხავ
ლექციას! ხედავ, რა დღეში ვარ! წავი-
დეთ.

ნოზაძემ კბილი კბილს დააჭირა და
წელი ძლივს აიტანა. ფეხზე რომ დადგა,
ერთი მაინც შეიკურთხა.

— გიშველო? — უთხრა თოთიაურ-
მა.

— რა მაქვს საშველი! მგონი, არაფე-
რი მაკლია. ორი ხელი, ორი ფეხი, —
ყველაფერი ზედა მაქვს!

— ამა სიარული არც მე მიჭირს!
გავსწიეთ.

ორივე სტყუოდა.

სიარული კი არა, უბრალო გაქანებაც
კი უჭირდათ, მაგრამ მალაყდნენ, ერთ-
მანეთს არ უტყუდებოდნენ.

ასეთი ბრძოლის შემდეგ კრილობები
ვის დაუთვლია, ან ტკივილი ვის აუწო-
ნია...



**ბალადა პატარა გოგოზე
ანუ:
ბიჭებო, აღარ იქნება ომი!
ბიჭებო, ომი იქნება სვალ!**

1.

დაიწყება თუ არ დაიწყება ომი, —
ამაზე ფიქრობს ახლა პრალაც და რომიც!...

ასკდება ქარი ტანმაღალ ხეებს,
ტალღები კლდეებს ღმუილით ხრავენ,
ეჭახებიან დღეები დღეებს
და იხუთება შუაში ღამე!..

ცათამდე ადის გმინვა და კენესა,
გმირთა ყიჟინაც ლაქვარდებს ერთვის!...
და ებრძვის დღესაც,
და ებრძვის დღესაც, —
კეთილი ბოროტს,
ბოროტი კეთილს!..

ბიჭებო თქვენ თუ დადგებით მტკიცედ,
ბიჭებო, თქვენ თუ იქნებით ერთად, —
არ დაიღვრება უწყალოდ სისხლი,
არ ატირდება საწყალი ღედა!..

ბიჭებო — რუსნო!
ბიჭებო — ფრანგნო!
ამერიკელო!
ქართველო!
ზანგო!
თქვენ სათითაოდ თუკი იქნებით მნდომი...
არ დაიწყება,
არ დაიწყება ომი!..

თუ არ მიხედავთ საკუთარ ბედს,
არ შეაერთებთ გულსა და ხმას, —
ბიჭებო, თუ არ იბრძოლებთ დღეს,
იცოდეთ, ომი იქნება სვალ!..

ერთგულთა ფიცით,
ვაჟკაცურ ფიცით —

აუ ერთმანეთის იქნებით მნდობი, —
არ დაიღვრება თქვენივე სისხლი,
არ დაიწყება, ბიჭებო, ომი!..

2.

შუა!
ოქროს წყალში ამოვლებული გეგონება არე-მარე!..
თეთრი შარავნის გასწვრივ
ამაყად დგანან ცისკენ ავარდნილი ხეები;
ხეთა ტოტებზე
საამო ჟივილ-ხივილით
ფათქუნობენ მხიარული ჩიტები,
უგალობენ უწყინარ ზეცას,
დაჰხარიან ცვარში შევსურებულ მიწას,
რომლის ბარაქიან მკერდზე, —
საარსებოდ კაცთა და ჩიტთა, —
მწიფდება თავთუხის ყანა!..
მოთბილ-მოგრილო ნიავი
ვეებერთელა ფრინველივით ჰფრთონავს
და ოდნავ არწევს სიმშვიდის სუფევას!..

შუის ქვეშ,
თეთრ შარავნაზე,
ცისკენ ამაყად ავარდნილი ხეების შუა —
სიმღერ-სიმღერით მითამაშობს პატარა გოგო!

უცებ! —
ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი!..
ადულდა მიწა და ცას შეასკდა
დამსხვრეული მთები!..
შერე რა მოხდა — არავინ უწყის! —
დედამიწაზე ამბის მთქმელი არ დარჩა ვაცი!..

3.

მე ასეთ ომზე ავყვირდი,
მე ასეთ ომზე ვდავობ,
თორემ შენ წმინდა ომი გაქვს —
ვიეტნამელო ძმავო!..
შენ ხომ არ იპყრობ, — შენ იცავ! —
გეყოფა კიდევ ძალა;
შენი მიწა და შენი ცა —
შენი იქნება მარად!..

4.

თუ სადმე უღვთოდ იფლიტება ქალი და ბავშვი —
მშვილობა არც ერთ ქვეყანაში არ სუფევს მაშინ!..

თუ ყველამ ერთად, თუ ყველამ ერთად,
 საკუთარი მკერდი არ შევაგებთ
 ქარს,
 რომელიც მძლავრად ესთქება დედამიწას, —
 შესაძლოა იგი ვაშლივით მოსწყდეს
 ზეს სიცოცხლისას!..
 ხოლო ვიდრე ეს მოხდებოდეს,
 ვიდრე იმ გოგონას უზრუნველად ძინავს
 მთვარისფერი საბნის ქვეშ,
 ვიდრე მზიან ტოტებზე
 ნხიარულად ჭიკჭიკებენ ოქროს ჩიტები,
 ვიდრე ზღვასავით ირწყვია
 ჩაბაზებული თავთუხის ყანა, —

ბიჭებო — რუსნო!
 ბიჭებო — ფრანგნო!
 იტალიელნო!
 ქართველნო!
 ზანგნო! —

ბიჭებო, თქვენ თუ დადგებით მედგრად,
 ბიჭებო, თქვენ თუ იქნებით ერთად, —
 არ დაიღვრება ზღვასავით სისხლი,
 არ ატირდება საწყალი დედა!..
 ერთგულთა ფიცით,
 მალალი ფიცით
 ცუ ერთმანეთის იქნებით მნდობი, —
 არ დაიღვრება თქვენივე სისხლი.
 ბიჭებო! —
 აღარ იქნება ომი!..

6. პარამონია

მზიანი ნისლი სიზმარით ირწყვია
 ქედზე, —
 თვალი ვერ გხედავს, მაგრამ სულის სურვილი გეძებს...

ამდროს ყველაფერი თავის ადგილზეა, —
 მთლიანობაა და სავსეობა ირგვლივ;
 ერთის მაგიერად ცაზე ათი მზეა, —
 განათებული ვარ, — ვით რუსთველის წიგნი!..

აღარც ომებია,
 აღარც სისხლის ღვრაა;
 ზანჯლის ბასრი პირი —
 ლამაზ სიზმრის ფრთაა!

ნუხთა ტეხა ისმის
 ჰიმნად, ლაღადებად...

დღეა —
არასოდეს
აღარ დაღამდება!..

სული აღარ გმინავს,
აღარ წუხილობს, —
როცა შენ გიყურებ —
ჯერეთ უხილავო!

ღამეც, მრუმე ღამეც
შეგებით ადესილია,
ზეცის ცხრავე კარი
ფართოდ გახსნილია, —

ფეთქავს ყველაფერი შენი გულის ძვრით —
ფიქრი როცა გხედავს მოუღწეველ მზერით...

მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე
ოდეს შენს უსახო სახეს ვხედავ ირგვლივ...
ეროის ნაცვლად ცაზე თითქოს ასი მზეა, —
ვარ განათებული, ვით რუსთველის წიგნი!..

**7. წარწერა — ამოკითხული
აკ. წერეთლის კორტრაქტზე**

ნიმუვება სადარდელი
საფიცარ—საესავის:
სახატე საქართველოს
ზეიმს ვერ დავესწარი;

გული ჩემი — მკენესარი,
მოქვითინე ჩანგია...
ამოღედი მზესავით,
ნთვარესავით ჩავდივარ!..

8. ქედის მოხრა

მე ყველა ზღაპრის ვარ გამართლებდა, —
ცისა და მიწის ვამყარებ კავშირს,
დღემდე თუ მიწას მზე ანათებდა —
დღეს მიწის შუქი აეტყორცნე ცაში.

მე ვარსკვლავებში დავრეკე ზარი
და გაუაღვიძე მთელმხარე სივრცე;
დროსა და სივრცეს გადავასწარი, —
უვალ ბილიკებს მივყვები ცისკენ.

მარდი მერანი უღრანში მიმყავს,
ქვეყანა ისმენს მის ამაყ ჭიხვინს, —
მაინც მომაუაღს ეკუთვნის სიტყვა,
ქედს მის წინაშე წინასწარ ვიხბრი!..

ჭეჭე-ჭე-ჭეი, — მაღალი მზეო!
 მომავლის ფიქრო, — ნათელო დღეო!
 პატარა გოგოს უფროსო ძმებო!
 ტანახოვანნო და ლამაზებო!
 ბიჭებო მკვიდრნო,
 ბიჭებო მკვიდრნო,
 ყველა კუთხის და ყოველი ტომის! —
 თქვენი იმედი უფრო მაქვს,
 ვიდრე
 ღმერთის, ან ეგრეთ წოდებულ ღმერთთა!..
 ბიჭებო, თქვენ თუ იქნებით ერთად,
 ბიჭებო, თქვენ თუ იქნებით ერთად, —
 არ დაიწყება,
 არ დაიწყება,
 არ დაიწყება, ბიჭებო ომი!





ივლისის ხვატმა
 ჩაიარა, როგორც სახადმა
 და მწვანე ფერი
 სანახევროდ ხეებს გახადა.
 ჩემს ძველ ბუდეში
 დამაბრუნა ცხელმა ზაფხულმა,
 ერთი კვირაა
 დედის თეთრი ფრთები მახურავს.
 ღმერთო!
 რამხელა სისარული
 სცოდნია დედის
 გულსა და თვალებს,
 როცა შენით უღიმის ბედი.
 შინაურ სახელს
 მეძახიან და იფერება
 ჟანგმოღებული
 ჩემი ყრმობის ბედნიერება.



წუთისოფლის ყველა წამი
 ნეტავ შენთან მათმენინა,
 მაცქერინა შენთვის, ღამე
 შენს თვალებში მათევეინა.
 ამიმაღლდა დაბალი ცა,
 სიყრმის ცრემლით დამასველა...
 დღეს ვინცა ვარ — დამავიწყდა,
 რაც ვიყავი გამასხენა.
 ცხელი სისხლის აყვავებას —
 შენს სასთუმალს მაზიარა.
 შენი ერთი დაყვავება
 მომირჩენდა ას იარას.
 წუთისოფლის ყველა წამი
 ნეტავ შენთან მათმენინა,
 მაცქერინა შენთვის, ღამე
 შენს თვალებში მათევეინა.

მე რომ ისე გავიღიმო,
შენ რომ იცი გაღიმება,
თვით მტერიც კი
არ მაკადრებს
მკერდზე დაშნის დაღირებას.
მე რომ ისე გავიხარო,
შენ რომ იცი გახარება,
ცას ვეწევი,
ის დიდი დღე
ჩემთვის აღარ დაღამდება.
მე რომ ისე ვიმწუხარო,
შენ რომ იცი მწუხარება,
ცერის სიმსხო
ცრემლებს ვადენ
თვით გულქვას და უკარებას.
მე რომ ისე დავიფიცო,
შენ რომ ფიცავ,
შენ რომ ფიცავ,
ჩემს სიყვარულს დაიჯერებს
საქართველოს ცა და მიწა.

შენ ხარ ჩემთან

ვწერ,
ფანჯრებს თეთრი მზე მოფრენია
და შენზე ფიქრი მიორკვეცდება...
ცა შეთვალული ატმისფერია
და ლურჯი დილა ლექსშიც თენდება.

გახარებული თვალებით ვუმზერ
აბრიალებულ ზეცის საფიროსს;
შენა ხარ ჩემთან...
და ასი მუზა
სიცოცხლის ლამაზ ფერზე ნადირობს.





დავბადებულვარ, დაბადების საწყისი თავად,
 რომ მივაწოვო ძუძუ,
 ყოველ განთიადს, დაისს,
 იდინე რძეო, შენი სისხლი,
 საითაც წავა,
 მუხლების ძალად შეჰმატებოდეს
 სამშობლოს გაისს.
 ზეციდან მოდის ჩემთა შვილთა აკვნების წყება,
 იზარდვ ბიჭო, იქნებ შენ ხარ,
 შენა ხარ იქნებ,
 ხორცი და ძვალი
 სააკაძის მოდგმის და გვარის,
 ვინ იცის...
 ძილის მავთულები ხედვაში წყდება,
 ძილ-ფხიზელ დედას შესყვია
 სურვილის ჯარი.
 და მე თუ წავალ, ხანგასული ბებერი დედა,
 (კვლავ მეთვალყურე,
 ჩემი რძეის მზისა და კვალის)
 იდინე რძეო,
 დედა ღვთისა გაგიწყრეს მაშინ,
 თუ გაამაგრო
 ცბიერების მუხთალი ძვალი.
 უკვე თენდება
 და განთიადს შინდის მკლავებზე
 ჩამოვლია
 მოცახცახე ნამის ცურები,
 ჩემთან კი ისევ იმედების აკვნებში წვეხართ
 ფიქრთა ტკივილის
 მეძუძურები.
 რა გჭირთ, ვაჟებო?!.
 ეჩქარება ხანდაზმულ დედას.

ლახვარ-ბოძალი, მრუმე სიტყვა,
 ავი ზმანება,
 თუკი სადმედან ემიზნება
 სამშობლოს ჩემსას,
 არიდვ ყველა,
 განსაცდელთა ღვთაების დედავ.
 მიეც მშვიდობა,

აფრქვიე სათი, მზის გლასები და აღმასები.
 ხოლო ნარიდი ელვა-მეხი.
 განგების დედავ,
 მოიღვ ჩემსა,
 ჩემსა, ჩემსა,
 და ჩემსა ზედა.

ჭაბუკა ამირხაჯიანი

დათა თუთაოზია

რომანი

ირაკლი ხუციანიძე

— იმ დღეს წინა ღამის ნაქეიფარი ვი-
ჭექი კაბინეტში, გაზეთებს ვათვალე-
რებდი. თავი დაბუქებულღვით მქონდა,
ძალიან უქეიფოდ გახლდით. სულაც არ
მოვიდოდი კანტორაში და რიგიანად გა-
მოვიძინებდი, მაგრამ პირველი საათის-
თვის კლიენტები მყავდა დაბარებულნი.
მათ რეა წლის მანძილზე ყველა სასა-
მართლო ინსტანცია მოევლოთ, ოცამდე
ქცევა სადავო მიწა კი ვერა და ვერ
დაესაკუთრებინათ. იმედი მქონდა, მო-
ვარიგებდი, ორივე მხარე ჩივილითა და
საქმის მოგება-წაგებით იყო დაქან-
ცული.

ის იურიდიული კანტორა ექვსი, შვი-
დი წლის დაარსებული მქონდა. მყავდა
ორი ვექილი, ერთი ნოტარიუსი, ორი
კომისიონერი, რამდენიმე უმცროსი მო-
ხელე. ვაწარმოებდი, როგორც ყვე-
ლა სახის სასამართლო საქმეებს, ისე
მსხვილ კომერციულ გარიგებათა დოკუ-
მენტაციის შედგენას და ფასეულობათა
ყიდვა-გაყიდვაშიც ვშუამავლობდი, —
საკომისიო საქმიანობას ვეწეოდი. ძა-

ლიან მდიდარი არ ვყოფილვარ, მაგრამ
იმდენი შემოსავალი მუდამ მქონდა, რომ
უღარდელად მეცხოვრა. ოცდაათოხმე-
ტი წლის უტოლშვილო კაცს, რასაკვირ-
ველია, ქეიფი, ქაღალდის თამაში, არში-
ყოზა მიზიდავდა. ეს კარგა დიდი ფული
ღირდა; მქონდა, ვხარჯავდი და არც მე-
ნანებოდა. წელიწადში ორ თვეს უტხო-
ეთში ან პეტერბურგსა და მოსკოვში ვა-
ტარებდი. ამის საშუალებას ისევე ჩემი
კანტორა მიქმნიდა, — საქმეებზე ვგზავ-
რობდი და, ამასთან არც მხიარულებასა
და გართობას ვიკლებდი. მოკლედ რომ
მოვჭრათ, ვიყავი თავისუფალი პროფე-
სიის ცნობილი მოქალაქე, შედარებით
ახალგაზრდა, იღბლიანი ადვოკატი. ის
ხომ თავისთავად იგულისხმება, რომ მა-
შინდელი თბილისის უმაღლესი საზოგა-
დოების კარი ჩემთვის ღია იყო, თუმცა
ამით იშვიათად ვსარგებლობდი და ალ-
ბათ იმიტომ, რომ ჩინებს, წოდებებს
თანამდებობებს ბავშვობიდანვე არავი-
თარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, —
ადამიანთა შეფასების საკუთარი კრიტე-
რიუმები მქონდა.

იმას ვამბობდი, — ნამთვრალევი ვი-
ჭექი, კლიენტებს ველოდებოდი-მეთქი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“
№ № 2, 3, 4, 5.

უმცროსი მოხელე შემოვიდა და მომახსენა:

— თურქეთის მოქალაქე. ეროვნებით ლაზი, მიწათმფლობელი აზნაური, ბატონი არზნევ მუსკია — მახვილი ა-ზე: მუსკია!

— არზნევ მუსკია? მახვილი ა-ზე?

— დიახ, ბატონო.

— რა საქმეზეა?

— დაინტერესებულია საბალ-ვენახო მამულების შექენით ქართლსა და კახეთში.

ასეთ გარიგებებს, უმთავრესად, სათავაღანაურო ბანკი აწარმოებდა და გამიკვირდა, რომ კლიენტმა ჩემს კანტორას მოაკითხა. მეორე მხრივ, საოცარიც არა იყო რა: მე ხომ მზარდი პოპულარობის მქონე დაწესებულების პატრონი ვიყავი და ამ კლიენტის მხოლოდ მოსვლაც კი იმას ადასტურებდა, რომ სერიოზული ფირმის სახელი მიმტაცებოდა.

— შემოიყვანეთ ათი წუთის შემდეგ! — ასე იყო საჭირო ფირმის ღირსებისთვის, თორემ, ისე დავინტერესდი ბატონ მუსკიას ნახვით, რომ იმ ათი წუთის მოთმენა ძლივს შევძელი.

საკითხი ეროვნულ ინტერესებსაც ეხებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი თავაღანაურობა ჩალის ფასად ჰყიდდა თავის მამულებს. მყიდველების დიდ უმრავლესობას უტკბო ტომის კაპიტალისტები შეადგენდნენ. თუ იმდენს მოვახერხებდი, რომ რომელიმე დეგრადირებული თავადის მიწებს გასხვისებისგან ვიხსნიდი და ამ ლაზს შევასყიდინებდი, მაშინ საკუთარ თავს ღირსეულ კაცად ჩავთვლიდი. პატრიოტული განწყობილება დამეფულა. მეხსიერებაში ვიქექებოდი, ვიხსენებდი, თუ რა შემეძლო მიმეთავაზებინა ჩემი ერის საკუთრების ამ, ციდან მოვლენილი, მხსნელისთვის. თან იმისთვისაც ვემზადებოდი, რომ ღირსეულად, დარბაისლურად დავხვედროდი, კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა პატრიოტულად განწყობილ მდიდარ მამულიშვილზე.

მოხელემ კარი შემოაღო, ლაზი შე-

მოუშვა, თავადაც შემოჰყვა, სტუმარი წარმომიდგინა. საწერ მაგიდას გამოვცდი, ხელი გავუწოდე:

— ვეჭილი, თავადი ხურციძე, დაბრძანდით, ჩემო ბატონო. მზად ვარ გემსახუროთ! — მოხელეს ვანიშნე, თავისუფალი ხარ-მეთქი.

სტუმარი სავარძელში ჩაჯდა, მე მაგიდას დაუღებუნდი. ბატონმა არზნევ მუსკიამ ერთი-ორჯერ თვალი-თვალში გამიყარა, თავი ჩაქინდრა და, ალბათ, რალაც ფიქრებს გაჰყვა. კომერსანტები და სხვა ფულიანი კაცები საქმიანი საუბრის წინ ხშირად განსჯას ეძლევიან ხოლმე და სტუმრის დუმილი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ, როცა სტუმარმა დუმილისა და ფიქრის ყოველგვარ ნორმებს გადააჭარბა, მომეჩვენა, რომ სიჩუმის დაუძრევლობა თავაზიანობის ნაკლებობაში ჩამომერთმეოდა და მოკრძალებით მივმართე:

— ბატონო არზნევ მუსკია, მე გულდამით ვისმენთ! ჩვენ თანამემამულეები ვართ; ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი მონაწილეობა მივიღო თქვენს კეთილშობილურ წამოწყებაში.

სტუმარი დამაკვირდა, ოდნავ, ძალიან კეთილგანწყობილად გამიღიმა და თქვა:

— მე იმ საქმეზე არ ვარ მოსული, თქვენ რომ მოგახსენეს მათ. სხვა საქმეზე ვარ მე.

როცა აღამიანი ათი წუთის განმავლობაში საბალვენახო მიწების ყიდვა-გაყიდვისთვის ემზადება და მოულოდნელად გაიგებს, რომ ზილი და ღვინო არაფერ შუაშია, ცხადია, დაიბნევა.

— გისმენთ, ბატონო! — ძალისძალოდ ამოვდერდი.

სტუმარი დაფიქრდა, რალცნაირად დაიძაბა. მერე კიდევ ერთხელ მესროლე თვალი, ადგა, ჩემი მაგიდის გასწვრივ გაიარ-გამოიარა. იმის შემზებავეს, მეგონა, რომ იქ სულაც არ ვეგულებოდი. აქლემის ბეწვის ჩოხა ეცვა, ძალიან ძველებური იშვიათი ნაკეთობის მასრებითა

ბაბუა აპირაჯიზი

დათა თუთაზიზი



და ქამარ-ხანკლით დამშვენებული. ხნო-
ვანებით ჩემი ტოლი იქნებოდა. მამაკა-
ცურად ლამაზი იყო. დიდრონ და კამკა-
მა ცისფერ თვალეში იღვმალი, ძლივს
შესამჩნევი სევდა ედო. პირის კანის სი-
თეთრეს ღია ფერის თმა უსვამდა ხაზს...
უტბად შეჩერდა, სწრაფად, საქმიანად
ჩაეშვა სავარძელში და მშვიდად მომ-
მართა:

— ბატონო ვეჟილო, მე ისეთ საქმე-
ზე ვარ მოსული, არც თქვენ თვითონ და
არც თქვენს კანტორას რომ არ გაუკე-
თებია, ალბათ. ამ საქმეზე ვერ იტყვიან
კაცი, საქმეაო. მეგობარი გყავთ თქვენ
ქუთაისში, — ელიზბარ ქოჩაიძე; მას-
თან მოვითათბირე ჩემი სურვილი. იფიქ-
რა და თქვენთან მომასწავლა, მოელა-
პარაკე, ეგებ მან იკისროს შენი გულის-
ნადღების გასწორებაო. მოვედი აგერ.

სტუმარი კვლავ დადუმდა.

არ დავმალავ, ამ კაცმა თვისი გარეგ-
ნობით შემოსვლისთანავე მომაჯღაღოვა,
მაგრამ მისი მოსმენის შემდეგ თავი ისე
ვიგრძენი, თითქო ყელზე ქამანდი მომ-
დეს, საითღაც მიმარბენინებდნენ და მე
კი წინააღმდეგობის გაწევასაც არ ვაპი-
რებდი. პირიქით, მსიამოვნებდა, რომ
გილცამ დამატყვევა და მალე სტამბო-
ლის ბაზარზე სამამულქოდ გავიყიდე-
ბოდი.

— სახელი არ ვიცი იმ საქონლის მე,
ყიდვა რომ მიწდა, — თქვა სტუმარმა. —
ალბათ, ღროს ტარება ქვია... ქეიფი, თა-
მაში, ქალის სიყვარული! რა ვიცი, რა
ვთქვა კიდევ. უდარდელი ცხოვრებაც
ქვია იმას. გამიგეთ, ალბათ.

ძალიან გამიკვირდა, უნებლიეთ ქუ-
თუთოებიც კი ამიფახუნდა, ღმერთმანი!
როცა გონს მოვეგე, ნათქვამის არსს ჩა-
ვეჭიდე და გამეცინა; იმიტომ გამეცინა,
რომ ამ კაცმა მიკარნახა სრულიად ახა-
ლი რამ:

შეიძლებოდა ისეთი კანტორის დაარ-
სება, რომელიც ადამიანებისგან მსგავს
შეკვეთებს მიიღებდა.

— კაცმა რომ თქვას, — მივუხე სტუ-
მარს, — თუკი ნივთიერი ღირებულებე-
ბის შექენაში ვეხმარებით კლიენტებს,

სხვა სახის ღირებულებების შექენაში
რატომ არ უნდა ვეხმარებოდეთ? —
ნისთანა მუშტარი ჩემს კანტორას, მართ-
ლაც, არასოდეს ჰყოლია და ამიტომ მაგ
წინადადება მით უფრო დამაინტერესა.
ეგ არის, ამგვარი საქმეების წარმოება-
ში არაეითარი გამოცდილება არ გამაჩ-
ნია... თვითონ როგორ ხედავთ საკითხს,
როგორ გგონიათ, რა უნდა მოვიმოქმე-
დოთ, რომ სურვილი დაგიკმაყოფი-
ლოთ?

— მოფიქრებული მაქვს ეგ. მოგახსე-
ნებთ და თუ მოგეწონებათ ჩემი აზრი —
ხომ კარგი და თუ თქვენ უკეთეს საშუა-
ლებას მონახავთ, თანახმა ვიქნები მე.
ელიზბარ ქოჩაიძემ თქვენთან მიტომ
მომასწავლა, რომ რასაც თქვენ ყიდუ-
ლობთ ცისმარეს დღეს, იმის ყიდვა მიწ-
და მეც. დავდებ ფულს წინასწარ. წინას-
წარ იმისთვის, რომ კაცმა არ იცის, რა
დაჯდება ის ჩვენი შენაძენი. სადაც წახ-
ვალთ — წამიყვანეთ მეც. ვისთანაც
ატარებთ ღროს — გამაცანით ის ხალხი.
თუ მოგხვდით ერთმანეთს ხასიათით,
თუ დავამხანაღდით და დავმეგობრდით,
იმას გავაკეთებთ მაშინ, რაც ორივეს
გვესიამოვნება და გავგახარებს. ჩემი
საქციელით არ შეგარცხვინოთ, მგონია,
და უხერხულ მდგომარეობაში თუ ჩაგა-
ყენეთ როდისმე, რა ქნას კაცმა, საქმე
გექნებათ ნაკისრები და საქმემ ყველა-
ფერი იცის, — უხერხულობაც და სხვა
ისეთიც, პირადად რომ არ მოგეწონოთ,
გეხამუშოთ ან სათაკილოდ გაგიხდეთ,
იქნება, რამე. თქვენ თვითონ თუ არ
გცალიათ, ან გული არ მოგიწევთ ჩემს-
კენ, მომიჩინეთ მაშინ ვინმე, კაი წესიე-
რი და შესაფერი კაცი, ჩამაბარეთ მას
და მან იკისროს ჩემი სურვილის ასრუ-
ლება.

რალაც გაუგებარი, ბუნდოვანი სიხა-
რულით ვისმენდი. ასე დიდ და ღრმა
ცნობისმოყვარეობას, სულის შემძვრელ
ინტერესს იშვიათად შევეუპყრია. ბა-
ტონ არზნევ მუსკიას წინადადებაში სა-
ოცარი მიმზიდველობა იყო. მზად ვიყა-
ვი, მაშინვე მიმეცა თანხმობა, მაგრამ
ჩვენი პროფესია დაუფიქრებელ, განუს-



ჯელ მოქმედებას, ცნობილია, ვერ იტანს და გაბრუნებას თავი დავაღწიე თუ არა, მიღებული წინადადების აწონ-დაწონ-ვას შევეუდექი.

სიჩუმე იყო. არზნეე მუსკია ჩემს პასუხს მოთმინებით ელოდა. მოხელე შემოვიდა, მომახსენა, მიწებზე მოდავე კლიენტები გაახლნენო.

— მოიცადონ, ჯერ არ მცალია!.. — მოხელე გავიდა. მუსკიას მივუბრუნდი: — არ დაგიმაღავთ, თქვენ, როგორც პიროვნებამ და თქვენმა წინადადებასაც, დიდად დამიანტერესა, მაგრამ არის შემადგურებელი გარემოებებიც: იმისთვის, რომ თქვენნი ხარჯი გამართლებული აღმოჩნდეს, შედეგი რომ სრულფასოვანი იყოს, საჭიროა ერთმანეთი მოგვწონდეს, ერთად ყოფნა გვიხაროდეს. გესმით? აღამიანები დროს მეგობრებთან... როგორ გითხრათ... ერთი სიტყვით, სასურველ პირებთან ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროს ტარება ტვირთად, თითქმის ძალადობად იქცევა ხოლმე. მე თქვენ უკვე მომწონხართ და ის კი არ ვიცი, შესძლებთ თუ არა თქვენ ჩემთან ურთიერთობას, გასიამოვნებთ თუ არა ჩემი საზოგადოება? ახლა მეორე: რაც არ უნდა იყოს, მე ჯერ ქართველი კაცი ვარ და შემდეგ ვექილი. ცუდად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვატაროთ დრო ერთად, ხოლო ხარჯი თქვენ, ჩემმა სტუმარმა გასწიოთ.

— ხარჯს თქვენ გასწევთ, ჩემო ბატონო. დაივიწყეთ, რომ ფული ჩემია და ხარჯეთ, როგორც გენებოთ. მეც მომწონხართ, სიმართლეს ვლაპარაკობ, და თვითონაც ვეცდები კაი მეგობრობა გაგიწიოთ. ორივეს გვესიამოვნოს, მგონია, ერთად დროს ტარება. ერთია კიდევ: ჩვენი გარიგება საიდუმლოდ უნდა დარჩეს ყველასთვის. აუცილებელია ეს. სხვებისთვის მე სტუმრად ჩამოსული თქვენი მეგობარი უნდა ვიყო. რამდენი ხანი დაჰქირდება ამ ამბავს — არ ვიცი, მაგრამ თქვენ რომ წამიყვანოთ, იმ ადგილებში და იმ ხალხში, ფეხს როცა მოვიკიდებ კარგად, აღარ შეგაწუხოთ იქნება მერე, თქვენ თვითონ თუ არ გე-

სიამოვნოთ ჩემს გვერდით ყოფნასთან. საქმე გამოგინდეთ რამე. დიდხანს ვერც მე მოვიცილი, ალბათ. ენახებთ და გამოჩნდება. წავალ აწი მე. მოუფიქრებლად პასუხს ვერ მომცემთ, ვიცი, და ნაჩქარავი დასტური თუ უარი, არც მე მინდა მივიღო.

არზნეე მუსკია ადგა, ქამარ-ხანჯალი შეისწორა.

— როდის გეახლოთ, თავადო, კიდევ?

ფიქრებს თავი დავაღწიე, სტუმარს გავუღიმე. მე უკვე თანახმა ვიყავი მეკისრა მისი საქმე. საუბრის მანძილზე უარის თქმა ერთხელაც არ მომსვლია აზრად. დაუყოვნებლივ დასტურის მიცემისგან თავი ძლივს შევიკავე და მივუხევი:

— ზვალ, ბატონო არზნეე. ასე, ოთხი საათისთვის.

— ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ. ზუ მიიღოთ ჩემი წინადადება, მაშინ გარიგების საბუთი შეადგინოთ, უნდა. ეგ საბუთი ჩემთვის საჭირო არაა არაფრად, მარა თქვენთვის საჭირო გახდეს, იქნება, ისეთ ცხოვრებას ვაპირებთ მე და თქვენ ერთხანს, რომ შეიძლება ხიფათი გამოვიდეს რამე: ჩხუბი, სროლა, ან რა ვიცი რა, და კანონის წინაშე ჩვენ მუშტარი და ფულად მასპინძელი უნდა ვიყოთ. შფოთიანი და მოჩხუბარი არ ვარ მე. არ მგონია, უსიამოვნებას გადავეყაროთ რამეს, მარა მაინც იცოდეთ ერთი: რაც არ უნდა მოგვიხდეს, მარტო მე ვიღებ თავზე ყველაფერს კაცების, ღმერთის და კანონის წინაშე. სიტყვა გითხარით მე! კარგად ბრძანდებოდეთ, ირაკლი-ბატონო. მოვალ ზვალ დანიშნულ დროს.

გულთბილად დაეშორდით ერთმანეთს. არზნეე მუსკიას ჩემზე კლიენტის შთაბეჭდილება არ მოუხდენია. რამდენჯერმე ვუხმე პროფესიულ ჩვევას, — ფხიზელი მიდგომის პოზიციას, — მაგრამ ეს არის ეხლა წასულ კაცში მუშტარი ვერა და ვერ დავინახე. რა ფიქრსაც არ უნდა მივცემოდი, გული ყოველ-

პაპუა ამირაჯიბი
დათა თუთაშვილი



თვის ერთსა და იმავეს მკარანახობდა: მოვიდა შენი ტოლი კაცი, სანდომიანი, თავაზიანი და, როგორც ჩანს, საინტერესო პიროვნება. ქეიფი და დროს ტარება სურს თბილისში, — თავისი სამშობლოს დედაქალაქში, დანტერესებულია რიგიან საზოგადოებაში ყოფნით. მე მაინც უღარდებლობად და ხარჯად ქცეული კაცი ვიყავი; რატომ უნდა ვადამხმდევინებინა ფული სტუმრისთვის იმაში, რასაც ეძებდა, მით უმეტეს, რომ ეძებდა იგივეს, რაც მე ყოველდღე მჭონდა და ჩვენი ერთად ყოფნა ჩემს ხარჯებში საგრძნობ ცვლილებას ვერ შეიტანდა. ერთადერთი, რამაც ცოტათი დამაფიქრა, — გარიგების საბუთი იყო. ცხადია, არზნევ მუსკიას ის საბუთი ჩემი უსაშიშრობისთვის სჭირდებოდა, მაგრამ ბუნებით დარდიმანდი კაცი ვიყავი, თავის დასაზღვევად რაღაც საბუთების მოშველიებას არასოდეს ვიკისრებდი. ან ისეთი რა უნდა დაგვეშავებინა, რომ ჩემი ვაგლენისა და ნაცობ-მეგობრობის პატრონს, რაიმე საქმე გავერთულებოდა და სერიოზულ უსიამოვნებაში ვავხვეულიყავით? თუმცა გარიგების საბუთის შედგენაში რეალურ საქიროებას ვერ ვხედავდი, მაგრამ არც შეუდგენლობა შეიძლებოდა: არზნევ მუსკია ისეთი კაცი ჩანდა, თავისი სურვილის ჩემ ფულად შექენაზე არ დამთანხმდებოდა. ერთხანს ვიყოყმანე ამაზე. ბოლოს, გადავწყვიტე საბუთი შემედგინა, ერთი პირი მუსკიასთვის ჩამებარებინა, ხოლო მეორეთი არც ერთ შემთხვევაში არ მესარგებლა და საქმის დამთავრების შემდეგ ფულიც დამებრუნებინა.

მიწის ნაკვეთებზე მოდავეები მივიღე, საათნახევეარში თუ ორ საათში, თათქმის კმაყოფილები გავისტუმრე და არზნევ მუსკიასთან გარიგების საბუთის შედგენას მივყავი ხელი.

მეორე დღეს ჩემი ახალი კლიენტი დანიშნულ დროს მეწვია, ღიმილით შემოვიდა. ისე იღიმებოდა, თითქოს თავისი წინადადებისა და საქმისა ეთაკილებოდა. ევროპულად ეცვა, ყველაფე-

რი კოხტად მომჯდარ-მეწვივეს ჰქონდა.

გარიგების საბუთი გულდასმით წაიკითხა, თანხმობის ნიშნად თავი დაიქნინა და მკითხა:

— თანხის ჩასაწერად ადგილი არის გამოტოვებული აქ. რამდენი ვნებავთ, რომ შემოვიტანო?

გამეცინა.

— მე მანეთსაც არ გამოგართმევდით, მაგრამ ეხედვ, თქვენი ნებიდან გადასვლას ვერ მოვახერხებ. რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ, იმდენი იყოს.

— ოცი ათასი თუ კმარა? ოცდაათი მაქვს თან სულ. ათ ათასს დავიტოვებ, იყოს მაინც.

— როგორ ბრძანეთ?.. — გამიკვირდა, რადგან ოც ათასად იმ დროში კარგა მოზრდილი მამულის შექენა შეიძლებოდა.

— მე მინდა, თავადო, თავისუფლად ვიყოთ სულ.

კიდევ კარგი, რომ ეს გულუბრყვილო კაცი ჩემთან მოხვდა, თორემ სხვებში, ღმერთმა უწყის, რამდენ ფულს დასციცლავდნენ-მეთქი, გავიფიქრე.

— არა, ბატონო არზნევ, შემოიტანეთ სამი ათასი. თუ არ იკმარა, კიდევ შემოიტანთ.

— იაფი ყოფილა ჩემი საქონელი, — ჩაილაპარაკა მუსკიამ, უბიდან ფული ამოიღო და მაგიდაზე დამიდო.

თანხის ოდენობისთვის გამოტოვებული ადგილი შევავსე, მუსკიამ საბუთს ხელი მოაწერა, თავისი ასლი შეინახა. ლამაზი, მკაფიო კალიგრაფია ჰქონდა, მაგრამ სიმშვიდეს მოკლებული, ოდნავ მღელვარე.

— ბატონო არზნევ, ამიერიდან ჩვენი გარიგება ძალაშია! — საზეიმოდ განვუცხადე მუსკიას, ზარი დავაწკარუნე, მსახურმა შამპანური და ფისტი მოგვართვა.

საცობი ჰერს მოხვდა. ქაფი უშუშასა და ქათქათა ხელსახოცს შორის ჩაიღვარა.

— ეუსურვოთ წარმატება ერთმანეთ-



სა და ჩვენს, ამერიიდან, საერთო საქმეს! — მუსკიამ ჭიკა მომიჭახუნა.

მსახურმა სალაროს საშემოსავლო ქვითარი მოართვა ბატონ არზნევ მუსკიას.

— ევროპული ტანისამოსის საქმე როგორ გაქვთ?

— ოთხი ხელი შევაკერინე პაპერნოს, რომ ჩამოვედი, მაშინვე. თუა საჭირო კიდევ ან უკეთესი იყოს იქნება, კარგი ოსტატი სხვა. შევიკერავ, მაგრამ როდის, რა ადგილებში და რომელი უნდა ჩაიცვას კაცმა, ამას თქვენ მიკარნახებთ მერე და მერე.

— საუცხოოდ არის შეკერილი და რაოდენობითაც სრულიად საკმარისია. სად გაჩერდით, ბატონო არზნევ?

— ვეტყულის სასტუმროში. პირველი სართულია, მეოთხე ნომერი.

— მაგ ნომერში, ამ ერთი თვის წინ, მუსიე დორნიე იდგა, — ფრანგი სოვდაგარი და ნავთის მრეწველი. მოხერხებული ნომერია. როდის და საიდან მივუდგეთ საქმეს, ბატონო არზნევ?

მუსკიამ გაიღიმა და თქვა:

— მაგ თქვენ უფრო მოგეხსენებათ, ირაკლი-ბატონო. აგერ ვარ მე და ყველაფერში რომ მოგყვებით და მხარს მოგცემთ, დაინახავთ ამას...

თეთრი ჩვეული

...ამგვარად ჩვენი ხელშეკრულება ძალაში შევიდა და არზნევ მუსკიას გასართობად რაიმე უნდა გამომეგონა. ეს არ გამიძნელდებოდა, მაგრამ ამ უჩვეულო საქმისადმი დამოკიდებულების შემუშავება გამიჭირდა: ერთი მხრივ, არზნევ მუსკია დამკვეთი, მუშტარი იყო და მისი ფულების განიავებას მისთვის დადებითი შედეგი უნდა მოეტანა; რწმუნებულით, რწმუნებულის ურთიერთობებით, აქედან მოპოვებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილი უნდა დაბრუნებოდა იმ გარემოცვას, საიდანაც მოვიდა. ეს ხელშეკრულებაში „შემსრულებლად“ წოდებული მხარის, ესე იგი, ჩემს მოვალეობას შეადგენდა. მეორე მხრივ...

ჩვენ სულ ათიოდე დღე დაეკვირვებოდით ერთად. არზნევ მუსკიამ გუთანინობის დამიარა და თვალს მიეფარა, მაგრამ ეს გულთამყრობელი კაცი დღემდე ჩემი ცნობისმოყვარეობისა და დაუქმყოფილებელი ინტერესის არეში იმყოფება.

აბა, მხედავთ, რომ ღრმად მოხუცებული კაცი ვარ. მეხსიერება შემარჩინა მაღალმა ღმერთმა, ვერ ვიჩივლებ. ყველაფერი მახსოვს და, მიუხედავად ამისა, თხრობა კი არა, რვეულები უნდა შემოგთავაზოთ... ერთი, მაგ უჯრას გამოსწიეთ, გეთაყვათ... დიახ, მაგას... მანდ რვეულებია, ნაირფერი... ძველი რვეულები, თხელტანიანი... ჰოოო! ეგენი!.. გმადლობთ, ყმაწვილო! ამ ნაწერებს, ალბათ, უფრო რიგიანად ახსოვთ, რაც იყო. თავის დროზე... ეჰ, ვწერდი ხოლმე, — განა გამოსაქვეყნებლად... არა. მსიამოვნებდა იმ ამბებისა და კაცის გახსენება და ვწერდი. აი, როგორც ახალგაზრდობას იგონებენ ხოლმე და სიამოვნებთ, ეგეც ეგრე იყო. დაბრძანდით მანდ, წაიკითხეთ. თუ გნებავთ, გადაწერეთ კიდევ. ჰო, ეგრე. აი, მანდ დაბრძანდით და... ცოტას დავისვენებ, თორემ დავიღალე, ეეეჰ! სიბერემ იცის ესა.

მსახურმა კარი შემოაღო, არზნევ მუსკიას გამოსცდა, ვიღაცის საღარბაზო ბარათი მაგიდაზე დამიღო. ფიქრში ვიყავი, არც საღარბაზო ბარათისთვის მიმიქვევია ყურადღება და არც მსახურისთვის. მსახური მიმიხვდა, — იმ წუთში საფიქრალი მქონდა, ვერავის მივიღებდი. ფეხაკრფითვე გავიდა...

...მეორე მხრივ, მე ამ კაცთან მეგობრული ურთიერთობისა და დროს ტარებისკენ მიმიწვედა გული მაშინ, როდესაც მას იქნებ რაიმე საგანგებო განცდები სჭირდებოდა და ეს კი ჩემი ყოველდღიური ცხოვრებიდან, შესაძლოა,

ზაზუა პირიჯიბი
დათა თუთაშვილი

ვერ მიეღო. გამოდიოდა, რომ არზნევ მუსკია, როგორც კლიენტი იქნებ უკმაყოფილოც დამრჩენოდა...

— ირაკლი-ბატონო, — მითხრა მუსკიამ ამ დროს, — დღეს საღამოს სად აპირებთ წასვლას?.. წამოვალ მეც იქ, თუა შესაძლებელი ასე. საგანგებოდ ჩემთვის ნუ მოიგონებთ ნურაფერს, მირჩევნია მე.

— ღმერთი შენ გიშველის, — სინჯრულით დავეთანხმე. — სწორედ მაგაზე ვფიქრობდი. მეც ეგრე მირჩევნია... გაიგონე? შენაობით მოგმართე. ახლო მეგობრები ვართ. ხომ ასეა?

— მასეა, — სიცილით დამიდასტურა მუსკიამ. — აწი, წავალ მე. სამსახურში ხარ და... როდის და სად ვნახოთ ერთმანეთი?

ის რომ ამას მეუბნებოდა, მე სადარბაზო ბარათს შეევალე თვალი. ჯერ იყო და გამიკვირდა, რომ სადარბაზო ბარათი ქალისა იყო. ასეთი რამ არსად შემხვედრია. მერე ბარათის პატრონის ვინაობას დავუფიქრდი და რალაც მენიშნა, სტუმარს პასუხი ოდნავ შეუღვევიანე.

— მოიცადე, არზნევ, პატარა ხანს... ზარი დავაწკარუნე, მსახური შემოვიდა.

— ეს ქალბატონი რა ხნის იქნება, ვასილიჩ?

— ასე, ოცდათხუთმეტის, მაგრამ კარგად არის შენახული, ოცდარვა-ცხრას თუ მისცემს კაცი.

— კარგი, წადი. დაგიძახებ.

მსახურმა შამპანურის ბოთლი და ჭიქები გაიტანა.

ერთი დავთარი მქონდა, — ყოფილი და მომავალში შესაძლებელი კლიენტების სია. გადავშალე. ბატონი შირერიც მეწერა, რამდენიმე თავყელიშვილიც და ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისაც! სხვა საქირო ცნობებიც იყო: მისამართები, უკრავ-მოდრავი ქონება, საქმიანობის სფერო, კაპიტალი... დავთარში იმიტომ ჩავიხედე, რომ მეხსიერების შემოწმება მჭირდებოდა, თორემ ნანო თავყელიშვილს ბავშვობაშივე ვიცნობდი. ახლა

კი, ერთი წლის წინ იყო, მიმიპატივე კიდეც, ჩანს, ურთიერთობის სურვილით, მაგრამ რალაც მიხეხუნის გამო ვერ მოხერხდა ჩემი სტუმრობა და ბოლოს ბოდიშის შეთვლა მომიხდა.

სადარბაზო ბარათი არზნევ მუსკიას გავუწოდე.

— წაიკითხე.

ლაშმა ბარათი გამომართვა, ხმით წაიკითხა. გამიკვირდა, რომ თურქეთში მცხოვრები კაცი რუსულს თავისუფლად კითხულობდა და, სიმართლე ეთქვა, აქცენტიც, მგონი, ჩემზე ნაკლები ჰქონდა.

— ეგეთი გამართული რუსული სად ისწავლე?

— მასწავლეს ბავშვობაში. მერე ყუბანზე ვიყავი კაი ხანს. ენა გავიტეხე იქ. რუსული წიგნების კითხვაც მიხდებოდა ხანდახან, თუარა გიმნაზიაში არ ვარ ნამყოფი მე.

ამან უფრო გამაკვირვა: არზნევ მუსკია განათლებული, არისტოკრატიულ ყაიდაზე აღზრდილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მართალია, მე მისი ერულიციისა და ცოდნის დადგენას სულ ორიოდ დღის ნაცნობობაში რას შევძლებდი, მაგრამ ურთიერთობის პროცესში ჩანს ხოლმე, თუ ვინ რას წარმოადენს ამ მხრივ...

— ვინაა ეს ქალი?

— როგორ ვითხრა. ბავშვობაში ჩვენს ოჯახებს ერთმანეთში სტუმარ-მასპინძლობა ჰქონდათ. მე და ეს ქალი ტოლები ვართ, ხშირად ერთად გვითამაშია. გიმნაზია დაამთავრა თუ არა, ოჯახიდან გაიქცა, მაგ შირერს გაჰყვა. შირერი რომ იყო ამ რამოდენიმე წლისწინლა გავიგე, არ ვიცოდი. არც ის ვიცი, — იქნებ გაყოლით სხვას გაჰყვა და მერე მაგას შეეყარა? ერთად კი დაბრუნდნენ და. ერთი სიტყვით, ეგ შირერი უცხოელი კაპიტალისტი და ამჟამად საკმაოდ მსხვილიც. მაშინ, ასე, ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი წლის კაცი იქნებოდა, თუ ეგ ის არის, ვისაც ნანო წაჰყვა. წაიყვანა ეს გოგო ევროპაში, უმაღლესი განათლება მისცა, მგონი უენევის უნი-



ვერსიტეტი დამთავრებინა. იქა ცხოვრობდნენ, თბილისში მათი დიდხანს არა ისმოდა რა. ამ ოთხი წლის წინათ დაბრუნდნენ. შირერმა ზაქათალის, კახისა და კობახჩოს მიდამოებში დიდი ტყეები იყიდა. სულ კაკალი და მუხაა. ხე-ტყის მრეწველია შირერი. ზაქათალაში სახლი აიშენეს. აქ, სოლოლაკში, სომხისგან მეორე, უფრო დიდი სახლი იყიდეს. ორივე მდიდრულად აქვთ მორთულ-მოწყობილი. უშვილოები არიან. ეს ქალი წელიწადში ექვს თვეს თბილისში ცხოვრობს. დანარჩენ დროს ზაქათალაშია ან მოგზაურობაში ატარებს. ასე. ეხლა, წრე... — დავთარში ჩავიხედე. — ვიწრო წრეში ტრიალებს. დიდგვაროვან ოჯახებს ერიდება, ვაჟარ-სოვდაგრებს ახლო არ იკარებს. კარგი, კიდევ რა ვიცი ამ ქალბატონისა? აჰა, აი, მდგმურები არა ჰყოლია. ორი ლაქია, ორი დამლაგებელი, ერთი ხელზე მოსამსახურე გოგო, ერთიც მზარეული... მზარეული, სახელად ყათრანა! კაცო, ქმარი თბილისში იშვიათად ჩამოდის, ამოდენა სახლში მარტოა ხოლმე?! მათ საქმეებს შახპარუნოვის იურიდიული კანტორა აწარმოებს... მით უფრო მოულოდნელია ამ ქალბატონის ჩემთან მობრძანება!

— კაი, აბა. წავალ მე... — მუსკიამ სადარბაზო ბარათი გამოიწიოდა.

— არა, თუ გადაუდებელი არაფერი გაქვს, მოიცადე, არზნევ. ჩვენი ხელშეკრულების თანახმად შეგიძლია ამ მიღებასაც დაესწრო, მაგრამ არის ერთი დელიკატური გარემოება... ადვოკატებთან, უმრავლეს შემთხვევაში, რაიმე საიდუმლოთი მოდიან. საიდუმლო როგორ?.. პირისპირ სალაპარაკოდ მოდიან. აგერ, უკანა ოთახში შედი. კარი ოდნავ ღია დატოვე. კარადა გამოაღე, იქ სასმელიც არის და საქმელიც. თავი შეიქციე, თან ყური გქონდეს, იქნებ შენთვის რაიმე საინტერესო გაიგონო. მოდი, თორემ ქალბატონს ლოდინი მოგზრდება...

— უხერხული ხომ არაა ჩემი იქ ყოფნა, ირაკლი?..

— ნუ სწუხარ, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენებ. ჩვენს ხელშეკრულებაში ეს მომენტიც იგულისხმებულია. არზნევ მუსკია გავიდა, მსახურს ვუხმე, ქალბატონის შემოყვანა ვანიშნე.

ქალბატონ თავყელიშვილ-შირერისაზე გადაშლილი დავთარი დავხურე, თაროსკენ წავიღე. სანამ საწერ მაგიდას დავუბრუნდებოდი, კარი გაიღო, ზღურბლი ქალბატონმა ნანომ გადმოიარა. მივესალმე, სავარძელში ჩაჯდომა ვთხოვე, მეც დავჯექი. სავარძლებს შუა დაბალი მრგვალი მაგიდა მედგა. ზედ პაპიროსების ლამაზი ყუთი იყო. ხუფი ავხადე, ინებეთ, თუ ეწვეით-მეთქი.

— გამადლობთ. ძლიერ იშვიათად ვწემაშინ ვწევ, როცა ძალიან კარგ გუნებაზე და ძალიან მზიარულად ვარ, — ღიმილით თქვა ქალმა.

— გამოდის, რომ კარგ გუნებაზე ძლიერ იშვიათად ხართ ხოლმე!

— ძალიან კარგზე?.. რა თქმა უნდა! განა ყველა ასე არ არის?

ბავშვობა და ჩვენი ოჯახების ურთიერთობა მოვიგონეთ. მიცვალებულები და ცოცხლები ვახსენეთ. მერე სიტყვიერადაც მოვიხადე ბოდიში, რომ მიპატიებოდა გავუწბილე. ახლა ქმრისა და ოჯახის საქმეები ვიკითხე. შემდეგ ორიოდ ახალი ამბავი ვთქვით და ამ თავაზიანობებს პატარა პაუზა მოჰყვა.

ქალბატონ ნანოს ერთობ სადად ეცვა. მისი წოდების მანდილოსნები სამკაულებს ეტანებოდნენ. ამას მხოლოდ ნიშნობის ბეჭედი ეკეთა არათითზე და ოქროს ძეწკვი ყელზე, რომელიც, ალბათ, მკერდში ჩამალული პატარა საათით მთავრდებოდა. ეგ იყო და ეგა.

— რისთვის შეწუხებულხართ, ქალბატონო ნანო? — სიჩუმე დავარღვიე. — თუ საქმეზე?.. უნდა შემოგეთვალათ და შინ გეახლებოდით.

— რას ბრძანებთ!.. გარდა მაგისა, მე კანტორაში მოსვლა მერჩივნა.

ნანომ რალაც დაირცხვინა, იმავე წამს

ზაზუნა აშირაჯიზი
დათა თუთაშვილი



თავს დაეუფლა და ღიმილითვე განაგრძობ:

— იმედი მაქვს, ამ სახლს საიდუმლოების დაცვა შეუძლია...

— აგერ, ცეცხლგამძლე კარადა. შიგორასამდე მარწმუნებლის საიდუმლოება ინახება! ვერც ერთი მათგანი ვერ დაგვემდურება... სამაგიეროდ, კარს ხომ ხედავ, — ოღნავ ღიაა. იმ ოთახში ჩემი უახლოესი მეგობარი, ლაზი აზნაური, ბატონი არზნევ მუსკია საუშვობს, დავხურო?

ქალბატონი ნანო დაფიქრდა, მხრები აიჩეჩა და მითხრა:

— თუ ის ბატონი შენი უახლოესი მეგობარია... — ქალმა უცბადვე შენიშნა, რომ ჩვენი ბავშვობისდროინდელი, ამხანაგური ურთიერთობის აღდგენა შეუთავაზე, ადვილად დამეყვა და ამის შემდეგ ოფიციალური ტონისთვის აღარ მიუმართავს. — ვანა სულერთი არ არის, ჩემგან გაიგონებს, თუ ჩემი წასვლის მერე შენგან გაიგებს ჩვენი საუბრის შინაარსს?

ორთავეს გაგვეცინა. ნანომ კვლავ იყუჩა. ეტყობა დასაწყისს ეძებდა, ინტონაციას ირჩევდა.

— ჩვენი ოჯახისა და ჩემი მეუღლის საქმეებს ადვოკატი შახპარუნოვი აწარმოებს. წესით მისთვის უნდა მიმემართა, მაგრამ ის ამ თემაზე ლაპარაკისგან უეჭველად თავს შეიკავებს, მშიშარაა. ესეც არ იყო, არ მინდა ჩემმა ქმარმა გაიგოს რომ... ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით და, მით უმეტეს, ქანდარმერიამ... — ნანო ხმადაბლა ლაპარაკობდა, ცხადია, იმ ვარაუდით, რომ არზნევ მუსკიამდე მკაფიოდ არაფერს მიედწია.

ქალი დადუმდა. უკანა ოთახიდან რაღაც ჩახანჩი მოისმა.

— არზნევ, წყნარად, თორემ კარს დაგიკეტავ! — დავიძახე უფრო იმისთვის, რომ ლაზთან ჩემი ახლო მეგობრობა ქალის წინაშე საგანგებოდ აღმენიშნა.

— რა იყო, შე კაცო, რევოლვერი ხომ არ დამიცილია, დანა დამივარდა ძირს, — მიპასუხა არზნევ მუსკიამ. — მამაკაცი შემოგესწრებათ ლაპარაკში, უეჭველია ეს!

— დიას, ნანო, გისმენ. ენციკლოპედია

— კონსულტაცია მჭირდება...
სენება, ზაქათალა პატარა სამაზრო ქალაქია, ერთმანეთს ყველა კარგად ვიცნობთ. ერთი პოლიციის მოხელეა იქ, ვეტროვი გვარად. ოცდაათი წლისა იქნება. ოჯახებში ეხვედებით ერთმანეთს, ხან სად და ხან ვისთან. არც ისე ხშირად. სანდომიან ახალგაზრდად სთვლიან. მე ის კაცი არ მომწონს. რაღაც აქვს ისეთი... ყურებდაცქვეტილ ფინიას მაგონებს ხოლმე, მაგრამ თავაზიანობის წესებს ვერსად წაუვალთ, ეს გასაგებია.

— რა თქმა უნდა.

— დიას, და ერთხელ ამ ვეტროვმა სიტყვა სიტყვას გაუყენა, — ვასენკოვების ოჯახში იყო ეს ამბავი, — და სრულიად მოულოდნელად ჩემს, ვითომდა ინტიმურ დამოკიდებულებებზე ხუმრობას შეუდგა. ორი ოფიცრის გვარი გადმომკრა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, მზად ვიყავი ბრიყვისთვის თავისი ადგილი მიმეჩინა, მაგრამ მოთმინება და მოსმენა ვარჩიე. იცი, ხშირად, ასე ჯობს ხოლმე. ცხადია, შემატყუო, არ მსიამოვნებდა მისი ჭარტალი. ლაპარაკი მოამრგვალა და ბოდიშიც მომიხადა: — ქალბატონო ნანო, ვფიცავ ადამიანობას, ყოველივე ამას მხოლოდ ხუმრობის დანიშნულებად ჰქონდა. სხვაში ნურაფერში ჩამომართმევთ და მომიტყევთ, თუ ვითაგებდეთ!

შემიძლია დაყინებით ვთქვა, რომ ვეტროვს მხოლოდ უზრდელობის უეცარი შეტევა როდი ამოძრავებდა. საინტერესო ის არის, რომ მისი ინფორმაცია ყალბი იყო; ხსენებულ ოფიცრებთან ამხანაგური დამოკიდებულებების მეტი არა მქონია რა. ვეტროვს მივუხსნე, რისი ღირსი იყო, მაგრამ, ჩანს, რწმენა ვერ შევფურციე, — იმავე აზრისა დარჩა, როგორისაც საუბრის დაწყებამდე იყო. ახლა ერთი რამ: ამ შემთხვევაში შენ ჩემი მესაიდუმლე ბრძანდები და უნდა მოვახსენო, რომ... თუმცა, ორნი ხართ მესაიდუმლეები, — შენ და ის თურქი აზნაური...



— ლაზი აზნაური, ქალბატონო! — გამოგვძახა მუსკიამ.

— დიახ, შენა და ის ლაზი აზნაური... არსად გამიგონია, აღსარებას ორი მღვდელი ერთდროულად ისმენდეს... იმ ვეტროვის ყურმისაწვდომზე ინტიმურ სიახლოვეში არავისთან ვყოფილვარ. ეს ქეშმარიტებაა და ნათქვამი თავის მართლებასი რომ არ ჩამომერთვას, აქვე დავაზუსტებ: გამორიცხული ჩემს ცხოვრებაში არაფერია. მე სრულიად და ყოველმხრივ თავისუფალი ვარ. ამას ქალი კი არ ლაპარაკობს, — აღამიანი გეუბნება!..

უკანა ოთახში დაქინებული ხველება გაისმა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ. მაგას სიგარები ერთმანეთში ერევა, ფირმას ვერ არჩევს, მაგარი შეხვედება ხოლმე და ახველებს, ლამის დაიხრჩოს.

— ეგ ხველება სიგარებისა არ იყო. შენმა მეგობარმა ჩემი ნათქვამი არ დაიჭრა.

— სწორი ბრძანებაა, ქალბატონო. არ დავიჯერე. თავისუფალი რომ ხართ, ის არ დავიჯერე მე.

— თავისუფალი ვარ! — დადასტურა შიჩერის მეუღლემ.

— კმ, კაცთა მოდგმის დასაბამიდან დღემდე სატიკივარი გადაიწყვეტიათ, ქალბატონო. ვიცნობ რამდენიმე კაცს მსეთს. ისიც ვიცო, რატომ და როგორ არიან თავისუფალი. თქვენ რატომ და როგორ ხართ თავისუფალი, თუ მეტყვით, დიდად მადლიერი დაგრჩებით, ვფიცავ აღამიანობას! — გამოსძახა არზნევ მუსკიამ ქალბატონ ნანოს.

ნანო დაფიქრდა. ალბათ იმაზე ფიქრობდა, ღირდა თუ არა ჩემი მეგობრის ცნობისმოყვარეობის დამაყოფილება და ბოლოს თქვა:

— არასოდეს და არაფერზე არ ვეუბნები უარს საკუთარ თავს. ყველა სურვილს ვისრულებ. ამას განხორციელებულ თავისუფლებად ვთვლი. შიშის გრძნობას ვძლიე, ვასაგებია?

უკანა ოთახიდან ჩამიჩუმდი არ ისმოდა. პაუზა გაკვიანურდა.

— განავრძე, ნანო, ვხვდები, რომ რაც

მიაბე, მხოლოდ შესავალი იყო, ვთქვი მე.

— ამ სახამუშო ლაპარაკის შემდეგ ვეტროვმა, რატომღაც, დასაშვებად ჩათვალა უფრო მოუხრდებლად, ფამილარულად მომპყრობოდა. შევემჩნიე, დაქინებით ცდილობდა ჩემთან შეხვედრასა და ურთიერთობას. ვავფაცივდი, რომ უხეირო, მიუღებელი ნაბიჯის გადმოდგმის მიზეზი არ მიმეცა მისთვის ვეტროვი ახერხებდა ჩემს ნახვას, მესაუბრებოდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობები მის მიერ სხვადასხვა ხმების, ჭორებისა თუ სამსახურებრივი ამბების გადმოცემას არ გასცილებია. დამიმართოვებდა და შეთქმულივით მიაბობდა ხოლმე რაღაცებს. ერთი ხანობა კინალამ გულზე გავსკდი, რომ ვეტროვი სიყვარულის ახსნას აგვიანებდა და, ამდენად, იმ არანორმალური დამოკიდებულებების ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთისთვის საბაბს არ მაძლევდა. ამასთან ერთად, იგი არანაკლებ ყურადღებას ამქლავებდა ჩვენი ქალაქის სხვა მანდილოსნების მიმართაც, ამით ურთიერთდამოკიდებულებებს ამძაფრებდა და თავისი პიროვნების გარშემო ერთგვარ აჟიოტაჟს ქმნიდა. ყოველივე ეს დახელოვნებული დონე ქუანის ხრიკებს ჰგავდა, მაგრამ ერთ დღეს, ირაკლი, ნათლად ვიგრძენი, რომ ვეტროვს არც ერთი ჩვენთაგანის მიმართ, — ქალებზე ვლაპარაკობ, — არავითარი ინტიმური მიზნები არ გააჩნდა და ამ მოსაზრების დადასტურებაც არ დაყოვნებულა. პერველოვების ოჯახში ვახშობისას ვეტროვს მუნდირის შიდა ჯიბიდან რაღაც ქალაღლი ამოუტურდა. დავინახე, სადაც დავარდა. მინდოდა მეთქვა, აიღეთ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და ვახშობის შემდეგ ქალაღლი მე ავიღე. როგორ გგონია, რა იყო?.. სია! რვა ქალის სახელი მრავალწერტილებით ბოლოში. ის ქალაღლი თანა მაქვს. ეს არის და ესა. მე მინდა, ირაკლი, აღმომიჩინო დახმარება იმაში, რომ გავერყვე: გამოხატავს

ვახუა ამირეჯიბი
დათა თოთაფხია

თუ არა ვეტროვის საქციელი ჩემი პიროვნებით რაიმე საგანგებო დაინტერესებას, — ვთქვათ, სამსახურებრივი ხასიათისას, და თუ ეს ასეა, — სახელდობრ, რას ეძებს, რა სურს ჩემგან? რაც გაიამბე და დასმული კითხვაც იქნებ ეგზალტირებული, ტუტუცი ქალის ბოლვად მიიჩნო, მაგრამ არის ორი, ასე ვთქვათ, დამატებითი გარემოება: პირველი, — ვეტროვი პოლიციის მუნდირში გამოწყობილი საგანგებო დავალებათა ქანდარშია, ეს ნამდვილად ვიცი, და მეორე, მთავარი, — ინტუიციას თითქმის არასოდეს მოვუტყუებდვარ.

ნანომ პირბადე აიწია, შუბლი შეიმშრალა.

არიან ქალები, რომელთა სილამაზე და მომხიბვლელობა თავს ურთიერთობაში იჩენს ხოლმე და არა დანახვისთანავე. ნანოც ასეთი ქალი იყო, მის სილამაზეს მიგნება სჭირდებოდა.

— შევეცადოთ ერთად გავერკვეთ, მაგრამ სანამ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა ვიცოდე: გაქვს თუ არა საფუძველი იფიქრო, რომ ქანდარმერიას შეიძლება აინტერესებდეს შენი პიროვნება? — ვკითხე ნანოს.

— მაქვს! შეიძლება ვაინტერესებდე.

— გასაგებია. საჭიროება მოითხოვს, ქალბატონო, ვიცოდე ისიც... — აღიარება მოულოდნელი იყო, ცოტა დავიბენი, ახალი შეკითხვა მშრალი, სიტუაციისთვის შეუფერებელი წყობისა გამოვივიდა და ინტონაციის შეცვლა მომიხდა: — შენს იმ ქმედებაში, რომელიც ქანდარმერიისთვის გარკვეულ ინტერესს შეიცავს, სიფრთხილისა და კონსპირაციის ნორმები ხომ არ დარღვეულა? ვთქვათ, ხომ არ ჩაგირევია საქმეში მესამე პირი, ან ვინმესთვის ხომ არ გაგინდვია საიდუმლო? შესაძლოა თუ არა, რომ შენი სახელი ფარული მოღვაწეობის სფეროებში ან საპრობილეებში იხსენიებოდეს?

ნანო დაფიქრა. მეგონა, რომ იგი სწორი პასუხის მოსაცემად თავისი საიდუმლო ურთიერთობების გარემოებებსა და წვრილმანებს გადასწვდა. მან კი, აი, რა მითხრა:

— ქალი ვარ, მართალია, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად ვიცნობ ჩვენთვის პოლიტიკურ მიმდინარეობებს. უკრაინასში სხევანბერად არ გამოდის, საქმის კურსში უნდა იყო. ეპ, აქაც ეგრეა... არც ერთი არ მაკმაყოფილებს. ჩემს შეხედულებებს, წარმოდგენებს, რწმენას, არც ერთი არ ემთხვევა. ალბათ ამიტომ არის, რომ უშუალოდ არ ვმონაწილეობ ბრძოლაში, თორემ, იქნებ, მეც რაიმეში გამოვმდგარიყავი. მეორე მხრივ, ბოროტების შემჩნევის, დანახვის უნარი და მის წინააღმდეგ ლაშქრობის თანდაყოლილი ყინი არ მასვენებს და ვერ კი მიმიგნია, როგორ და რაში აღვასრულო ეს თვისება, — კეთილგონიერი, უტყუარი მოქმედების გეზს ვერ ვპოულობ, გესმის? ასეთ შინაგან სულიერ ვითარებაში ჩემისთანა ადამიანს იმის მეტი არა დარჩენია რა, რომ ქველმოქმედებასა და საქმით შემტყიცებულ თანაგრძობას მიმართოს. ასეც ვიქცევი და სახელიც ასეთი დამივარდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ ჩემთან ციხიდან გაქცეული კაცი მოვიდა, თავშესაფარი მთხოვა. მოსდევდნენ... იმის შემდეგ, ყოველმხრივ გამართლებული და უტყუარი მგონია დევნილის დახმარება, ვთქვათ, ისეთისა, რომელიც იბრძვის, თავსა სდებს სიკვდილს არაფრად აგდებს, ჯდება, ციხიდან გარბის და ამას იმიტომ სჩადის, რომ არ შეუძლია თავის რწმენას არ ემსახუროს, არ შეუძლია „იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იბრუნოს“. ჩემი დანაშაული კანონის მიმართ იმაშია, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე ორი დევნილი შევიფარე, მივეცი ყველაფერი, რაც მათი სულიერი და ბორციელი სიცოცხლისთვის იყო აუცილებელი და გავისტუმრე. საქმეს დასჭირდა. შენა და შენი ლაზი აზნაური პირველნი ხართ, ვისაც ეს საიდუმლო გავანდე. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომელთა წინაშე, ასე ვთქვათ, მოყვასის ვალი მოვიხადე, დარწმუნებული ვარ, ხსოვნას დღესაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. ამას მხოლოდ მადლიერების გრძნობა და ცოტადენი გო-

ნება უნდა. მე მათ ვერც პირველს წავართმევ და ვერც მეორეს. ისინი წესიერი კაცები არიან. მაშ, საიდან და რა უნდა იცოდეს ჟანდარმერიამ?

ნანო მოულოდნელად დადუმდა, უკანა ოთახის კარს მიაჩერდა.

ზღურბლზე არხნევ მუსკია იდგა, ქალს გამოჰყურებდა.

— ნება მიბოძეთ, ქალბატონო!.. — თქვა მან. — მაატიეთ, მაგრამ მესმის ყველაფერი, მაინც, და... — მუსკიამ მღიმარი თვალები მიანათა ჩემს თანამოსაუბრეს. — ძალიან მინდა მანდ რომ ვიყო... თქვენთან! აგერ, ირაკლიმ მომისაჯა იქ ჭდომა, გამოვიქციე და შემეფაროთ, იქნება, თქვენ!

ქალს ხმა არ ამოუღია, რაღაც უცნაური ჩაიკრიტიტებოთ ათვალეირებდა მუსკიას.

ლაზის ყოფნას უკანა ოთახში, მართლაც, აღარა ჰქონდა აზრი, მაგრამ არ ვიცოდი, ჩვენს ქალბატონს ესია მოუწებოდა თუ არა მოწვეული სტუმრის დასწრება. ნანომ შემომხედა, ალბათ, ფიქრს მიმიხვდა და კეთილგანწყობილად თქვა:

— მობრძანდით, უკვე სულერთია. — მერე დაიძაბა და დასძინა: — თქვენ, უთუოდ, რისამე კითხვა გსურდათ!

ცხადი იყო, არხნევ მუსკიას გახუმრება: — იქნებ, თქვენ შემეფაროთო, — ქალმა დაცინვად მიიღო. ორიოდ წუთის წინ ხომ დევნილთათვის დახმარების აღმოჩენაზე ლაპარაკობდა? ან, იქნებ, უბრალოდ, სურდა დაეზუსტებინა, თუ რა აზრი ამოაყოლა ლაზმა თავის სიტყვებს, მაგრამ ასე დაეინებულ და გამსჭვალავი ცქერა მაინც, არ იყო?

— არხნევ მუსკია! — ლაზმა მოკრძალებით წარუდგინა თავი ნანოს და მესამე სავარძელში ჩაჯდა.

— ნანო თავყელაშვილი-შირერისა, — გამოხმაურება დაუგვიანა ქალმა. ეს ჩურჩული უფრო იყო, ხოლო საღმის ნიშნად თავის დაჭიცილება — რაიმეზე თანხმობას, რისამე დასტურს ჰვავდა.

მოხდენილი, ელევანტური და სადა იყო არხნევ მუსკია. მგონი იმ შემთხ-

ვევას შევესწარი, როცა ქალის თვალი გამაფაქიზებლად მოქმედებს მამაფრთხილ მიხრა-მოხრაზე, პლასტიკაზე. ცხელია, ჩვენმა ქალბატონმაც შენიშნა და შეათვასა შემოსწრებულის მოკრძალებული პეწი.

— მე თქვენ მინახიხართ!.. — ჩაილაპარაკა ნანომ. — სად მინახიხართ?... — ქალმა თვალები ჩახარა, მარაოს ქნევას მიჰყო ხელი.

კარგა ხანს იფიქრა. ჩვენ ორთავე განაბული შევეცქეროდით, ორთავეს ღიმილი გვითამაშებდა სახეზე; მე — მოლოდინისა, ლაზს — განცვიფრებისა.

— აა, მომაგონდა. დიახ, დიახ... მაგრამ გვარი არ ემთხვევა. მცდება, რა თქმა უნდა. ის კაცი, ვისაც გამსგავსებთ... — ქალმა ჩაიკისკისა, — აბრაგია!

— ყაჩაღებსაც იცნობ? — ვკითხე მე. — ერთობ ფართო კონტაქტები გქონია დამნაშავეთა სამყაროსთან, მშვენიერო ქალბატონო!

— საკმაოდ! — თქვა ქალმა და კვლავ ჩაიკისკისა. — ასეთი იღბლი მაქვს.

— შიშის გრძნობას ვძლიეო, თქვენ ბრძანეთ. შიშით, ათასი რაიმეს შიში შეიძლება ქონდეს კაცს. რის შიშის გრძნობას ძლიეთ, როგორაა ეგ? — ჰკითხა ლაზმა.

ნანომ ლაზს თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ სულ რამდენიმე წამით. მერე ყუთიდან ჰაპიროსი ამოიღო, თითებში აათამაშა და ჩაილაპარაკა:

— მაგას მოფიქრება უნდა, ბატონო არხნევ. ახლავე მოგახსენებთ.

ისევ გამოვიტანე შამპანური და ჭიქები. ბოთლი გავხსენი, ჩამოვასხი, თანამოსაუბრეების წასახალისებლად მოვსვი კიდეც, მაგრამ ქალბატონი ნანო კვლავ სდუმდა.

— არხნევ, ეს რა ჩაიდინე, ლამაზ ქალს ღიმილი უხდება, შენ კი საფიქრალი გაუჩინე...

— მე ქალი კი არა, მანდილოსანი ვარ,

პაპუა ამირაჯიბი
დათა თოთაჯიბი

ირაკლი, — სრული სერიოზულობით თქვა ნანომ. — დედაკაცი ვარ... კარგი სიტყვაა დედაკაცი!

— ქალბატონო დედაკაცი, — მივუგე მე, — ბატონი არხნევე მუსკია და შენი შორჩილ... მოსა ველით განმარტებას, თუ რა გზით და რანაირად სძლიე...

— ინებეთ, მზად ვარ, მაგრამ ვიცი, ლაზი აზნაური არ მოისვენებს, ჩემს პასუხს კამათი მოჰყვება და თვალსაზრისის დასაცავად მავალითები დამჭირდება. ამიტომ ერთ შემთხვევას მოვიშველიებ. თანახმა ხართ?

— რა თქმა უნდა!

— გისმენთ, ქალბატონო.

— შიში, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ერთი არსებობს — სიკვდილის შიში! თავდაცვის ინსტინქტიდან გამომდინარეობს და, თუ კარგად დავაკვირდებით, ადამიანთა უმრავლესობის ყველა საქციელში მკლავდებდა. ყური მიგდეთ და შევეცდები დავამტკიცო ეს მოსაზრება. საქართველოში დაბრუნების პირველსავე წელს იყო, ოჩამჩირეს მახლობლად სტუმრად ვიყავით ცოლ-ქმარი. სექტემბერი იდგა, მშვენიერი დარი და ზღვა იყო. ზღვისპირზე დიდი ქოლგა გვექონდა, ვბანობდით, წიგნებს ვკითხულობდით, — რა ვიცი, დროსა ეკლავდით. სამხრობას შინ მიებრუნდით. მასპინძელმა ტრაპეზისა და თვალის წატყუების შემდეგ ცხენები შეგვიკავშირნა, გაისეირნეთო. ისიც გვითხრა, შორს ნუ წახვალთო. საცაა უნდა მოსალამოებულყო. შარაზე გავედით, ოჩამჩირეს გავედით, გალის მიმართულებით გავაქენეთ. ჩინებული ცხენები გვყავდა, გრილოდა. ლონდონში შეკერილი, ახალთ-ახალი „ამორძალის“ სამოსი მეცვა, კოსტაობის ხასიათზე ვიყავი და, პირადად მე, დაღამებამდე ვაპირებდი სეირნობას. ქმარმა რამდენჯერმე მითხრა, გვეყოფა, დაებრუნდეთო. ყურად არ ვიღე, როგორც იტყვიან, იღბალს საითლაც მივყავდი და დანახავთ, რომ მიმიყვანა კიდევ, მაგრამ ჯერ სხვა გარემოებას შეგვხვთ: ქმარმა იმიტომ მითხრა დაებრუნდეთო, რომ გზებზე

ძარცვა-გლეჯა იყო, ყაჩაღები თურუნობდნენ, ეშინოდა, არაფერს ვაძლევდით. არა-მეთქი. დამთანხმდა, ალბათ ჩამციებია, მომყვა, მივდიოდით. ეს თანხმობა იმან გამოიწვია, რომ ქმარს ეშინოდა, დაბრუნების სურვილი სიმბდალენი არ ჩამომერთვასო. მე მაშინ არც ერთი ამილია აინუნში და არც მეორე, — ცხენზე ჯდომა მსურდა, სეირნობა, ანუ პირადი სურვილი მამოძრავებდა და ეს კი თავისთავად შიში იყო იმი-სა, რომ დაბრუნების შემთხვევაში სიამოვნება მომაკლდებოდა. აი, ამ, თითქოს-და, მარტივ რამეშიც კი სამი სხვადასხვა შიში გამოვლინდა და სამივე თავკერძობის სახით. მეთანხმებით თუ არა იმაში, რომ ეს სამივე თავკერძობა თავდაცვის ინსტინქტიდან მომდინარეობდა?

— ცხადია, — დავადასტურე მე.

ლაზს ხმა არ ამოუღია, თავი დაიქნია.

— თავდაცვის ინსტინქტი და სიკვდილის შიში რომ ერთი და იგივე რამ არის, ამაშიც ხომ დამეთანხმებით?

— მასეა ეგ.

— მაშინ დააკვირდით და ნახავთ, რომ ჩემს ნაამბობში სიკვდილის შიშმა მხოლოდ პირადი მოსაზრებებით ქმედება, თავკერძობა შვა. მოყვასის სიყვარული არაფერში გამკლავებულა. არც რისიმე ან ვისიმე წინაშე ვალდებულებების ნატამილი იყო სადმე, სიკეთეზე ნულარას ვიტყვი.

— ქმარი დაბრუნებას რომ გირჩევდა, განა შენს კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა. თქვენი საერთო ინტერესებიდან არ გამოდიოდა? — ვკითხე მე.

— ვიცოდი, რომ მაგას ერთ-ერთი მინც შემეკითხებოდით. დამაცადეთ, მაგის პასუხი თავისთავად მოვა... გზა ტყეზე იღო, ცხენები ნაბიჯით მიგვიდიოდა, კანტიკუნტად ვსაუბრობდით. გზის პირას კაცი დავინახეთ. წინ ხურჯინი ედო, დასასვენებლად ჩამომჯდარ მგზავრს ჰვავდა. ეს კაცი, როგორც მერე გამოირკვა, რაჟა სარჩიმელია ვახლდათ — ყაჩაღი და მძარცველი. გავუსწორდით თუ არა, ადგა ორი მაუზერი ამოიღო,

წყნარად გვითხრა, ჩამოქვეითდით და ხმა, კრინტი არ გავიგონო, თორემ დაგხოცავთო. მიუხედავად მუშერებისა, ყაჩაღი იმდენად მშვიდი და კეთილგანწყობილი ჩანდა, რომ ქმარმა ფრანგულად მკითხა, რას ამბობსო? ვუთარგმნე. საიდანღაც მეორე ყაჩაღიც მოვიდა, თოფიანი. ჩამოვხტით. ელდა გამომნელდა, მოსალოდნელი უსიამოვნებები და განსაცდელი ცხადად წარმომიდგა. იარაღი მოგვეკითხეს, არ გექონდა. თოფიანმა ცხენები წაიყვანა. სარჩიმელიამ — მიპყევითო და ტყეში შეგვრეკეს. გორაკი იყო, იმას გადაეცდით, პატარა მდელიოზე ამოვყავით თავი. იქ ორმოცამდე ქალი და კაცი იჯდა, უმრავლესობა საცლის ამარა. თავზე მესამე ყაჩაღი ადგათ, ესეც თოფიანი. ცოტა მოშორებით რამდენიმე გატენილი და ერთი ნახევრამდე მოყრილი ტომარა იდო. იმ ტომარებთან მიგვიყვანეს, საფულებები და სამკაულები წაგვართვეს და გვითხრეს, გაიხადეთო!.. უნდა მოვახსენოთ, რომ რუდოლფ შირერი ერთობ რთული წარსულის კაცია. გამუდმებული ხიფათისა და ფათერაკების გამო, თუ ასეთი ბუნებისა დაიბადა, — არ ვიცი, მაგრამ ზოგჯერ და მე ვიცი, რომელ შემთხვევებშიც, — თავდავიწყებამდე მამაცი და გადამეტებით ამაყი ადამიანია. გვითხრეს, გაიხადეთო და შირერმა რაჟა სარჩიმელიას ყბაში სთხოიშა, ყირაზე გადაატარა. ყირაზე გადაატარა და მაშინვე ღილებს მისდგა, გახდას შეუდგა. ამ დროს მეორე ყაჩაღმა ჩემ ქმარს თოფის კონდახი კეფაში ჩასცხო. შირერიც დარეტანდა, დაეცა. მესამე ყაჩაღმა, რომელიც ხალხს ედგა, ხანჯალი იმიშვლა, ჩვენსკენ გამოქანდა, შირერის მოკვლა ჰქონდა განზრახული. გადავედობე, ჭიდაობა დავუწყე. ამასობაში რაჟა სარჩიმელია გონს მოსულიყო. წამოიწია და ხანჯლიანს უბრძანა, დაწყნარდი, შენს საქმეს მიხედეთო. ხანჯლიანმა თავი დამანება, ლანძღვა-გინებით გაშორდა. შირერი ზეზე ადგა, ტანსაცმლის გახდა განაგრძო.

— თქვენც ქალბატონო, თქვენც.

თქვენ რომ გაიხადეთ, ის უფრო მინდა მე! — დამიყვია სარჩიმელიამ. ^{ეკუთვნის} ^{სარჩიმელიას} გავიხადე, მაგრამ შიშით არ მოქმედებდი. გართულებას მოვერიდე. ჩვენი ტანსაცმელიც ტომარაში ჩატენეს და სხვა გაძარცვულებთან დაგვსხეს.

შაბათი დღე იყო. ოჩამჩირეში შაბათკვირას ბაზრობაა ხოლმე. გაძარცვულთა უმრავლესობა ნაბაზრალი ხალხი გახლდათ. იცოდნენ ყაჩაღებმა, ვის და სად უნდა დახვედროდნენ!

რაჟა სარჩიმელია მოგვიახლოვდა, თვალთვლება დამიწყო. ისე მსინჯავდა და მზომავდა, ვითომ ვისიმე დაკარგული საგანი ვიყავი, გზაზე მიპოვნა და ვერ კი გავგო, რაში შეიძლებოდა ჩემი გამოყენება. მარტო მე მიყურებდა, შირერისთვის ერთხელაც არ შეუხედავს, ვითომ იქ არცა ყოფილა. მიყურა და თქვა:

— კარგი ჭიდაობა გცოდნიათ, ქალბატონო, ნამეტანი კარგი, უკეთესს რომ ვერ ნახავს კაცი. ამ ხალხს ვაუშვებ მე, აგერ ახლა, ა, მარა თქვენ წაგიყვანთ თან და სანამ თქვენი ქმარი გამოსასყიდს მომიტანდეს, ვიჭიდაოთ ხანდისხანი!

სარჩიმელიამ გადაიხარხარა და წავიდა. გზისკენ წავიდა, შემდეგი მსხვერპლის მოსაყვანად.

ჩემმა ქმარმა დრო იხელთა და ჩამჩურჩულა:

— მე უნდა ავიტანო ის, რომ მცემენ, ისიც, რომ მხდიან, ისიც, რომ ავხორცი თვლებით გჭამენ; ისიც, რომ მძევლად დაგტოვებენ, გამოსახსნელ თანხას მომატანინებენ და მოტანამდე კი გამოგიყენებენ! უნდა ავიტანო მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიუტი ხარ. ვიცოდი, ინტუიცია მკარანაზობდა ამას. გეუბნებოდი, დავბრუნდეთ-მეთქი... — ხელი ჩაიქნია და დადუმდა.

ხედავთ, როგორი პატიოსანი კაცია შირერი? პირდაპირ მითხრა, თუ რატომ სდომინა დაბრუნება. სხვა კაცი მეტყონდა, ჯანდაბას ჩემი თავი, მთავარი ის

პაპუა აშირაჯიზი
დათა თუთაჟიზი



არის, შენ არაფერი დავიშვადესო! ესეც შენ, ბატონო ადვოკატო და მორალისტო, პასუხი იმაზე, თუ ვის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, ვისი ინტერესებიდან გამოდიოდა ჩემი ქმარი, როცა დაბრუნებას მთავაზობდა და ამაში უცნაური არაფერია, გარდა შირერის გულმართლობისა.

სულ ცოტა ხანში მოულოდნელი რამ დატრიალდა, მაგრამ მოდიტ, ჯერ ის გავსინჯოთ რაც აქამდე მოხდა. ძარცვა-გლეჯა რომ ყველა დროის უდავო ბოროტებაა, ამას მტკიცება არ სჭირდება. რამ წარმოშვა იგი? თავკერძობამ. იმას ხომ ვერავინ იტყვის, რაჯა სარჩიმელიამ და მისმა დამქაშებმა კაცთმოყვარობრივი მიზნებით მოაწყეს ეს ხაფანგი? ესეც არაფერი, მაგრამ ძალმომრეობის წინაშე ქედის მოხრაც რომ ბოროტებაა! იმას ნუ მომიტანთ, უიარაღოები შეიარაღებულების წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდითო...

— მაინც, რას უნდა გამხდარიყავით, შე კვი ქალო?!

— სიკვდილი ხომ შეგვექალ? ჩვენ, — საძარცვი სულადობის ორ მესამედს მაინც, — აბა, იმის უნარი შეგვეწევდეს, შეიარაღებულ მოძალადეს სამკედრო-სასიციოცხოლო წინააღმდეგობა გავუწიოთ ხოლმე. მსხვერპლი იქნება, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, საერთოდ, ძალადობიდან ბევრი რამლა დარჩებოდა?

— ღონიერის წინაშე ქედის მოხრა და მორჩილება სიკვდილის შიში არის. მართალს ბრძანებთ, ქალბატონო ნანო, თქვენ!

— უბრალო კეშმარტიბაა! — კვერი დაუკრა ქალმა და განავრძო: — აბლა, ის ყბაში გარტყმა და ყირაზე გადატარება ენახოთ. წინააღმდეგობის გაწევა გზაზე არ ჯობდა, როცა სარჩიმელია მართო იყო, მაშინ? იქნებ გეგონოთ რომ იქ, გზაზე, შირერი დაიბნა, ხოლო ტომრებთან გონს მოეგო და ამოქმედდა? შირერი სხვადასხვა გასაჭირსა და მოულოდნელობებში მინახავს, მაგრამ დაბნეული შირერი — არც ერთხელ! საკუთარი თავის ფლობაში გენიოსია.

ამასთან ერთად, ჩემი ქმარი ჰატევერე-ვარე ბავშვიც არის; ადამიანებში მოცემაში, ხალხში, ჩემთან, — მისი ყველა საქციელის საფუძველია: ნახეთ, როგორი ღონიერი, კეთილი, უანგარო, გულადი, მდიდარი და საერთოდ რა კარგი ვარ, თქვენზე უკეთესი ცოლი მყავს და ყველას გჯობივართ! ეს, ხალხში-მეთქი, ვიმეორებ, თორემ თავისთავთან ან ვინმე მართო-კაცთან პირისპირ? არა, იქ სულ სხვა ადამიანი, ესეც ვიცი. გარტყმა მხოლოდ აქედან, ამ თვისებიდან გამომდინარეობდა. შირერს თავისი მამაციობის ჩვენება სურდა, — ხალხის წინაშე, ჩემს წინაშე, ყაჩაღების წინაშე. ისე კი, ყველაფერი ნაკარაუდევი და წინასწარ გამოთვლილი ჰქონდა. ვარტყმაც, ტანისამოსის გახდაც და ისიც, რომ ყაჩაღების მთავარი მიზანი ნაძარცვის შენარჩუნება იყო და არა შეურაცხყოფელისთვის სამაგიეროს მიზლვა. ისიც გათვალისწინებული ექნებოდა, რომ ყაჩაღები სროლას და დავიდარაბას შეძლებისდაგვარად მოერიდებოდნენ, გარტყმაზე მათი რეაქცია უკიდურესი არ იქნებოდა. დაინახეთ? ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შირერმა ივარაუდა. მისი გამჭირახობა ალტაცების ღირსია, ეს თავისთავად, მაგრამ თვით საქციელი რომ თავკერძობიდან მოდიოდა, ამაში ეკვის შეტანა ხომ შეუძლებელია? ამ თავკერძობის შედეგი ენახოთ. ისეც ბოროტება! — იმაში გამოხატული, რომ კინალამ მკვლელობა მოხდა და იქნებ, ერთი კი არა, ორიც მომხდარიყო; იმაშიც, რომ როგორც მერე გამოირკვა, შირერზე ჯავრის ამოყრის მიზნით, სარჩიმელიას მართლა სლომნია ჩემი დატოვება მძევლად და უმთავრესად კი იმაში, რომ შირერმა სხვებს მისცა ცუდი მაგალითი...

— როგორ თუ ცუდი! მგონი, სწორედ კარგი მაგალითი აჩვენა: წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის, ბრძოლის მაგალითი, — შევაწყვეტინე ნანოს.

— ბოლომდე რომ გავწია წინააღმდეგობა, მაშინ იქნებოდა ეგ, — ჩაერილაზი. — კაცი როგორია ხომ იცი, ირაკ-



ლი? ერთ საქციელში ავსაც თუ ხედავს და კარგსაც, ხშირად, მარტო ავს მიბაძავს და კარგს არა. ვიცი მე ეს.

— მაგას ვგულისხმობდი, ბატონო არზნევ, როცა ვთქვი, ცუდი მაგალითი მისცა-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩემს ნაამბობში ყველა საქციელი თავიკრძალა, სიკვდილის შიშიდან გამომდინარეა და, როგორც ვნახეთ, ყველა საქციელი ბოროტია, სიკეთის ნატამალი არსად არის. ვაკვირდები ცხოვრებას და ისეთი მაგალითი კი ვერ აღმოვაჩინე, რომ სიკვდილის შიშს და მისგან მომავალ თავიკრძობას რაიმე შეეძლოს, გარდა ბოროტებისა...

— შიში, ზოგ შემთხვევაში, სიკეთეს ქმნის! — შევედავე მე.

— რომელი შიში და რა შემთხვევაში?

— შიში კანონის, ან შურისგების წინაშე. განზრახული ბოროტებისგან თავს იკავებს კაცი.

— ბოროტ კაცს, ირაკლი, შეეშინდეს იქნება კანონის და სამავიეროსი და იმ განზრახულ ბოროტებას აღარ ჩაიდენს მაშინ, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი იმის ბოროტია, რომ კანონიერ გზას მონახავს და ისე იზამს თავისას. კანონს ის შეუძლია მარტო, რომ თვალსაჩინო ბოროტების მაგიერ, ძნელად შესამჩნევს ჩაადენინებს ჩამდენს და, ეს რომ ვთქვი, საკითხავია კიდევ, თუ შეუძლია კანონს ამდენი!

— ეს არის სიკვდილის შიში, ამას ეძლე-მეთქი! — ნანოს თავისი ნათქვამი ეუხერხულა, დაწვებზე სიწითლემ დაჰკრა.

— თავისუფლებას სიკვდილის შიშის დამარცხებასთან როგორღა აკავშირებ? — უფრო იმისთვის ვკითხე, რომ მისი შეტყუება გამეფანტა, თორემ მთელი საუბრის მანძილზე თვით ნანო მეტად მინტერესებდა, ვიდრე აღძრულ საკითხებზე მსჯელობა.

— მაგ ადვილი გასაგებია, — თქვა ლაშმა. — თუ შიში არ გაქვს, მაშინ არც გზუღდავს და გბორკავს რამე და რასაც გული გკარნახობს, იმას სჩადიოდე, იქნება, ყოველთვის. ესაა თავისუფლება,

აბა რა?! ის თქვი შენ, რით ძლიოს შიშს, კაცმა თუ განგებას ამის უნარი არ მინდა მისთვის?.. ცული უნდა მაგას, ცეცხლი და სატევარი!

— მაგ ცულს, ცეცხლსა და სატევარს სიკეთე ჰქვია, ბატონო არზნევ, — მიუგო ნანომ.

— ანგარებას, ღვარძლს, ბოროტებას შეეძლოს, იქნება, სიკვდილის შიშის ძლევა? კი მაგარი ხალხია ესენი.

— არა.

— რატომ?

— მე ისეთი შეხედულება მაქვს, რომ სიკეთე სხვათა კეთილდღეობისთვის საკუთარი ინტერესებისა თუ თავის ვაწირვის, მსხვერპლად მისვლის უნარია. უარეს შემთხვევაში, სიკეთე ის არის, რაც, შესაძლოა, მხოლოდ ერთს ასარგებლებს, მაგრამ ისე კი, რომ სხვებს ზიანს არ მისცემს. მხოლოდ ამ ღირსების, ესე იგი, მსხვერპლის გაღების უნარის მქონეს შეუძლია თავის არსებაში სიკვდილის შიშს სძლიოს და დამძლევი იმ ზომით დასძლევს, რა ზომითაც განგებისგან აქვს სიკეთე მიმადლებული.

— ჰო, ეგრეა, — საუბარში ხუმრობის შეტანა ვცადე. — თუ ერთიანად სხვაზე ფიქრსა და ზრუნვას გადაეგე და პირადული ხასიათის მოთხოვნილება აღარავითარი დაგერჩა, მაშინ დასაკარგავიც რაღა გექნება? მაშინ რა უნდა შენთან სიცოცხლის წყურვილს და სიკვდილისაც რაღა უნდა გეშინოდეს?!

— შენ გგონია გამაბიბრებ? ვერა! შიშის მონად ყოფნას ეგ, რაცა სთქვი, ბევრად ჯობია. ამას წინათ ერთ ჩემს ნაცნობს ღამე გული გაუსკდა და მოკვდა. იცი, რათა? იმიტომ, რომ უფროსმა იმ დილას აღმაცერი თვალით შეხედა!

— თქვენ რომ ბრძანებით, ქალბატონო ნანო, ისეთი და იმდენად კეთილი კაცი, თითქმის ღმერთობამდე მისული, მაგრამ სიკვდილის ეშინია, მაინც! — თქვა ლაშმა.

— როგორ?

შახუა აპირდგინი
დათა თმთაჟინი

— მიზანი ხომ აქვს მაგ კაცს?

— აქვს, რა თქმა უნდა. მისი მიზანი სიკეთის თესვით ბოროტების დათრგუნვაა.

— მასეა, ეგ დანიშნულებაა მისი და უნდა მას, რომ ამ გზაზე ბოლომდე ამოწუროს თავისი თავი. სიკეთის თესვის უნარი, რამდენიც მიუცია განგებას მისთვის უნდა, რომ დახარჯოს მთლიანად და მერე მოკვდეს მხოლოდ. იქამდე კი სიცოცხლე წყურია და ეშინია სიკვდილის, აბა, როგორ?

— შიში იმას ჰქვია, რისგანაც ჩემს ნაცნობს გაუსკდა გული. ეგ, თქვენ რომ ბრძანებთ, შიში არ არის, რალაც სხვაა, დიდი და უმაღლესი განცდა!

— საკვირველია, — ჩავერიე მე. — მაგისთანა კაცები არც კვდებიან, სანამ თავის მისიას არ ამოწურავენ. ამის სამტყიცებლად მრავალი მაგალითი არსებობს. ცოცხლობენ, სანამ ამოთავდებიან და მერე, უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილსაც თავისებურს, საოცარს ახერხებენ.

— სწორია. კვდებიან და ის ხომ სიკვდილი არ არის, მეორე სიცოცხლის დასაწყისია, ბატონო არზნეე. მათი მხოლოდ სახელი და ვინაობა შეიძლება მოკვდეს, დაიკარგოს. მათი საქმე კი, მათი ჩაგდებული თესლი ნაყოფს ისხამს და უსასრულოდ მეორდება.

— ეფემია წინამძღვარმა მითხრა, ერთხელ იყო... ლამაზად ლაპარაკი უყვარს დედა ეფემიას. ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც წერს მონასტერში, მგონია. ასე მითხრა: ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენით, შვილო, თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებასაც გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე და წყვილიადის შემანგრეველი იყო!

— ლამაზია! — ნანოს ალი შეუდგა თვალბში.

— კი, ლამაზია, — ჩაილაპარაკა ლაზმა. — ვიცი მე ეგ ყველაფერი, მარა ცოდნა რაა, თუ რწმენამდე არ მივიდა ის. ვერ მივედი ვერაფრით, მიჭირს ძალიან...

ლაზმა ეს ღიმილით თქვა, მაგრამ სი-

ტყვეებს იმოდენა დარდი მოაყარა, რომ ანაზღად სულ სხვა ეკუთვნოდა. სხვა თვალთ დაეინახე ჩემსი სახლის მესაგობარი. მიჭირსო? გამიელვა, რომ არზნეე მუსკია უბრალო გასაპირს კი არ განიცდიდა, — სამყაროში ყველაზე დიდი საწუხარი და ქვესკნელთ უღრმესი სევდა ჰქონდა.

— ბოროტებას რატომ არ შეუძლია სიკვდილის შიშის ძლევა, ბრძანეთ ბარემლა ეგეც, ქალბატონო ნანო. — ლაზი კვლავინდებურ განწყობილებას დაუბრუნდა, ფიჭვი გამიქარვა.

— ბატონო არზნეე, ვატყობთ, მაგ საკითხების ირგვლივ ჩემზე მეტი გაქვთ ნაფიჭრი. ზოგი თქვენა თქვით, თორემ რაც მეტს ვსაუბრობთ, მით მეტად ემსგავსებით სუფიას და მის მრევლს. ეგ არის, რომ მრევლმა სუფიაზე მეტი იცის, — ნანომ გულიანად გაიცინა.

— თქვენი აზრი მინდა ვიცოდე მე. — იმიტომ, რომ ბოროტებას სწორედ სიკვდილის შიში ჰბადებს და აბოვინებს. მათ შორის თანხმობაა. რამ რას უნდა სძლიოს?

— მართალია ეგ, მაგრამ მაგ მართლის სიმართლე ჩემთვის იქ თავდება, სადაც კაცი თავისთავს კითხავს, სიკეთე რააო, — მიუგო არზნეე მუსკიამ.

ნანომ პასუხი დააპირა. აღარ დავა-

ცადე: — ერთი, ის ქალაღი მაჩვენე, ვეტროვისა. თანა მაქვსო, ასე არ მითხარი? ნანომ ქალაღი მომაწოდა და ლაზს უთხრა:

— მაგის გართულება არ შეიძლება, უაზრობამდე მისვლა სულ ადვილია. სადად, უბრალოდ უნდა გაიცეს პასუხი: სიკეთე ის არის, რაც ყველასთვის კარგია. მაღლი ქენი, ქვაზე დადე და შედეგს არ დაელოდო. წადი, სხვა მაღლი ქენი. სიკეთეც ეს არის და მისი თესვის აუცილებელი პირობაც.

ქალაღი მართლაც ქალების სია იყო, ქალების სახელები ეწერა რალაც წერტილებით ბოლოში. ზოგს ხუთი წერტილი ჰქონდა, ზოგს ორი და ზოგს რამდენი. ნანოს სახელს ხუთი წერტი-



ლი უჯდა. დავათვლიერე, არზნევს გადავეცი.

— ეს წერტილები სხვადასხვა მელნით და ზოგი ფანქრით არის დასმული აქ. სხვადასხვა დროს იყოს დასმული, იქნება, — აღნიშნა ლაშმა.

ქალაღი ისევ გამოვართვი, დავხედე. არზნევ მუსკია მართალი იყო.

— ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?! — ვკითხე ლაშს, ვითომ, ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისა მასთან იყო საკონსულტაციოდ მოსული და არა ჩემთან.

— მას მერე რამდენჯერ განახათ იმ ვეტროვმა, რაც ოფიცრებზე ლაპარაკი გაკადრათ, თუ შეძლებთ ამის გახსენებას?

— რამდენჯერ? ახლაც დავაზუსტებ. იმის მიხედვით დავაზუსტებ, თუ რა და რა მიახზო. ის მონაყოლები კარგად მახსოვს, — ნანო დათვლას შეუდგა.

— წინადადება მაქვს! — წამოვიძახე მე და ორთავემ ყურები სცქეიტეს. — ერთად ვისამხროთ! სანამ ავიკრიფებით და მივალთ... ნანო, გვერდს თუ დავვიშვენებ, ვფიცავ სინდისს, მაგ თავსატეხსაც ამოვიხსნით და თუკი რამ საიდუმლო გაქვს — იმასაც!

ქალმა გაიღიმა და პაუზის შემდეგ კითხა:

— სად?

— გოვიასთან.

— გამოგონია და არკი ვყოფილვარ. იქ, მგონი, ხალხური სიმღერებისა და ძველი საეკლესიო საგალობლების ქორო მღერის, არა?

— დიახ, მღერის და მერე როგორ!

— საინტერესოა, რომ რესტორანში საგალობლებს მღერიან, — თქვა ნანომ.

— სტილია, გოვიას სტილი. იქ მუშტარიც სხვანაირია. წამოდი და ნახავ.

— გოვიასთან წასვლა სხვა დროისთვის გადავდოთ. — ნანომ ტანისამოსზე დაიხედა, ჩაცმულობა ხალხმრავალი ადგილისთვის შეუფერებლად მიაჩნდა. — დღეს სადმე ქალაქგარედ ვისამხროთ, საცა ხალვათობაა. ჰაერზე დავსხედეთ, მშვენიერი ამინდია.

— ასე მგონია, ირაკლი, მეც, ^{ნაქვესული} ^{ნიშნავს} ხალხი ნუ გვინდა დღეს, — მხარი აუბა ლაშმა.

— ეგრე იყოს. ეტლი, ვასილიჩ! — დავიყვირე.

— არ გინდა. ჩემი მინდა დგას, კანტორის წინ.

— წავიდეთ, აბა, და სანამდე მივალთ დედიშობილად ჩაგაბართ, იქნება, ის ვეტროვია, თუ ვილაც ეშმაკი, — ლაზი ადგა.

ეტლში რომ ვსხდებოდით არზნევ მუსკიამ ნანოს კითხა:

— რა გაქვთ დამთავრებული იქ?

— ფილოლოგიური ფაქულტეტი, მაგრამ... რაც ვილაპარაკეთ, იქ არ მისწავლია.

— სწავლით, გასწავლონ, იქნება, მაგრამ რწმენა უნდა მაგას და ვერ გასწავლის ამას ვერავინ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნანოს ქერა ულაყები ორთაჭალისკენ მიგვაჭუნებდნენ.

— ვეტროვმა რამდენჯერ განახათ, ის თუ გაიხსენეთ? — კითხა ლაშმა.

— გაიხსენე. ხუთჯერ, ოფიცრებზე ლაპარაკს თუ არ ჩავთვლით.

— ნამდვილია?

— ზუსტად!

— აბა, ყოველი ნახვის მერე თითო წერტილი დაუსვამს მაგ ქალაღდში.

ნანომ ქალაღი ამოიღო, ჩააცქერდა და თქვა:

— მერე რა?

— შენს მერე სუსანა სწერია, — სამჯერ შეხვედრია ვეტროვს; — განვმარტე მე. — შენს ზემოთ ნადეჟდა ივანოვა, — შენსავით ხუთი წერტილი უზის. ამას გარდა, ნახე, როგორ სხედან ეს წერტილები?!

პირველი წერტილი ყველა სახელის ბოლოში იყო. ესე იგი, ვეტროვმა თითოჯერ ყველა ნახა, წერტილებიც დაუსვა და ამით ქალებთან შეხვედრის პირველი წრე ამოწურა. მეორე შემოვ-

ზაზუა ამირაგიძე
დათა თუთაშვილი

ლაზე, ჩანს, სამი მათგანი ვერ მოიხელ-
თა და ამიტომ მათი სახელების ბოლო-
ში მეორე წერტილის ადგილი თავისუ-
ფალი იყო. მესამე წრეზე, საცოდავს,
იმდენი მოცადეობა გამოუჩენია, რომ
უწერტილოდ მხოლოდ ერთი ქალი
დარჩენია, — ეინმე ალა. ალას სულ
ორი წერტილი ესეა, ისიც თავიდან და
ერთიმეორეზე მიყოლებით.

— ეგ ალა წავიდა, იქნება, თქვენი
ქალაქიდან, — თქვა ლაშმა. — ორჯერ
უნახავს და ვეღარ, მერე.

— თემირხანშურაში გადაიყვანეს მი-
სი ქმარი. ოფიცერია, — განმარტა ნა-
ნომ.

— ვეღარ ნახავდა. თემირხანშურას
თავისი ვეტროვი ეყოლება. ნამდვილია
ეს, და ნახავს იქაური ვეტროვი მაგ
ალას იქ!

ხარხარი ავეივარდა. სასაცილო იმდე-
ნი არაფერი იყო, მაგრამ როცა ადამა-
ნებს ერთმანეთთან ყოფნა უხარიათ, მა-
შინ ადვილად და გულიანად იცინიან
ხოლმე.

— არხნევ, გგონია, რომ ამ შეხვედ-
რებს დავალების ხასიათი ჰქონდა? —
ვკითხვ ლაშს.

— რა ბრძანე?.. არ ვიცი მაგ, ჯერ,
ქალბატონო ნანო...

— არხნევ, ნანო-თქო, ღმერთმანი! —
უთხრა ქალმა. — ასე მგონია, დაბადე-
ბიდან ვიცნობ და მეხამუშება, რომ...

ლაშმა გაიღიმა და პატარა ხანს მერე
მიუგო...

— აბა, მე გეტყვით ერთს. რალაც
სულ სხვაგვარი პატივისცემა მაქვს
თქვენი და თქვენობით რომ მოგმარ-
თავთ, მსიამოვნებს ძალიან. ეს ცალკეა
და თუ პირდაპირ მეტყვით — არხნევ,
ან ლაშო-თქო და შენობით თუ მომმარ-
თავთ, მეგობრობაში ჩამოგართმევთ მა-
ვას და ერთი ორად გამახარებს ასეთი
ურთიერთობა თქვენთან. აჯობებს, ნამ-
დვილად, და სათხოვარიც არის ჩემი ეს.
უარი არ მითხრათ, გთხოვთ ძალიან.

განმაცვიფრა ამ კაცის ტაქტმა. თით-
ქოს და რა იყო, — სულაც არაფერი,
მაგრამ ის წინადადება ლაშასა და ნა-

ნოს მამინდელი დამოკიდებულების
არსს უზუსტესად გამოხატავდა. იმ სა-
ტუაციის უკვლავ ლაშმა და მართა-
ლი ურთიერთობები მათ შორის მიმარ-
თვის მხოლოდ ამ ფორმას შეეძლო მოე-
ტანა. ეს ნანომაც იგრძნო. წინააღმდე-
გობა არ გაუწყვია, დაჰყვა და თავის-
თვის თქვა:

— გასაღებავით არ მოარგო?! „ლა-
ში“ ჯობია.

— ახლა ეს მიბრძანეთ: რას გელაპა-
რაკებოდით ვეტროვი და სხვასაც იმას-
ვე თუ ელაპარაკებოდა, რასაც თქვენ?
მასხოვსო, რომ ამბობთ, რა გიამბოთ
პირველი შეხვედრისას?

— ყაჩაღია ერთი ზაქათალის მიდა-
მოებში, მამედა ჰქვია. იმ მამედაზე
მიამბო. ლაგოდეხში ვიდაცას შევარდ-
ნის. ბალლი აკვანში დაუხრჩვია მშობ-
ლების თანდასწრებით, სახლისთვის
ცეცხლი მიუღია და წასულა.

— მაგ ქალებიდან სხვასაც თუ უთხ-
რა რომელიმეს ეგ?

— უთხრა.

— საიდან იცით?

— იმ ქალმა მე მიაბო. ეგონა, რომ
არ ვიცოდი, ახალ ამბად მიაბო.

— კი, ბატონო. მეორე შეხვედრასვე
რა გიამბოთ?

— მეორედაც ყაჩაღზე მიაბო, აბრი-
კოზე. ეს ინილოა, აქეთ ყაჩაღობს, სა-
ქართველოს მთებში. ტყეში პატარა გო-
გოები გაუუპატიურებია. საერთოდ, რა-
საც მიაბობოდა, სულ ყაჩაღებზე იყო...

— და სულ უარყოფითი, არა? —
ჩემთვის უკვე ყველაფერი ცხადი
შეიქმნა.

არხნევ მუსკიასთვისაც:

— ყაჩაღებს, აბრაგებს და მისთანა
ხალხს ებრძვიან ეგენი მაგით!

ასეთ საქმეებში ჩახედული ერთი ჩე-
მი ნაცნობის ამასწინანდელი საიდუმ-
ლოდ ნათქვამი მომავონდა:

— ხმების გავრცელების სამსახურის
კაცი ყოფილა ვეტროვი. მაგისი განყო-
ფილება ჩამოაყალიბეს, ჟანდარმთა შე-
ფი. თურმე, პირადად ხელმძღვანე-
ლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წამო-

წყებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლაზს მოულოდნელად სიცილი აუვარდა და იმდენი იცინა, რომ ცრემლებიც კი გადმოსცვივდა.

— ეგ ქალები და მათ შორის შენც, ხმების დასაყრელად გამოგიყენეს, ნანო. შეგიძლია მშვიდად განაგრძო შენი ქველმოქმედება. კატორიდან გამოქცეული კაცი მეგულება, ხომ არ გამოგვზავნო?

— კარგი და იმ ოფიცრებზე ენის ქართალი რალა იყო? — იკითხა ნანომ.

— ქანდაკების ქორების ყულაბა აქვს ერთი. ეგ იქიდან ამოღებული იქნება. თავისებური შანტაჟია, გამოძალგაა. გამცნო, შენი საიდუმლოება ვიციო!

მაგნაირ ფანდებს აგენტად გადაიქცა ბისთვის ხმარობენ ხოლმე.

— მნახეს, რა!.. იდიოტები!

— გაძარცვის ამბავი რომ დაუმთავრებელი დაგრჩა? — სალაპარაკო თემის გამოცვლისთვისაც ეთქვი და შეინტერესებოდა კიდევ.

— კი, აბა! როდის დავგისრულებთ მაგ ამბავს? — ჰკითხა ლაზმა.

ნანომ ლაზს თვალბეჭდით ჩახედა და მიუგო:

— როცა სიკეთეზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ, არხნევ მუსკია!

ეტლმა ბალის ალაყაფი გაიარა, დუქნის კართან დადგა.

ციხური რეჟული

რამოდენიმე დღემ გაიარა. სულ ერთად ვიყავით სამნი. შეიძლება ითქვას, ერთმანეთს არ დავცილებულვართ. ხან სად ვატარებდით დროს, ხან ვისთან ვსტუმრობდით, ხან რას ავიკვირებდით და ხან ვის ფანტაზიას ავყვებოდით ხოლმე. ერთად ყოფნა გვიხაროდა და სამარის კარამდე მეგობრობაზე ვოცნებობდით.

გოგიას დაწესებულებაში მისვლა რამდენჯერაც დავაპირეთ, იმდენჯერ რალაცამ შეგვიშალა ხელი. ბოლოს მაინც გამოინახა დრო, სწორედ ის დრო, როცა ქორო სიმღერას იწყებდა ხოლმე — საღამოს ხუთი საათი.

ეს რესტორანი დღის სამ საათზე იღებოდა და მუშაობდა იქამდე, მანამ ბოლო სტუმარს შინ წასვლა მოეპირანებოდა. საუკეთესო მზარეულები ჰყავდათ. უფრო მარდსა და თავაზიან მსახურებსაც იშვიათად შეხვდებოდა კაცი. ქორო რვამდე მღეროდა. რვიდან საზანდარი იყო. საერთო დარბაზს ცალი მხრიდან სამი საფეხურით შემალღებული აივანი ჩასდევდა, კაბინეტებად დაყოფილი. კაბინეტებს დარბაზისგან რიკტლებიანი მოაჯირები და კრეტსაბმელები ჰყოფდა. რატომღაც ისე ზდებოდა, რომ მოქეფებებს კრეტსაბმელები

ღია ჰქონდათ ხოლმე და იქნებ, ნაწილობრივ, ამასაც შემოჰქონდა გულითალობისა და სილალის ატმოსფერო გოგიას რესტორანში. მართალია, აქ მუდამ ერთი და იგივე მუშტარი იყრიდა თავს, თითქმის ყველა ყველას ნაცნობ-მეგობარი იყო, ეს ურთიერთობებს აადვილებდა ადამიანს ლხინის ხალისს მატებდა, მაგრამ უცხოც ბევრი მიმოიყვანია, თავი ყველას შინაურით უგრძენია და ეს, უმთავრესად, გოგიას მაღლი იყო. სტუმრის გულის მოგება კარის შელებიდანვე იწყებოდა. მეკარედ დიდუბელი არჩილა ჰყავდა — ახალგაზრდობაში ჩხუბისთავი და ჩინებული მოკრივე. გარდერობში — ველისციხელი ერვანდა, — გამწვევი ცხენის ღონის პატრონი, ფლეგმატური გოლიათი. ამათ მეპანდურეობაც ევალეობდათ, თუკი უტიფარი და ჰინჯული ვინმე სხვა სტუმრებს აეტორღილავდა. მიუხედავად ამ მრისხანე მოვალეობისა, ორივენი მეტად სანდომიანები იყვნენ, ენა უჭრიდათ, ოხუნჯობისა და მასხრობის ნიჭი ჰქონდათ და მთელი დუნისის ქორ-ამბავი იცოდნენ. სანამ გაიხდიდით და დარ-

მანუა ანირეჟიზი
დათა თუთაშვილი



ბაზში შეხვიდოდით, რალაც სასაცალოს ან საინტერესოს უმუშევრად გაიგონებდით. დარბაზში შეაბიჯებდით და იშვიათად, რომ გოგია არ შემოგვებებოდათ. ერთთავად ვისმე სუფრას უჯდა, პირით შემოსასვლელისკენ, რომ შემოსული სტუმარი დაენახა. მკელობელი კაცი იყო, ცალი ფეხი მუხლს ქვემოთ ხელოვნური ჰქონდა, მაგრამ ამ დანაკარგმა მის ახოვანებას ბევრი ვერაფერი დააკლო. დაგინახავდათ და კი არ წამოდგებოდა — აიყრებოდა ხოლმე. თანამეუღლეებთან ბოდიშს მოიხდიდა. მარადღ, ღიმილით გამოსწევდა შესახვედრად. ეს პროფესიონალი რესტორატორის პირმოთნე ღიმილი კი არ იყო. არა. მისი საკუთარი, თანდაყოლილი, ადამიანების სიყვარულისა. და, საერთოდ, ერთთავად კეთილგანწყობილი კაცის ალალი ღიმილი იყო. მის შემაცქერალს ხშირად მიფიქრია, რომ გოგია სწხელდობრ ამ ატმოსფეროსთვის იყო დაბადებული. ეგ არის, ვაჭარი ერქვა და ფულის მოხვეჭისა კი არაფერი ვაეგებოდა, რესტორნის მფლობელებისა გამუდმებით ემართა. ან საიდან და რა უნდა ჰქონოდა, როცა ყოველ საღამოს ერთი, ხანდახან, ორი სუფრისას თავად იხდიდა. მართალია, ასეთ ხარჯს პატივცემთა უმრავლესობა რაიმე გზით და როდისმე უნადღებდა, მაგრამ, საცოდავს, მაინც მუდამ უჭირდა. საცოდავს-მეთქი? რა ვიცი, გოგიაზე ბედნიერი კაცი, იქნებ, ძნელი საპოვნელიც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მის იერში კმაყოფილების მეტი არასოდეს არაფერი შემინიშნავს, თუ გლოვის ან რაიმეზე დარდის პერიოდებს არ მივიღებთ მხედველობაში. ესეც სხვის გამო იცოდა, — თავისას არც გლოვობდა რასმე და არც დარდობდა. ერთი სიტყვით, აზრი იყო დამკვიდრებული, რომ გოგიას „მუდამ რიგინად მიუდიოდა საქმე“, — თავი ევირა ასე და იმიტომ. სიმართლეს ვიტყვი, გოგია ძმასავით მიყვარდა. ასეთი მართლ მე როდი ვიყავი, ბევრი ჰყავდა. რამდენჯერ შემინიშნავს, გოგიასთან საურთიერთოდ უფრო მიმიწევდა ხოლმე

გული, ვიდრე ლხინისა და ქვიშისა. როცა მის დაწესებულებაში მისვლილს საღერღელი ამეშლებოდა. კარგი საუბარი იცოდა, კეთილი ოხუნჯობით შეხვეებული, სხარტი.

ესლაც ახალი ხალხი მიმყავდა და მინდოდა შემოგვებებოდა. ნანოს და არზნეე მუსკიას დარბაზში შეეუძები. სტუმარი სულ რამდენიმე მაგიდასთან მოჩანდა, ხალხი უფრო მოგვიანებით იყრიდა ხოლმე თავს. გოგია არსად ჩანდა. სამაგიეროდ, მარცხენა კუთხეში ელიზბარ კარიჭაშელს, სანდრო კარიძესა და ვახტანგ შალითურს მოეკალათებინათ. დაგვიანხეს. ელიზბარი წამოდგა, ხელების ქნევა ატეხა, აქეთ წამოდითო.

— ჩემი დეიდაშვილია, — ჩაიციხა ნანომ.

— რომელი? — ვკითხე მე.

— ელიზბარა.

— ელიზბარს ვიცნობ მეც, — აღნიშნა ლაზმა.

გამიკვირდა. დავაპირე, მეკითხა, საიდან იცნობ-მეთქი. აღარა ვკითხე. თუკი, ნანოს თვალში, მე და ლაზი ახლო მეგობრები ვიყავით, მაშინ ისიც ხომ უნდა მცოდნოდა, ვის იცნობდა ლაზი და ვის — არა.

— რამდენი ხანია, რაც თბილისში ხარ? — ჰკითხა ნანომ ლაზს.

— ახლა? ამ ჩამოსვლაზე? — მიუგო ლაზმა. — ერთი თვე შესრულდება, სადაცაა. ნამყოფი ვარ ამ დუქანში მეოთხეჯერ თუ ხუთეჯერ ვარ ნამყოფი.

— გოგიასაც იცნობ?

— გოგის კაი ექვსი წელიწადია, რომ ვიცნობ. მასთან მოვდივარ ხოლმე აქ.

გოგიამ ამ რესტორანში სამი, ოთხი წლის წინათ დაიწყო სამსახური. გამოდიოდა, რომ ლაზისა და გოგიას ნაცნობობა საღლაც სხვაგან შემდგარიყო. სად? ვინანე, რომ იმთავითვე ვერ მოვასწარი ყველაფერი გამომეკითხა. ჩუენი საქმისთვის ეს რომ აუცილებელი იყო.

— იფ, იფ, ეს რა კარგი ხალხი მოვიდა! — დაიძახა ელიზბარ კარიჭაშვილმა,



როცა მათ მაგიდას მიუახლოვდით. — არსადაც არ გაგიშვებთ, აქ უნდა იყოთ!.. სანდრო, ვახტანგ — გაიცანით, თუ არ იცნობთ: ჩემი დეიდაშვილი — ნანო. ჩემი ძმაცატი — არზნევ მუსკია, ლაზი. ირაკლის იცნობთ... ჰო, ეს სანდრო კარიძე და ვახტანგა შალითური — ჩემი ძმაცატები. დასხედით, დასხედით, მოეწყეთ, ვის საცა გენებოთ. გოგია რა იქნა, კაცო?! — აჰა, აი, სიზმარი ვნახე-მეთქი, არ გეუბნებოდით? დროს ტარება ეხლა ნახეთ! — იფ, იფ, იიიფ! — ელიზბარ კარიჭაშვილმა ჭიბიდან ხელსახოცი დაიძრო, ჰაერში ააფრიალა, კაცს ეგონებოდა, კინტოურის ცეკვას იწყებდა.

უარი დავაპირეთ, — ჯერ ცალკე დაესხდებით და მერე გავერთაახდეთ-მეთქი, მაგრამ ელიზბარ კარიჭაშვილი ასეთ რამეებში კირკიტა კაკალი იყო, ვერ გავტეხეთ და, რაღა გავწყობოდა, დავსხედით. ელიზბარისა საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, საინტერესო პიროვნება იყო, სუფრაზეც კარგი მოაუბარე. სანდრო კარიძე მაშინდელ პართელებში ერთ-ერთ უკეთესად ითვლებოდა, მაგრამ ეროვნული მოღვაწეობისგან თავი შორს უჭირა — ცენზურაში მსახურობდა რადეც მოხელედ. ამ პასიურობის გამო მარცხადამაინც არავის ებიძნაებოდა, ზოგს მტრადაც კი მიაჩნდა. მე, რატომღაც, მისდამი კეთილგანწყობილი ვიყავი და ეხლაც არა ვთვლიდი სუფრაზე შეღმეტ კაცად. აი, ვახტანგა შალითურის ოფოფების კი მეშინოდა. სმში ერთ წერტილს იქით ახირება იცოდა. ენე, არ იყოს, სიფხიზლემიც რაღაცნაირი ამპარტავანი ხასიათი ჰქონდა, ხანდახან უბრალო რამე სწყისდა და მაშინ თავებდობაც სულ აღვილი მოსალოდნელი იყო მისგან. ცხადაა, დროს სატარებლად წამოყვანილი სტუპიდი ფისი ვახტანგა შალითური ვერაფერა შვილი საზოგადოება გახლდათ, ამას ვერიდებოდი.

მსახურები მაგიდას დააცხრნენ, სუფრა განაახლეს. ამ დროს ქორომაც დაი-

წყო სიმღერა. პროგრამას მუდამ „შენ ხარ გენახით“ იწყებდნენ და „შენ ხარ გენახითვე“ ამთავრებდნენ ხოლმე. ელიზბარ კარიჭაშვილს სიმღერა არ ენერჯებოდა, ხმა არა ჰქონდა, მაგრამ მუსიკას ფაქიზად გრძნობდა. კომპოზიციის და საშემსრულებლო ხელოვნების წვრიმალეებში ზედმიწევნით ერკვეოდა და თავდავიწყებით უყვარდა ქართული საგუნდო მუსიკა. რამდენჯერ შემინინახავს, რომ აქ, გოგიას დაწესებულებაში ლხინის დროს, ელიზბარის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო იმ რიტმიკა და განწყობილებით იყო აღნიშნული, როგორცაც ქორის მიერ ახლახან დამთავრებული სიმღერა შეიცავდა. მიგვიპატიეთ, მასპინძლობა იყისრა, ჩვენი გართობა-მოღწენისთვის ზრუნვას უნდა შესდგომოდა, მაგრამ სიმღერა დაიწყეს, ელიზბარი ჩაუტრდა და ჩვენი გვანიშნა, მიაყურეთო. სანდრო კარიძეს ხმაც ჰქონდა, სმენაც და ქართული სიმღერის განცდის ერთობ თავისებური მეთოდიც; არც მეტი, არც ნაკლები — ისმენდა და ცრემლი სდიოდა. მოსმენის დროს ხელსახოცი მისთვის აუცილებელი საგანი იყო. ერთხელ, მახსოვს, გოგიამ უყურა და უთხრა:

— დღისით შე კაი კაცო, ცენზურაში ზიხარ, ხანჯალი გიჭირავს, თავისუფლებას ჯანდარმერიის დავალებით ყელს ჭრი. საღამოთი მოდიხარ აქ და დღისით დახოცილებს ტირი? სადიზმია ეგ, არ გესმის შენ!

ასეთ რამეებზე სანდრო კარიძემ ხელის ჩაქნევა იცოდა, რა გესმის, რა ვალაპარაკებს, ნეტავი!

სანამ დარბაზის თაღებიდან „შენ ხარ გენახით“ სუფრაზე ცისარტყელის ნათელივით ჩამოდიოდა, სანდრო კარიძე ცრემლებს იმშრალედა, ელიზბარ კარიჭაშვილი სმენად ქცეული იჭდა, არც კი შერხეულა. სიმღერა დასრულდა. მაშინ კარიჭაშვილმა ჭიქა აიღო და თქვა:

— ეხლა, ერთ რამეს გეტყვით, —

მამუა ამირეჯიანი
დათა თუთაშანი



მოგობატივეთ და ლხინის უფლებასაც მე გვისრულობ; სუფრის წესს შემოგთავაზებთ, ჩემი თამაღობაც ეს იყოს და ესა. ისეთი ხალხი შევიყრიბეთ, — აქ ტრადიციული ქეიფი არ გამოდგება, ყველას თავისი სათქმელი ექნება. პირველ სადღეგრძელოს, ჩვენი თავშეყრისას, მე ვიტყვი. ერთმანეთსაც გაგაცნობთ და პირადი სადღეგრძელოებიც ნათქვამი იქნება. მერე მივდგეთ და რიგრიგობით ვილაპარაკოთ. ვისაც რა მოესურვოს, ისეთი თქვას და სხვები შევეუოთდეთ. ახლა მეორემა თქვას და — ეგრე. ამის მაგალითსაც ჩემ თავზე ვიღებ. სასმელ-საქმელი არის, ღმერთების შეთხზული სიმღერებიც არის, უმშვენიერესი მანდილოსანი, ჩვენი ნანო, აქაურობას გაგვიღალათიანებს. მალე გოვაც დაბრუნდება... ვილხინოთ, ვიფიქროთ და ერთმანეთისთვის საჩუქებელი ვის და როგორი გვაქვს, ისიც გამოჩნდება. ესე იყოს?

— ეგრე იყოს! — თითქმის ყველა ერთდროულად დაეთანხმდით.

მხოლოდ კარიძემ ჩაიჭირქილა:

— დაიწყება ახლა აქ ფილოსოფია, ხი, ხი, ხი! რა იცი, კაცო, ეს შენ! ხალხს ქეიფი სწყურია და ღვინო. მიეცი საშუალება...

— აბა, აქ ცენზურა არ გეგონოს! ლხინია! — მოუჭრა კარიჭაშვილმა. კარიძემ ჩაიციანა, პირში ბოლოკი ჩაიღო და ხელით ანიშნა, გაეჩუმდი, ილაპარაკეო.

ერთი თვისება ჰქონდა ელიზბარ კარიჭაშვილს: დიდ, ხალხმრავალ წვეულებებში თავს უხერხულად გრძობდა, ხმაგაკმენილი იჭდა, მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს ისმენდა და მოლაპარაკის მაგივრად ეუხერხულეობდა. სამაგიეროდ, პატარა, მეგობრულ სუფრებზე „აიწყვეტდა“ ხოლმე და მის მქვერმეტყველებას, აზრის სისხარტეს თითქოს საზღვარს ევრადფერი დაუღებდა. დაიწყებდა ლაპარაკს რაიმე ოთულ და ამოუწურავ ადამიანურ სატკიჯარზე, გამოიყვანდა მოულოდნელ, მაგონ და მადეჭებელ დასკვნას და სრულიად ბუ-

ნებრივად უსადაგებდა ერთ-ერთს მეტსუფრის სადღეგრძელოს, ან უშუალოდ დასკვნაში არსებული ვითარებისას დაღევდა. ზოგი მასხრობდა, რამსიგრძე სადღეგრძელოები იცისო, მაგრამ ეს ან ის ხალხი იყო, ვისაც სმა და თრობა უფრო აინტერესებდა, ვიდრე მუსიაფი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, და ან ის ხალხი, ვისაც სიტყვის ნიჭი არ გააჩნდა და იძულებული იყო ორიოდ წინადადების ჩაბურტყუნებით შეერთებოდა სადღეგრძელოს. ჩემი დაკვირვებით, ელიზბარ კარიჭაშვილს ზომის გრძობა მხოლოდ ღრმა სიმთვრალეში ღალატობდა, მაგრამ ის გრძლად ნათქვამიც, უმრავლეს შემთხვევაში, საინტერესო იყო ხოლმე.

ელიზბარმა არც ახლა უღალატა თავისთავს — სწორედ ისე დაგვლოცა, როგორც ყოველი ჩვენგანის მთავარ ადამიანურ ღირსებას გრძობდა და, როგორც გაცნობისთვის, პირველი წარდგენისთვის იყო საჭირო. ნანოთი დაიწყო, ლაზით დაამთავრა. არც ხობა უთქვამს, არც რაიმე გადაუქარბენია. ილაპარაკა ჩვეულებრივზე, ლამაზად ილაპარაკა და ასე დაამთავრა:

— არყით აღგზნებული კაცის გონებაში ბინდი ისადგურებს, მისი ენა სიმახინჯისა და დაუნდობლობის ენაა. ღვინოთ აღგზნებული კაცის გონებაში ნათელი დგება, მისი ენა სილამაზისა და სიყვარულის ენაა. არაყი — მსჯავრია, ღვინო — მიტევება...

— არყის ბრალი ყოფილა, აძალღებული რომ ხარ ხოლმე დილაობით, — გზა-გზა აღნიშნა კარიძემ.

ელიზბარმა მისი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გაატარა.

—...განგებამ ღვინის სიყვარული გეზობა, რომ ჩვენი აზრისთვის მშვენიერება და სიკეთე მიენიჭებინა. ფიქრისა და საუბრის სარბიელად სუფრა მოგვიჩინა, სუფრავე დაგვითქვა ადგილად, სადაც ერთმანეთისთვის მხოლოდ კეთილი სურვილი ითქმის და სავნისთვის მხოლოდ პირუთენელი შეხედულება. ქართული სუფრა ქართულ სიმღერას ჰგავს:



სხვადასხვა ხმაზე ვმღერით და კონტრა-
პუნქტში ვერათიანდებით. არ არსებობს
თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომე-
ლიც ახრთა სხვადასხვაობით მიიღწევას..
მოვრჩი, დავლოთ!

აღმოჩნდა, რომ ნანო თავისი დეიდა-
შვილის ლხინისუფლობას არასოდეს
შესწრებოდა, მისმა მკვერმეტყველებამ
გააკვირვა:

— შენ ადვოკატობა მოგახლებოდა.
პროვინციული სცენა არჩიე?

— ქართული სცენა, ნანო! — ჩაერ-
თო ელიზბარმა.

— სწორი შენიშვნაა, შემცდა. ეგ რა
მოქარგული და ეშხინი ლაპარაკი გეო-
დნია, ყმაწვილო!

— ეშხი და სილამაზე ელიზბარს
მოღვმასი ჰქონია. ამაში თქვენი ნახვის
შემდეგ საბოლოოდ დაერწმუნდი, ქალ-
ბატონო ნანო! გაგიმარჯოთ, იცოცხ-
ლეთ! — ღიმილით მიმართა ვახტანგ
შალითურმა, სხვებიც ადღევრჩელა და
და სასმისი დაცალა.

ჭიკები მიეუქახუნეთ, ერთმანეთს
ბედნიერება, სიხარული ვუსურვეთ.
სადღევრჩელო მოთავდა, ჩვეულებრივ
საუბარში გადავიდა, ქორთომ კახური
მრავალკამიერი დაიწყო. ელიზბარი და-
ღუშდა, სიმღერას გაჰყვა. კარიქემ ხელ-
სახოცი მოიმარჯვა. ხშირად მიფიქრია
და ხელაც ისე ვფიქრობ, რომ ელიზბარ
კარიქაშვილისა და სანდრო კარიძის
სიახლოვის მიზეზი მუსიკის ავადმყო-
ფური განცდა იყო. სხვა რამ, არა მგო-
ნია, საერთო ჰქონოდეთ. ერთხანს ჩვენც
ვისმენდით, მაგრამ მერე, როგორც სუფ-
რაზე ხშირად ხდება ხოლმე, ვიღაცამ
სიჩუმე დაარღვია და ისევ საუბარს შე-
ვუღეკით.

— ნანო, თქვენთვის თვალი არსად
მომიკრავს. თბილისში ცხოვრობთ თუ
სხვაგან სადმე! — გადაელაპარაკა შა-
ლითურმა.

ცოტა არ იყოს მეუცხოვა, რომ შალი-
თურმა პირდაპირ, „ქალბატონის“ გა-
მოუყენებლად დაუწყო ლაპარაკი ნა-
ნოს. შევატყე, რომ ეს ნანოსაც ეხამუშა.

— სხვაგანაც და თბილისშიც, ბატო-

ნო ვახტანგ. მაგრამ, განა აუცილებელია
იყო შეგენიშნეთ?

— მე თბილისის სამხედრო კომენდან-
ტის ადიუტანტი ვარ, ყველა მიცნობს.
მეც, თითქმის, მთელ მოსახლეობას ვიც-
ნობ. თქვენ როგორღა გამომრჩებო-
დით! — შალითური პასუხს ელოდა.

— ვაი, ჩვენს თავს! — თავისი განც-
დების სიღრმიდან აღმოთქვა კარიქემ,
— კომენდანტად რომ დაგსვან, რაღა
გეშევილება მერე?

შალითურმა კარიქეს გადახედა და
თქვა:

— საათის გუგულივით არ არის? გა-
მობტება, კუკუო, იტყვის და ისევ შეი-
მალება.

ამ შედარებამ ელიზბარზე იმოღენა
შთაბეჭდილება მოახდინა, რომ წამით
მუსიკასაც კი მოსწყდა, გაიცინა, მაგრამ
უმაღვე მთელი სერიოზულობით მია-
ყურა.

ნანომ ლანჯრიდან დიდი ვაშლი აიღო,
ფეჭენას მიჰყო ხელი.

ლაზი შალითურს შეჰყურებდა. მერე
თვალი მოაშორა, შეიმშუშნა. ნანოს და-
ნა არ ემორჩილებოდა, ვაშლს ვერაფე-
რი მოუხებრას და გულგაწყალბებულმა
დაიქაზა:

— ლაზო, გამომართვი და გამიფეჭ-
ენი. ხომ ხედავ, ვწვალობ! — ეს ხუმ-
რობანარევი საყვედური იყო.

— მომე, მე გაგიფეჭენი! — შალი-
თურმა ნანოს ვაშლში ხელი წაუღელო.
ამ მიმართვის ფორმაც ერთობ ღიზღიე-
რი იყო და ტონიც.

— ბოდის ვიხდი, ქალბატონო ნანო,
მანდილოსნებთან ყოფნას არ ვარ ნაჩ-
ვევი და მცდებმა საქციელი ხანდახან, —
მიუგო ლაზმა ხუმრობითვე და სიწით-
ლემ გადაჰკრა.

ნანომ შალითურის ხელი თავაზიანად
მოიშორა, ვაშლი და დანა არხნევ მუს-
კიას გადასცა.

— ვახტანგ, რა ხნისა ხარ? — ვკითხე
შალითურს. მსურდა მიმეხედვებინა,

დაჯგუ აფიფეჯიზი
დათა თმთაშინი



რომ ნანოსთან მეტი ზრდილობა სჭირდებოდა, თუნდაც ასაკობრივი განსხვავების გამო.

შალითურმა თითი ჩემზე, ლაზზე, ნაწილზე მოატარა:

— თქვენზე, ვერე, რვა-ცხრა წლით უმცროსი ვიქნები! — თქვა და ნიშნის მოგებით გაიცინა.

სწორედ ჩვენ სამნი არ მოვწონდით შალითურს, რალაცით ვალიზიანებდით, იქბინებოდა.

— რა პატარა ყოფილა, კაცო! — აღნიშნა კარიძემ.

— ალბათ, მეტი, ბატონო ვახტანგ! — თქვა ნანომ. — მე ოცდათექვსმეტისა ვარ.

სანდრო კარიძემ ნანოს გაცეცხული თვალები მიაბჯინა.

— თქვენ ოცდახუთის ბრძანდებით, მეტს არ იტყვის, არავინ! — უთხრა არზნევ მუსკიამ და მომეჩვენა, რომ ნანო მართლაც ოცდახუთისა იყო.

— ქალის საქმე ეგეთია: მოქარგული ენა გქონდეს, — გინდ ხელდაუბანელი იყავი, ვაშლს მინც შენ გააფცქვენივებს! — განაცხადა შალითურმა.

ლაზს ხმა არ დაუძრავს. არც სხვებს. მრავალყამიერი მოჩნა. ცოტა ხანს კიდევ იყო სიჩუმე. მერე ელიზბარ კარიჭავჭილი ზეზე წამოიჭრა, ჭიქა ასწია და დაიძახა:

— ხალხო, ეს სიმღერა იმისთვის არის შეთხზული, რომ კაცს ბოდმა გაუქარწყლოს და დაამშვიდოს. თქვენ რა, — გაგალიზიანათ?.. პირველი სადღეგრძელო ჩემია. ვამბობ, სმენა იყოს! სიყვარულისა მინდა დავლიო. რომლისა, იცით? აი, იმ სიყვარულისა, კახურ მრავალყამიერში რომ მღერიან და მტრობით დანგრეულს რომ აშენებს! — კარიჭავჭილიმა ჭიქა დადგა, ჯამი გაავსო და დალია.

— მტრობით დანგრეულს მტრობავე აღადგენს, სხვა ვერაფერი! კახურ მრავალყამიერშიც ეგრეა: „ვერცა იხაროს მტერმა ჩვენზედაო“. კარგ მთქმელს კარგი გამგები უნდა! — თქვა შალითურმა ხმაბალა და ჯამში დაისხა.

— იქ ჯერ სიყვარულზეა ნათქვამი და მერეა ეგ. მტრის ვერ გახარება. ვალ პირობად სიყვარულია მიჩნეული, — განმარტა სანდრო კარიძემ. — ტექსტიც და მუსიკაც ათას წლების ნამუშევარია და ამდენად შემთხვევითობაც გამოირიცხებულია.

ყურები ვცქვიტე!.. საქმე ის არის, რომ სანდრო კარიძე ორენოვანი კაცი იყო, ორ ენაზე შეეძლო ლაპარაკი: ჩვეულებრივ-სასაუბროზე და, თუ შეიძლება ასე დაერქვას, მეცნიერულ-საპაექროზე. მის სასაუბრო ენას მუდამ ახლდა ფიორა იუმორი და ბომბორა ცინიზმი ერთდროულად. ამ ენაზე კარიძე აღამიანებთან ურთიერთობდა, ოხუნჯობდა, ცხოვრების მოუწყობლობაზე, რეჟიმის იდიოტურობაზე ლაუბობდა და ამას ისე ახერხებდა, რომ მიეკრძებაში მხილება თვით სოლომონ ბრძენსაც გაუჭირდებოდა. საპაექრო ენას მაშინ იყენებდა, როცა რაიმე რთული მოვლენის ანალიზი და ლოგიკური დასკვნის გამოყვანა უხდებოდა. ვფიქრობ, თავის ცენზორულ მოღვაწეობასაც ამ ენაზე ანხორციელებდა, თუკი მის დაწესებულებასა და პროფესიას ლაპარაკი საერთოდ სჭირდებოდა. ისე კი, საპაექრო ენაზე მოსაუბრე კარიძე საკმაოდ ძნელი სანახავი იყო, ამ საქმეს ერიდებოდა, იწნებ, თანამდებობრივი რეპუტაციის შელახვის შიშით, მაგრამ ცალკეული წამოფეთქებები ჰქონდა და, სიმართლეს ნუ დავუქარგავთ, მეტისმეტად საინტერესოც. ეხლაც, სწორედ ის შემთხვევა ვიგრძენი, როცა კარიძეს „გული-სთვის პირი უნდა შეეხსნა“. ყურები ამიტომ ვცქვიტე.

— ბატონ სანდროს ნათქვამი, მგონი რომ, ჭკუასთან ახლოა, — დადასტურა ნანომ.

— არც კახური მრავალყამიერის წინააღმდეგი ვარ, არც სიყვარულისა და სიკეთისა, — მიუვო შალითურმა ნანოს. — მე იმას ვამბობ, რომ წართმეულის დაბრუნებასა და დანგრეულის კვლავ აშენებას კვლა, ელეტა, მტრის განად-

გურება უნდა. სხვანაირად არა გამოვა-
რა. ეგენი სიძულვილს შეუძლია და არა
სიყვარულსა და მიტევებას. სიძულ-
ვილს!

ამ განცხადებამ წუთიერი დუმილი
მოიტანა.

— მაგას სიყვარული აკეთებს, — მო-
ისმა გოგიას ხმა.

— რასა, კაცო?!

— მაგისთანა სიძულვილს, — მიუგო
გოგიამ. — გამარჯობათ! საღამო მშვი-
დობისა, ქალბატონო. შემოგიერთდე-
ბით, თუ ნებას მომცემთ.

ნანომ შემოსწრებული ცნობისმოყვა-
რებით შეათვალერა, თავი დაუკრა
და უნებლიეთ ჩაიჩურჩულა:

— დმერთო, სიზმარია დღევანდელი
დღე? — და სიცილი წასკდა.

— ეგ, რასაც თქვენ ამბობთ, თადეო-
ზის ნეტარ ახირებასა ჰგავს, — მტკი-
ცედ თქვა შალითურმა.

— თადეოზი? არ გამიგონია. რომე-
ლი ეპოქის მოღვაწეა? — იკითხა ნანომ
იმისთვის, რომ ლაზისა და გოგიას გა-
ფაციცებული თვალერება არავინ შემ-
იშნოსო, თორემ გოგიას დანახვამ საუბ-
რიდან მაშინვე გამოთიშა ჩვენი ქალბა-
ტონის ყურადღება. ეს მე ნათლად ვიგრ-
ძენი.

ნანოს შეკითხვაზე შალითურმა და
ელიზბარმა სიცილი ატეხეს.

— თადეოზი ამის გუვერნიორივით
კაცი იყო, ნანო, — განუმარტა ელიზ-
ბარმა. — გვარად სახელაშვილი. ჯერ
ბერად ყოფილა. იქიდან გამოუვლიათ
თუ თავისი ნებით წამოსულა — ცნობი-
ლი არ არის. მერე მასწავლებლობდა.
აი, იქიდან კი ნაღდად გამოავადეს, ჭეშ-
მარიტი ფაქტია. იარა, იარა, — ბოლოს
იღბალმა ვახტანგასთანა უმადური, უნი-
ჭო ბავშვის გუვერნიორობა არგუნა.
როცა დარწმუნდა, უხეირო ნიადავსა
ეჩიჩნო — გაიქცა თადეოზი. ეხლა
სოფელ-სოფელ დადის, წიგნებსა ჰყი-
დის.

— აღარა ჰყიდის, წიგნი გაირყვნა და
გაფუქდაო, — აცნობა შალითურმა. —
ახალი საქმე გაიჩინა: თიანეთში ცხოვ-

რობს, ტყეებში დადის, პანტასა და მა-
ჯალოს ამყნობს. ღორები სჭამენ.

— სანდრო კარიძის ხელში გამტკი-
ლი წიგნი გაფუქდება, მაშ რა მოუვა,
— ჩაურთო ელიზბარმა.

— მე კაზმულ სიტყვების ცენზორი
ვარ, ელიზბარ. ყველა ღონეს ვხმარობ,
მხატვრული ლიტერატურა და პოეზია
ხელთ არ ივდოს თავხედობამ და განდი-
დების მანიით შეპყრობილმა უმეცრე-
ბამ. დარწმუნებული ვარ, კეთილ სამსა-
ხურს ვუწეე ჩემს სამშობლოს. მეორე:
ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი თხზულება
ცენზურის მხრივ ისევე შეუვალაია, რო-
გორც ორდინარული უნიჭობა ცენზურ-
ა არც ლაქვარდისფერს ებრძვის, არც
შავს. ამ ორ ფერს შორის მოთარეშე
ნაცრისფერს ებრძვის, უნიჭობას, ჩემო
კარგო ელიზბარო!

— კიი კაცი ყოფილა, მაგ საცოდავი
თადეოზი, — თქვა არზნევე მუსკიამ.

— ძალიან, ლაზო! საოცარი კაცია, —
დაუდასტურა კარიჭაშვილმა.

— არა, შენ ისა თქვი, სიყვარული სი-
ძულვილს რანაირად აკეთებს, — გამო-
ემასხრა შალითური გოგიას.

— მე მაგას ვიტყვი, მაგრამ ჯერ შენ
თქვი, სიძულვილი დანგრეულს რანაი-
რად ააშენებს.

— რანაირად და უბრალოდ! შენ რო-
გორა გგონია, ქართველებმა იმით მო-
ვაჩანჩაღეთ დღემდე სიცოცხლე და არ-
სებობა, რომ ჩვენი წინაპრები მტერს
ჩურჩხელებითა და ფელამუშებით ეგე-
ბებოდნენ?.. მოვიდა მტერი, მოგვერია,
ციხეები შელენწა, წინააღმდეგობის გამ-
წევი მოსპო. შემოვიდა და გამოგვიცხა-
და, ყველაფერი ჩემია, ჭკვიანად იყავი-
თო. დაეხსნეთ, გულხელი დავიკრიფთ
და ბედს შევერიგდეთ? არა! იმას, ვინც
ძმას გასცემს, ვინც თავისუფალს მონად
მოაქციებს, ვინც სულს ქონების ეშმაკს
მიჰყიდის, ვინც დედანას დაივიწყებს
და მამა-პაპას საფლავებში ჩააფურთ-
ხებს, — ვახტანგ შალითური ზეზე წა-

ზაზუა ამირაჯიბი

ღათა თუთაშვილი

მოიჭრა, სახეში სისხლმა მოასხა, მუშტები შეჭრა — ხმალი მაგას, ცეცხლი, მახე, ხაფანგი, მგლის ორმო, საწამლავე, სიცრუე, მუხთლობა მაგას!.. ყველაფერი გამართლებულია! — უეცრად მომწყდარი ჯაფრი სიტყვებს ამოაყოლა, გული მოიფხანა. მერე ეუხებრხულა, ხელეზი გადაიფშენიდა, დაჯდა. — მტერი მტერია! შენი ვადაშენება უნდა. მიდი და სიკეთე დაუხვედრე, სიყვარული აჩუქე, დანაშაული მიუტევე. დანგრეული თავისთავად ავიშენდება? არა! უნდა გპულდეს, უნდა ჰკლა, ხოცო, ქლიტო იქამდე, სანამ იტყოდეს „ჩიტი ბღვინად არა ღირსო“, სანამ შეუბამდეს და წავიდოდეს. მხოლოდ ასე აშენდება დანგრეული. სიძულვილით: მსხვერპლით! დადევით და იმღერეთ — „სიყვარულს უშენებიაო“... გპულდეთ, თუ თავისუფლება გნებაეთ. თუ გინდათ კვლავ ააშენოთ და აღადგინოთ. გპულდეთ! ისე კი, სიყვარულისასაც სიამოვნებით დავლევ, ყველაფერს თავისი აღგილი აქვს. — შალითურმა სულმოუთქმელად დაცალა.

სიჩუმე ჩამოვარდა. იმხანად რადიკალურ აზროვნებას ხშირად შეხვდებოდით. პატრიოტული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მაქსიმალისტურად იყო განწყობილი. შალითურის ნათქვამში მოულოდნელი და ორიგინალური არაფერი ყოფილა, სუფრა მისმა ღვარძლიანმა ტემპერამენტმა ჩააჩუმა.

კარიჭავჭილი ფეხზე ადგა, შალითურს ურჩია:

— ვახტანგჯან, მგონი ის დროა, ადიუტანტობიდან გადადგე და ტერორისტობა დაიწყო. ეს შენთვის სხვა დროსაც მიუთქვამს. მეორე ისა, რომ...

— მაგ მეორეს მე ვიტყვი, ელიზბარ, — ითხოვა გოგიამ.

— თქვი. ნახეთ, რანაირი თამადა ეაო, ყველაფრის უფლება მომიცია. მიდი, გოგი!

— ჩვენი მამა-პაპა მტერს ხოცვა-ქლეტით ხვდებოდაო, ამბობ. უმრავლეს შემთხვევაში მართლაც ასე იყო და საჭაროება შეიძლება ახლაც მაგას მოი-

თხოვდეს, მაგრამ სად არის? დღევანდელი ქართველი ერიც ხომ მამა-პაპაა და რატომ დაუჭრეფია გულბელი, ნეტავი, და არც კლავს და არც ქლევს არავის, პა?

— გადაგვარდა, დაჩივდა ხალხი. — მიუგო შალითურმა.

— ვფიქრობ, ეგრე უბრალოდ არ უნდა იყოს საქმე, ბატონო ვახტანგ, — ჩაერია ნანო.

— როგორ ფიქრობთ, რაშია საქმე?

— ეგ უკვე ნათქვამია!

— არ არის ნათქვამი, — მიუგო ნანომ. — სიყვარული დაკარგა. თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული.

— როგორ ბრძანეთ, ქალბატონო ნანო! — სანდრო კარიჭე შუბლშეკრული, თვალეზამაზნული დაელოდა პასუხს.

— რა, მაგის თქმა არ შეიძლება? ცენზურა კრძალავს? — მიამიტად ჰკითხა კარიჭავჭილმა სანდროს.

ნანომ თავისი სიტყვები გაიმეორა.

კარიჭემ მოისმინა, სუფრას ჩააჩერდა და მავიდაზე თითები აკაკუნა.

გოგიაც განცვიფრებული შეჰყურებდა ნანოს. კარიჭისა არ იყოს, ალბათ, არც ის მოელოდა, რომ მისი შეხედულება ამ მანდილოსანმაც იცოდა, და მეორე მხრივ, გოგიას განცვიფრება სხვა აზრსაც გამოხატავდა, რაღაც იდუმალ აღმოჩენას შეიცავდა.

შევამჩნიე, რომ ლაშსაც ხან ნანოსკენ ჰქონდა თვალი, ხან გოგიასკენ და ამის დამალვას ცდილობდა. მერე ლასტზე დაყრილ ცოცხალს ჩააკეპრდა. ცოტა ხნის ღუმულის შემდეგ პაუზა მოიხელთა და თქვა:

— გაუგებარია ჯერ. მომთავრება კი-რია მაგას.

უკვი დამებადა, რომ ნანომ, ლაშმა და გოგიამ ერთმანეთს რაღაც ინტერესი აღუძრეს. აქ რაღაც იყო...

გოგია გონს მოეგო ლაშს გადახედა, აზრის კვლავინდებურ მსვლელობას ანაზღად, თითქოს სასწრაფოდ დაუბრუნდა და განავრძო:

— კაცმა რომ კაცი მოკლას, მიზეზი

უნდა ქონდეს. მძარცველი ქონებისთვის
კლავს. ხელმწიფის, შაჰის თუ სულთანის
ქარში მომსახურე ქართველს ფიცო, და-
წინაურების იმედი, ჯილღო აკვლევ-
ნებს. საბოლოოდ ესეც ქონებისთვის
კლავს, კაი მომავალს ინაღდებს, სი-
მართლის თქმა თუ გინდა. ასეთი მკვლე-
ლი ადამიანობას იმიტომ ჩემულობს,
რომ ნადირისგან განსხვავებული ხერ-
ხით სჩადის ნადირულს, თორემ მუცლის
ამოხორავისთვის აკეთებს ამას. კაი. მო-
ვიდა მტერი, გაგიქელა შენი მოდგმით
ნაჯარანხევი ცხოვრების წესი, შეგიგინა
სარწმუნოება, ტყვედ წაგიყვანა და
ცხრა მთას იქით გადაგიკარგა ნათესავი
და არც შინ წასვლას აპირებს. ცხადია,
ამ კაცს კლავ, მაგრამ იმიტომ კი არ
კლავ რომ გძულს, — უპირველესად
ყოვლისა იმიტომ, რომ გაგიქელა, შეგი-
გინა, წაგართვა ის, რაც გიყვარდა. შენი
წინააღმდეგობა სიყვარულიდან იწყება.
სიყვარულიდან მოდის ის მსხვერპლის
გაღება, თავგანწირვა და ძლიერამოსილე-
ბაც, წართმეულს რომ დაგიბრუნებს. ეს
სიყვარულის ერთ-ერთი სახეა და არა
სიძულვილი. ვეღარ ვაკეთებთ ამას. რა-
ტომ და იმიტომ რომ, — მართალი ბრძა-
ნა ქალბატონმა ნანომ, — თავისუფლე-
ბის, სამშობლოს, სახელმწიფოებრიო-
ბის სიყვარული დაეკარგეთ! ერთია კი-
დევ: წართმეულის დასაბრუნებლად
სხვა, უფრო შედეგიანი გზები არსე-
ბობს. ხოცვა-კლუტის გაღმერთება ჯერ
ადამიანობას ეწინააღმდეგება, მერე საღ-
გონებას. ძალმომრეობა ბოროტებაა და
თავის მხრივ ახალი ბოროტება მოაქვს...
ცალკე სალაპარაკოა ეს. „რაც მტრობას
დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ —
ქეშმარიტებად მიმაჩნია და ამისას
ესეამ! — გოგიამ ჭიქა პირთან მიიტანა.

— მოიცა, გოგია! ამას ჯამებით უნდა.
თუ არ მოგვეცემა, არც საუბარი გამოგ-
ვივა, — ელიზბაომა სავსე ჯამი გადმოა-
წოდა.

— ძალიან რიგიან გუნებაზე დაკდე-
ქი. მომეცით პაპიროსი და დამისხით
ჯამში. მეც უნდა ვთქვა! — განაცხადა
ნანომ — დამისხი, ლაზო.

— ჯამი! — გაუყვირდა კარიჭაშვილს.
— ჯამი!
— რო დაითრო და ტირილი აგვიკარ-
დეს?

— დამისხით! — თავისი მომაჯადოე-
ბელი ღიმილით გვიბრძანა ნანომ.

არზნევ მუსკიამ ნანოს ჯამი გადმოი-
წოდა, დასხმას მიჰყო ხელი. შალითური
კარიჭაშვილს მიუბრუნდა და ხმადაბლა,
მაგრამ საკმაოდ გასაგონად უთხრა:

— Профессионально наливаает!
Он, что, из официантов?

— Нет, ваше благородие, — თქვა
ლაზმა მშვიდად.

— Снательство! — წოდება გაუსწო-
რა შალითურმა.

— Да? — შეკითხვით მიუგო ლაზმა და
გავესებული ჯამი ნანოს დაუდგა.

ძალიან უხერხული სიჩუმე ჩამოვარ-
და ყველა გრძნობდა, რომ ამ სიბრიყ-
ვეზე რეაგირებას უფრო მძაფრი სიტყ-
ვიერი წაიკვლია ვიდრე მოჰყვებოდა და
იქნებ სუფრაც აშლილიყო. არც გამოუ-
სარჩლებლობა ვარგოდა: ეს მეორე შეუ-
რაცხყოფა იქნებოდა სტუმრისთვის და
წაქეზება — შალითურისთვის. რა ვიცი,
რომელი ჩვენგანი როგორ მოიქცეოდა
და საქმე საით მიტრიალდებოდა, გუნდს
რომ სიმღერა არ დაეწყო. „ქონამ“
გვიხსნა, დამშვიდების, ვითარებაში
გაჯეკვის, მოფიქრების საშუალება შე-
გვიქნა. მხოლოდ ელიზბარ კარიჭა-
შვილმა თქვა:

— ერთი გამაგებინა, ვახტანგა შალი-
თურო, ეგრე მწარედ რამ დაგბოღმა და
მერე, გინდ მომკლა!

— ჩინი დაუგვიანეს, — განუმარტა
კარიჭემ ელიზბარს.

შალითური გაყუჩებული იჯდა, რა-
ტომაც გამარჯვებული კაცის მედიდუ-
რი ღიმილი უთამაშებდა სახეზე. სამინია-
შვილის ხმას ნაკადულივით გაჰქონდა
ლაკლავი: «დედი, კონას მოგახსენებ,
თუ არა ხარ მგლოვიარე, მაღალმა
ღმერთმა გიკუთხოს მაგ აკვანში მწო-

დავუა პირიყვირა
დათა თხთახიკა

ლიარე...“ ნანო განაბულიყო — ალბათ, საჭირო საქციელს ეძებდა ან იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოჰყვებოდა შალითურის თავხედობას. მე უკვე ვიცოდი, რასაც მოვიმოქმედებდი და სიმღერა დასრულდა თუ არა, ჯამი ავწიე:

— ეს სადღეგრძელო ნანომ უნდა დაასრულოს, მანდილოსანია, სიყვარულსა და სიკეთეზე ნათქვამს თავს უკეთ მოუყარის. არზნევე, სანდრო, მაპატიეთ, თქვენზე ადრე ვამბობ. ხალხი მოვიყვანე. მათი მოღვინისა და წყენის პასუხისმგებელი მე ვარ და მოყენებულნი შეურაცხყოფისთვისაც მე გიხდი ბოდიშს, არზნევე მუსკია! ხედავ, რა ხდება? ესხედვართ, ღვთაებრივსა და ამაღლებულზე ვსაუბრობთ, სიკეთეს ვეთაყვანებით, ერთმანეთი გვიყვარს. კარზე კი მკვახე სიტყვა, სიძულვილით მოგვადგა, ჩვენი კეთილგანწყობილების ლიბოს ლაღუმი შეუყენა, უნდა რომ ჩიშითა და მოდგმით ნაკარნახევი ცხოვრების წესი აგვიშალოს, რწმენა შეგვირყიოს. ერთი სიტყვით, მტერი მოვიდა, მაგრამ სიყვარული დაევიწყეთ და ხატები სანაგვეზე გადაყაროთ? სიძულვილით შევიარადდეთ და ვეღვით? არ ივარგებს! ამჯერად, მგონი, უსისხლო ომი უნდა სჯობდეს: ბოროტებას სულგრძელობით შევებათ. სიყვარული ბოძოლაში დაიწმინდება, დაიხვეწება, ავმაღლებით და მაშინ მართებულ გამოსავალსა და ღონისძიებასაც მივაგნებთ. ისევ ის არის: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“ ვნახოთ, შესძლებს მტრობა დანგრევას? თუ შესძლო, მერე ისიც ვნახოთ, სიყვარული რას იზამს. ასწი, ლაზო, შენთან გადმოვდივარ, ცხოვრება გაძლებათ!

ვფიქრობ, შალითურის დასაბმელიც ვთქვი და არზნევე მუსკიას შესაძლო სიმძაფრესაც ზღვარი მიუღჩინე. სხვა რა უნდა მექნა!

— მთლად მასე არ არის, ირაკლი, ეგ — დაიწყო ლაზმა სადღეგრძელო. — უფრო სხვაფერად არის, მგონია, საქმე-პატარა ერებს უჭირთ, ფიქრობს ხალხი, გამოსავალს ეძებს, ვხედავთ ამას ყვე-

ლა. არ ჩანს გამოსავალი. ვაბოროტებო იცის ამან. გაჭაგრებული კაცი უნდა შეეცდება. ქართველები ვართ, ჩვენთვის კაცი, თუ უცხოა, — უნდა გავიგოთ მისიც, მივუტევეთ და ვაელოთ უნდა. თქვა ბატონმა ვახტანგმა რაღაც და, სიმართლე მოვახსენოთ, ვერ შეეძელი ხუმრობად მიმელო, ვერ მოვერიე თავს. ჩემი სისუსტეა ეს, მაგრამ პატიება შეეძელი მაინც და აღარ გვაქვს ერთმანეთისგან წყენა...

— ვთქვათ და არ გვეპატიებინა, — შალითური ადგა. — ნეტა, რას იზამდი? ლაზი წამით დაფიქრდა და მიუგო:

— გააჩნია, რას შემომთავაზებდით, ბატონო.

— დუელი რომ შემომეთავაზებინა? ხა, ხა, ხაა!

— არ მივიღებდი გამოწვევას. უსინდისობა იქნებოდა ჩემგან ის.

— ვითომ რათათ? — ღვარძლიანი სიცილით იკითხა შალითურმა.

არზნევე მუსკია კვლავ დაფიქრდა. სიჩუმე იყო, ქარიშხლის მოლოდინში ყველაფერი ჩაყუჩდა. სუფრა გადაციცდა. ლაზმა თვალნი შემოგვაგლო, დარბაზიც მოათვალიერა. გოგეასკენ მიბრუნდა, თვალეში ჩახედა, იქ რაღაც ამოიკითხა, ნელა წამოდგა და ნანოს უთხრა:

— ქალბატონო ნანო, თქვენს წინაშე... არაფერი ისეთი არ მოხდება აქ, მერწმუნეთ, მაგრამ მაინც ბოდიშს ვიხდი... თქვენს წინაშეც, სანდრო-ბატონო! — ლაზი შალითურს მიუბრუნდა: — უსინდისობა იქნებოდა ჩემის მხრივ!.. იმიტომ, რომ დიდი უპირატესობა მაქვს ძალიან!

წამოხტომა და გაშველება დავაპირე; გოგამ მაგიდის ქვეშ მუხლზე ხელი დამადო და წაილაპარაკა:

— იჯექი, ირაკლი!

დავებენი. ვერაფერი გამეგო, რა ხდებოდა. დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ არზნევე მუსკიას მეტმა არც არავის რამე იცოდა. ნანო ერთიანად დაჭიმული, ფერმკრთალი იჯდა. კარიკაშვილს რაღაცის თქმა უნდოდა და ყოყმანობდა, ვი, თუ ვითარება გავართულოო. კა-



რიძე შეტოკდა, მგონი, გასაქცევად მოემზადა.

— მსურს დავრწმუნდე თქვენს ძალიან დიდ უპირატესობაში! — ამოღერდა ვახტანგ შალითურმა, ღვინიან ჭიქას ხელი სტაცა და ლაზს მიახსა.

ლაზი გოგიასკენ გადაიხარა, ღვინო მხოლოდ სახელოზე მიესხურა.

— აბა, დამარწმუნე, ყმაწვილო!..

ლაზმა თავი გადაიქნია და გოგიას უთხრა:

— უნდა მოახვედრო, თვარა ჭერი გაგიფუჭდება, — უბიდან რევოლვერი ამოაცურა, გოგიას გადასცა.

ნანომ წამოიკვლევა დააპირა, მაგრამ თავს დროზე დაეფულა... ყურები დაიკო. გოგიამ იარაღი ფეხზე შეაყენა, მაგიდას სკამიანად დაშორდა:

— ეეჰ, მიდი, ლაზო. ცხოვრება გაძლება არისო, ირაკლიმ თქვა, მგონია.

— ჰო, — დაიძახა ლაზმა, როცა ცარიელმა ჯამმა ორიოდ წამით ჰაერში გაიფარფატა და გავარდა კიდეც.

შეიფე ჰახანს იატაკზე ჩამოცვენილი ნამსხვრევების დაკაენება მოჰყვა.

გოგიამ იარაღი ტუჩებთან მიიტანა, ჩაბერა, ლულას აკოცა და თქვა:

— სად შოულობს ეს კაცი ასეთ იარაღს. დამიზნება არ ჭირია, თვითონ ხვდება, დალოცვილი!

— ხომ კაია?

— შენი მოჰყვდილი ხატის ამბავი შენ უკეთ არ იცი?

— აბა, შენი იყოს მაგ.

გოგიამ ლაზს შეხედა, წამით თვალი გაუსწორა, სახე სიხარულით აევსო და რევოლვერი უმალ ჯიბისკენ გააქანა.

— იყოს აქ თუ გავგიჟირდა, ქალაქ-ქალაქ ვიაროთ და ვხვრიტოთ ჯამები, — დააყოლა სიცილით.

— სამაგისოდ დამიდგებოდეს საქმე, შენხელა კელაპტარს დავუნთებ ილორის წმინდა გიორგის! — მიუგო ლაზმა.

ისევ სიჩუმე ჩამოდგა. დარბაზიც განაბულიყო.

— საოცარი სროლა გცოდნიათ, ბატონო გოგი, — თქვა განცვიფრებულმა ნანომ.

— ისე, რა უკეთესიც არის.

ჰაერში ორშაურიანს ააგდებენ და უკან აღარ დაბრუნდება, ისაა უკეთესი. აგერ, ლაზს შეუძლია ეგ, — ათიდან ცხრაჯერ!

ტყვიამ დაძაბულობა ქალაღის პარკივით გახეთქა. ნანოს და გოგიას კითხვა-პასუხმა მძაფრი გამოხდომების ადგილი შეავსო და ელიზბარ კარიჭაშვილმა შალითურს ხუმრობით შეჰყვირა:

— ჰა, დაჯე, კაცო, რას დაყუდებულხარ!

— ჭკვიანად იყავ!.. — მიუგო შალითურმა ელიზბარს და გოგიას მიმართა:

— არა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ე მაგ ჩუბინობას საჯამბაზოდ თუ გამოიყენებთ ერთიცა და მეორეც, თორემ...

— თორემ? — ჩაეკითხა გოგია.

— რა ვიცი... არ მიყობას თოფი და ზარბაზანი არა სჭირდება. მაშ რისი მქნელები ხართ და თუნდ ხუთჯერ მაგაზე უკეთესი სროლა გცოდნიათ, რაშიღა უნდა გამოგადგეთ? — შალითურმა დოინჯი შემოიყარა და ლაზს შიგ სახეში შესცინა.

— რის გამკეთებლები ვართ მაგას, ყმაწვილო, შენ არ გეკითხება არავინ, — მკვახედ მიუგო გოგიამ, — სროლას რაც შეეხება — გამოდგა უკვე; შენისთანა თავხედის დასაშოშმინებლად ხომ ივარგა?

— ვერა! თქვენ გგონიათ, შემაშინეთ, არა?.. აქ სხვა საქმეა; ვთქვათ, დავდექით და ერთმანეთს ვესროლებთ. მე გაგიმეტებთ, თქვენ — ვერა, დედლები ხართ! მაგნაირი დაპირისპირება ხელს არ მაძლევს. არავინ იფიქროს, ვახტანგა შალითურს სიკვდილისა სცხვენიანო. ნახეთ!.. — შალითურმა ნაგანი ამოიღო, გადახსნა, ვაზნები მაგიდაზე ჩამოყარა, შევიდევ დაამწყრივა და თითით გადაითვალა: — ენკი, ბენკი, სიკნი, სა, ენკი, ბენკი, ბა, გა-ვი-და!.. — წილხვდომილი ვაზნა ნაგანში ჩააბრუნა, იარაღი

მანუა აშირაჯიანი
დათა თუთაშანი



ჩაკეტა ფეხზე შემართა, თვალებით ჩამოგვიარა...

შალითურის განზრახვა ზოგი ჩვენგანისთვის უტყუარ იყო, მაგრამ ელიზბარ კარიჭაშვილმა თავისი ძმაცაცის ოიხები კარგად იცოდა, — ნაგანში ხელი წაუღო და გაუჭავრდა:

— იცი, რას გეტყვი? ჭერ ერთი, კოკა წყალზე ტყდება, და ეგ თამაში, ერთხელაც იქნება, თავის ქალას აგხდის. მეორე ისა, რომ თუ სიკვდილი მოგწყურებია, ბაღში გადი, მყუდრო შემოღამებია, ნიავეი ქიქინებს, ხეებს შრიალი გაუღით...

შალითურმა კარიჭაშვილი უხეშად გაიშორა, ნაგანის სავაზნეს ხელისგული ჩამოჰკრა, ცილინდრმა ბზრიალი დაიწყო. ლულა იმავ წამს საფეთქელს მიადგა და შალითურმა იარაღის ფეხს თითი გამოჰკრა... ნაგანმა ცხვირი დააცემინა, სავაზნე გაჩერდა. შალითურმა იარაღი შეინახა, დაჯდა და ქამას შეუდგა.

სუფრა ერთხანს განაბული იჯდა მერე კარიძე ზეზე წამოიჭრა, ხელები გაასავსავა, ცას შეჰლაღადა:

— საცოდაო საქართველოვ, საით მიღიხარ! — და კვლავ სკამზე დაეშვა.

— გამაგებინეთ, რა მოხდა? — იკითხა ნანომ. ალბათ ბოლომდე დარწმუნება სჭირდებოდა, რომ აქ ეს-ეს იყო ადამიანის სიცოცხლე ბეწვში იკითხა.

— იმდენი არაფერი, — მიუგო ელიზბარმა. — ერთი რეგვენით ნაკლები იქნებოდა.

ნანო გაფითრდა.

ლაზი ოდნავ მღიმარი თვალებით ჩასტკეროდა სუფრას, თითებით დანაჩანგალს აწვალებდა.

— მოიშალე ეგ სისულელე, თვარა... რა საქირო იყო, ვითომ! — თქვა გოგიამ.

— საქირო იყო! — ჩაილაპარაკა შალითურმა და ლუკმა გადაყლაბა.

ნანოს, ჩანს, სიმშვიდე დაუბრუნდა, ლიმონათი მოსვა და თქვა:

— ეგ იმის ბრალია, რომ არ ვიცით, რისთვის ვიცოცხლოთ და ან რისთვის დავიხოცოთ.

— სწორი ბრძანებაა! — დაუდასტურა შალითურმა.

ნანო გოგიას მიუბრუნდა:

— მაგ ოთხი ათასი ვაზნის ხერხით ქალების გაწვრთნაც შეიძლება?

— შეიძლება, — ღრმად ამოისუნთქა გოგიამ.

— სახელდობრ, რაში მდგომარეობს მეთოდი? — გონს მოეგო სანდრო კარიძე და ყურმოკრულ საუბარს ყავარჯენი შეამველა.

— ათას ხუთასი ვაზნა უძრავმა უნდა ესროლოს უძრავ მიზანს. ხუთასი — უძრავმა მოძრავ მიზანს. ხუთასი — მოძრავმა მოძრავს. ხუთასი — უძრავმა უძრავ ხმას. ხუთასი — უძრავმა მოძრავ ხმას და ხუთასი — მოძრავმა მოძრავ ხმას, — განუმარტა გოგიამ.

— დრო?

— ორი კვირიდან ერთ თვემდე. ნიჭზეა დამოკიდებული.

— ლაზო, მასწავლე, რა! — შეეხვეწა ნანო. — არა, პირობა მომეცი, აი, ხალხთან.

არზნეე მუსკიამ გაიღიმა, სასმისი აიღო და ადგა:

— სადღეგრძელო მაქვს დასამთავრებელი მე და მერე ბატონმა სანდრომაც უნდა თქვას თავისი.

— სმენა იყო! — დაიძახა ელიზბარმა.

— გისმენდით მე, — განაგრძო ლაზმა კარგა ხნის წინ შეწყვეტილი სიტყვა, — ვაცოდი, მართალი რომ ხართ, — სიყვარულმა უნდა ააშენოს მტრობით დანგრეული, მაგრამ სხვაც არის აქ. ბოროტება და მტრობა ჩავიდინეთ, აგერ ახლა, მე და გოგიამ. პატიებას ვითხოვ ამისთვის ბატონ ვახტანგისგან და ხელს თუ არ მკრავს, ჩემს შეგობრობასაც ვთავაზობ სულით და გულით. სიყვარულიდან დაიწყო და წამოვიდა ეს საქციელი, ჩვენი ღებინის და საუბრის სიყვარულიდან. ასე ეს და არც ბოროტებად ჩაითვალოს, იქნება, რაც სიყვარულმა გვაქნევინა, მაგრამ რა იცის კაცმა, სასიკეთოდ რასაც სჩადის, უკეთურობად შემობრუნდეს, იქნება, ის? ასეთი ბევრი მაგა-



ლოთი ვიცით ყველამ. ნახვებოროტებს ან სხვა გლახა საქმეს, არ მოგიტომენს გული, ჩაერევი, როცა არ გამოდის სხვა-ნაირად. იხმარ ძალას, დათრგუნავ ძალ-მომრეობას და იხსნი კაცს ძალის შემ-წეობით. ჩვენს დროში ასში ოთხმოც-დაათი ცუდ კაცად მგონია აღზრდილი მე. შენ რომ იხსენი, ის კაციც ასეა. მი-ღის შენი ნაამაგარი აღამიანი და ცუდ საქმეს აკეთებს ისევ — ეს ერთი. მეორე ის, რომ ვისზეც ძალა იხმარე და სი-კეთის სახელით დაჩაგრე, გამოსწორდა და გაანგელოზდა ის კაცი, ვითომ? სიყ-ვარულით აკეთებ, დანგრეული ავაშე-ნოო ფიქრობ. კი, შენდება ხანდახან ის დანგრეული, მაგრამ სხვა შენობა რომ ინგრევა? მითხრას ვინმემ, რა ქნას ღვთის შვილმა და სად როგორ მოიქ-ცეს?

ლაზი დადუმდა. ვავიფიქრე, რომ მძი-მე ავადმყოფობაში არზნევე მუსკიას სწორედ ასეთი სახე და იერი უნდა ჰქო-ნოდა.

— გამოგიტყდებით, კაი ხანია სხვის უბედურებაში არ ჩავრეულვარ, სიკე-თის რწმენა დაეკარგე მე! დღეს დავარღ-ვიე სიტყვა. იმიტომ დავარღვიე, ალბათ, რომ ის სხვისი მეც მეხებოდა პირადად. პირადიდან იწყება კაცის წახდენა და ვეღარებ განგებას, დამიბრუნოს რწმე-ნა, — „რაც მტრობას დაუნგრევი, სიყ-ვარულს უშენებიაო“ — ამის რწმენა. ეეჰ, მქონდა, როდისღაც!

ლაზმა კი არ დალია — გადაუშვა და დასძინა:

— გრძლად გამომივიდა სათქმელი-კი მავარი მოთმინება ცოდნით თბი-ლისში.

— გრძელი შენ ეხლა ნახე! აბა, სანდ-როს მოუუსმინოთ, — კარიჭაშვილმა ხე-ლები სიამოვნებით გადაიფშენიჭა: უხა-როდა, რომ ღზინი კალაპოტს დაუბრუნ-და და, ჯერჯერობით, უთანხმოებებსაც ეშველა. — ამან ბლომად საზღვარგარე-თული სიტყვები იცის, სანამ ყველას არ იტყვის, არ გაჩუმდება. ცოდონი ეხლა ვართ, ლაზო, თორემ შენი მოკლევ იყო, სადაც და ჰქვიანურიც.

გუნდმა „შავი შაშვი“ დაიწყო. მხურებმა კერძები მოიტანეს. მაგიდა მიგ-ვილაგეს. სუფრა დაცხრა. ეს პაუზა აუ-ცილებელი იყო, დასვენება გვესაჭი-როებოდა, ერთობ მახვილი განცდები გვექონდა მოსანელებელი! კრინტი არა-ვის დაუძრავს, ერთმანეთს თვალს ვარი-დებდით, ცოტა ხნით განმარტოება გვსურდა ყველას. დრო გავიდა და ხალხ-მა იმატა — აივნები ერთი თუ ორიდა დარჩა თავისუფალი. დარბაზში განლა-გებული მაგიდებიც თითქმის ყველა შეივსო, მაგრამ წინააღმდეგ ჩვეულებად ქცეული წესისა, გოგია არავის მიჰგე-ბებია; არავისთვის ეცალა, იჯდა, თანა-მესუფრეებთან ერთად განიცდიდა, რაც ხდებოდა.

„შავი შაშვი“ ჯერაც არ იყო დამთავ-რებული, მსახურმა უშველებელი სინი, — თორმეტი ბოთლი ღვინო, სამი შამ-პანური, ნაირ-ნაირი ხილის ზვინი, — ერთი ქოშინითა და ჭაპანწყვეტით მოი-ტანა.

— ვინ გამოგზავნა? — ჰკითხა გო-გიამ მსახურს.

— სიმონია გოდაბრელიძემ მოართ-ვა თქვენს სუფრას, გიორგი-ბატონო: ღვინო — მამაკაცებსო, შამპანური — ქალბატონს, გიყვებს რომ უძლებს, იმის-თვისო. მანეთიანი ქეთუას მისცა ჯამის ნამსხვრევების აკრფაში, მანეთიანი — სინის მოტანაში მე. ღმერთმა ხელგაშ-ლილ კაცს ფული ნუ მოუშალოს და ხელგაშლილი კაცი — ჩემს შვილებს.

— ჰააა, სიმონია, იაფად გინდა გა-მოგვიდე?! — გამოგზავნეს გაეხუმრა ელიზბარ კარიჭაშვილი და ერთი კოც-ნაც გაუგზავნა.

მეორე მსახურმა პატარა მაგიდა მოარბენინა, სინი იმ მაგიდაზე გადაკა-ლეს, თითო ჰქიქით დავვლოცეს და წა-ვიდნენ. ძღვენის გამოგზავნაზე ვსაუბ-რობდით, სანდრო კარიძემ ჯამს ხელი მოჰკიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სა-დღეგრძელოს იწყებდა. ნელ-ნელა დაე-წყენარდით.

მანუა აშირაჯიანი
დათა თუთაჯიანი



— ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთ-
მანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული,
როგორც პიროვნების ზნეობაზე — მისი
ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობა-
ზე მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირ-
უკუ. ისინი ერთმანეთის შვილები
არიან...

— ქათმისა და კვერცხისა არ იყოს,
არა?... — ჩაურთო კარიჭაშვილმა. —
ვახტანგ, ნუ მოიწყინე! რა უფრო ადრე
გაჩნდა, კვერცხი თუ ქათამი? თქვი.

— დიდუბელი არჩილა რომ მყავს, მე-
კარე, ამბობს ჯერ მამალი იყოო! — თქვა
გოვიამ.

— მასე იქნებოდა, უთუოდ, — გაი-
ცინა ლაზმა. — გისმენთ, სანდრო-ბა-
ტონო, კაი საინტერესოა ეგ.

შალითურმა თვალი შემოგვაველო. მო-
ლუშული იყო და, მგონი, თვითონ უკ-
ვირდა, რომ ჯერ კიდევ იქ იჯდა.

— ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომ-
ლის წყალობითაც პიროვნება საქციელს
იწესრიგებს, — განაგრძო კარიძემ. —
რომლის წყალობითაც თავის პირად მო-
თხოვნილებებს ერისა და მისი სახელმ-
წიფოს საჭიროებებს უთანხმებს...

— იწესრიგებს და უთანხმებს იმ ზო-
მით, რა ზომითაც ზნეობა აქვს! — ახლა
მე შევაწყვეტინე კარიძეს.

— სწორია, ირაკლი. — სანდრომ
სრულ სიჩუმეს მოუცადა. — მცირე ერი
სახელმწიფოს ვერ შექმნის, თუ ამით
კაცობრიობის ან მისი ერთი ნაწილის
წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა.
სახელმწიფოს არსებობას საერთაშორი-
სო ფუნქცია, ისტორიული მისია სჭირ-
დება...

— მაგას სხვაც ბევრი რამ სჭირდება,
სანდრო, — ისევ ჩაერია ელიზბარ კა-
რიჭაშვილი. — ჯერ არის და თვით ფუნქ-
ციის ისტორიული საჭიროება უნდა შე-
იქმნას. მერე და, ერს, რომელიც ამა თუ
იმ მისიას იკისრებს, საიმისო ნიჭი,
ენერგია, ბრძოლისა და ძლევამოსილე-
ბის ყინი უნდა მოსდგამდეს.

— თავისთავად ცხადია, ელიზბარ, და
მაშინ ასე დაეიწყეთ: მსოფლიოს ერთ-
ერთ გეოგრაფიულ რაიონში — ამიერ-

კავკასიაში — დაისახა გარკვეული ნიშნე-
ცია და მამასადამე, სახელმწიფოს შექმ-
ნის ისტორიული საჭიროებაც. დაისახა,
მიუხედავად იმისა, თუ ვინ ცხოვრობდა
ხმელეთის ამ ნაწილზე. ქართველები
ეცხოვრობდით და საჭიროებას ვუპასუ-
ხეთ — შევექმენით სახელმწიფო. ქართ-
ველთა ქრისტიანული სახელმწიფოს არ-
სებობას სული იმან ჩაუდგა, რომ დასავე-
ლეთის ქრისტიანული ცივილიზაციის-
თვის განაპირა გოდოლის როლი ვიკის-
რეთ აღმოსავლეთში. მეორე მხრივ,
სპარსეთისა და ბიზანტიისთვის ის ძალა
გავხდით, რომელსაც ჩრდილოელ მომ-
თაბარე სამხრეთული ლაშქრობების და-
კონტროლება შეეძლო. ამასთან ერთად,
სახელმწიფოს შექმნამ წესრიგი, სტა-
ბილურობა მოიტანა. მაშინ ქართველთა
მიწა-წყალზე გაიღო და გადაჯვარე-
დინდა დიდი სავაჭრო გზები. გან-
ვითარდა ეროვნული ეკონომიკა, რო-
მელმაც აზიურ ალბ-მიცემობაში მნი-
შვნელოვანი ადგილი დაიკავა. ასეთი
მსოფლიო-ისტორიული მისიის აღსრუ-
ლება ნიშნავდა გამუდმებულ ომებს.
ათასნაირი მტრის მოგერიებას და სა-
ხელმწიფოც საომარ ყოიდაზე გვექონდა
მომართული. პიროვნებამ, მოქალაქემ.
ცხადია, ერის ფუნქცია, სახელმწიფოს
მისია გაიმეორა: მტრის მოგერიება, ომი
ადამიანის ძირითად საქმიანობად, ყო-
ველდღიურ ცხოვრებად იქცა. ცხოვრე-
ბად-მეთქი! ცხოვრება სულიერი და
ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცე-
სია, ხოლო ზნეობა — ამ პროცესის მომ-
წესრიგებელი ძალა. შეიქმნა ვითარება,
როდესაც მოქალაქის ცხოვრების ავ-
კარგი სახელმწიფოს ძლევამოსილებაზე
ეკიდა და სახელმწიფოს ინტერესების-
თვის რაიმეს დაშურება, საკუთარი სი-
ცოცხლისთვის დაშურებას უდრიდა.
ამიტომ ამოქმედდა და დროთა განმავ-
ლობაში დამკვიდრდა ზნეობრივი პრინ-
ციპი: ჯერ ვაძლევ ერსა და სახელმწი-
ფოს, რაც კი რამ მამადია და შემდეგღა-
ვიღებ მისგან იმდენს, რამდენსაც და-
ვითრევ, ან რამდენსაც მარგუნებენ თუ
გადმომივადებენ. მართალია, კაცობრიუ-



ლი სამართლიანობის თვალსაზრისით, მონაპოვრის განაწილების ასეთი პრინციპი ვერაფერი შვილია, მაგრამ, მაშინდელი კაცობრიობა ამ დონეზე იდგა, სამართლიანობაზე თავისებური წარმოდგენები ჰქონდა. ასეა თუ ისე, ზემოთ მოყვანილი ზნეობრივი პრინციპი, საბოლოო ჯამში, ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ფუნქციამ, ისტორიულმა მისიამ ჩამოაყალიბა და ამან კი, ანუ დროთა ვითარებაში დამკვიდრებულმა ზნეობამ — სახელმწიფო შეინახა. ეს — რაც შეეხება იმას, თუ რა თვისება დაკარგა ჩვენმა ერმა. ქალბატონმა ნანომ შემხარბევა ბრძანა: თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული დაკარგა, ანუ ის ზნეობა, რომელზეც, ჩემო ელიზბარ, მე ასე დიდხანს და ამდენი საზღვარგარეთული სიტყვებით ვილაპარაკე. თვით სადღეგრძელო კი მოკლე იქნება: გოგიამ აკი თქვა; — მომხდურთან ბრძოლის, სამშობლოს დაცვის, სახელმწიფოს შენახვის პირობა სიყვარულიაო. მაშინ, ქართულებს და მსგავსი ისტორიის მქონე სხვა ერებს, ცხოვრების ფუძედ, საძირკვლად სიყვარული ჰქონიათ. სიყვარულს უშენებია მტრობით დანგრეული და ამ სიყვარულისას სიამოვნებით დავლევ!

სანდრო კარიძე ჯამს დაეწაფა ნელა, სვენებ-სვენებით დაცალა.

მოულოდნელად საინტერესო სადღეგრძელო გამოვიდა და სუფრა ცოტა ხნით ჩაყუჩდა. მერე ერთად ავლაპარაკდით — კარიძის ნათქვამს ვანალიზებდით და ვანეითარებდით.

— ეგ საინტერესო აზრია, სანდრო — ცხოვრების ფუძედ სიყვარული ჰქონიათო. მე ფილოლოგიაში ჭიპი არ მომაჭრია, მტკიცება ვამიჭირდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ქართული მუსიკის, ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი სწორედ მაგ პერაოდშია შექმნილი და ერთი მაგალითიც არ ვიცი, რომ ნაწარმოებში სიცრუე, ბოროტება და ძალმომრეობა იმარჯვებდეს. სულგრძელობა თავდაღ-

ბა, და სიყვარულია ყველაფრის ჩონჩხი, სისხლი და ხორცი. იმ ყველაფრისათვის თქმა უნდა, რაც წაკითხული ან მკვლევარის მიერ შექმნილი მაქვს, — ვთქვი მე.

— იგივე მრავალამიერი იყოს, თუ გინდა; სიტყვებიც იმ ეპოქაშია შექმნილი და ჰანგიც, — დასძინა გოგიამ.

— მაგ ჰიმნის სიტყვები და მუსიკა იმის დასადასტურებლად გამოდგება, რომ მტრობით დანგრეულის აღსადგენად, მართლაც, ბოლო და სიძულვილია საჭირო, — თქვა ნანომ. — ბატონი ვახტანგი ამაში არ ცდებოდა, მაგრამ ამ ბოლოსა და სიძულვილს ერთი აუცილებელი პირობა აქვს: სიყვარულის შედეგი უნდა იყოს და არა, ვთქვათ, შურის, თავკერძობის, გამდიდრების თუ აღზევების წყურვილისა ან სხვა რამ პირადული გრძნობის შედეგი.

— რა ვიცი, რაც ჭურჭელი იყო, თავზე დამალეწეთ კია, და!.. — ხმა ამოიღო შალითურმა.

ამაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. თავი ისე დაევიტრეთ, ვითომ არც რამე მომხდარიყოს და არც შალითურის რეპლიკა ყოფილიყოს მოულოდნელი. გულში კი გავიხარეთ, რომ შალითური სუფრის ვნებებს დაუბრუნდა და, ამასთან, საგრძნობლად მოთვინიერებულნიც.

— არაკი ვიცი ერთი მე, ჩვენი არ არის ის — ნანოს მიმართა ლაზმა. — ლომია დაჭრილი იმ არაკში, სისხლი მოსდის მკერდიდან და გარშემო აფთრებს სიხარული აქვთ და ზეიმი, ლომი რომ კვდება და ლეში მათ რომ დარჩებათ, იმიტომ. გაგულისდება ლომი, მოიკრეფს უკანასკნელ ძალ-ღონეს, წამოუხტება აფთრებს, სისხლის გუბებს დააყენებს მათსას. იბრძოლებს დიდს, გამოელევა ილაჯი, ჩავარდება მათი სისხლის გუბეში და ბანაობს შიგ. ისეა არაკში, რომ მტრის და მოშურნის სისხლმა უნდა მოუშუშოს და შეუხორცოს ქრილობა ლომს. ახლა, „არწივი“ რომ არის, ქარ-

ზაზუა ამირაჯიბი
დათა თუთაზაზია

თული ლექსი: მისი დამწერი დიდი კაცია ძალიან, ქართველებში ყველაზე დიდი იყოს, იქნება, დღეს იცით თქვენ ეს. ამ დიდ კაცს რატომ არ მოუვიდა აზრად, ნეტავი, მისი არწივიც რომ წამოფრენოდა ყვავ-ყორანს, ბუმბული გაეფანტა მათი და შვება მიცემოდა ამით? რატომ და, ასე რომ ექნა, გაბოროტების და ჯავრის ამოყრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ ქნა მან ეს. მესამედ გაიმეორებ შენთვის, თუ პირველად წაიკითხავ — არწივის სიბრალული, თანაგრძნობა გეწვევა კაცს ჯერ, მის მხარზე დაგაყენებს, ღონემიხდის და განწირულს შეგაყვარებს ლექსი. მაგ კაცს განგებისაგან აქვს მაღლი დასხმული საამისოდ, ადვილად შეუძლია ეს. შეგაყვარა და, რომ მიაღწია ამას, გენდობა უკვე. იცის, რასაც გააკეთებ სიყვარულიდან გამოსული იქნება ის, ამიტომ არის, რომ არ გირჩევს და არ გეუბნება, ასე და ისე მოიქეციო, — ლაზი წამით დადიქრდა და დასძინა: — ნამდვილი რაც არის, ყველაფერში ასე უნდა იყოს, მგონია. უნდა დავაკვირდე, ერთი, ამას.

— დაკვირვებულიც ეგ არის და სწორად შენიშნულიც, — უთხრა ნანომ. — მაგას აღარაფერი უნდა, ეგ რეა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ლაპარაკში გავათენოთ — ნამდვილი საქმე ვიღამ აკეთოს! — განაცხადა კარიჭაშვილმა. — ნანო, შენი ჯერია. შემდეგ სადღეგრძელოს ვინც იტყვის, ორი ჯამით დალიოს, თორემ არჩილა და ერევანდა შემოგვივარდებიან, პანდურის ცემით გაგვყრიან!

— შენ ამ ნამდვილ საქმეს რომ ვადაყუვი, მითომ გეძახიან, ბოლო დროს, „ყოფილ მსახიობს“, — ჩაილაპარაკა სანდრო კარიჭემ.

— მე ხელოვანი ვარ, სანდრო კარიჭევ, და არა ტაშის მხვეპელი ტაკიმასხარა, — მიუგო კარიჭაშვილმა გაღიზიანებით. — ახალგაზრდა ვიყავი, სცენამ და დარბაზის გრილმა მიმიტყუა. რა ვიციოდი, куда влечет мой жалкий

жребий, და ან რა იყო ნამდვილი ხელოვნება!

— ახლა ხომ იცი?! — ^{ქართველი} ~~ქართველი~~ კარიჭემ.

— ეხლა ვიცი! ნამდვილი ხელოვნება, სანდრო, უპირველესად ყოვლისა, სინდისია, პატიოსნებაა. უფლება არა მაქვს ხალხს საშუალოდ გაკეთებული როლი ვაჩვენო. ეს ერთი. მეორე ისა, რომ უფლება არა მაქვს სიცრუე ვუთხრა კაცს და ეროვნული აებედობით ჭეშმარიტ გზას აცდენილი — ხრამში გადავჩეხო. ამიტომ ყველაფერსა და ყველანაირს არა ვთამაშობ. აი, წელიწადია როლს ვამზადებ. იქნებ, კიდეც წელიწადი მოვანდომო. სამაგეროდ, სულის დამწმენდსა და ამამალებელს ვაჩვენებ. თუ მაყურებლის თვლებში შევნიშნე, რომ მიზანი დაძლეულია, მაშინ თეატრში ტაშის მოსასმენად შეხდარჩი, მე აქეთ გამოვიტყევი, გოგიათან და ველისციხელ ერევანდთან ეოთად დღინოს დავლევ, წასული კვირის ჭიდაობაზე ვილაპარაკებ. მიდი, გენაცვალე, შენა და შენისთანა მკილაკებმა „ყოფილი მსახიობი“ მიძახეთ, ყაბულსა ვარ... ნანოს ჭირიმე, გისმენთ! ააპ, სმენა იყოს!!! — დასქექა ელიზბარამ.

— სანამ მე ვიტყოდე რამეს, უკვე ნათქვამს ზოგი რომ უნდა დაემატოს, — თქვა ნანომ. — სახელდობრ, ბატონმა სანდრომ ბოლომდე უნდა გაგვიზიაროს თავისი შეხედულება.

— დიახ, ქალბატონო, ბრძანეთ, რომელი შეხედულება, — დაფაცურდა კარიჭემ.

— თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, თუ რა დავკარგეთ, მაგრამ არაფერი გითქვამთ, თუ როგორ დავკარგეთ — ეს ერთი, და რანი ვართ დღეს — მეორე. უმავისოდ ჩემს სალაპარაკოს სადღეგრძელოსთან ვერ დავაკავშირებ და დიაცის აბდაუბდაში ჩამომერთმევა ნათქვამი.

— სიამოვნებით, თუკი დამსწრე საზოგადოება მოთმინებას გამოიჩენს. სულ ხუთი წუთი დამპირდება, შეგიძლიათ საათი დანიშნოთ, „მამაო ჩვენო-

სავით“ ვიცი, — ღიმილით მიუვო კარბემ.

— მიდი, სანდრო, — წააქეზა კარიკაშვილმა. — მუსაიფი მაინც შეგვრჩება. რა ვიცი, ხვალაც ცოცხლები ვართ?

სანდრო კარიბემ პაუზა იხელთა და დაუყოვნებლივ დაიწყო:

— სამწუხაროდ, ყველაფერი წარმავალია მზისა ქვეშ. ჯერ იყო, სლავთა ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ სამხრეთის იმპერიებს ჩრდილოური შემოსევების საშიშროება შეუქმნა და ქართველთა სახელმწიფომ ტრამალების ხალხებთან წინამბრძოლის ფუნქცია დაკარგა. შემდეგ, ისედაც მიხრწნილი ბიზანტიის იმპერია ჯვაროსნებმა და თურქებმა მოაშთეს. კათოლიკურ ქრისტიანობას იმდენად სერიოზული ჰია შეუჩნდა, რომ მისი არსებობის შესანარჩუნებლად ინკვიზიციის დაარსება შეიქნა საჭირო. როცა ციტადელი ირყევა, გოდოლის მეციხოვნეთა ბედიც ბეწვზე ჰკიდია. ერთმორწმუნე სამყაროსთან არსებული კომუნიკაციები დაირღვა და საქართველოს იდეოლოგიური ფუნქციაც თანდათან გაუქმდა. კიდევ ცოტა ხანი და ზღვაოსნობის განვითარებამ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზები წყლებზე გადაიტანა. ამით ეკონომიური ფუნქციაც გამოგვეცალა. მოკლედ რომ მოვჭრათ, ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფუნქციები გაუქმდა და მსოფლიო-ისტორიული მისია აღარ გაგვაჩნია. კაცობრიობისთვის წესიერი საქმეების მკეთებელი, ქლევამოსილი სახელმწიფო წვრილალი სამთავროების კინკლაობის ასპარეზად და ყველა მოცლილი თუ მოუტკლელი დამპყრობლის სარბიელად იქცა. რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს ისტორიის ბოლო ხუთ საუკუნეს თამამად შეიძლება დაერქვას ხუთასწლოვანი ომი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და შექმნილი კულტურის გადასარჩენად. საყოფადღებოა, რომ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებას მუდამ და ამომწურავად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუ-

ტის ისტორიული მისიიდან წარმომავლობის აუცილებლობა. დიდ მასშტაბებში ეს იდეა პირველად ვახტანგ გორგასალის ხელით განხორციელდა. ტრამალის ხალხებთან წინამბრძოლობის ფუნქცია როცა გაუქმდა, მაშინ დავით აღმაშენებელმა და მისმა პოლიტიკოსებმა წინა აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკური ხელმძღვანელის ფუნქციით აღჭურვეს ქართველთა სახელმწიფო და ამ მიზნის განხორციელების მტკიცე საფუძველი შექმნეს. მსოფლიო ქრისტიანულ ცივილიზაციას და, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიას რომ საძირკველი მოერყა, თამარის სახელმწიფომ მართლმადიდებელი სამყაროს ჰეგემონობაზე და სამაჰმადიანოში წესრიგის დამყარებაზე განაცხადა პრეტენზია. ამ მხრივ, საქმეები რიგიანდაც წარიმართა, მაგრამ მონღოლობამ მოგვისწრო და ჩვენს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი კატაკლიზმი გამოიწვია. თვით ერეკლეს პოლიტიკაც ვახტანგ გორგასალის ოპერაციის გეოგრაფიულად შებრუნებული განმეორება გახლდათ — საყრდენით ჩრდილოეთში და მახვილით სამხრეთში, მაგრამ ამ ვითარებამდე იმდენად გაჩანაგებულმა მოვალწიეთ, რომ რუსეთმა ქართველთა მოკავშირეობას მათი მფარველობა ამჯობინა, სხვათაშორის, თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯობინეს... ყოველივე ეს იმისთვის ვთქვი, რომ წინაპართა სიბრძნე და მოცადეობა აღუნიშნავი არ დარჩენილიყო, მათი შრომა წყალში არ გადაყრილიყო... დიახ, ის საზარელი ხუთასი წელიწადი! ვისაც მიუკერძოებლობა და განათლება ჰყოფნის, იმისთვის ჩვენი ისტორიის ამ პერიოდთან მხოლოდ ამერიკელი ინდიელების ანალოგია არსებობს. სხვა პარალელი არ მაგონდება. ასეა თუ ისე, სიცოცხლისა და კულტურის შენარჩუნებაც ფუნქციაა, მაგრამ ვიწრო-ეროვნული, ძლიერი სახელმწიფოს არსებობისთვის უვარგისი. ქართ-

ზაზუა აზიშვილი

დათა თუთაშვილი



ველთა სახელმწიფო, ფაქტიურად, ვა-
უქმდა. მისი ავ-კარგის მიმართ ერის
ძირითად მასას ქვეცნობიერი თუ გაც-
ნობიერებული პასუხისმგებლობა მოუ-
დუნდა, ხოლო მრავალმა დამარცხებამ
და აოხრებამ მოქალაქეს ძლევა მოსილ-
ვის რწმენა დაუკარგა. სწორედ ამან
მოახდინა ერის ზნეობაში პირველი
ძვრა დაკნინებისკენ. მთავარი სამუშაო
ფუნქციის კერძო-ეროვნულმა ხასიათმა,
საერთაშორისო უმნიშვნელობამ შეა-
რულა: ცხოვრება სიცოცხლის შენარ-
ჩუნების პროცესად იქცა, ხოლო ამ
პროცესმა თავისი მომწესრიგებელი
ფაქტორი, ანუ შესაბამისი ზნეობა ჩა-
მოაყალიბა, — თავკერძული ელემენ-
ტებით უხვად შეზავებული, ძლიერი
სახელმწიფოს დროინდელთან შედარე-
ბით დაბალი და კნინი. მართალია, კერ-
ძო-ეროვნული მიზნისთვის, მაგრამ
ხალხი მხარდამხარ იდგა, ადამიანს ერ-
თობისა და ერისთვის თავდადების უნა-
რი საკმაოდ გამახვილებული ჰქონდა
ხუთასი წლის გაათრებელი წინააღ-
მდეგობის შემდეგ ერი ხორციელად ვა-
ნადგურდა, სულიერად გადაიღალა. შემ-
დეგ ერთმორწმუნე ერი მოვიყვანეთ.
დასავლურ კულტურასთან პირდაპირი
კონტაქტების უძველესმა წყურვილმა
ახალ ფორმაში ჰპოვა განხორციელება:
ევროპის უდიდესი სახელმწიფოს ნაწი-
ლად ვიქციეთ! რუსეთთან შეერთებამ
ყველა პრობლემა ერთბაშად მოხსნა.
გაგვანთავისუფლეს ომებისგან, ლეკია-
ნობისგან. ამოწყვეტის საშიშროების-
გან, ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინას-
ტიისგან და გადასახადებისგანაც კი. ეს
შესვენება ქართველი ერისთვის გადაუ-
დებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგ-
რამ ერთი კანონზომიერი რამ მოხდა:
ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ
ვალდებულებებს დაჩვეულ ქართ-
ველ კაცს ბევრი აღარაფერი მოეთხო-
ვებოდა, ერთადერთი ფუნქციადა შე-
ჩა: ეჭამა, ესვა, შვილები ეზარდა. ვა-
თავდა. ასეთმა ფუნქციამ ძველი, ტრა-
დიციული ზნეობა გადაავგარა და დღეს
თუკი ვისმე თავისუფლების, სამშობ-

ლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარულ-
ლი აქვს, მხოლოდ იმის ბრალდებით
ზნეობა უმდგარადესია სულსტრ-
ბათა შორის: აი, ჩემის აზრით, ასე დაე-
კარგეთ, ქალბატონო ნანო. რანი ვა-
რთო, რომ ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს
ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახ-
სენოთ: საშოვარს გადაგებულნი, გა-
თითოკაცებულნი.

დავამთავრე, ელიზბარ, შეგიძლია
საათს დახედო.

— როგორ გამოდის, — სიჩუმე და-
არღვია შალითურმა. — სანამ კავკასია-
ში შენი ფუნქცია ისევ არ შეიქმნება,
იქამდის ქართველებისთვის სახელმწი-
ფო — ფა-ფუ?

— ფა-ფუ! — დაუდასტურა კარიძემ.
შალითურმა გადაიხარხარა.

— ეგ იმისთვის გამოიგონე, სანდრო-
ჩემო, რომ სამშობლოს ბედ-იღბლის
მიმართ შენი გულგრილი დამოკიდებუ-
ლება გააპართლო, — უთხრა გოგიაძე.

— არც ეგრე შეიძლება, გოგი, — წა-
ვერიე მე. — კაცი ქართულ სიმღერაზე
ცრემლსა ღერის, შენ ერის ბედ-იღბლის
მიმართ გულგრილობას უკიყინებ?

გოგიაძე ხელი ჩაიქნია.

— იცი, რათა ტირის ხოლმე? —
მკითხა კარიჭაშვილმა.

— მაინც?! — მიუგო თვითონ კარი-
ძემ.
— რათა, სანდრო, და ათასი წლისა
წინ რომ ზედმიწევნით ღირსეული კა-
ცი იყავი და დღეს რომ ქიაღუა ხარ —
იმიტომ!

— მართალია, ელიზბარ, ქეშმარიტე-
ბაა, — სერიოზულად დაუდასტურა კა-
რიძემ. — არაა სატირალი?

— თუ თქვენი ნათქვამი ერთადერთი
ქეშმარიტებაა, მაშინ სატირალიცა
გვაქვს და მოსაკლავი თავიცი, — თქვა
ნანომ და ჯამს ხელი წაავლო. — ყუ-
რადლებას გთხოვთ, ბატონებო!

სიჩუმე ჩამოდგა.

— ამას წინათ ირაკლის კანტორაში
ვისხედით, სიტყვამ მოიტანა და ამით
ვუამბე, აფხაზეთში ორმოცამდე სხვა
ადამიანთან ერთად რომ გაგვძარცვეს

მე და ჩემი ქმარი. თქვენ ნუ გამიბრაზდებით — ლაზო, ირაკლი, ამთ გავაგებინებ, როგორც იყო და მერე იმ ნაწილსაც ვიტყვი, რომელიც თქვენთვის არ მიაბნია.

მოკლედ ჰყვებოდა. ყველა განაბულა უსმენდა, მე და ლაზოც კი. უმთავრესად შალითურს მიმართავდა. ალბათ იმისთვის, რომ უთანხმოების ჭაობიდან საბოლოოდ ამოეყვანა და ჩვენი მოღონე-მომუსაიფე სამეფოსთვის დაებრუნებინა ეშმაკის მანქანებით განზე გასხლექილი საერისთაო. წარმოდგინეთ, შალითური ნელ-ნელა გამხიარულდა. ნანო გაძარცვის ამბავს, ამჯერად, სულ სხვა სტილში ჰყვებოდა. მისი გონება შემთხვევის სასაცილო მხარეებზე იყო გამახვილებული, თვალი — იუმორისტული სიტუაციებისკენ მიმართული.

— მთელ იმ ოპერაციას, როგორც მერე გამოჩნდა, სულ ოთხი კაცი აწარმოებდა: თვით სარჩიმელიას და კიდევ ერთ მის დამქაშს გზიდან ხალხი მოჰყავდათ, ძარცვედნენ, ნაძარცვს ტომრებში ანაწილებდნენ. ერთი ყაჩაღი თავს გვადგა, ალბათ შესაძლო ამბოხის ჩასახშობად. მოშორებით, ჩვენს ზურგს უკან, გორაკი იყო, იქიდან წარამარა სტვენა ისმოდა. შეშინებულ გუნებაზე ისე გვეგონა, რომ ყაჩაღების ძირითადი ძალა გორაკზე იყო განლაგებული. თურმე ნუ იტყვით, ერთადერთი კაცი ზის ხის ძირას, გზასა და უკვე გაძარცვულებს ზემოდან გვითვალთვალებს და დროდადრო უსტვენს, რომ ის სამი ყაჩაღი არ გვეცოტაოს...

— მოიცა, ქალო, — სიცილით შეაწყვეტინა ელიზბარ კარიჭაშვილმა. — ეგრე, დედიშობილად და ერთად დაგსხეს ქალიცა და კაციც?

— არა, მძარცველებს შენზე მეტი კდემამოსილების გრძნობა აღმოაჩნდათ. ცალ-ცალკე ვიყავით, მაგრამ მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის ორი-ოდე ნაბიჯი იყო, ერთმანეთისა ყველაფერი რიგიანად გვეყურებოდა. ერთი სიტყვით, ვსხედვართ, სარჩიმელიას დაბრუნებას ველოდებით. ხალხი ერთ

ჩურჩულსა და გადალაპარაკება-გადმოლაპარაკებაშია. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. ვილაც გატიტვლებულა და დაბერმა გადაკამკამებულ ცას ახედა და თქვა, წვიმა რომ წამოვიდეს, რა გვეშველებათ. ერთი ტანმორჩილი კაცი იყო, საშინლად აინტერესებდა თუ გზაზე ჩასაფრებული სარჩიმელია, სახელოდობრ, ვის მოიყვანდა და ძალიან უნდოდა, რომ მის ბადეს, — რიგიანად აღარ მახსოვს, — ვინმე ბაბუხადია თუ მითაგვარია ამოჰყოლოდა. ამის წარმოდგენაც კი უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა, ხელებს სიამოვნებით იფშენებდა და წინასწარ სიცილით კვდებოდა. მთავარი სალაპარაკო კი მაინც ის იყო, თუ ამ ოპერაციის შედეგად ვინ რა დაკარგა. გაძარცვულები წართმეული ნივთების საფასურს და ფულის რაოდენობას ერთს ათად, ზოგჯერ, ერთს ოცად ამბობდნენ, ერთმანეთს დანაკარგის სიდიდეს ეტრებახებოდნენ. მხოლოდ ერთმა თქვა, — ახალგაზრდა, ღინღლა ბიჭმა, — არც რამე მეებადა, ვერც რამე წილეს და, ნეტავი, აქ რას ვუზივარ, რას მემართლებიანო. მდიდარი თურქის მსახური იყო, პატრონთან ერთად მოიყვანა სარჩიმელიამ, თორემ თვით ბიჭი, მართლაც, ვის რაში სჭირდებოდა. აბა, ამდენადროა გასული, ყველაფერი წარსულშია, ეხლა იმ თავგადასავალზე მასხრობით ლაპარაკი ადვილია, მაგრამ მაშინ. იმ ვითარებაში, სრულიად სასოწარკვეთილი ვიყავი. ვისაც გონება უჭრის, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა მოჰყვებოდა იმას, სარჩიმელიას რომ თავისი დაპირება შეესრულებინა და გამოსასყიდი თანხის გირაოდ წაეყვანე თან... განა მხოლოდ ჩემს ბედ-იღბალსა და მომავალზეა სალაპარაკო? ის შეურაცხყოფილი ხალხი?.. ერთი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა ექიმთან ერთად გადმოიყვანა გზიდან სარჩიმელიამ. გოგონა ყაჩაღებს მუხლმოდრეკითა და ქვითინით ემუდარებოდა, დედა მიკვდება, ოჩამჩირეში ექიმის წასაყვანად მო-

პაპუა ამირაჯიბი
დათა თუთაშვილი

ვედი, გაგვიშვით, ეგებ ცოცხალს მივუსწროთო!.. ვილაც ქალი თმებს იგლეჯდა, ქვრივმა დედაკაცმა ქალიშვილი რის ვაი-ვაგლახით გამოვზარდე, მთელი სიცოცხლე სამზითვო ფული ვაჩუქე, ოცი თუმანი შევავაროვე და ამ არამზადებმა წამართვესო... ყველაფერს რას ჩამოთვლის ადამიანი. საშინელება იყო და არც საიდანმე ხსნა ჩანდა.

— Господин, простите, пожалуйста, — გაისმა ჩემს გასწვრივ მამაკაცების ჯგუფში.

— Госпожа, ограбленная вместе с вами, Ваша жена? — ჩემს ქმარს ეკითხებოდა ერთი მუხლს ქვემოთ ფეხწყვეთილი მამაკაცი. შირერმა ცოტა დააყოვნა და ბოლმით მიუგო:

— Да, сударь, госпожа ограбленная вместе со мной, моя жена!

— Так вот, что: грабители эти хоть и достаточно свирепы, однако в женщин стрелять не станут. Это долго объяснять, прошу поверить мне на слово. Скажите Вашей жене, пусть склонит остальных женщин... ну, кричать, причитать, выть. Пусть шумят и не умолкают, если даже грабители прибегнут к угрозам...

— Что это даст, сударь!

— Минимум — приближение конца этой подлой процедуры! Передайте это жене на Вашем языке, часовой подслушивает...

შირერმა ფეხწყვეთილი კაცის წინადადება აწონ-დაწონა და მიუგო:

— Не надо, сидите спокойно, сударь!

ყველაფერი გავიგონე. დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ ხმაზე და იმ ვარაუდით იყო ნათქვამი, რომ გამეგონა. საქმე ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ მისი სისტრულეში მოყვანის ხერხი იყო საპოვნელი. მაინცადამაიმც რიგიანი ვერაფერი გამოვიგონე და როცა გუშაგმა მამაკაცებისკენ გადაინაცვლა, ქალებს გადავულაპარაკე:

— მოდით, ქალებო ყველამ ერთად აგტეხოთ მოთქმა და წივილ-კივილი. დედაკაცები ვართ, ვერ გვესვრიან, ნუ გეშინიათ. თუ ხმამაღლა და დიდხანს ვიყვირებთ, ეგებ გზიდან გადმოგვიშველოს ვინმე, ან ეგებ თვითონ ყაჩა-

ლებს შეეშინდეთ და თავი დაგვანებონ ვიყვიროთ, ქალებო! ცუდი არაფერია მოსალოდნელი.

ზოგმა ქართული იცოდა და აზრსაც მიმიხვდა. ზოგს არ გაეგებოდა და წავიდა კითხვა-პასუხი, რა თქვაო, მიუხედავად ამისა, ორი, სამი წუთიც არ გასულა, უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა ჩემი წინადადების არსი და ხმას კი არავინ იღებდა. გვერდით ქალი მეჯდა, ეკითხე, რას იტყვი-მეთქი.

— რომ გვესროლონ?

— ნუ გეშინიათ, არ გვესვრიან!

— რაცხა შვიდი მანეთი წამართვეს და თავი მოვაკვლევით, აწი?

— ცხრა თუმანი წვილეს, ოხრებმა, მაგათ, მარა არც ცხრა თუმნად ივარგებს ჩემი შვილების დაობლება!

— იყვიროს სხვებმაც და ვიყვირებ მეც, მაშინ.

— კი. ყველა თუ იყვირებს, მაშინ — კი!

ესე ილაპარაკეს და სიჩუმე ჩამოვარდა.

გამიელვა, რომ მაგალითის მიცემა იყო საჭირო. ერთად თუ არა, ნელ-ნელა მაინც ამყვებიან-მეთქი. დავიწყე ხმადაბალი მოთქმა და ტირილი. მხარა არავინ ამიბა. ხმას ვუმატე — ისეე განაბულები ისხდნენ. კივილი მოვრთე და ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ შეშინდნენ, ამ სულელი ქალბატონის გულისთვის ჩვენ არ დაგვხოცონო, მაგრამ უკვე როლში ვიყავი შესული და ჩემი დაშომშინება არც თუ ადვილი გახლდათ. იმ ყაჩაღმა, ჩვენ რომ გვყარაულობდა, ერთხანს უღრმესი განცვიფრებით მიყურა. მერე ჩემსკენ წამოვიდა, თავზე დამადგა და კიდევ მიყურა. მერე — არც აცია, არც აცხელა — აილო და თავში კაი ლაზათიანად ჩამოთხლავუნა. ამდენ უზრდელობას არ მოველოდი, გაკვირვებამ მყისვე დამადღმა. განაბული ავატქერდი. ყაჩაღმა პაუზით ისარგებლა და ღიმილით მითხრა:

— ქალბატონო, რა გაყვირებს, ნეტავი!.. იმის იმედად თუ ხარ, რომ აგენიც იყვირებს, — აგენი მორჩილებას არის

მიჩვეული. ეექვ, ქალბატონო, არ გკოდნია, თურმე, მაგ საქმე შენ. აგერ, ჩვენ რომ გვხედავ — ნამეტანი კარგად ვიცით ჩვენი საქმე ჩვენ. მიტომ ვშვრებით ამას, რომ ვიცით, რაც არ იცის კაცმა, არ უნდა ჩაიდინოს ის.

მიტრიალდა და წავიდა.

შირერმა გადაიხარხარა. არა მწყენია — მეუხერხულა, შემრცხვა. ძალიან შემრცხვა, ქარხალივით გაეწითლდი. როცა უხერხულობის გრძნობამ გამაარა, თვალი მამაკაცებისკენ გადავაპარე. სახეზე ყველას დამკინავი ღიმილი უთამაშებდა და ხელმეორედ მეუხერხულა, ისევ შემრცხვა. ფეხწაკვეთილი კაცი იჯდა, უღვამს აწვლებდა, რაღაცის ვარაუდსა და მოსაზრებაში იყო გართული, მაგრამ მე, თავის დასამშვიდებლად გავიფიქრე, რომ ჩემს მარცხს თანაუგრძნობდა.

გაძარცვად ღირებულო, ალბათ, ველარავინ ნახა გზაზე სარჩიმელიამ, რომ ჩემი მოთქმის შემდეგ ბარე ნახევარი საათი გავიდა, სანამ დაბრუნდებოდა. მთელი ჯგუფი მოიყვანეს, — ორი მამაკაცი და სამი ქალი. ამ ხალხის დამუშავებაში იყო და ჩვენი მხრიდან ტყუის ორი კაცი გამოსცდა. ერთი წინ მიდიოდა; წარმოიდგინეთ: წელს ზევით შიშველი, წელს ქვევით პერანგის ამარა. ესე იგი პერანგის სახელოებში ჰქონდა ფეხები გაყოფილი და წელამდე ამოტანილი კალთა ხელით ეჭირა. სხვა რა გზა იყო, უნდა სჭეროდა!.. კოხტად ჩაცმულ-დახურული კაცი მოსდევდა, ყალყზე შეყენებული მაუზრით ხელში. სხვა იაარლიც ბლომად ევიდა — თავისი ცალკე და იმ წელქვევით პერანგის ამარა კაცისა — ცალკე. გეზი სარჩიმელიასა და ნაძარცვისკენ ჰქონდათ.

ამ მოულოდნელმა და საოცარმა გამოცხადებამ საერთო დაბნეულობა შემოიტანა. ჩვენი გუშაგი გაშვებული იდგა, თავი სიზმარში ეგონა. როცა მაუხერიანი კაცი მამაკაცების ჯგუფს გაუსწორდა, ვილაცამ წამოიძახა:

— ოხხხ!.. დათა თუთაშხიაა ეკ!

— რა ხდება, ძუკუ, აქ? — უმწეოდ

ჩაიღულულა ჩვენმა გუშაგმა, მაგრამ სხვა არც უთქვამს და არც უქნის. ძუკუს კი პერანგის კალთა ჩაებლავჯა, არ ჩამვარდესო, და მორჩილად, თვინიერად მიაბიჯებდა. გუშაგი ჩვენსკენ ზურვით იდგა, დათა თუთაშხიად დაჩქმეულ კაცს თვალს პირლია მიაყოლებდა. სარჩიმელია და მისი ამხანაგიც გახვევებულიყვნენ. ამ წამიერ დღემილსა და უძრაობაში ფეხწაკვეთილი კაცი მუცელზე დაწვა, ერთი გადახიხებით გუშაგს მიუახლოვდა, კარგა მოზრდილ რიყის ქვას დასწვდა, თვალის დახამხამებაში ზეზე წამოიშარტა და ქვა გუშაგს შიგ კეფაში ჩასცხო. სარჩიმელიამ, თითქოს მიშველება განიზარა, მაუხერიანმა სტუმარმა იარალი მიაშვირა და სარჩიმელიაც დაცხრა. გუშაგი დაეცა. მისი თოფი იმავე წამს ფეხწაკვეთილი კაცის ხელში აღმოჩნდა. ამის შემდეგ გუშაგმა კეფაში თავისივე თოფის კონდახიც მიიღო. მერე ფეხწაკვეთილი კაცი კვლავ მიწაზე გაიშოტა, გუშაგის სხეული საფრად და თოფის საყრდენად მიიმარჯვა, სარჩიმელია მიზანში ამოილო და ჩაყურდა.

— ოხხხ!.. მაგ კაცი, ნიფხვად რომ პერანგი აცვია... მაგ ის ყაჩაღია, ნამდვილად, ზემოდან რომ გვიფშვიტინებდა აქ ჩვენ! — აღმოაჩინა იმავე გაძარცულმა, ვინც პირველად დათა თუთაშხია იცნო.

თუთაშხიამ უკან მოიხედა, საქმის ვითარებაში უმალ გაერკვა, კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი წასდგა და სარჩიმელიასთან პირისპირ აღმოჩნდა.

მე მეგრული არ ვიცი, მაგრამ იმ ამბის დამთავრების შემდეგ ყველაფერი სიტყვა-სიტყვით მითარგმნეს. ამიტომ მიყოლებით გეტყვობ, რაც ლაპარაკი იყო და რაც მოხდა.

— სარჩიმელია!.. და შენც... არ ვიცი, ვინ ხარ! — ეს მეორე ყაჩაღს ეხებოდა. — აგერ დადევით იარაღი! — თუთაშხიამ ადგილი მიუჩინა.

ვახუა აფრიაქიძე

დათა თუთაშხია

ყაჩაღები გაოგნებულები იდგნენ. სარჩიმელიამ იცოდა, რომ ფეხწყვეთილი კაცის თოფის სამიზნეზე იჯდა. მეორე ყაჩაღს თუთაშხიას მთუხერი ლამის კბილებში ჰქონდა გაჩრილი. მესამეს თავისი პერანგი ეჭირა. არც წინააღმდეგობის გაწევა იყო ადვილი და არც იარაღის დათმობა. ამასობაში ფეხწყვეთილმა კაცმა გაისროლა. ტყვიამ ყაჩაღებს შუა გაიარა, ფოთლიანში გაიღო სხაპანი.

— აწიეთ ხელები! — დაუყვირა თუთაშხიამ.

მეორე ყაჩაღმა ბრძანება შეასრულა. სარჩიმელიამაც, მაგრამ მოგვიანებით და ზანტად.

— მობრძანდით აქ, რომელიმე! — გამოსძახა თუთაშხიამ მამაკაცებს.

შირერმა ყველას აასწრო, მივიდა. განმარტება არ დასჭირებია — ყაჩაღებს იარაღი აჰყარა, ერთად დალაგა. მერე ორივე საგულდაგულოდ გაჩხრიკა, ყველაფერი ჩამოართვა. ეს პროცედურა რომ დაასრულა, ჯერ სარჩიმელის სთხლიშა ქვედა ყბაში, შემდეგ მის ამხანაგს და დარეტიანებულები დაყარა მიწაზე. ამ დროს ფეხწყვეთილი კაცი ნაძარცვთან ასკინილათი მივიდა, თავისი პროთეზი იპოვნა, ტანთ სახელდახელოდ ჩაიცვა... მერე ჩემი „ამორძალის“ სამოსი მოძებნა, მომიტანა და მიიხრა:

— ქალბატონო, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ჩემი წაქეზების ბრალი იყო, ამ ნაძირალამ რომ შეურაცხყოფა მოგაყენათ! — ასეთ ვითარებაში მოხდა ბატონი გოგის და ჩემი გაცნობა. მაშინ არც სახელი გვიკითხავს ერთმანეთისთვის და არც გვარი. დღესღა შევხვდით.

სუფრაზე შეძახილები და სიცილხარხარი ატყდა. გოგიამ მაგიდას შემოუარა, ნანოს ხელზე ემთხვია და ადგილს დაუბრუნდა.

— დანარჩენი, იქნებ, საამბობლად აღარც ღირდეს, ცხადია, რაც მოხდებოდა, — განაგრძო ნანომ, როცა საზოგადოება რამდენადმე დამშვიდდა. — თუთაშხიამ გაძარცვულებს უხმო, მო-

დით, თქვენ-თქვენი ქონება ამოარჩიეთ და წაიღეთო. ყაჩაღებმა მათყვეთნა ვალი ბრბო დაინახეს, წამარცხელმა და მოჰკურცხლეს. იმ გამწარებულ დედაკაცების ხელში ჩავარდნა, მართლაც, არ ღირდა, — მამაკაცებზე აღარაფერს ვამბობ. ორას, სამას ნაბიჯზე იყო სარჩიმელია, ტყეში აღარც კი ჩანდა, მაშინ დაიძახა:

— დათა თუთაშხია, ვისაა რომ ესარჩილები შენ! შენი სიკვდილი მაგენის ხელით იქნება სწორედ, როცა იქნება ის!

შირერმა თავისი სათუთუნე იპოვნა, თუთაშხიას გაუწოდა, გამომართვით, ამ ფათერაკის სამახსოვროდ გქონდეთ. ოც მისხლიანი ბაჯალო ოქროს სათუთუნე იყო, ძვირფასი თვლებით დამშვენებული. თუთაშხიამ მადლობა გადაუხადა, მაგრამ არ კი გამოართვა. შირერს გული დაწყდა. მე ცალკე ვეხვეწე, გამოგვართვით-მეთქი. მაინც არ წაიღო. ცოტა ხანს კიდევ დავყოვნდით, სხვისი ქონებით ხელის მოთბობას მოწყურებულებს ვაშოშმინებდით. მერე, შევეხედით და შინისკენ გამოვაქენეთ... ძალიან გამიგრძელდა. იმ იმედითა ვარ, რომ თვით ამბავი მოსაწყენი არ იყო. მაინც მავატიეთ და ეხლა ორ სადღეგრძელოს ერთად ვიტყვი. ბატონი გოგისა და თუთაშხიას საქციელზე, სხვა რამ ხომ არ ითქმის, გარდა იმისა, რომ ადამიანობა, სიკეთე და სიყვარული ამოძრავებდათ. ვისხედით გაძარცვულნი და შეურაცხყოფილნი. მოვიდა ამ ორი კაცის სახით ხორცქმინილი სიკეთე და გვიხსნა. აი, ასეთ რეალურ, საქმედ ქცეულ სიყვარულსა და სიკეთეს ვადღეგრძელებ!

ყველა აღტაცებული ვიყავით ნანოს თხრობით და წრეგადასული სანდომიანობით. ტაში დაეცხეთ, მთელი დარბაზი ჩვენსკენ შემობრუნდა. ნანომ ჯამი ტუჩებთან მიიტანა, ნახევარი დალია.

— ლაზო, მეორე ჯამი მომე, ელიზბარმა თქვა, შემდეგ სადღეგრძელო ორი ჯამით უნდა დაილიოსო. ბატონო, ვახტანგ, შემივსეთ... — ნანომ ნაკლები ჯამი შალითურს მიუმარჯვა. — ესეც არ



იყოს, სათქმელი ორ სადღეგრძელოდ მქონდა ნავარაუდევით...

— ერთი ეს მიბრძანეთ, ქალბატონო ნანო, — შალითური ჯერაც უხერხულად გრძნობდა თავს, მოკრძალებით, ხმადაბლა ლაპარაკობდა, — ის კაცი... აი, ვინც წელქვეთ პერანგისი ყაჩაღი მოიყვანა... რა გვარია?

- თუთაშხია.
- დიახ. ეგ კაცი იქ საიდან გაჩნდა?
- ჩემი ყვირილი და მოთქმა გაგვოხნა, ხმაზე მოვიდა.

შალითურმა თავი გადაიქნია:
— ჯვრის ტუხვივით არ დასცემია იქაურობას?... ყაჩაღს რომ ამბობენ, თუთაშხიანო — ეგ ის არის, არა?

— დიახ.
შალითური ფიქრებს მიეცა. ელიზბარმა კიდევ ერთხელ დაგვეყინარა, ნანოს დააცადეთო.

— ვისგან და საიდან წამოვიდა წმიდა გიორგის თქმულება, ამას ნუ შევეხებით. ერთი კია — მისი კულტი საქართველოში ქრისტიანობამდელი ეპოქებიდან მოდის და ისე საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი, რომ ამჟამად ქართველები წელიწადში სამას სამოცდახუთჯერ ზეიმობენ წმინდაგიორგობას. თქმულების დედაზრი, მოგვხსენებთ, სადაა: თუ ვინმეს უჭირს, თავი გაწირე, მაგრამ იხსენიო! ეს არის და ესა. მე იმ სალოცავებზე სიარულში ქალამანი არ გამიცვეთია, ბავშვობაში ერთადერთხელ ატოცის წმიდა გიორგისთან ვყავდი მშობლებს. ეგ იყო. დღეს ახალი „ვპოვე ტაძარი შესაფერი უდაბნოდ მდგარი“, მშვენიერი, სასწაულომოქმედი და ცოცხალი კაცით შემკული, ნაცვლად ხატისა. განგების წინაშე აღთქმას ვდებ, ხშირად ვეახლო და მოწიწებულნი თყვანი ვცე სამას სამოცდამეექვსე წმიდა გიორგის! ერთი ძველებური ხატი მაქვს, იქნებ, იმის წარწერას მივამსგავსო: ძღვეამოსილო მხედარო ქეშპარიტებისა, დიდებულო მოწამე, ერისთავის, წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ წინაშე ცათა ფრიად მოსაგესა ძალისა შენი-სასა, უღირსსა მხეველსა თაყველი-

შვილს ნანოს!.. გოგის გაუმარტობა ტონებო, ჩვენს მასპინძელს, შვილს, რაინდს, როგორც ბატონი სანდრო იტყოდა, ფუნქციის მომნიჭებელს და... ჩემს მხსნელს!

სუფრა შეძახილებმა, სიცილმა, ხმა-მალალმა სიტყვა-პასუხმა აიტაცა. ნანომ ხელი ასწია, არ დამიმთავრებიაო.

— ჩემი სადღეგრძელოები ნაამბობს მოჰყვა. მოდიო, ამავე ჯამით დათა თუთაშხიას სადღეგრძელოც დავლიოთ. უხარკო და შეუღრეკელი კაცია, მაგრამ ხანდახან ასეთებსაც უჭირთ. გაჭირვებაშიც გაუმარჯოს, ლხინშიც ხელი მოუ-მართოს ღმერთმა. მაინც ხატსა და სალოცავში ვართ და ერთ აღთქმას კიდევ დავდებ: ამ ჯამში ჩატეულ ორ უხარმაზარ კაცს, თუკი დავჭირდები, ყოველთვის და ყველაფერში ხელს გავუწვდის; მართო იმიტომ კი არა, რომ მაღლი მაქვს დასაბრუნებელი, — უფრო იმიტომ, რომ ჩემი და ჩემისთანების სამსახურის ღირსნი ორივენი არიან!.. მეორე ჯამით ყველას გადღეგრძელებთ და ლამაზი ლხინისთვის უღრმეს მადლობას გიხდით. პატიებას ვთხოვთ, რომ გტოვებთ. ღმერთია მოწამე, თქვენთან ყოფნა მირჩევნია, მაგრამ წასვლაც აუცილებელია. ოცდაექვსეში, ესე იგი, სამი დღის მერე, საღამოს რვა საათზე, ყველა, ვინც ამ სუფრაზე ვართ — უმორჩილესი თხოვნაა — ჩემთან შევიკრიბოთ. ირაკლი, სტუმრების მოყვანა შენზე! თქვენს გარდა ორი, სამი კაცი მეყოლება, სხვა არავინ იქნება... — ნანო წამოდგა და, რა თქმა უნდა, მე და ლახიც წასასვლელად მოვემზადეთ.

დიდი ჩოჩქოლი ატყდა. როგორც ამგვარ შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის ხდება ხოლმე, — თხოვნა, ხვეწნა, ნამუსზე შეგდება, წყენა — დანარჩენებმა ყველაფერი გამოიყენეს. ნანო თავისაზე იდგა, მაგრამ ერთი პატარა დათმობა მაინც მოუხდა: ლახსა და მე ის ორ-ორი ვირგლა ჯამი სულ თითით

ბაბუა აზირაჯიზი
დათა თუთაშხია

გამოგვალოკინეს. ესეც გათავდა. დავი-
ძარით და გამოცილება მოიწადინეს.
ჩვენმა ქალბატონმა სუფრიდან ფეხის
მოცლა ყველას აუტრძალა, მარტო გო-
გია გამოგვეყვა.

— ლაზო, ელიზბარს საიდან იცნობ?
— ჰკითხა გზადგზა ნანომ.

— აგერ, გოგომ გამაცნო. კარგი კა-
ცია ელიზბარი. მომწონს ძალიან მე!

— ბატონი გოგი ვილამ გაგაცნო?

— დიდი ხნის ამბავია ეგ. მოგიყვე-
ბით როდისმე, — პასუხი გადაუდო
ლაზმა.

ვესტიბიულში მარტო არჩილა ტრია-
ლებდა.

— ქალბატონის მეეტლე თუ დააპუ-
რეთ? — ჰკითხა გოგიამ.

— დავაპურეთ და დავათურეთ კიდე-
ვაცა. კოფოზე ძლივსა ზის, — აცნობა
არჩილამ.

— ერვანდა სად არის?

— კარში სკამი უდგას, ზედა ბრძან-
დება და სთვლემს... კი არა სთვლემს,
თავი აქვს ჩაკიდული ბებერი ცხენივი-
თა, ვითომა სძინავს!

— რაო? — დავინტერესდი მე.

— რაო და, ამ სამი დღის წინ ღამე
მანდვე იჯდა და მართლა ეძინა. ვილაც
მიეპარა, ხალათის ჯიბიდან ექვსი მანე-
თი ამოაცალა და წავიდა თავის გზაზე-
და. მას აქეთ მანდა ზის, თავს იმკვდა-
რუნებს — ჯიბივი კიდე მოვაო! იმ-
დენი რა გითხრა შენა, აჰა!

— მოვა, არხეინად იყა! — მოისმა
გარედან სასოებით აღსავსე პასუხი.

— მოვა რა, პენსიაა?!. შემო, კაცო
სტუმრები მიდიან!

ერვანდა მძიმედ შემოვიდა, ჯაგრისი
აიღო, არზნევ მუსკიას ტანსაცმელზე
ჩამოუსვა და ბურტყუნით უთხრა:

— აღარავინ დამაცადა, მართლა ჩა-
მეძინოს. გიყია, მოვიდეს? ფხიზელზე
რას მოვა!

არჩილამ გაიგონა და აღშფოთდა:

— ვაა, თუ მართლა ჩაგეძინა, და მარ-
ვიდა, იმდღევანდელივით წაიღებს რაც
რამ გექნება და წავა! არა, ამნაირი ინ-
დოურისთვის ლუკმაპური ქვეყანაზე
კიდეც სადმე რომ იშოვნება, ისა თქვას
კაცმა!..

ეტლამდე მოგვაცილეს. ერვანდა ანა-
ლიტურად მსჯელობდა, ჯიბგირის კვლავ
მოსვლის აუცილებლობაზე იდგა. არჩი-
ლას გაგონებაც არაფრისა უნდოდა.
ამაობაში დრო ვიხელთე, სუფრის ანვა-
რიშის გასასწორებლად ერვანდას ფუ-
ლი შევაჩეჩე, — გოგია ჩაჯდომაში ეხ-
მარებოდა ნანოს, ვერაფერი შენიშნა.
დავიძარით.

— როდისთვის თქვი, ოცდაექვსში,
არა? — ვკითხე ნანოს.

— ოცდაექვსში.

— ოცდაშვიდში, ორ საათზე სამომ-
რიგებლო საქმე მაქვს დანიშნული.

— რა ხალხია?

— დოლაბაშვილები არიან, ორნი
ძმანი. საინტერესო საქმეა.

ღამის სიჩუმეში ფლოკვებს სასია-
მოვნო ტკაპატკუპი გაჰქონდა.

— რატომ იჩქარეთ, ქალბატონო ნა-
ნო. მოგწყინდათ, ალბათ, — გაგარქე-
ლებული სიჩუმე დაარღვია ლაზმა.

— შენთან... და ირაკლისთან არასო-
დეს მომწყინდება, ლაზო! — მიუტო
ნანომ.

ისევ კარგა ხანს იყო სიჩუმე.

— ლაზო, მე ვიცი, ვინცა ხარ! —
თავისთვის ჩაილაპარაკა ნანომ.

— ეეეჰ, ჩვენო დედოფალო, თვითონ
არ ვიცი, ვინ ვარ მე. არც თქვენ გეცო-
დინოთ, იქნება!

მთვარიანი ღამე იყო. ქარი ცაში თი-
თო-ოროლა ღრუბელს დაქანებდა, მი-
წაზე ტანწერწერ ალკებს აწვალებდა.

პირველად მაშინ გამიელვა ექვმა,
რომ... რამდენიმე ექვმა გამიელვა.





წელი ორმოცდაათი

ხალხთა ძმობისთვის მუდამ იბრძოდა
 ნისი ნაწერი, სიტყვა ყოველი.
 დიდმა ლენინმა სახელმწიფოთა
 ნექმნა კავშირი განუყოფელი!

ბნელეთს ამხობდა, რა დიდ აღზნებით
 ევლოდებოდიტ სინათლის მოსვლას,
 დიდმა ლენინმა თავის გენიით
 აწმყო, მყობადი გაასხივოსნა!

ვინ ჩაიდენდა ასეთ გმირობას,
 მის სიდიადეს ყოველი მღერის,
 დიდმა ლენინმა კაცობრიობას
 ამცნო დაწყება ახალი ერის!

გაუთავებლად წვიმდა და წვიმდა
 მოღუშულიყო ზეცა კრიალა,
 დიდმა ლენინმა წმინდათაწმინდა
 ოქტომბრის დროშა ააყრიალა!

ჩვენი სამშობლო ჰყვავის მიტომაც.
 ასე ძლიერად შრომით აღვზევდით,
 დიდმა ლენინმა რომ დაგვიტოვა,
 ჩირაღდანია მისი ანდერძი!

და მეგობრობის სიკეთის აღქმით
 რამდენ სიძნელემ გადაიარა,
 დიდმა ლენინმა სიტყვით და საქმით
 დიად იღვას ჩვენ გვაზიარა!

მოდის თაობა

ჩვენი სურვილი უვსებელი და მრავალფერი.
 სიკეთისაკენ რომ წარვმართოთ, მუდამ გვახსოვდეს
 სადარდებელი თუკი არ აქვს კაცს არაფერი,
 სასიხარულო არ ექნება მას არასოდეს.

განრისხებია თბილი მიწა, ცაც გასარკული,
 უღიმღამოა წუთისოფლად მისი არსება.
 სხვისი შემყურე, უნიათო, ხელმოცარული
 ხიდან მოწყვეტილ დამჭუნარ ფოთოლს დაემსგავსება

მოდის თაობა, არასოდეს დაებინდება.
 ომში დაცემულთ სადღეგრძელოს ამაყად დაცლის.
 ჩვენში ყოველთვის ასე იყო, არის, იქნება,
 დიდბუნოვნობა გვასახელებს ქართველი კაცის.



ს ა მ შ ო ბ ლ ო

სხვა ყველაფერი თავის გზით მიდის —
 ქარი,
 მდინარე,
 ზამთარ-ზაფხული...
 და ყველა გზაზე,
 და ყველა ხიდზე
 ჩანს დასაწყისი და დასასრული.
 იშლება ბევრი ფუძე და კერა,
 კალაპოტს იცვლის მდინარის ტოტი,
 მხოლოდ ის ერთი დიდი სიმღერა
 მოდის და მოდის!
 მშობლიურ ჭალებს სხვა მთვარე დასცქერს
 და მთები მოჩანს ამ მთების იქით;
 ვიცი, ფიქრობენ საყვარელ ქალზეც,
 მაგრამ სხვა არის მამულზე ფიქრი.
 მოდის ყველაფრის მძლეველთა ტალღა
 და თავს ეგლება უღმობელ დრო-ჟამს,
 რა დრომაც უნდა ასწიონ მაღლა,
 ვერ ასცილდება სამშობლოს დროშას.
 იშლება ბევრი ფუძე და კერა,
 კალაპოტს იცვლის მდინარის ტოტი,
 მხოლოდ ის ერთი დიდი სიმღერა
 მოდის და მოდის!

ს ე ლ ე ბ ი

პატარაქულელმა ნიკა ვიუნაშვილმა
 სამამულო ომში ორივე ხელი
 დაკარგა.

თეთრი მტევნები სწყურიათ ხელებს.
 მიწის სიმკვრივე სწყურიათ ხელებს.
 აკვნის შეხება სწყურიათ ხელებს
 და ქალის თმები სწყურიათ ხელებს.
 სალამი, დღეო!
 კვლავ შენთან არის
 ნაბრძოლი კაცი, მაღალი კაცი;
 შენ უალერსე და შენ მიაართვი
 აღმოდებული მზით საგსე თასი.

დედის კალთიდან გადმოვარდნილ
 ნაცრისფერ გორგალს
 ეთამაშება პატარა კატა...
 ლამფის მკრთალ შუქზე წინდისჩხირებს გააქვთ წკრიალი.

ასეთი ახსოვს ერთი სურათი.

ბუნების ძალავე,
 შენ გაუმართლე
 და ხელი ყველგან შენ მოუმართე —
 დედის სურათი ვისაც უნათებს.

ახვისცოცს ლექსი

და, აი, მიწამ ფერი იცვალა,
 გზებზე ფოთლები მიიფანტება;
 დაიწყეს ქრობა ბრილიანტებმა
 და ცა წვიმებდა ჩამოიცალა.
 უკვე დრო არის ზარმა დარეკოს
 და აღმართებზე ავარდეს ცხენი,
 თორემ იქნება ეს დღე არ გეყოს
 და მერე მცირე გეჩვენოს ძღვენი
 მზისა.

ქარისა
 და ფოთოლცვენის,
 წლების, რომელსაც შენ ხელი აკარი.
 ვიღაცა მოდის ჩვეული რწმენით;
 აკაკუნებენ... გაუღე კარი!



პიესნაგული ბიჭი

ობლად დარჩენილი სურვილები
 ჰკიდა ხეებს
 და ბიჭი არ ჩანს...
 უმზეო ყანაში
 მზიან ყანებზე მღეროდა
 და ასე დარჩა:
 ბიჭი — სიმღერა,
 ბიჭი — ღუმელი.

●

მამაჩემო!

ცაზე გადიფრენს ყორანი
 (ფრინველია და ფრენას ვინ დაუშლის)...
 ზედნიერი ვარ:
 შენი ეტლით, შენი ბორანით
 არ შეგალამდა
 სხვის მიწაზე და სხვის მამულში.
 შენ იცი, მადლი
 ჩვენი მზის და ჩვენი ტატნობის
 ჩაგძინებია
 გათენების ჩამტკბარ ღიღინთან;
 თუკი ნატრობდი —
 უღელ ხარს და სახნავს ნატრობდი
 და ქარვასლები
 ჩირად გიღირდა.

კარზე მომდგარი
 შეღამების მკრთალი ლანდებით
 ხომ არ მძიმდება
 ზმანებები შენი ყრმობისა...
 თოვლის ფიფქივით
 ეს სალამო ხელში მადნება
 და მე გიმღერი
 ჩემი ბედის წყალდიდობისას...
 შემოდგომაა, გადაიფრენს
 ცაზე ყორანი,
 ფრინველია და ფრენას ვინ დაუშლის...
 ზედნიერი ვარ:
 შენი ეტლით, შენი ბორანით
 არ შეგალამდა
 სხვის მიწაზე და სხვის მამულში.

ღ ე ღ ა ს

ისევ მოდიდდენ წყალგარდნილები
 და მოაბღავლეს ჩემს აპრილობას,
 დღეს სული მზეში ჩაიძირება
 და მოიშუშებს ბედი ჭრილობას.

მკერდს გადაიხსნის ჩემი აპრილი,
 ნეტავი ეს დღე შენც დაგენახა;
 ...და მე ხმამაღლა ტირილს ვაპირებ,
 თუ დამანება ცრემლი ვენახმა.



უ ვ ი ლ ე ბ ი

მეორე წიგნი

„წინამძღვრში რომ მოკლეს ილია“

21 აგვისტოს ილიას საგურამოში ეწვია მისი მეგობარი, საქართველოს თაყვანისმცემელი, გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. ილია ჰავჯავაძემ დიდის ზეიმით მიიღო მეგობარი, მაგრამ არტურ ლეისტი თბილისში ეჩქარებოდა და დიდხანს არ დარჩენილა საგურამოში. 27 აგვისტოს ილია ჰავჯავაძემ თავისი ვეტლით (მეეტლემ თედო ლაბაური) თბილისში წამოიყვანა არტურ ლეისტი. თბილისში სიციხეები იყო, მაგრამ ილიას ვალაყვერტილი ჰქონდა ერთხანს დარჩენილიყო აქ. და აი დაუბარებლად, 2 დღის შემდეგ ილია ჰავჯავაძეს საგურამოდან საკუთარმა მეეტლემ მოაკითხა... ილია თავის კაბინეტში იქდა და მუშაობდა. სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჰავჯავაძემ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მიმართულ პროექტს ამზადებდა სახელმწიფო საბჭოში შესატანად. ილია ამ პროექტს ადგენდა მაშინ, როდესაც რეაქცია სასტიკად უტევდა ყოველ მოწინავე აზრს და ჩამოხრჩობითა და კატორღით ემუქრებოდა რევოლუციის ძალებს.

ილია ჰავჯავაძემ სახელმწიფო საბჭოს დებუტატად 1906 წელს აირჩიეს. მას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოღვაწეობის ახალი ასპარეზი გადაეშალა და აი მან პეტერბურგში გამგზავრების წინ განაცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავდაზნაურობამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მართო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4, № 5.

ამას ფიქრობდნენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, აქაურ რუსთა აზნაურნი, ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური იურიდიული მხარეა, არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწივარ ჩემ ძალ-ღონეს...“

ილია ჰავჯავაძემ საქმით შეუდგა ამ განცხადების აღსრულებას, სახელმწიფო საბჭოში ორჯერ გამოვიდა სიტყვით მცირე ვრცების უფლებებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ახლაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მიმართულ პროექტზე მუშაობდა. და აი ასე მოულოდნელად მოადგა მეეტლე. ილიას თითქოს გულმა უგრძნო, კაბინეტიდან გამოვიდა და ავიანზე მდგარ მეეტლეს მიმართა: — რაო, რა მოხდა, თედო?

— ცუდი ამბავია, ბატონო... საგურამოში გლეხები აჯანყებისთვის ემზადებიანო... თუ არ მოგვეშველებით, ცუდად წავაო ჩვენი საქმე.

ამ სიტყვებს დაბნეულად ამბობდა მეეტლე, თითქოს საღღაც სინდისი ჰქნენის, რომ სასაქლაოზე უნდა წაეყვანა ილია ჰავჯავაძე, რომელსაც აგერ რახანი ემსახურებდა. შიშისა და სინდისისაგან შეძრწუნებული მეეტლე დაბნევით რომ ლაპარაკობდა, ილიამ იფიქრა ალბათ მაღლიან ცუდად არისო საქმე. თედოს და მსახურს უბრძანა დილისთვის მოემზადებოდა ეტლი. იქვე ავიანზე გამოსულ მეუღლესაც სთხოვა თავდაც წაჰყოლოდა. ოღონდთან იმ დროს

სტუმრად წინა ორბელისი იყო. მისთან საუბარში ვართუღო ოლას ილიას ფაცა-ფუციისთვის ურადლებმა არ მიუქცევია. მეორე დილით კი ილიას კაბინეტში შევიდა ოლა და მუდარით მიმართა ქმარს: ნუ იხამ, ბატონო, ნუ წაველთ დღეს, რალაც გული უკლს მანიშნებს. იმ ჩვენ მსახურსაც უკლდა სინძარა უნახავს. თურმე სისხლში უტრადლით შენ და ის მსახური ბიჭი. ილია ჩუტტი იყო, ერთხელ ნათქვამს არ გადათქვამდა, ერთხელ გადაწვეტილს არ შეცვლიდა. ცოლს გაუღიმა და ასე უთხრა: — ნურავინა გეშინია, გლუხები ჩვენს წინააღმდეგ ხელს არ აღმართავენ, ვერც ავახსებები დამაკლბენ რამეს. შე ილია ვარ, ილია! — ეს რომ ხახვასმით თქვა თვითონაც გაეღიმა. და უხალ გასწორა ნათქვამი.—არა, ჩემო ოლა, როგორც სანს რალაც გაიჭრებია ჩვენ სიფელს და ამ გაჭრებებში მარტო ვერ დაეტოვებთ, ჩვენც მათი ბედი უნდა გავიზიაროთ...

ეტლზე რომ დასხდნენ, ილია ერთბაშად უკლ გუნებზე დადგა, თითქოს სული შეეხუთა, პაერი არ ყოფნიდა, ძირს ჩამოვიდა, მოსამსახურე იაკობს ჩუქალ უთხრა, ოლას რომ არ ვაგონა, — იარალი წამოიღე... შიანი, ყოველ შემთხვევისათვის... — მერე, მოსამსახურე, რომ დაბრუნდა, ისევე ავიდა ეტლზე და მეტლეს უბრძანა. — დღეს მზე უკლდა აქერს, უნდა ავიჭარდეთ.

ყველაზე უფრო მეტლეს ეჩქარებოდა დათქმული პირბობის თანახმად... და ცხენები ერთბაშად ააჩქარა...

1907 წელს ხელშეხებით, 30 აგვისტოს პირველ საათზე, დღისით-შისიით მოკლეს ილია პავლევი. საქართველოს მამა, დიდი პოეტო, რომლის თხუთმეტივე ალიზარაც საქართველო; ბირველი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც 50 წლის განმავლობაში მეთაურობდა ქართველ ხალხს... ილიასთან ერთად ეტლით მიემგზავრებოდა მოსამსახურე იაკობ თორაშვილი. ილიას მეუღლე ოლა თადეოზის ასული გერამიშვილისა. გაზეთები იტყობინებოდნენ: „შუა დღის მეორე ნახევარზე ისინი მიუახლოვდნენ წიწმურს. რომელიც მდებარეობს საგურამოიდან ოთხ ვერსზე. მოსამსახურე იაკობმა ოთანაზ ოთხი. თოფებშია და რევოლვერებით შეიარაღებული კაცი და ვაღმობტა ეტლიდან. შეიარაღებულებმა დაუწყეს სროლა იაკობს და მოკლეს. შემდეგ გააჩერეს ეტლი და რამდენჯერმე ესროლეს ილიას, კენიან ოლას ავახსებებმა სცემეს თოფის კონდახებით პირსა და თავზე. ჭალმა გრძნობა დაკარგა და წაიქცა. ეს ამბავი გაიგეს ახლო მყოფმა დარაჯებმა და დაუყოვნებლივ მოვიდნენ, მაგრამ ბოროტ განმზარებელნი... მიიშალნენ.“

გრძნობადაკარგული ოლა ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს საგურამოში. დარაჯებმა გააჩერეს

ახლო მიმავალი ურები, ჩასვენეს შავი ქოლის და იაკობს გვეამებ და ესენიც საგურამოში მიიტანეს... მოკლულ ილიას სამურჯუნულზე აქეს: ორი მუხლში და ერთი, სამხრეთში მას გულში. იაკობი თერთმეტს ალაგას არის დაქრილი.

ყველა ამ ამბის დამსწრენი არიან მხოლოდ მეეტლე, რომელსაც ბოროტ განმზარებლებმა ხელი არ ახლეს და კენიან ოლა, რომელიც ჯერ გონს ვერ მოსულა. მეეტლე ამბობს, რომ ბოროტგანმზარებელი ოთხი იყო: სამს თეთრი პიჯაკი ეცვა და ერთს ძველი კურტკა და შავი შარვალი. ყველა ამბავგარდები იყვნენ და ერთბაშად რუსულად ვანაპარებობდნენ...

ილიას გეამი ბოროტგანმზარებლებმა გაიარცვეს, წაიღეს ილიას პალტო, პიჯაკი, ყოლვეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოხჩა, რადაც საბუთის ჭალადღებს ინახავდა ხოლმე, აღარც საფულე ქისა. მხლებლებისათვის კი ჩემქმებიც გაუხდიათ, აღარ ჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომლებიც ილიას და მის მხლებლებს ქეონათ თან.“

ამ ცნობამ საზარლად გაიხშიანა. „მოგვიკლეს ილია კავკავაზე“ — იმეორებდა ყოველი ქართველი. „ეს რა დღეს მოვესწარით. ეს რა უხედურება დაგვატყდა. მეტი ბარბაროსობა, მეტი გახრწნილობა შეუძლებელია. რა ვთქვათ, რით ვიმართლოთ თავი?“ — აიშალა, ფეხზე დადგა მთელი ქართველობა. სხვადასხვა მიმართულებიან და პოლიტიკური მრწამსის გაზრთები ყოველდღე აღშფოთებით წერდნენ:

„გონება გვენევა და სიტყვა გულში გვიკვდება სიმწარისაგან... ჩვენც, ამ გაზეთის თანამშრომელნი კარგა ხანია დავშორდით ილიას და მის თაობას, ჩვენ შორისაც იდეური წინააღმდეგობა იყო, მაგრამ ერთ წუთსაც არ დაგვივიწყნია ამ ადამიანის წარსული ღვაწლი, ჩვენს უხედურ სამშობლოს წინაშე და ყოველთვის პატივსა ვცემთ მის სახელს. ახლა მის გაციებულ გეამს წინაშე ვიდგავართ თავზარდაცემული და არ ვიცი რა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი უზომო მღელვარება, სიმწარე, უხეგუო მწუხარება და რა სიტყვებით დავგმობთ, დაწყევლოთ მისი მტარეალები... (ისიარი“, 1 სექტემბერი).

თავზარდაცემული ქართველი ხალხი მწუხარებით ეძიებდა ავახსებ მკვლელებს, მოთქმა-მოთქმა და ერთმანეთის წასისიანება დაიწყო. ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიებსაც შეეხნენ. ზოგი უარყოფდა: „ჩვენ გუშინაც ვთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ არ გვეჭრა, რომ რომელსამე პარტიის საქმე იყო ეს საზარელი მკვლელობა“. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ მოამზადა ნიადაგი ამ სახიზრარი მკვლელობისათვის: „ვანა ისინი არ ამეორებდნენ ჩვენს მგონის ღვაწლს, განა იმათ არ იმუშავენს დაუღალავად, რომ მიწისთან

გავსწორებინათ ჩვენი მგოსანი. ხალხის შტრე-
ბად გამოყავდა და ბრბოს უსისინებდა, ჰკა მ-
გასო.“ ის ევატარონი პირდაპირ ეუბნებოდნენ.
აი, ეს ნაციონალისტი არის თქვენი მოსისხლე
შტერი, რომელსაც საქართველოს აღდგენა უნ-
დათ მეფეებითა და ამგვარი წარსული დიდებით-
ათა. ადვილად წარმოსადგენია რა ფანატიკურ
მძულეარებას თესავდა ამგვარი ქადაგება ბნელ
მასაში.“

„დიხ, საზარელი ატმოსფერო შექმნა უაზრო
და ბრმა ბრძოლამ. ამ ატმოსფეროში ვასაყვირ-
ველი აღარ არის ისეთი მკვლელობა, რომელმაც
მოკლა შეგნებულ ქართველობას თავზარი დას-
ცა“.

ახლა სოციალ-დემოკრატები აღშფოთდნენ
ამის გამო.

„შერდღული“ წერდა — გადაათვალიერეთ
„ისრის“ 192 ნომერი, „ნიშნდური“ №2. წი-
კითხეთ ილია ჭავჭავაძის სახსოვრად დაწერილი
სტატიები. და მიგვიითეთ ერთი მაინც, სადაც
გრძნობიერსა და მწარე მწუხარებით აღსავსე
სიტყვებში ბინძური და ტალახიანი ქარაგმები
არ იყოს ჩაქსოვილი...“

„ცისკარი“ უფრო აშკარად აცხადებდა პრო-
ტესტს: „გაცილებით უფრო მძიმეა ის ვერაგუ-
ლი ბოროტება, რომლებიც ყველა ჭურის ნა-
ციონალისტებმა ილიას ცხედრის გარშემო და-
ანთხიეს. საქართველოს უციოდერსმა რეპუბლი-
კურებმა, მონარქისტ „პოგრომნიკებმა“, უბრა-
ლო ავტონომისტებმა და „ისარისებურმა“ სო-
ციალისტებმა, რომლებიც ვითომ ილიას გლო-
ვობდნენ, ნამდვილად კი იმის სახელით ბორო-
ტად სარგებლობდნენ, კლასობრივი, პარტიული
თუ პირადი ანგარიშის ვასაწორებლად, ყვე-
ლამ ერთად — ვინ აშკარად, ვინ ლაპარაკი
ქარაგმებით, ვინ ვაზუთში, ვინ ცალკე ფურც-
ლები და ვინ ყურში ჩურჩულით მორთეს ვან-
გაში: „ილია ჭავჭავაძე სოც. დემოკრატებმა მო-
კლეს“.

დამწუხარებელი ხალხი ბორგავდა, საზღვარს
ვადასული აღშფოთება კითხულობდა: მაინც
ვინ მოკლა ილია? ნუთუ ქართველებმა შეახეს
ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდად-
ებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე აღამი-
ანს? იქნებ უცხოელებს შეშურდათ ჩვენივის
ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენი ქვეყ-
ნისა, ბურჯი ჭეუთი, ნიჭით და გამოცდილებით?
— კითხულობდა დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-
ფშაველა. და იქვე უმატებდა: სამინელი, მერის-
მეტად პარბაროსული მკვლელობაა, რომლის
მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და
არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უხადრუქის
შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება
ამისთანა მკვლელობა რევილუციის სახელით.
საწყალო, საბარლო რევილუციავ ჩვენს ხელ-
ში...“

სოციალ-დემოკრატული პარტიის გამორჩენილი

მოღვაწე, იროდონ ევლოშვილი აღშფოთებით
წერდა: „ცხოვრების ნაძირალბო! თქვენ, რ-
მელნიც არ მალავთ თქვენს ღმირს და სიხა-
რულს, ავაზაკების მიერ განგმირული ქართვე-
ლების დიდი მგოსნის ვაჟთან... ნუთუ არ გეს-
მით, რომ თქვენი ღმიილი ვაშა ავაზაკებისად-
მი რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ქალთა-
ბისადმი. ლექსში კი ასე ამთავრება ამ აზრს:
„ისტორიის საზიზღარნი, ფურთხი, კრულვა
თქვენს სახელსა“.

ილიას თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი
დაკინებთ მოითხოვდა: „ჩვენ უნდა მხნედ
შეუდრგოთ დიავნოზ იმ საზოგადოებრივის სე-
ნისას, რომელმაც ისე მბეცურად იმსხვერპლ-
ა მგოსანი. ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვანინოთ.
მბეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელი, თუ
ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევეუწინდეთ, არა-
ფერი არ უნდა დავმალეთ, რადგან დამალეთ
სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ზრუნის საზო-
გადოებრივ ორგანიზმს და სიყველის უზზალებს
ერს“.

ასე დაძაბულ პოლიტიკურ და საზოგადოებ-
რივ ატმოსფეროში საქართველოს მოწინავე სა-
ზოგადოებრიობა მუხლს იყრიდა დიდი ილიას
ცხედრის წინაშე. იმართებოდა კრებები, პანი-
შვიდები. ბჭობდნენ, სად და როგორ დავსაფ-
ლავებინათ ილია ჭავჭავაძე: „კვირას, 2 სექტემ-
ბერს, ტუ. დემუტატია საკრებულოში მოხდა
სხდომა ტუ. საზოგადო დაწესებულებათა და
ეურნალ-ვაზუთების წარმომადგენლისა, რო-
მელსაც ილია ჭავჭავაძის დასაქრძალავად არჩე-
ულ კომისიასთან ერთად უნდა შექმუშავეინათ
მგოსნის ვაჟის დაქრძალვის წესრიგი“.

„წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ და-
ღვინა ვადაზადოს პანაშვილი განსვენებულის
სულის მოსახსენიებლად, ოთხშაბათს 6 ენკ. სო-
ონის ტაძარში. მისი კუბო შეამკოს ყვავილების
გვირგვინით. მთელი გამგეობა დასაფლავებას
დაესწროს სამგლოვიარო ტანისამოსით. გამგე-
ობის ორი წევრი გაიზავნოს საფრაშოში. და-
სასაფლავებლად არჩეულ კომისიაში გაიზავ-
ნოს ორი წევრი, გამოიკეს და უფასოდ დაუ-
რიგდეს 5 ათასი წიგნი ილია ჭავჭავაძის საუკუ-
რეთსო ლექსებისა...“ „თბილისის ქალთა კრებაში“:
„ღრამაბრულ საზოგადოების კრება, ჭუთათისი,
თელავის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ზუგდი-
დის, გორის, სენაკის, ახალციხის საზოგადოებ-
რივმა კრებებმა ვადაფყვიტეს თბილისში ვა-
ზანის დღევაგაცაო და გვირგვინით შეამკონ
ილიას ცხედარი...“

და ასე ყოველდღე ქვეყნდებოდა ცნობები,
წერილები, ლექსები, სტატიები, დემუშები...

„ილია ჭავჭავაძის დასასაფლავებლად ამო-
ჩეულმა კომისიამ ირჩია ორი მცირე კომისია.

სერბი ჰილანი
შვილიანი

პირველ კომისიას მიენდო დასაფლავების ადმინისტრაციული მხარე — წესრიგის დაცვა და სხვა. ამ კომისიაში აირჩიეს: ვ. გუნია, ს. იაშვილი, ალ. ერისთავი, ყაფრიშვილი და ქ. ქავთარაძე. მთავარ ადმინისტრატორად არჩეულ იქნა ვალ. გუნია. მეორე კომისიას მიენდო სიტყვების წესრიგის შემუშავება. ამ კომისიაში აირჩიეს: ალ. პაპე სარაჯიშვილი, ი. ფანცხავა და ა. მდივანი. სიტყვების წარმოთქმის მსურველნი უნდა ჩაწერილიყვნენ ხუთშაბათს საღამომდის „ნაკადულის“ რედაქციაში.

3 სექტემბერს გაიმართა სხდომა თბილისის ქალაქის საბჭოსი. თავდღომარემ თავ. ვ. მ. ჩერქეზიშვილმა საბჭოს აცნობა ტრადიციული სიტყვითი პოეტის ილია ჭავჭავაძისა. თავმჯდომარემ თქვა: „მართალია ილია ჭავჭავაძე ხმოსანი არ იყო, მაგრამ იგი ქართველი ხალხის პირველი მგოსანი და საზოგადო მოღვაწეა“...

ესეც საოცარი იყო: ილია ჭავჭავაძე — ერის მამა — თბილისის ხმოსნად არ აირჩიეს! თბილისი, უკერძოების ზეგულ ჩავარდნილი თბილისი საქართველოს ძველებურად ვერ შეთავრობდა. მაგრამ აქ ისიც სათქმელია, რომ მამინდელ მუჟის იმპერიაში, რევოლუციის მიერ შეჩერებულ რუსეთის მუჟის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ერთი ხმა მიეცა და ამ ერთ ადგილზე ილია ჭავჭავაძე ერთხმად აირჩიეს. და აი ერთი წლის შემდეგ ვერაგულად მოკლულ უკვირგვინო თუფეს დასტიროდა დამწუხრებელი საქართველო.

გახტებში გამოქვეყნდა წესი განსვენებულ ილია ჭავჭავაძის გვამის ვადმოსვენებისა და დაკრძალვისა.

საგურამოს უამრავი ხალხი მოაწყდა საქართველოს ყოველი კუთხიდან. 7 სექტემბერს, დილის 7 საათზე ილია ჭავჭავაძის ეზო სასვე იყო ხალხით. იქ უამრავი დელეგაცია იყო სრული წესრიგით ჩამწყობებული: თბილისის თავად-ანაწერობისა — ბაგრატიონ-დავითაშვილის წინამძღოლობით; ქუთაისის თავადანაწერობისა — დ. ნივარაძის წინამძღოლობით; წერა-კითხვის საზოგადოებისა — ივანე რატიშვილის და დავით კარიჭაშვილის წინამძღოლობით. დრამატული საზოგადოებისა — ნ. დ. ერისთავი და დ. დუმბაძე; ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო — თავმჯდომარის გიორგი ზღაპიიძის ხელმძღვანელობით; თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გამგებობისა — დ. ფაულენიშვილი; ამავე ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა — გ. გ. მაღალაშვილი; ამავე ბანკის მასხურთა — რ. დვამიჯავ; ქართული დრამატული დასისა — ვასო აბაშიძე; დუშეთის მაზრის უფროსი ყარა-მან ფალავა; „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლები. „ისრის“, „ნიშადურის“, „ზაჯავახისა“, „ტფილისის ლისტოკისა“ და სხვა რედაქციების დელეგაციები. საპატიო მცველად აქვე იყო ცხუნოსანი რაზმი: მთელი საგურამოსა და წიწამურის გლეხობა.

შინაი დღე იდგა. ილიას გზო, ილიაობის — ტრადიციული დღეობის, ლხინისა და დღესასწაულის მომსწრე იყო, ახლა გლოვას მოეცა. ილიას ცხედარს ცხარე ცრემლებით დასტიროდა აქ თავმოყრილი ხალხი. სრულ რვა საათზე ილიას სასახლის მეორე სართლის აივანზე უშველებელი შავი დროშა გამოფინეს. დროშას ყარაულებად ამოუდგნენ ვალერიან გუნია და ვასო აბაშიძე. ივანე რატიშვილმა სიტყვა დაიწყო და ხალხის კვითინი შეწყდა. რატიშვილი ეკატერინე გაბაშვილმა შეცვალა. მგრძობიარე სიტყვა მწერალმა ქალმა მოთქმით დაამთავრა: „ვი, შენს დამკარგავ საქართველოს“. ისევე ატირდნენ შავად მოსილი საგურამოელი გლეხის ქალები. აცრემლებული პროცესია საგურამოდან თბილისის დაიძრა.

კუბო საგურამოელ გლეხებს მოჰქონდათ. პროცესია წიწამურთან შედგა, სწორედ იმ ადგილთან, სადაც შეიდი დღის წინათ ვერაგულად მოკლეს დიდი მამულიშვილი. ვერა კიდევ მიწას ზედ ეცხო ილიას სისხლი. ვალერიან გუნია, რომელიც წინ მოუძღოდა პროცესიას ოციოდე ცხენოსანით — საპატიო მცველით, ცხენიდან ჩამოქვეითდა, მას სხვა ცხენოსნები მიჰყვნენ. მათ მუხლი მოიყარეს ილიას სისხლმოცხებელი ქართული მიწის წინაშე. ისევე აქვითინად მთელი პროცესია. ჩოხა-ახალხში გამოწყობილი ცხენოსნები ადგნენ, იქვე ახლო-მახლო ქვები მოყრიდეს და სისხლიანი ქართული მიწა, სახელდახელოდ, ქვებით შემოფარგლეს.

სიტყვა ი. ევერშვილმა დაიწყო: „ქართველებო, აი ამ ადგილს დახუტა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალეზი, აქ ამოიყენესა უკანასკნელად მისმა ვულმა, ამ ადგილიდან უკანასკნელად შეხედა ილიამ თავის სამშობლოსაც... ვერაგმა ზელმა იგი წავგართვა ყველას, მთელ ქართველობას, მან გაგმირა მთელი საქართველოს მამა, მოძღვარი. მამ რა ვუწოდოთ იმ ავაზაყებს, რომლებმაც ეს ბოროტება ჩაიდინეს?

— იუდა, იუდა! — იგრილა ხალხმა.

— იყოს წყველი! იყოს წყველი! — ისევე ამოიგმინა ხალხმა. დიდხანს გმინავდა, ბორგავდა პროცესია ილიას სისხლით შეღებულ მიწაზე.

მერე პროცესია დაშოშმინდა, დაცხრა და გზას მცხებოსკენ გაუღდა. მცხეთაში, ვერის მონასტრის ძირს, პროცესიას მცხებულები და თბილისიდან დაძრული ხალხი შემოხვდნენ საეკლესიო დროშებითა და გვირგვინებით. ჩამწყობებული ხალხის სახელით საგლოვავარო სიტყვა წარმოთქვა მღვდელმა ჯალიაშვილმა. პროცესია ახლა მუხათგვერდზე, რკინის ხიდთან, ზემო ავქალასთან შეჩერდა. აქაც ისევ სიტყვები, ისევე მოთქმა, ტრილი, აღშფოთება და ზოზო ილიას მცველებისადმი...

დიღმის მინდორზე გრანდიოზული შეხვედრა მოუწყეს პროცესიას დიდებულმა გლეხებმა. თბილისის მისასვლელადან თითქმის მთელი თბილი-

სი შეხვდა ილიას კუბოს. სამხედრო გზაზე, ვერასთან შეჩერდა პროცესია, რომელსაც წინ ისევ ცხენოსნები მოუძღოდნენ. ცხენოსნებს თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, მკლავზე შავ-დუნტშემოვლებული ვალერიან გუნია ედგა სათავეში. იგი ჩამოკვეთიდა და თავდახრილი მივება თბილისიდან დაძრულ ხალხს. თბილისელებს სათავეში ედგნენ სამი ქართველი ეპისკოპოსი და მრავალი მღვდელი. გამოჩნდა თუ არა ბაღდაბინი, რომელზეც ესვენა ილიას კუბო, სამღვდლოებამ პანაშვიდი გადაიხადა. შემდეგ დაიწყო სიტყვები.

ისევ დაიძრა პროცესია. ახლა თბილისელები ხელით მოასვენებდნენ ილიას კუბოს, რომელსაც უამრავი ხალხი მოსდევდა უკან. თბილისის ქუჩებში შეგროვებული ხალხი იჩოქებდა, ქედს იხრიდა ცხედრის წინაშე, ქვითინებდა, ტირიდა. ცხედარს კი მწერლები, ხელოსნები, მუშები, გლეხები, მოსწავლეები მოაცილებდნენ. ვაჭრები დღუქნებსა და მაღაზიებს ხურავდნენ. ქუჩაში მოძრაობა გაჩერებული იყო. ვერიდან გოლოვიჩნის პრისიპეტის გამოვლით სიონამდე მოჰყვებოდა ეს თურავებული ხალხი ილიას ცხედარს.

მტრის აუარსაკ ნათელი იყო, რომ ილია დაჰყვებოდა სიკვდილმა გამოაფხიზლა. ფეხზე დაჰყვანა მთელი ვრი. ის, ვინც მთელი ნახევარი საუკუნე ებრძოდა კატაკოვებს, იანოვსკებსა თუ სხვა შავრაზმელებს, ახლაც, სიკვდილის შემდეგაც თავხარს სცემდა საქართველოს მტრებს. ილიას, ისევ დიდებულს ჰქუთო, დიდი ამაგიტ დამწვევებულს და სიციცხლეშივე უგვირგვინო მეფედ გამოცხადებულს, ახლა მოწამებრივი გვირგვინი ედგა. მისი დიდი ღვაწლი შარავანდელით მოსადავ კუბოში ჩასვენებულ მის სახეს. იგი ახლა ისე კი არ მიუძღოდა ქართველ ხალხს როგორც ცხედარი, არამედ როგორც ძირს დაუხრელი დროშა. და მტრისაც ეშინოდა ასე აზვირთებული ქართველი ხალხისა. ამიტომ იყო, რომ ილიას ცხედარს გოლოვიჩნის პრისიპეტზე. სამხედრო ტაძართან, თავისი ამალით დახვდა „ნამესტნიკი“ ევრონცოვ-დაშკოვი... ასე დიდებულად მოასვენეს დიდებული გვამი: სისათაყვანებელი ნემსის წინაშე. ოთხი ეპისკოპოსმა და სხვა მღვდლებმა სიტყვით მიმართა ილიას ცხედარს...

იმ საღამოს, 6 სექტემბერს შუალამედის ნაკადებდ, შეუწყვეტილად მოდიოდა ხალხი სიონის ტაძარში და თაყვანისცემით მუხლს იყრიდა სათაყვანებელ ნემსის წინაშე. ოთხი ეპისკოპოსი სწორად. ყოველი პანაშვილის შემდეგ რიგ-რიგობით სიტყვას წარმოთქვამდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ევრნალ-გაზეთების წარმომადგენლები, მუშების, პარტიების, ქალაქების, რაიონების დღეუგაციითა მეთაურები. ასე გაგრძელდა ეს ეროვნული სახალხო გლოვა სამი დღე-ღამე სიონის ტაძარში.

9 სექტემბერს, დღის 7 საათიდან სიონის ტაძარს თითქმის მთელი საქართველო მოაწყდა.

აქ იყვნენ კახეთიდან, ფშავეხესურეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიადან, საინგილოდან, სვანეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან, აჭარა-აბაშელეთიდან, ჯავახეთ-ახალციხიდან ჩამოსული ხალხმრავალი დღეუგაციები. სიონის ტაძრისაკენ გაემართნენ თბილისელი მუშები, ხელოსნები, ასოთაწყობები, სტუდენტები, მოსწავლენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, თბილისის სხვადასხვა ეროვნებათა მოქალაქენი. ხალხის დენას ბოლო არ უჩანდა. დღის 8 საათზე სიონის ტაძარში პანაშვიდი დაიწყო. ტაძარში სამი გუნდი გალობდა. გალობათა შორის სიტყვას წარმოთქვამდნენ. სულ ბოლოს წერაკოთების გამაგრებულბელი საზოგადოების სახელით სიტყვა წარმოთქვა ივანე რაჭვივილი. დღის 11 საათზე ცხედარი ხელით გამოასვენეს ვეა-ფშაველამ, ნიკო ცხეველიძემ, ანტონ ფურცელაძემ, არტურ ლისტმა, იონა მეუნარკამ, ირ. ევდომოვილმა, თბილისის ქალაქის თავმა ჩერქეზივილიმა, მეფის ნაცვალმა ევრონცოვ-დაშკოვიმა...

გარეთ ილიას კუბო სასობით დაასვენეს სა-მგლოვიარო ეტლზე. პროცესიას წინ მიუძღოდა ვალერიანი გუნია. შემდეგ მოჰქონდათ ილიას დიდი სურათი, შავ ჩარჩოში ჩასმული. ამას მისდევდა ეპისკოპოსებისა და სამღვდლოების ჯგუფი, რომელთაც მოჰქონდათ შავი დროშები, ჭერბითა და ზატებით, ამათ მოსდევდნენ თბილისელი ამქრები თავიანთი დროშებით, შემდეგ მოდიოდნენ საგურამოელი და ყვარლელ-გლეხები. მათ უკან ორ-ორ რიგად მოდიოდა 185 დღეუგაცია საზოგადო დაწესებულებებისა, საქართველოს ქალაქებისა და რაიონებისა. ყოველ დღეუგაციას ათასგვარი გვირგვინი მოჰქონდა. გვირგვინებს სამგლოვიარო ეტლი მისდევდა, რომელზეც ესვენა ძვირფასი ცხედარი. ეტლს გარს ეხვია „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლები, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები, ევრნალ-გაზეთების რედაქტორები. ცხედარს უკან მოჰყვებოდნენ ნათესავ-პირისუფალნი. შემდეგ — ისევ დღეუგაციები წერაკოთების გამაგრებულბელი საზოგადოებისა, შემდეგ — თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, თელავის, გორის, ზუგდიდის, ოტურ-გეთის, სენაკის, კიათურის და სხვა ქალაქების თვითმმართველობათა წარმომადგენლები. აქ ნახავდით თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის სახელოსნოების, ფოთის ბათუმის პორტისა და ბაქოს ნავთის საბადოების მუშებს. ცალკე სოფლებსაც გამოეგზავნათ თავიანთი დღეუგაციები. მათ შორის იყვნენ იყვანთის, მცხეთის, დიდმის, ქისტაურის, წინანდლის, ფოთის, საჩხერის წარმომგზავნილნი. ერთი სიტყ-

სარბი შილანი
შვილიანი



ვით, არ უჩანდა დასასრული დელეგაციებს, დეპუტატებს, სიონიდან ერევნის მოედნამდის ჩამწყრივებულნი იყვნენ სომხის საზოგადოების, მამალიანთა უმადლესი საზოგადოების, ებრაელთა და სხვა სარწმუნოებათა დელეგაციები. ზღვა ხალხი იყო, მაგრამ სრული წესრიგი სუ-ვევდა. ამ საქმეს დირიჟორივით მეთაურობდა პროცესიის თავში ჩამდგარი მალალი, ახკვანი, მხარ-ბეჰიანი, თეთრ ჩოხა-ახალღუში გამოწყობილი და მკლავზე შავარშიაშემოვლებული ვა-ლერიან გუნია.

სამკვლევიარო პროცესია სიონის ქუჩით, ერე-ვნის მოედნისაკენ გაემართა. ქუჩისპირა სახლე-ბი შავი ქაძებით იყო შემოსილი. აივნებზე შავი ბარბალები გადმოყოფიდა. მოდიოდა პროცესია და სრული სიჩუმე იდგა. მარტოოდენ ქეთიანი და ოხვრი თი ისმოდა. პროცესია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთიანად ქა-ძებით შემოსილ შენობას მოადგა და აქ შეჩერ-და. ნელა ვაილო საზოგადოების თავმჯდომარის კარი და აივანზე აკაი წერეთელი გადმოდგა. ავადმყოფ პოეტს გვერდით ორი კაცი ედგა. მათი დახმარებით აკაიმ აივნის მოაჯირამდე მი-აღწია, მერე მოაჯირს ავადმყოფობისაგან დასუ-სტებულნი ხელებით შეეხო და ხალხში ქეთიანი გაისმა. აკაის გამოჩენამ თითქოს მხნეობა შეპ-მატაო, დამწყურებულნი ხალხი გაიანბა.

— ძმაო ილია!—ავადმყოფობით დასუსტებულ პოეტს ქეთიანი მოერია და სიტყვა გაუწყნა, მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და ახლა ხალხს მიმარ-თა:

— ახალი მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუფლმართოსი, დღეს საუფლმართად მოკლული, ძეგს კუბონში ჩვენ წინ და თითქოს გვეკითხება: „რა დაგვიპოვეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“. გვეკითხება და ჩვენ ქართველებს თავის გასამართლებლად ვერა მო-გვიფიქრებია რა...

აქ შეჩერდა, ნაღველი ისევ მოერია, ფართოდ გახედილი თვალები მიმოავლო ხალხს და შე-კრთა. რაგვარი სიტყვა არ უთქვამს მრავალ-ჭირანხელი ერის უბადლო პოეტს აკაის, მაგ-რამ ამდენი ხალხი, დიდი უბედურებით ერთ მუქად შეერული, არასოდეს უნახავს. პოეტს ქეთიანი მოერია, ხალხს ორმავად გადავლო ეს ქეთიანი. ის იყო ხელი აღმართა ვალერიან გუ-ნიამ და... ხალხი გაიანბა. აკაიმ ღონე მოიკრიბა და განავარძო:

— და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების ვარდა სიოცხვილიც ენას მიბავს, ველარას ვამ-ბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით, ძმაო! ვარემოვებამ გადავება ჩვენ ერთმანეთზე, ნახევარი საუფლის განმავლობაში ერთს უღელს ვეწყოლით, ერთი გზით დავდიოდით, ახლა ჩე-მი მარტოდ დარჩენა და დაობლება საქნელია, მაგრამ ეკ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს...

ისევ ცრემლები მოერია პოეტს, მწუხარება ხალხი კი სულგანაბული უსმენდა.

— შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და ვანისვენე სამარადისოდ, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღლებენ. იმათ ჩვეუ-ლებრივი მოთქმა-მოთქმა ვეღარც არას დაე-ლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ სა-ქართველოს სიკვდილი არ უწყერია, მაშინ იმას-თან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სა-სიკვდილია, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავ შენ, რომ მაგ შენი სიკ-ვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვლით ველარ ნახავს!

ისევ მოერია პოეტს მწუხარება და შეჩერდა, ხალხს მიაყურო თვალთა მხერვა და უფრო ხმა-მალა წარმოთქვა:

— როგორც სიოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და, ამა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილინი გეხვევიან ვარს... ვეგბ სიკვდილით მაინც გა-ნამტყილო ის, რასაც შენი სიოცხლე უსწერს: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარ-ულობას.

აქ კი გაუწყნა სიტყვა, სისუსტე იგრძნო ავადმყოფმა პოეტმა, სიტყვა მოკლედ მოჭრა და ქეთიანით დაამთავრა:

— მშვიდობით ძმაო, საუფროდ იყოს ხსენე-ბა შენი.

ხალხის მოთქმა და ტირილი მგალობელთა გუნდებისა და სასულე ორკესტრის სამკვლევი-არო ხმებმა დაფარა. მცირე პანაშვილის შემდეგ პროცესია ისევ დაიძრა. ახლა გოლოვინის პრო-სპექტზე მისაყენებლენ დიდი ილიას და როცა საუფლოვარიო ეტლმა, რომელზეც დიდებული ცხელი იესევნა, სახაზინო თვატრის პირდაპირ ქავეჯაჰის აღმართზე შეუხვია, პროცესიის ბო-ლო ჯერ კიდევ სიონის ტაძრის წინ იყო. მთე-ლი მანძილი, ერევნის მოედნიდან გოლოვინის ვანიერი პროსპექტის ჩათვლით, მარტოოდენ გვირგვინებს ეკავა. ზოგს ვერცხლის გვირგვინი ეჭირა, ზოგს ცოცხალი ყვავილებისა. მათში სა-განგებოდ გამოირჩეოდა პრინცესა სალომე და-ლიანის გვირგვინი.

ილია ქავეჯაჰის სიკვდილი ზუგდიდში დიდი მწუხარებით შეიტყვის. პრინცესამ მაშინვე მის მიერ დაარსებულ ორკლასიან სკოლას მიაშურა. სკოლის მეცენატმა მასწავლებლებს და მოწა-ფეებს დიდი მწუხარებით აუწყა ილიას სიკე-დილი. შემდეგ პრინცესა და მასწავლებლები დადიანების სასახლის ეკლესიაში გაემართნენ და პანაშვიდი გადაიხადეს ილიას სულის მოსა-ხსენიებლად. ზუგდიდის საქალაქო საზოგადოე-ბამ დელეგაცია შეადგინა. საგანგებოდ ზუგდი-დელ ოქრომქედლებს ვერცხლისაგან გვირგვი-ნის გული გამომკვდინეს. ოქროსფერ ლენტზე ერთ მხარეს ეწერა: „საქართველოს მხურვალე გულს“, მეორე მხარეს კი — „ვის არ რგებია



უყვადეთა შორის, რომ შენ არ გრგებოდეს ბნელი ძალებისაგან. ვერცხლის გულს, შინიდან გამოღრღინის, შეუახე ვერცხლისავე ტყვია ჯეიდა.

ეს უცნაური ვერცხლის გვირგვინი ორ ბავშვს მოჰქონდა. ერთი ამთავანი 6 წლის ამილი იყო — სალომე დდიანის შვილიშვილი. აქვე იყო გვირგვინები პეტერბურგის ქართველებისაგან: „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძეს“; „ივერიის“ თანამშრომლებისაგან, რომელსაც ლენტეხე ეწერა „შენი დიდი ნიჭი, მიმდინაი კალამი შენი წინამძღვრია გვასულდგმულეზბა და ნეტარებით გმუშაობდით შენდა შევრდომილი“. შემდეგ იყო გვირგვინები სათავადანაურთ ბანკისაგან, „ისრის“, „ნაკადლის“, „ჩენი გზის“, „ჩაქვლის“, „ზაკავასიის“, „თბილისის ლისტკის“, სტამბების მუშებისაგან, წიგნის მაღაზიებისაგან, გლეხებისაგან, ხელოსნებისაგან, ვაჭრებისაგან, სასწავლებლებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, შემდეგ — ცნობილი საზოგადო მოღვაწეთაგან, პროფესორ პეტრიაშვილისაგან, ვალერიან გუნიასაგან, არტურ ლეიტისაგან, ნიკო ნიკოლაძისაგან, იაკობ გოგებაშვილისაგან, იონა მუუნარგიასაგან, ივანე გომართელისაგან, ვინ მოთელის კიდევ ვისგან!

უკან, ჰორისუფლებში, ნელა მოაბიჯებდა თაღბით მოსილი პრინცესა სალომე, გვერდით გენერალი ჭავჭავაძე მოჰყვებოდა და რაღაცას ხმადაბლა უყვებოდა, მაგრამ ახლა, ამ წუთს პრინცესა აქ არ იყო: მისი ფიქრები შორს, ნევის პრინსებეტზე დაჰქროდა. მას თავიწინ დაუდგა ის დღე, პეტერბურგში რომ ესტუმრა დადიანებს და ჩუმი კენჭს აღმოხდა.

„ბედნიერი ვიყავით მაშინ, მართალია, მაშა არ გვყავდა, მაგრამ თავზე გვაიდა მთელს იმპერიაში ცნობილი დედაჩემი — სამეგრელოს დედოფალი. არა, დედა სხვა ქალი იყო. პო, როგორ უფრთხილდებოდა ბარათაშვილის იმ ლექსთა კრებულს! დედისაგან ფარულად ილიას პირველად მე ვაჩვენე ის კრებული. დედამ ეს რომ გამიგო, კი არ გამიყარდა, მომიწონა კიდევ ილიას კი მთელი კვირა თავიდან არ მოუცილებია ეს კრებული...“

პრინცესა ამ ფიქრებისგან მაშინ გამოფხიზლდა, როცა პროცესია ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის აღმართს აუყვა.

პროცესიამ ვაიარა ჭავჭავაძის აღმართი და მამადავითის ქუჩით გაემართა მთაწმინდისაკენ. მამადავითის მოედანზე ხალხს სიტყვით მიმართა ქალაქის თავმა ჩერქეზიშვილმა. განრისხებულმა ქალაქის მოურავმა იკითხა: „ვისმა მურდალმა ხელმა ჩაიღინა ეს კენის საქციელი, ვინ შეარცხვინა მთელ განათლებულს ქვეყნიერებასთან ქართველი ერი?“ დაღუპულ ხალხს საშინელ გრგვინად აღმოხდა: „საუკუნოდ წყველა-კრულვა მხეც მკვლელებს!“ „ათას-

ჯერ ზიზღი მკვლელებს“. ჩერქეზიშვილმა მამაშვილს თვარა სიტყვა და ხალხი დადუმდა. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ს. მიდიანმა, ვ. გეგაძემ, ქალთა თანაწრობის მოსკოვის საზოგადოების წარმომადგენელმა ქ.—ნმა მიროვიჩისამ. ქართველ ქალთა სახელით—ნინო ნაკაშიძემ. „ჩვერილის“ საზოგადოების წარმომადგენელმა თ. ხუსკივაძემ, ქუთაისის ქალაქის თეთიმმართველობის სახელით — იაკობ ფანცხავამ, „მშაქის“ რედაქტორმა ქალანთარმა, სოხუმის საზოგადოების სახელით ლექსი წარმოთქვა მელიტონ გომეზიამ. მოსწავლეობა სახელით ილაპარაკა ყორეოლიანმა. ახლა სიტყვა ვაია-ფშეველამ აიღო. ფშევერი ჩოხა-აბალუხით მორთული ვაია ახლო დადგა ეტლთან და ხმამაღლა დაიწყო:

— ბნელმა ძალამ აისრულა თავის საწადელი... იქნება თქვენთავანმა ბეგრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირებდნენ ამ 40-50 წლის წინათ. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახვეწებულს ფორმას — ბატონ-ყმობას... მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი. როგორც დედა ერთადერთის ჩვილის შვილისა, ისე დაჰკანკალებდა, ან არ შემოიკედდეს, ან არ მომეშვიდესო. მოსულს მტრებს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეული ხმალს პირველი უფარებდა ფარსა...

დიადო მგოსანო, ყველანი ერთად ვღებთ ფიცს, წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დაეწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაწიროდ და ვემსახუროთ შენ მიერ ნაანდერძე იდელებს — ქმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუღრქველად.

ამ სიტყვების შემდეგ ძვირფასი ცხედარი ეტლიდან გადმოსაყვეს და მუშებმა, გლეხებმა, ილიას თანამებრძოლებმა და მეგობრებმა ხელით აასვენეს მთაწმინდის მთელ აღმართზე. მამადავითის ეკლესიის ვალავანში ბილიეთებით იყო ასვლა, მაგრამ იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ კუბოს ატანა გაუჭირდათ. შეჯგუფებული ხალხი ვაარტია ვალერიან გუნიამ და გზა მისცა იმით, ვისაც მოჰქონდა ძვირფასი ცხედარი. ცხედარი მთაწმინდაზე — ამ წმინდა მიწაზე, ზედ მთის ძირას ვათხრილ საფლავთან დაასვენეს, და დაიწყო პანაშვიდი. მთელმა ხალხმა მუხლი მოიდგო ილიას ცხედრის წინაშე, დამთავრდა პანაშვიდი და დაიწყო სიტყვები.

27-მა იანვარს, საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლებმა გოდებით, ვაგებით, იმედით, სევდით საესე სიტყვებით მიმართეს ძვირფას

სმარტი მიღვანი
შვილები



ნეშტს. ამ სიტყვებში სულ სხვანაირად გაისმა ერთი მესამედასების სიტყვა:

— ჩვენ მოწყურებული ვართ, უკანასკნელი, ამქვეყნიური პატივისცემა მოვავით და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ. მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც... უშუალოდ ბაზუქაზე პლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირად ვუყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთ რიგად ვცემდეთ პატივს და ვფასავდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტყვი შენ, როგორც შეგნებულნი მესაკუთრე თვადანხალრობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც შრომელი ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდნენ და პატივი დაგვან შენ ძალაუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, როგორც თანამდროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრე. დაე, გაქმ და გადიდონ შენ შოეინისტებმა, როგორც მამული შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევეუბრებდით ასეთების ქებათა ქებას და მითუმეტესის სიციხადით აღვნიშნავთ იმას, რაც იყო შენი ჩვენთვის ძვირფასი. შენ სამოღვაწეო ასპარეზზეც გამოდი მამინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრად შეირყა... ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებული ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა შეთავაობა მამინდელი საზოგადოების და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნად დაისახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონყმური ცხოვრების საზიზღრობა... შენმა მგონსნობა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალი თაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უშთაერეს მამოძარავებელ ძალად, მთავარ ღერძად აღიარა... ვი თქვენ, ეტყვის იგი შენი ცხედრის წინაშე აგრეთვე იმითაც, ვინც შენს მოკვლის გავონების შემდეგ ბუკსა და ნაზარას სცემენ. ქვედა მისწრაფებთა და მურღალი მიზნით, თითქოს შენთან ერთად მოიკლა მთელი ხალხი. ასეთები ვერ ხედავენ, რომ ამით ივინი ვერ აქარწყლებენ შენი ნიჭის საუკეთესო ნაყოფს, ვერ ხედავენ რომ ის ხალხი, რომელმაც შენისისხლობარცა ის, რაც შენს მოღვაწეობაში საუკეთესო იყო, უარჰყო ის, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება შენ წარსულ მოღვაწეობაში. ასეთი ხალხი, გამბობთ, უკვდავია და არც პასუხს აგებს, თუ მის შორის ვინმე მტარვალობა ჩაიღწა. ვი მათ, იტყვის იგივე პროლეტარიატი და მთელი შრომელი ხალხი, ვინც ლამის მართლა ავაზაკურად ისარგებლოს შენი მკვლელობის შემთხვევით და ჩირქი მოსცხოს შრომელ ხალხს და იმას, ვინც ხელმძღვანელობს მას. დღეს ჩვენში შურისძიებისათვის მოწოდებას ჩვენ არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოვთხოვთ მათ, ვინც

ჩვენს სასიარულო გზაზე ეკლასა სხრისწინაშე მზამს ანთხებს... — მეტად გამომწვეველ გაისმეს სიტყვები.

ღებულების კითხვას შეუდგნენ: მოსკოვი. „სიტყვით ვერ გამოიმთქვამს სასოწარვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა გონებას მირევს, სინდისის მიბრძვავს. მოკვლა ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული“. აღექსანდრე სუშხათაშვილი.
პეტერბურგი. „ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს“. კიტა აბაშიძე.
„სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დიდებულ მგონის დაკარგვას“. აღექსანდრე ხახანაშვილი.
შემდეგ — ღებუები ვენიდან, ბერლინიდან, პარიზიდან, კიევიდან, საქართველოს ყოველი კუთხიდან. საგუბერნიის საყარობილეთა პოლიტიკურ პატიმართაგან, სტუდენტებისაგან, მუშებისაგან, ვენის სამეცნიერო აკადემიის წევრისაგან, — ჰუგო შუხარტისაგან... მთელ საათს გაგრძელდა ღებუების კითხვა. მაგრამ ღებუების კითხვამაც ვერ დაფარა უწყაყოფილება და პროტესტი.
სწორედ ამ დროს ხალომე დადიანი ჭირისუფლებს გამოეყო, თავის პატარა შვილიშვილს ხელი მოჰხვია და ორივემ ილიას ცხედრის წინ დაიჩოქა.
— შენი დახუქული თვალბიდან მე ვგრძნობ საყვედურებით აღსავსე მზერას, ვერ დავიცავით გარეწართაგან... მაგრამ მოილე მოწყალეება და შენს სათაყვანებელ საქართველოს ნუ გარევე ამ გარეწართა საქმეში... იქნებ მე არ მქონდეს ამის უფლება, მაგრამ შენ წინ დაიჩოქი ამ შვილიშვილის უმანყო გარეგანი გვედრები: მუდამ გახსოვდეს შენი საქართველო, ნუ მოკვლებ მას ზრუნვას და ლოცვას...
ეს თქვა და ნატყვიარ მუხლზე აკოცა სრული საქართველოს დიდებასა და იმედს...
კუბო ნელა ჩაუშვეს, საფლავზე გვირგვინების გორა აღმართეს, მაგრამ ხალხი მაინც არ იმროდა, მამინ ვალერიან გუნიამ დამსწრეთ მოუწოდა: მუხლი მოიყარეთ, უკანასკნელად თავყანი ეციოთ ერის მამასო. დაიჩოქა დაღუმებულმა მთაწმინდამ. მერე ხალხი ნელ-ნელა დაიძრა.
დაბინდა, ცაზე დასხდნენ ვარსკვლავები. ილიას საფლავთან, მთაწმინდის მიის ძირას კისე იდგა ვეფ-ფშაველა, ვით კლდიდან გამოთლილი ქანდაკება. ჩოხს გადახსნილს, ბინდისფერ ახალუხის ტყავის სატყველზე ჩამოკიდებული სატყვეარი მარჯვენა ხელით ჩაებლუჯა. ფართოდ გახელილ მარჯვენა თვლიდან კი ცრემლი მოეწინადა. არა, ეს ცრემლი არ იყო. პოეზიის კვლიდან, ღმერთაკის თვლებიდან ლექსის წყალი წყალი მოწაწყავისათვის:

საძირკვლად აზრი ჩაავდე,
ზედ დასდგი გრძობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით

ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი,
გვეყარულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი
მოკვალით ჩვენისვე ხელით
მოამთთვის ნაჭირმაგარი...
ვაი, რომ რჩება აყვანი
ბაზალეთის ტბის ძირასა
და ღიღბანს კითხვადვე გვრჩება
„ვინ ამოიღებს იმასა“...

ის ეროვნული გლოვის დღევ დასრულ-
და. მაგრამ შთაბეჭდილებათა გაზიარება
და მესამე დასვლთა ერთ-ერთი ლიდერ-
რის სიტყვის განსჯა არ შეწყვეტილა. და მა-
რტო იმ დღეს კი არა, წლების განმავლობაშიც
კი, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ზო-
ვიერთი წევრი ვერ აღმოჩნდა თავის სიმალე-
ზე.. თავიანთი უტაქტო მოქმედებითა და მოუ-
ფიქრებელი სიტყვებით ვუკნ აღფიქვბდნენ ამ
პარტიის მიმართ. შავ-რაზმელების მიზანი —
ილიას მკვლელობა გადაებრალბათ სოციალ-
დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის, — პო-
ხიერ ნიადაგს პოულობდა.

საქმე იმან უფრო გამაწვავა, რომ იმ დღეებ-
ში, 1907 წლის 9 ოქტომბერის ვაზეთ „ჩვენ გზა-
ში“ დაიბეჭდა ნოე ყორღანის ვრცელი წერი-
ლი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო: სა-
დაც ხე იჭრება, — ვკითხულობთ წერილში — იქ
ნაფოტები ცვივა, დიდმა რევოლუციამ სიკვდი-
ლით დასაჯა დიდებული ჭიმიკი ლაუაზიე, მარა
ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია...
ისევ აზვავდა საზოგადოებრივი აზრი, როგორ
თუ ნაფოტით, ეს რა უმსგავსო რამ დღეწე-
რათა...

რევოლუციის დამარცხებამ და რევოლუციუ-
რი და პროგრესული ორგანიზაციების წინააღ-
მდეგ რეაქციის გამაქინვარებულმა შემოტევებმა
დაშალა და დაარღვია მეზობლი სოციალ-დემ-
ოკრატიული ორგანიზაციები. ორად გაიყო
მესამედასვლთა ჯგუფი. ერთნი ამტკიცებდნენ,
შეცდნენ იყო, იარაღს ხელი რომ მოკვიდეთ,
რასაც ამდენი სისხლისღვრა მოჰყვავო, მეორენი
ამტკიცებდნენ, მართალია, ჩვენ ამ ბრძოლაში


დამარცხდით, მაგრამ მშრომელმა ხალხმა ვერ
გად შეიგნო, ვინ არის მისი მტერი და მოკვეში-
რე და ვის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, ვიდ-
რე საბოლოო გამარჯვებას არ მოვიპოვებთო. ეს
ჯგუფი ისევ შეუდგა ფარულ ორგანიზაციების
აღდგენას და განმტკიცებას. სამუშაოდ იატყ-
ქვეშ ჩასული ეს ორგანიზაცია უფრო დიდი ამ-
ბებისათვის ემზადებოდა...

მესამედასვლთა შინაგან რღვევას, დაშლას
ხელი შეუწყო უღეთოდ მოკვლული ილიას გარ-
შემო ატეხილმა დავამ. დასვლთა ერთი ნაწილი
არ იწონებდა ილია ჭავჭავაძეზე ქართველ სო-
ციალ-დემოკრატთა ლიდერების თავდასხმას და
მათს ეროვნულ ნილილზმს. ციმბირში გა-
დასახლებული გეგეჭკორი ახლა კარგად ხე-
დავდა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ნი-
ლილისტურ ეროვნულ პოლიტიკას ხალხის უნ-
დობლობა მოჰყვა. შორეულ ციმბირში ყველა-
ზე მწუხედ განიცდიდა გეგეჭკორი ქართველი
მარქსისტების ამ სუსტ მზარეს. ის ერთ-ერთ
თავის ბარათში იტას სწერდა: „მე ახლა მივხე-
დი, რომ საქართველოს პირობებში ყველაზე
მწვევი კითხვა ეროვნული კითხვაა. სამწუხა-
როდ, ამ კითხვას ზურგი შეაქციეს ქართველმა
ვიმარქსისტებმა. ეს დიდად სამწუხაროა, ყვე-
ლაზე დიდი შეცდომაა მათს მოღვაწეობაში.
ეხლა აქ, ციმბირში გადმოსახლებულ მუშებ-
თან, იოსებ ჭულაშვილთან და იროდიონ ევლო-
შვილთან საუბარში ჩემთვის საბოლოოდ ნათე-
ლი გახდა, ეროვნულ საკითხში ჩვენმა შეცდო-
მებმა თუ რა დიდი ზიანი მოუტანა საქართვე-
ლოს სოციალ-დემოკრატას. კაცმა რომ თქვას,
რა დაუპირისპირეთ ჩვენ ილიას და აკაკის ნა-
თელ ეროვნულ კონცეფციას! — „ჩემი ხატია
სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“? არაფერი,
გარდა ტრაჯარეტული, შაბლონური სიტყვები-
სა და ერის ამ დიდებული მეთაურების წინააღ-
მდეგ უსინდისო ცილისწამებისა.“

ასე დაძაბული იყო პოლიტიკური, საზოგადო-
ებრივი ატმოსფერო რეაქციის მომდევნო წლებ-
ში, როდესაც სოციალ-დემოკრატიული მუშათა
პარტიის მოწინავე რაზმი ახალი შეტევისათვის
ამზადებდა რეაქციის ბნელი ძალებისაგან შევი-
წროებულ და დევნილ საზოგადოებრივ აზრს...

დასასრული იქნება





ზვირვის კოლერაინი

1770 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა გერმანიისათვის: ჰეგელი, ბეთჰოვენი და ჰოლდერლინი დაიბადნენ ამ წელს. თუ ჰეგელმა და ბეთჰოვენმა სიცოცხლეშივე მიითვალეს თავიანთი წილი დიდება, ჰოლდერლინის მისმა დრომ სრული ღუმილით ჩაუარა და მისი მკვლრებით აღდგომა ჩვენი საუკუნის დამდევს დაემთხვა. აქ კი ჰოლდერლინით აღტაცება-დაინტერესებამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მი-აღწია; მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ ამ დროის უდიდესი გერმანელი პოეტე-ბი: შტუფან გეორგე და რაინერ მარია რილე, გეორგ თრაქლი, გეორგ ჰაიმი, ერნსტ შტალდერი და სხვანი.

ჰოლდერლინის ამადლებულ-პათეტიკური, მონუმენტური ლირიკა ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთს ქმნის მსოფლიო პოეზიაში. კოსმიური წარმოსახვა და ხილვები, ეპოთერული სიღრმე, წინასწარმეტყველური კონსტატაციები, რთული პოეტური სინტაქსი და სიმბოლიკა და მრავალი სხვა ნიშანი განსაზღვრავს ამ პოეზიის რთულ სპეციფიკას. მარადიული საკითხები: ღმერთი და კაცი, სიკვდილი და ბედისწერა, პოეზია და რელიგია, ბუნება და პოეტი, სხვა სიმბათრით დგე-ბა მის შემოქმედებაში და ახლებურად, ღრმავზროვნად წყდება.

უმთავრესი პრობლემა კი ჰოლდერლინისთვის პოეზიის არსისა და პოეტის მისიის დადგენაა, რაც ამ კითხვაში ფორმულირდება: «Wozu Dichter in dürf-üger Zeit?» — „რისთვის არიან პოეტები დამშვრალ დროში?“ ამ მავისტრალური კითხვის ვარშემო ტრიალებს და იკვრება ჰოლდერლინის მთელი ლირიკა და ერთდროულად წარმოადგენს კითხვასაც და პასუხსაც მასზე (ერთ-ერთმა ინტერპრეტატორმა მას „პოეტის პოეტიკ“ კი უწოდა, ისევე როგორც ზოგს ბუნების, ზოგს სიყვარულის, ზოგს კიდევ საგანთა პოეტს უწოდებენ).

ჰოლდერლინის ვრცელი ელვგეები და ჰიმნები გერმანული და მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ მწვერვალად არის მიჩნეული. იოჰანეს ბეჰერი ასე ახასიათებს ამ ლექსებს: „...სრულყოფილი ენობრივი ქმნილებანი. გერმანული ენის საოც-რება... ისე ჭადონსურად აგებული, თითქოს კაცმა კი არა, თავად ენამ შექმნა, ენის კრისტალები, სიტყვათა ელვარება, ისეთი ნათება, რომელიც შიგ გულამდე ამჟვირვალებს ენის მშვენიერებას... დღემდე ამის მსგავსი არაფერი შექმნილა გერმანულ ენაზე“.

პ . შ რ ი ღ ა ლ ვ ი ნ ი

ვილჰემ მაინსეს

1

ირგვლივ რინდდება დიდი ქალაქი: გაშუქებული ქუჩა ყურდება,
და ჩირადღნებით დამშვენებული, ბინდში მიპქირიან შორს კარტებო.
კაცნი, ადსიღნი დღის სიხარულით, შინ ბრუნდებიან განსასვენებლად.
და მონაგარსა და ზარალს სწონის სახლში გონება საზრისიანი;
აღარ ამშვენებს მწიფე მტევანთა და არც ყვავილთა ფერადი რიგი,

და აღარც კაცის ნამუშააკარი: დუმილი ავსებს ცარიელ ბაზარს.
მაგრამ შორეულ ბაღნარებიდან აღწევს ჰანგები. ვინ იცის, ეგებ
ვინმე მიჯნური ესება სიმებს, ანდა ეგების ეული კაცი
იგონებს უკვე გარდასულ ყრმობას და თვის მეგობართ შორს მიმოფანტულთ
და მიშრიალებს წყართ ანკარა იქ სურნელოვან გვალზე უწყვეტად.
ნელა გაისმის მწუხრის ჰაერში ჩამორეცილი ზარების ხმები.
და უერთდება გუშაგის ძახილს, რომელიც ღამის საათებს ითვლის.
უკვე ქარიც ჰქრის, მიმწუხრის ქარი და აშრიალებს ჭალაში ხეებს,
შესვ! და მთვარეც, შორს მოკიაფე აჩრდილი ჩვენი დედამიწისა
რა საიდუმლოდ აღმოსდა ზეცას: ჩუმად შემოდის ღამე გრძნეული
ცის ვარსკვლავებით დამძიმებული და კაცთა გამო ნაკლებმწუხარე,
და ბრწყინავს იგი გასაკვირველი, მეოცნებე და შეუცნობელი,
მთათა წვერებზე გადაფენილი, ღიდებული და მწუხარე შუქით.

2

საოცარია ციურთა მადლი და არვინ უწყის, როდის და რომელ
იდუმალ ნებით განჩინებული, და რა ეწვევა იმისგან კაცსა.
ამგვარად არხევს იგი სამყაროს და იმედიან სულებს მოკვდავთა,
და რას გვიმზადებს დაფარულია თვით ყოვლისმცოდნე დიად ბრძენთათვის,
რამეთუ აგრე უნებებია თავად უმაღლეს ღმერთს, მას, რომელსაც
უყვარხარ ფრიად და ამიტომაც შენც ამჯობინებ სიცხადეს დღისას.
მაგრამ ზოგჯერ ხომ თვით ნათელ თვალსაც მოწანატრება ჩრდილი და ბინდი
და მიაშურებს ძილს სიხარულით, განა გარდუვალ ჭირისა გამო.
ან ღამეს კაციც ერთეული დღისა, ხომ აპყრობს ხოლმე სურვილით მწერას.
ღიას, წესია, მისთვის გვირგვინთა და სახობტოთა გალობათ მიძღვნა,
რამეთუ მკვდართა და ბილიკშემოილ მაძიებულთა უჩნს კურთხეულად.
ხოლო ნამდვილი მისი საუფლო მარად სულია თავისუფალი.
მაგრამ მან უნდა ჩვენც მოგვანიჭოს დავიწყება და თავბრუ ღვთიური,
რათა ტაატი თაქვემომავალ და გაუვალი წყვდიადის ჟამში
რაიმე ვპოვოთ ხელჩასაჭიდი: საყრდენი სანდო და წარუვალი.
უნდა მოგვავოს სიტყვა მდინარი, მიჯნურთა დარად მუდამ ფხიზელი,
ზრახვამაღალი სიცოცხლე მტკიცე და ავსებული თასები თრობის,
აგრეთვე წმიდა მებსიერება, რათა შევიძლოთ სიფხიზლე ღამით.

3

და სულ ტყუილად ვიმაღავთ მკერდში ღვლვას გულისას და სულ ამაოდ
ვიყურებთ ისევე მძლე შემართებას, ჩვენ, მოძღვარნი და ყრმანი, რამეთუ
ვინ შეიძლება ჩვენს დაოკებას და სიხარულთა ჩვენთვის აღკვეთას?
და ღვთაებრივი ცეცხლიც ბობოქრობს დაუშრეტელად დღისით თუ ღამით,
რომ გადმოხეთქოს. მაშ რაღას ვუცდით? მოწყვე და ვჭვრიტოთ
გაცხადებული,
და საკუთარი ვძებნოთ და ვპოვოთ ნიშატი, რა გინდ შორსაც არ იყოს.
ურყვევი არის ერთი; თუ გინდა იყოს შუადღეს და გრძელდებოდეს
შუალამემდე, მუდამ არსებობს ზომა ღვთიური და შეუვალი
ყველასთვის ერთი და ყოველისთვის მისთვის საკუთრად განჩინებული.
და თვითეული იმ ბილიკს ირჩევს და მას მიჰყვება, რომელიც ძალუძს.
და ამაღლდება მჭირდავთა გესლზე ღხენით გონშეშლა აღტკინებული,

იღუმალსა და ლეთაებრივ ღამით მყესეულად რომ იპყრობს მგალობელსო,
მაშ გავეშუროთ ისთმოსისაკენ, იქ სადაც პარნასს ზღვა ესალტება
და თოვლის ბრწყინვა თვალის მომჭრელი რომ ავარაყებს დელფიურ
კლდეებს.

ოლიმპოს მხარეს, იქ, კითერთნის თვალშეუწყდენელ სიმაღლეებზე
ფიჭვებისა და უხემტყვენებიან ვაზის ბარდებში, იქ, საიდანაც
შრიალებს თებე და ისმენოსი მიედინება კადმოსისაკენ.
იქედან მოდის და მომავალი ისევ უკანვე გვანიშნებს ღმერთი.

4

ო, საბერძნეთო სვეკურთხეულო! შენ სამყოფელო ყველა ციერთა,
მაშ მართალია, რაც გულის თრთოლვით ოდესღაც ტაბუკთ გაგვიგონია?
ო, საზეიმო დიდო დარბაზო! ზღვა ხალიჩად გაქვს, ტაბლებად მთები,
დიახ, ლეთაებრივ მსახურებისთვის, ღმერთთაგან ქმნილი, ჟამის წიალში.
მაგრამ სადღაა სატრაპეზონი? ან ტაძარნი და წმიდა ჭურჭელნი?
და ნექტარივით დამათრობელი, მამებელი ღმერთთა გალობა?
სად, სად ელავენ, სად სხივოსნობენ შორს გამიზნული ძველი სიტყვები?
დელფოსი თელემს და სადღა ისმენენ გუგუნს დიადი ბედისწყრისა?
სად არის იგი, ის უსწრაფესი? და სად გადმოჰხეთქს მარადთანამდებ
ბედნიერებით აღსავსე გრგვინვით, ლალ ჰაერიდან წარმოსაჩენად?
მამავ ეთერო! აგრე უხმობდნენ და სიტყვა წმინდა მყისვე ერთიდან
მეორისაკენ გადიქროლებდა. ვერავინ ზიდა სიცოცხლე მარტომ.
რამეთუ მაღლი იგი გვახარებს, ოდეს სხვას ვუყოფთ და სხვას გაუუცვლით,
აგრე იქცევა იგი ზეიმად; ძალა სიტყვისა იზრდება ძილში.
მამავ! და წყდება და კვლავ გრძელდება ძველი ნიშანი, წინაპართაგან
გადმოცემული, სიტყვა შემპყრობი, შემოქმედი და შემხვედრი ჩვენდა.
რამეთუ ვგრე გვიბრუნდებიან ძალნი ციურნი სიღრმეთა რყევით
და დღე იმათი ღრმა ჩრდილებიდან ამომხვევდება კაცთა მოღვამაში.

5

ვერ შეიცნობენ ჯერ იმათ მოსვლას, მხოლოდ ბუფვები მიისწრაფვიან
შესაგებებლად; ბედნიერება დამაბრმავებელ სინათლით მოდის.
და კრთება კაცი, ჯერ როდი უწყის ნახვერადღმერთმა, თუ რა სახელო
უწოდოს იმათ, ვინც მიეახლა ხელგებაღვსილი მრავალი მაღლით.
მაგრამ სიმხნევეს მას ანიჭებენ თავად მოსულნი და იმათეულ
სიხარულთაგან სავესმ არ უწყის, როგორ მოეპყრას მაღლს უჩვეულოს,
ქმნის და კვლავ აბნევს და გულუბრყვილოს ღამის წმიდად უნს თვით
უწმიდური.

რასაც ეხება ის განურჩევლად და უგუნურად კურთხევას ღამობს.
რაც შეუძლიათ ითმენენ ღმერთნი, მაგრამ მერე კი ტეშმარტების
სახით მოდიან და უჩვეულო ბედნიერებას ეჩვევა კაცი:
დღის ნათლით ხილვას გაცხადებულის. ნათელმოსილი სახე იმათი,
ვისაც უწოდეს უსსოვარ დღიდან, ფარული აზრით, ერთი და ყველა,
დიდი ხნის მდუმარ გულების სიღრმეს ავსებს სიამით თავისუფალით,
და მხოლოდ იგი, იგი პირველად, ყველა ლტოლვას და ნატვრას
ასრულებს.

ასეა კაცი: ვიდრე თან ახლავს ბედნიერება და თავად ღმერთი

თავს დასტრიალებს ზრუნვით და სწყალობს, ვერც გრძნობს, ვერც ხედავს, მანამდე უნდა გადაიტანოს. მაგრამ ახლა სურს მას სახელდება უძვირფასესი, ამისათვის კი ყვაილებივით ამოიშალნონ სიტყვები უნდა.



6

და ფიქრობს ახლა კურთხეულ ღმერთთა განდიდებას და მადლის მიგებას, დიდის სიმართლით უნდა გამოსცეს ყოველმა ქმნილმა ხოტბა იმათი. ნება არა აქვს ჭვრიტოს ნათელი, არ იწონებენ რასაც მალაღნი, და ეთურის წინ არ აქვს ადგილი საცადაელს მცირეს და ფიქრზერელეს. და რომ ციურთა თანამყოფობის, პირისპირ დგომის ღირსნი შეიქნენ, ხალხნი დგებიან მშვენიერ მწყობრში აურაცხელ და უგრძეს რიგებად და აშენებენ უმყარეს ტაძრებს და კეთილშობილ დიად ქალაქებს, მდინარეების გაყოლებაზე დიდებულად და ამაყად გაშლილთ. მაგრამ სად გაჭრნენ? სადლა ჰყვავიან ნაცნობ ზეიმთა ყვავილწნულეები? თებე ჩამქრალა და ათენიც სდუმს და იარალიც აღარ ჟღარუნებს. არც ოლიმპოში აღარ დაჭკრიან ოქროდ ნაფერი სწრაფი ეტლები. და ნუთუ აღარც კორინთოს დიად ხომალდებს რთავენ ზეიმებისთვის? ო, სხივჩამქრალი, ყრუ თეატრები, უწინ აღესილი ღვთაებრივ ხმებით! სადლაა როკვა ზღვარგადასული, აალებული და იღუმალი? და რატომ აღარ აღბეჭდავს ღმერთი წინანდებურად შუბლს რჩეულისას? აღარ დააჩნევს თავის შერისხულს წინანდებურად ბეჭედს ძალუმად? ან ეგებ თავად ეწვია ზეიმს, გამოგვეცხადა მოკვდავის სახით. და ნუგვეცემით დაავიჯინა და დაასრულა დღესასწაული.

7

მაგრამ ძვირფასო, ჩვენ მეტისმეტად გვიან მოვდივართ, თუმცა ცოცხლობენ ისევ ღმერთები, მაგრამ ჩვენს ზემოთ, მიუწვდომელ და უცხო მხარეში. იქ უსასრულოდ იღწვიან ისევ და თითქოს ნაკლებ აწუხებთ ფიქრი ჩვენს სიცოცხლეზე. ვგზომ გვზოგავენ მალაღნი არსნი მოკვდავთ, რამეთუ ყოველთვის როდი გაუძლებს იმათ ციურ სიმძიმეს მყიფე ჭურჭელი — მოკვდავი მხოლოდ ზოგჯერ თუ იტყვს, ზოგჯერ თუ იტანს ღვთიურ

სავსებას.

ახლა სიცოცხლე არის სიზმარი მათზე, თუმცა კი კაცს ეხმარება შეცდომა, როგორც ძილი და ღამე და გასაჭირიც ხომ განამტკიცებს, ვიდრე გმირები დაისრულებენ ზრდას საკმარისად რკინის აკვნებში და გულის ძალით და შემართებით კვლავაც ზენაართ დაედრებიან. გრგვინვით და ჭექით მოვლენ ისინი. მაგრამ მანამდე მგონი სჯობია ძილს მივცე თავი. ვიდრე ამგვარად უტოლმეგობროდ შთენილი ვიყო და კვლავ ვიცადო თვალგაშტერებით და აღარ ვიცი, თუ რა გაუწყობ და რა ვაკეთო. რისთვის არიან ანკი პოეტნი დამაშვრალ ღროში? მაგრამ, ისინი, მეტყვი, არიან ვით ღვინის ღმერთის წმიდა ქურუმნი, ქვეყნიდან ქვეყნად რომ გადადიან და თან გალობენ იღუმალ ღამით.

8

რამეთუ ადრე, და კაცთ ჰგონიათ, ეს იყო ძალზე დიდი ხნის წინათ, ზემალდა და გაგვშორდა ყველა, ვინც კი ცხოვრებას აღავსებს ღმერთით.



როდესაც მამამ პირი იბრუნა კაცთა მოდგმისგან და მიატოვა,
 და ცოდვილ მიწას სამართლიანად სვედა-წუხილის დაეცა ჩრდილი,
 და რის გამოჩნდა ბოლოს გენია, მშვიდი და სათნო, ქვეყნის ნუგეშად,
 რომელმაც გვამცნო ჩვენ აღსასრული და დავგიტოვა ნიშნად იმისა,
 რომ აქ იყო და კვლავ მოვიდოდა, ციურმა გუნდმა მადლი მიწაზე.
 რათა ვიხაროთ ღვთიურ წყალობით, როგორც ძალუქს ეს კაცურ ბუნებას.
 რამეთუ გონის ხარებისათვის მადლი მაღალი კაცს აღემატა.
 და შემძლებელნი ამ უზენაეს ზვიმებისა ჯერ არ არიან.
 თუმცა მადლისთვის მაინც არსებობს მოკვდავთა ჩუმი მადლიერება.
 და პური არის ნაყოფი მიწის, თუმცა ნაკურთხი ზენა ნათელით,
 ხოლო ხარება ღვინის უღვევი, სიკვთე არის ქუხილის ღმერთის.
 მიტომ ვატარებთ მათი წყალობით ღმერთების ხსოვნას, ოდესღაც ჩვენთან
 ერთად რომ იყვნენ და თავის დროზე, ჭეშმარიტ დროში დაბრუნდებიან.
 და დიდი აზრით კვლავ უგალობენ აქ მგალობელნი ღვინის ღმერთს მიტომ
 და ხოტბა იგი ხანიერს როდი ესმის ფუჭად და ლიტონ ჰანგებად.

დიახ, ისინი მართალს ამბობენ, რომ დღეს არიგებს იგი ღამესთან
 და ციურ სხეულთ წინ მიუძღვება დაუსაბამო მიმოქცევაში.
 მიწვივ ცხოველი, ისე ვით წიწვი ხასხასა ფიჭვის, ძლიერ რომ უყვარს,
 ანდა ვით ლორთქო, ხვეული სურო, გვირგვინისათვის რომ აირჩია.
 რადგან ის რჩება ჩვენთან მარადის და კვალს უნათებს გაფრენილ ღმერთთა
 ღმერთდაკარგულებს და გზაარეულთ უკუნეთიდან გამოსასვლელად.
 უსსოვარ დროის საგალობელი ღვთის შეილებზე რომ იუწყებოდა,
 ისილუ, ჩვენ ვართ, ჩვენ ვართ ისინი, უსვი ნაყოფი ჰესპერიისა.
 სასწაულებრივ სიზუსტით ახდა ჩვენზე ყოველი ნაწინათგრძნობი.
 ვრწმუნე იმას, ვინც გამოსცადა, მაგრამ რამდენი რამე ხდება და
 მაინც არაფერს მოაქვს შედეგი. ჩრდილნი ვიქნებით გულდამრეტილნი,
 ვიდრე ყოველი და ყველა ერთად შეიცნობს ეთერს და დაიბრუნებს.
 მაგრამ ანთებულ ჩირაღდნით მოდის ამასობაში უმაღლეს ღმერთის
 ძე, სირიელი, და ხშირ ჩრდილებში მანათობელი ცეცხლი შემოაქვს,
 და საჩინოა ნეტარ ბრძენთათვის; რომ გაღივება შებოჭილ სულის
 იღვრება სუქად და სხივი მწველი შორით თვალებს სჭრის ჯერ შეუჩვეველთ.
 ტკბილად ოცნებობს და ეძინება დედამიწის მძლავრ მკლავებში ტიტასს
 ნუდამ აღსავსე შურით და ღვარძლით, თავად ცერბერიც სვამს და იძინებს.

ბერძნულიდან თარგმან ნაირა ჰელაზვილიშა

- ვადჰელმ პაინზე (1746-1808) — „მეტრძმ უნდ „ღრანგის“ პერიოდის გერმანელი მწერალი, ჰოლდერლინის მეგობარი, რომლის მთავარმა ნაწარმოებმა „არდინველო და ნეტარი კუნძულები“ გავლენა იქონია ჰოლდერლინის რომანზე „პიერიონი ანუ განდევნილი საბერძნეთში“.
- ისტოსოსი — კორინთოს ყელი, რომელიც შუა საბერძნეთს პელოპონესთან აერთებს
- კითურონი — მთიანეთი შუა საბერძნეთში
- ჰესპერია (ბერძნ.) — მწუხრი, ჰესპერა — მწუხრი, დასავლეთი.



საქართველო ერთი მკვლე ქაქვირის ქვეყნი

ნიკანე ქობალიძე

ლენინური პროზული პოლიტიკის ტრიუმფი

ეროვნული ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე რთული სახეა. ისტორიამ იცის არაერთი მრავალეროვნანი სახელმწიფო, მაგრამ ამ სახელმწიფოებში არასოდეს არ ყოფილა ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობა. კაცობრიობას პირველად ეროვნული საკითხის თანმიმდევრული გადაწყვეტის ნიმუში უჩვენა სსრ კავშირმა, რომლის შექმნის 50 წლისთავს ზეიმით აღნიშნავს გამარჯვებული საბჭოთა ხალხი.

ეროვნული პროგრამის მეცნიერული პრინციპები პირველად დაამუშავეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. ეროვნული საკითხი მარქსიზმის ფუნდამენტურმა დაუკავშირეს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, მშრომელთა სოციალური გათავისუფლების საკითხს, ეროვნული ჩაგვრა — სოციალურ ჩაგვრას. რომ მოისპოს ერთი ადამიანისაგან მეორის ექსპლოატაცია, აუცილებელია მოისპოს ერთი ერისაგან მეორე ერის ექსპლოატაცია — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამ მითითებებს დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეები შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა. მან შექმნა მწყობრივ მოძღვრება ეროვნულ საკითხში, შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა, რომელიც განახორციელა საბჭოთა ხალხმა. ჩვენს ქვეყნის გამოკიდლება ტაქტიკის ნიმუში გახდა ყველასათვის.

ვ. ი. ლენინმა განავითარა ცნობილი მარქსისტული დებულება კაპიტალიზმის დროს ორი ტენდენციის შესახებ ეროვნულ საკითხში. პირველი ტენდენციის გამოვლენება ეროვნული მოძრაობის გამოვლინება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა, მეორე კი — ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა და საყოველთაო ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

იმპერიალიზმისათვის ეს ორი ტენდენცია წარმოადგენს შეუერივებელ წინააღმდეგობას, რადგან მტრულ კლასებელ დაყოფილ საზოგადოებაში ამ ტენდენციების განვითარება არ შეესაბამება თავის შინაგან ისტორიულ აზრს.

კაპიტალიზმის განვითარება ააშკარაებს ეროვნული კარნაკტილობის დაძლევისა და ერთიანი ყოვლისმომცველი ინტერნაციონალური სამეურნეო ბაზის შექმნის ტენდენციას. მაგრამ კაპიტალის ბატონობის პირობებში შეუძლებელია ასეთი ერთიანობის შექმნა. ამიტომ აღნიშნული ტენდენცია ამკლანებს მხოლოდ მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის შექმნის მატერიალურ წინამძღვრებს.

იმპერიალიზმი ერებს აახლოებს ანექსიისა და კოლონიების დაპყრობის გზით, ზოგი ხალხის მიერ სხვათა დამორჩილების წესით. ამასთან, გაერთიანების ამ ტენდენციის საპირისპიროდ იზრდება სხვა ტენდენცია, რომელიც გამოხატავს ჩაგრული მასების აღშფოთებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ქვედაფენების ეს მოძრაობა მოითხოვს ხალხთა გაერთიანებას თანამშრომლობისა და ნებაყოფლობითი კავშირების საფუძველზე; ასე მწიფდება მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის შექმნის სულიერი წინამძღვრები.

ბურჟუაზიას არ შეუძლია დაძლიოს ხალხთა სამეურნეო გაერთიანების ობიექტურ პროცესსა და ამ გაერთიანების იმპერიალისტურ წესებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

კერძო საკუთრება თიშავს ადამიანებს, ხელს უწყობს ეროვნული შუღლის გაღვივებას, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებას. საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებას.

დებრივი საკუთრება, პირიქით, აახლოებს მათ, ძირს უთხრის ეროვნულ ჩაგვრასა და შედღს. კაპიტალიზმი ისევე წარმოდგენილია ეროვნული ჩაგვრის გარეშე, როგორც სოციალიზმი ეროვნულ თავისუფლების გარეშე. ეროვნული ჩაგვრა კლასობრივი ჩაგვრის გამოხატულება და გავრცელება. ამიტომ ერებს შორის ანტიგონიზმის დასაძლევად საჭიროა კლასობრივი ანტიგონიზმის დაძლევა.

ამრიგად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ეროვნულ ჩაგვრის ლეგიტიმაციის მთავარი პოლიტიკური პირობაა, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება კი მისი ძირითადი ეკონომიური საფუძვლია. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის სრულად, საბოლოო გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სოციალიზმისა და კომუნისმის აშენების შედეგად.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მარქსისტული გაშლილი პროგრამა ეროვნულ საკითხში. ამ პროგრამის ძირითადი პრინციპული მოთხოვნებია: ერთა თვითგამორკვევა თვითგამოყოფამდე და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. სსრ კავშირი შეიქმნა ამ პრინციპების განხორციელების ბაზაზე.

მტრულ კლასებამ დაყოფილ საზოგადოებაში ეროვნული საკითხის ერთადერთი „გადაწყვეტა“ — ესაა თანმიმდევრული დემოკრატიზმი. ვ. ი. ლენინი წერდა: „მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არაკეთარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ვ. ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი დემოკრატიული გზით“¹. თვითგამორკვევის უფლება არის არა უტოპია, „მარსზე 10 000 დესეტინის უფასოდ მიღების უფლება“, როგორც ამას ამტკიცებდნენ ბუხარინ-ლიბკაჩოვის ტიპის ოპორტუნისტები. იგი მშრომელთა სრულ სოციალურ განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ რეალური პირობაა.

იმპერიალიზმის დროს პოლიტიკური დემოკრატიის ყველა მოთხოვნა, მათ შორის თვითგამორკვევის მოთხოვნა, შეიძლება „განხორციელდეს“ მხოლოდ არა სრულად, დამახინჯებულად, იშვიათი გამოწკისის სახით. მაგრამ მუშათა კლასმა მაინც თანმიმდევრულად უნდა იბრძოდეს ამ მოთხოვნებისათვის. სხვაგვარად შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის მოშაღდება და გატარება.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპია არა დაყოფა, არამედ შეერთება, არა უთუოდ გამოყოფა, არამედ რევოლუციურ-პროლეტარული ერთობა. მაგრამ შეერთებისათვის ბრძოლა საჭირო,

ბრძოლის პროცესში კი ზოგჯერ მცდელობა იქნება თავისუფალი გამოყოფის ეროვნულ-ლენინიზმი მოითხოვს გამოყოფის უფლებების უზრუნველყოფას სწორედ იმტომ, რომ ის იბრძვის ნებაყოფლობითი შეერთებისათვის. „შეერთების თვისუფლება გულისხმობს გამოყოფის თავისუფლებას“ (ლენინი). ნებაყოფლობითი შეერთება მომხარე, უპირველეს ყოვლისა, აღიარებს გამოყოფის თვისუფლებას. ცხოვრების ეს უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი მხარე ვ. ი. ლენინმა გამოხატა დიალექტიკური ფორმულბთ: „გამოყოფა — გაერთიანებისათვის“².

ერთა თვითგამორკვევის საკითხს აქვს კლასობრივი შინაარსი. ვ. ი. ლენინმა ამ თვალსაზრისით განსაზღვრა თვითგამორკვევის უფლების არსი. მხავეწელი ერის პროლეტარიატმა უნდა იბრძოდეს გამოყოფისათვის, ჩაგრული ერის პროლეტარიატმა კი — შეერთებისათვის. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა და ერთა დაახლოება. „თუ ჩვენ ვვინდა სოციალიზმის ერთგულნი ვიყვნეთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — უკვე ახლა უნდა ვაწარმოოთ მასების ინტერნაციონალური აღზრდა, რაც მხავეწელ ერებში შეუძლებელია ისე, თუ არ ვიჭადავებთ გამოყოფის თვისუფლებას ჩაგრული ერებისათვის“³.

ბურჟუაზიის იდეოლოგები და ოპორტუნისტები ეროვნულ ინტერესებს უპირისპირებენ კლასობრივ, ინტერნაციონალურს — ეროვნულს, ინტერნაციონალიზმს — პატრიოტიზმს. მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, პირიქით, კლასობრივი პრინციპის სწორუპოვარი დაცემა ეროვნული ინტერესების დაცემაა. ნამდვილი ინტერნაციონალური იდეები ამავე დროს ეროვნული იდეებია. ნაციონალიზმი უპირისპირდება პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმი კი ხელს უწყობს პატრიოტული გრძნობების სწორ განვითარებას. ნამდვილი პატრიოტიზმისათვის უცხოა ეროვნული შეზღუდულობა. ნამდვილი ინტერნაციონალიზმს იმავე დროს პატრიოტიკა და პირიქით. ეროვნულისა და ინტერნაციონალურის სწორი შეხამება ეროვნული პრობლემების თანმიმდევრული გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისაღმე შეურიგებელი მტრული ლოზუნგი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელნიც შეესაბამებოდა მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტოქ: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“³.

მარქსისტულ-ლენინური პარტიების დადებითი და მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს არა

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 419.

2. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 450.

3. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 13.



ხალხებისა და ერების, არამედ თვითიული ერის პროლეტარიატის თვითგამორკვევას. უამისოდ შეუძლებელია ერთიან ზრტონის შექმნა კაპიტალის წინააღმდეგ. უკულტურულ-ნაციონალური ავტონომია აერთიანებს ერთი ერის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას და თითქმის სხვადასხვა ეროვნების პროლეტარიატს. თვითგამორკვევა პირიქით, თვითიული ეროვნების პროლეტარიატის გამოყოფის პოლიტიკური უზღუდის აღიარებით ხელს უწყობს ყველა ეროვნების პროლეტარიატის გაერთიანებას, შეკავშირებას, ამრიგად, არ შეიძლება თვითგამორკვევის საკითხის აღრევა ეკონომიური დამოუკიდებლობის საკითხში. თვითგამორკვევის უზღუდა არის მწავრელი ერისაგან პოლიტიკური გამოყოფის უფლება და ამ აზრით დემოკრატიის უმაღლესი გამოხატულება.

მარქსიზმ-ლენინიზმი როდი უჭერს მხარს ყოველგვარ მოძრაობას. თვითგამორკვევა აბსოლუტი არ არის. ყველაფერი დამოკიდებულია ადგილსა, დროსა და პირობებზე. თავდაპირველად კ. მარქსი და ფ. ენგელსი მხარს უჭერდნენ პოლიტიკური გამოყოფის რუსეთისაგან. ამით სუსტდებოდა აბსოლუტიზმი. მაგრამ XIX საუკუნის მიწურულში, როდესაც რევოლუციის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა, გამოყოფის მოთხოვნა უკვე არ იყო სწორი. ამჟერად მთავარი იყო რუსეთისა და პოლიტიკური მუშათა კლასის მოქმედების გაერთიანება ცარიზმის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების აღების შემდეგ ერთდ უფრო მტკიცედ მოითხოვს არ აერთოთ ერთმანეთში ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხი და ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს უკანასკნელი უნდა გადაწყდეს ყოველ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით. სოციალიზმის ინტერესები ყოველთვის მალა დგას ერთა თვითგამორკვევის ინტერესებზე.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პრაქტიკულად პირველად განხორციელა საბჭოთა ხალხმა. ლენინი რუსეთს ხალხთა საყრდობილეს უწოდებდა. არა რუსი მოსახლეობის 57 პროცენტო აქ ცარიზმისა და ბურჟუაზიისაგან ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა. დიდმა ოქტომბერმა ძალაუფლება გადასცა მუშათა კლასს და ერთის დაკერით დამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები. ოქტომბრის რევოლუცია იყო ლენინური ეროვნული პროგრამის განხორციელების, საბჭოთა რესპუბლიკების წარმოშობის მთავარი პოლიტიკური პირობა.

ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის აღიარებამ ძირითად შეცვალა ურთიერთობა ხალხთა შორის. ამით რუსმა პროლეტარიატმა მოი-

პოვა სხვა ტომელ თანამომხეთა ნდობა ან მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში ნდობის ამ ბაზაზე შეიქმნა ხალხთა ენთუზიაზმი საერთო საქმისათვის საბრძოლველად.

ჩვენმა პარტიამ თავის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში საფუძვლად დაედო ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. პარტია ხელმძღვანელობდა ლენინიზმის პრინციპებით — ერთმანა და ეროვნების შიშით იძულების ყოველგვარი ფორმების უარყოფა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის აღიარება. ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი — ისეთი კავშირი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომარეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, მშური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, საყრდობით ნებაყოფლობით თანხმობაზე“4.

თვითგამორკვევის მოთხოვნის შესაბამისად 1918-1920 წლებში მიმდინარეობდა მუშათა რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფისათვის ეროვნული ნიშნის მიხედვით. შეიქმნა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. ეროვნული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველი მაგალითი აიგნა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელიც ვადა სსრ კავშირის თავისებური ნიშნული. ამ კურსის გატარებით პარტიამ უზრუნველყო არარტს ხალხთა მშრომელი მასების დაახლოება რუსეთის პროლეტარიატთან. მაგრამ ცხოვრება, წინსვლის ამოცანები მკაცრი აუცილებლობით აყენებდა ნებაყოფლობის ბაზაზე გამოყოფილი რესპუბლიკების ასევე ნებაყოფლობით გაერთიანებას. მრავალეროვნული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა ნაყარანსებო იყო ისტორიულ განვითარების ობიექტური მსვლელობით.

ოქტომბრის რევოლუცია განხორციელდა მთელი რუსეთის მშრომელ ხალხთა ძალეობით. მათ ჰქონდათ ერთი მიზანი — სოციალიზმი. ისინი ხელმძღვანელობდნენ ერთიანი მსოფლმხედველობით — მარქსიზმ-ლენინიზმით. სოციალური განვითარების საერთო პროცესს მეათურბობდა ერთი პარტია — კომუნისტური პარტია. ამ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით უნდა დაწყებული საბჭოთა კავშირის მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შექმნილი იქნა ერთა თანამშრომლობის მთავარი გამოცდილება. სამოქალაქო ომის პერიოდში შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. 1919 წლის მაისში

4 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 19, გვ. 348.

ივანე თოხაძის
ლინინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი

გამოქვეყნდა დირექტივა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ერთიანობის შესახებ, იენის-ში კი ვაფორმდა მათი სამხედრო თავდაცვითი კავშირი. ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ფედერაციას.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო ხათელი გახდა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. ქვეყნის თავდაცვის ინტერესები, საერთო გვერით რევოლუციურული სოციალისტური მეურნეობის შექმნის, შრომის რაციონალური საზოგადოებრივი დანაწილების უზრუნველყოფის ამოცანები გვიკარნახებდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანებას. ვ. ი. ლენინმა შემდეგვეა საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრინციპები, უარყო რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ მოთხოვნა და წამოაყენა სსრ კავშირის შექმნის იდეა თანასწორუფლებიან დამოკიდებულ საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე შეიქმნა სსრ კავშირი. ეს იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის დამაყრებელი გამარჯვება.

სსრ კავშირის შექმნით პარტიამ მონახა ნებაყოფლობის საწყისზე მრავალრიგობანი სახელმწიფოს მოწყობის გასაღები, ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, მაგრამ მისი სრული და საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭირო იყო მასების შემოქმედებითი მუშაობის გაშლა და მთელი რიგი ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დაძლეულიყო ორი გადახრა ეროვნულ საკითხში: დიდშვირობელური შოვინიზმი და ადგილობრივი ნაციონალიზმი. პირველი გადახრა ანგარიშს არ უწყევდა ეროვნულ თავისებურებებს. ეს იყო მშლი-კორუსების პრივილეგიური მდგომარეობის ანარქიკი. მეორე გადახრა — იჩენდა ეროვნულ განკერძოებულობას და უნდობლობას ველოკორუსებისადმი. ადგილობრივი ნაციონალიზმს ქმონდა სხვა მხარეც. ზოგან იგი იქცეოდა შოვინიზმად ამ რესპუბლიკის სუსტ ეროვნებათა წინააღმდეგ. შეუძლებელი იყო ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ამ გადახრების დაძლევის გარეშე.

დიდმა ოქტომბერმა თავისუფლება და პოლიტიკური თანასწორობა მოუტანა რუსეთის ყველა ხალხს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ცარიზმისაგან დაზარალებული რუსეთის განაპირა მხარეები ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი იყო. ამიტომ მათ არ შეეძლოთ მთელი სისრულით გამოეყენებინათ ეს უფლებები თანასწორობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მისცა. საჭირო იყო ერთი ფაქტორი უთანასწორობის ლიკვიდაცია. „...ინტერნა-

ციონალიზმი მჩაგვრელი ანუ ეგერეთობის „ლიდი“ ერის... უნდა მდგომარეობდეს პარტი მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვაში, — წერდა ლენინი, — არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა ამ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტურად იქმნება“⁵. ამოცანა მდგომარეობდა იმავე, რომ ყოველმხრივი დანაშარება გაეწეოდა არაველიკორუს ხალხთა შორის მასებს, რათა ისინი დასწოდნენ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, მეურნეობრივადაც და კულტურულადაც.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც განუზრუნავდა იცავდა ლენინის იდეებს ეროვნულ საკითხში, უზრუნველყო საბჭოთა ხალხის ხელახალი აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპზე. დაძლეულ იქნა ორივე გადახრა ეროვნულ საკითხში. შეიქმნა ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ბურჟუაზიული კულტურის ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. კულტურული რევოლუცია ჩვენში დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღონისძიებით. როგორც ცნობილია, ზოგან მრავალრიგობანი მოსახლეობის 90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1970 წლის აღწერის შესაბამისად კი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 99,7 პროცენტი (9 წლიდან 49 წლამდე ასაკის ქალი და კაცი) წერა-კითხვის მცოდნეა. 40-ზე მეტმა ხალხმა საბჭოთა პერიოდში შეიძინა მეცნიერულად დამუშავებული საკუთარი დამწერლობა. სსრ კავშირში 130-დე ეროვნული ენაა. საბჭოთა ლიტერატურა ახლა იწერება 89 ენაზე. რევოლუციამდე იგი 13 ენაზე იბეჭდებოდა. სსრ კავშირის ყველა ერმა და ეროვნებამ რუსული ენა აირჩია ურთიერთობისა და თანამშრომლობის საერთო ენად.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებისა და კულტურული რევოლუციის გატარების შედეგად მოიხსოვრა ისტორიულად ნამეგვიდრები ფაქტორები უთანასწორობა ერებს შორის. ცენტრალურმა რუსეთმა დახმარების ხელი გაუწოდა განაპირა მხარეებს საკუთარი ინდუსტრიის შექმნის, სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის, ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. სოციალისტური ეკონომიკა გახდა ერთიანი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც გამოხატავს მთელი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში არჩეულ წარმატებებს მიადრწია ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. 1970 წელს რსფსრ-მა აწარმოა მე-

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 692.



ტი ელექტროენერგია, ვიდრე 1966 წელს ინგლისში, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და შეეცაი ერთად. უკრაინაში ახლა უფრო მეტ ქვანახშირს იღებენ, ვიდრე საფრანგეთსა, ბელგიასა და იაპონიაში ერთად. ბელორუსია 6 დღეში მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში, სომხეთი 1,5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე 1913 წელს მთელი მეფის რუსეთი. ერთ სულ მისაღებ ელექტროენერგიის წარმოებით აზერბაიჯანმა გაუსწრო იტალიას და იაპონიას. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგვიანებით შემოვიდნენ, ამჟამად ოცჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებენ ბურჟუაზიულ პერიოდთან შედარებით. განსაკუთრებით საკულისხმოა შუა აზიის რესპუბლიკების მაღალი მაჩვენებლები. უზბეკეთს ამჟამად აქვს 1500-დე მსხვილი საწარმო. 1913 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია ყირგიზეთში გაიზარდა 152-ჯერ, ყაზახეთში — 124-ჯერ და ა. შ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ და განვითარებული სოფლის მეურნეობისა და კულტურის ქვეყნად.

1917 წლისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სოფელში ცხოვრობდა. 1913 წელს მრეწველობის წილი სახალხო მეურნეობაში არ აღემატებოდა 10 პროცენტს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა ერთ კვირაში უშვებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენსაც რევოლუციამდელი რუსეთი მთელი წლის განმავლობაში. მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციის მოხმარებით საქართველომ გაუსწრო ინგლისსა და იაპონიას. ქართული სამრეწველო პროდუქცია იგზავნება 100 ქვეყანაში. დიდი ილია თვისი დროზე ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოს საკუთარი 20-30 ინჟინერი ეყოლებოდა. ქართველ ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობა ახლა 70 ათასს აღემატება. ეს დაახლოებით შეიძლება აღემატება 1913 წელს მთელ მსხვილ მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობას. საქართველო იძლევა ჩაის პირვანდელი ვადაშუშავების 95 პროცენტს.

უძველესი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური კულტურის განვითარებაში. სახალხო განათლების დონით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. ყოველ 1000 კაცზე მოდის 58 უმაღლესადამთავრებელი. ამ მხრივ საქართველო ა. შ. უსწრებს 2,5-ჯერ, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას — 3,5-ჯერ, ინგლისს — 4-ჯერ.

ასეთი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების სამეურნეო-პოლიტიკური შედეგები. ძირეული სოციალური გარდაქმნების შედეგად,

რომელიც განხორციელდა გარდაუქველვებლად, ჩამოყალიბდნენ ახალი, სოციალისტური ერები, ხოლო სოციალიზმისა და კომუნისტური მშენებლობის პერიოდში შეიქმნა აღმავლების ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ახალი პერსპექტივები გადაიშალა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

სოციალისტური ერების განვითარებაშიც ვარჩევთ ორ პროგრესულ ტენდენციას, ოდონდ ძირეულად განსხვავებული შინაარსით. კაპიტალიზმის დროს პირველი ტენდენცია გულისხმობდა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ეროვნული ცხოვრების გამოღვივებას, სოციალიზმის დროს კი მოასწავებს თვითეული ერისა და ეროვნების აყვავებასა და გაფურჩქნებას. ახლა „ეროვნული მოძრაობა“ მიმართულია ყოველი ერის შემოქმედებითი ძალების გაფართოებისაკენ. მეორე ტენდენცია ესაა ერების დაახლოებისა და მათი ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცების ტენდენცია. სოციალისტური ერების ინტერესთა ერთობის ევროპიზირის საფუძველია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება; მათი სულიერი ცხოვრება ემყარება ერთიან მსოფლმხედველობას — მარქსიზმ-ლენინიზმს. მათი იდეოლოგიის აუცილებელი ნიშანია სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მოითხოვს ეროვნული და საერთო-სახალხო ინტერესების სწორ თანაფარდობას. ეროვნული ნიშნების უგულვებლყოფაც შეცდომაა და გადაუსებატ. კომუნისტური მშენებლობის პერიოდში უფრო იზრდება ერებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მასშტაბები, რომელთა ორივე ტენდენციის განვითარებას ხელს უწყობს. ვანა ყაზახეთის რესპუბლიკის შექმნა საკუთარ ძალებით ასეთ მოკლე დროში 25,5 მილიონ, ჰექტარი ყაშირი და ნასვენნი მიწების ათვისება? ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმ გვირობის შესახებ, რომელიც ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში გამოიჩინა საბჭოთა ახალგაზრდობამ, მათ შორის ქართველმა ახალგაზრდობამ, კერძოდ, ლენინურმა კომკავშირმა. იგივე უნდა ითქვას უანგარო დახმარებაზე, რომელიც აღმოუჩინეს თანამშემებმა ტაშკენტელებმა დედაქალაქის ადგილგანაშე, ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე ერთად მუშაობდნენ 29 ერის წარმომადგენლები. ენგურპესის მშენებლობაზე მუშაობს 39 ეროვნების წარმომადგენელი და ა. შ.

ერთა დაახლოების ერთ-ერთი ნიშანია რესპუბლიკებისა და ოლქების მრავალეროვნობის განვითარება. 1959 წლის აღწერით ტაშკენტში ცხოვრობდა 105 ერის წარმომადგენელი, კიევიში — 89 ერისა, დუშამბეში — 80 ერის, ხოლო თბილისში — 70-ზე მეტი ერის წარმომადგენელი.

ინანე ქობალია
ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი



ლი. ამრიგად, თვითველი ერის აყვავება ყველა ხალხთა დაახლოებით და ყველასი დაახლოება თვითველის აყვავებით — ასეთია სოციალისტური ერების განვითარების დიალექტიკა.

ეროვნული კავშირები მუდმივი კატეგორიები როლია. თავის დროზე ისინი ადგილს დაუთმობენ ზოგადსაყოფაობრივ ინტერნაციონალურ კავშირებს, მოხდება ერთა შერწყმა. მაგრამ შეცდომაა ამ პროცესის ხელოვნური დაჩქარება. მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ორი ტენდენციის განვითარება მიგვიყვანს ერების შერწყმამდე მსოფლიო მასშტაბით კომუნისმის გამარჯვების შემდეგ. ეს იქნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის პრინციპებს სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეპოქაში მონოპოლიების წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლის ორგანიზაციისათვის, განსაკუთრებით, კოლონიალიზმის უღლისაგან გათავისუფლებული ქვეყნებისათვის. თვითგამორკვევა უმთავრესად პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობს. საჭიროა ამის შემდეგ ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება — უადრესად აქტუალურია ვ. ი. ლენინის ეს მითითება ჩვენს დროში, როდესაც კოლონიალიზმის სისტემა დამსხვრეულია და ახალ-

გაზრდა ქვეყნები უნდა დაადგინონ არაკავშირეობის ტერიტორიის განვითარების გზას.

სსრ კავშირი ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა მომავალი გაერთიანების ცოცხალი პირველი სახეა. „ყოველ ერს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან“ — წერდა ე. მარქსი თავის უცვლად „კაპიტალში“. სოციალისტური ერები ერთმანეთისაგან სწავლობენ ეკონომიკისა და კულტურის დარგში მიღებულ გამოცდილებების ურთიერთგაზიარების გზით. სსრ კავშირის მავალითისამებრ იქმნება ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის მასშტაბით. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას სულ უფრო ახასიათებს მზარდი პოლიტიკური, სამეურნეო, კულტურული კავშირი, ეკონომიური ინტეგრაციის განვითარება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინტერნაციონალიზაციის ტენდენციის რეალური განხორციელება ე. ი. ერთიანი ყოველმხრივი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის შექმნა. კაპიტალიზმს სოციალიზმი უფროდ შეცვლის სოციალისტური რევილუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის განხორციელების საფუძველზე. ეს იქნება აგრეთვე ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრეფივი.



ნათება ონაზვიდი

სისარბჟეა სრეეაჟეი

ქერ შალვა დადიანის სიკვდილის ედღას არ გაველო და უცებ გალაკტიონის...

მწერალთა კავშირის პოლიკლინიკაში სამნი ვისხედით. საწერ მაგიდასთან პოლიკლინიკის მთავარი ექიმში ნათელა ცხოველიძე იჯდა, მის მარცხნივ პოეტი გიორგი კალანდაძე, მე მთავარი ექიმის პირდაპირ ვიჯექი და სამივე მღუპარედ მიეჩერებოდით დაბალი ფანჯრიდან მომზირალ ქუჩას. ქუჩის გადაღმა აღმართული ნაცისტების შენობის უდიდებო ფონზე არაჩვეულებრივი სიმკვეთრით ჩანდა ღრუბლებზე დარჩენილი ცის პაწაწინა ლურჯი ნაპერი. ყველას მზერა რატომღაც სწორედ იქით იყო მიმართული.

ფანჯრის ნათელ ოთხკუთხედს უცებ ვილაყის უზარმაზარმა ჩრდილმა გადაუარა და ოთახში წამიერად შაბიამნისფერი ანარეკლი გაერთა. მერე ისევ ნაცისტების მოეფინა ქუჩასაც და ოთახსაც.

— გოგლამ გაიარა, მგონი აქ მოდის, — ზევა გიორგი კალანდაძემ და კარიც გაიღო. პოეტი ისეთი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა, თითქოს წინ მაგიდა რომ არ გადალობებოდა, არც შეჩერდებოდა. შაბიამნისფერი კოსტუმი ეცვა და ოთახს რალაცნაირი იღუმალი შუქით ავსებდა.

სკამი ხმაურით ვამოსწია, ჩემს გვერდით დაჯდა და სათითაოდ შევეათვალიერე. ერთხანს უხმოდ გვეცქერდა ხან ერთს, ხან მეორეს, თან ღრმად და ხშირად სუნთქავდა, ძლიერი მკერდი აუღრჩაუდიოდა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა ნათელამ და ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა. პოეტმა თავზე ხელი დამადო, თმა ამიჩიჩა, ამოიხზრა და თქვა:

— არა, არა ვარ ცუდად. — მერე მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და სახე გაშლილ ხელებში ჩამალა.

— ეს რა ჰქნა გალაკტიონმა! — თითქო თა

ვისთავს უთხრა მთავარმა ექიმმა და თვალები ტყვილით დახუჭა.

პოეტმა სახიდან ბელები მოიშორა, საწერი მაგიდას კიდეს მოაბჯინა, სკამიანად უკან გადაიწია და ჩუმად თქვა:

— თავისი ცხოვრების დიდი მუსიკა უკანასკნელი მგრძნობიარე აკორდით დაამთავრა. — ქერს ახედა და აღმერთთან ლაპარაკი დაიწყო, — ვერ დაეტია, ეცოტავა წუთისოფელი და მორჩა! წუთი უღმობლად ხანმოკლეა, სულს კი რალაც სწყურია დიდი და უსასრულო, ლანდებივით ბუნდოვანი და ცრემლივით ტკბილი.

შორედ ლანდებს მისდევდი კრალვით, როგორც მწყემსი და როგორც მეტივე, წუთის სოფელში ვერ დაეტოვებ, მარადისობის შეღწევე კარი!

„შელეწე კარი“ — არ ვარგა, რითი უნდა შეიცვალოს? „შეაღე კარი“. ეს უარესია!

ფანჯარი ავიღე და იქვე დაგდებულ ფურცლის ნახევზე შეუღმინველად დაეწევი მისი იღუმალი მონოლოგის ჩაწერა. მინც დამინახა და შემაჩერა. — არ ჩაიწერო, დე, დაიკარგოს დღეს მუხისაგან გამოგზავნილი ყველა სტრიქონი, დღეს ხომ პოეზიის სიკვდილის დღეა! დღეს არც ერთმა პოეტმა არ უნდა ჩაიწეროს თუნდაც რუსთველური სტრიქონი. [ნეტავი არავინ უძღვნას ლექსი გალაკტიონს ახლა, ამ დღეებში მინც. ყველაფერი ისე უსუსური გამოჩნდება — ლექსიც და... ცრემლიც...

— თქვენ თუ ტირით ოდესმე? — მოკრძალებით ვკითხე მე.

— მე? — ყრუდ იკითხა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ ყრუდ განაგრძო, — მე ხშირად ვტირი, მაგრამ უცრემლოდ. უცრემლოდ კი არა, სულში მეღვრება ცრემლი. ასეთი ცრემლი უფრო ცხელი და მწველია, თან ტკბილიც.



ის ცხელი თაფლივით ედება სულს და მტკივნეულ სიამეს მგერის. ძალიან იშვიათად თვალეზივით მისველდება მსხვილი, ფერადი წვეთით. მართლა, იცით, რა უცნაური ცრემლი ვიცი? — სკამი გაასწორა და მავიდასთან ახლოს მოიწია, — როცა ამ წვეთის სიმრგვალიდან გავხედავ ხოლმე ჭვეყანას, ყველაფერი ცისარტყელას ფერებით ჰრეღდება. ძალიან მიყვარს ასეთი წუთი, რადგან მაშინ ცას ვგავარ. იმანაც ხომ ცისარტყელა იცის წვიმის შემდეგ!

წამწამები ასწია, ლურჯი თვალების უბებში თითო მსხვილი ცრემლი უბრაწყინავდა უცნაური სინათლით.

— ტირით? — შემფოთებით ჰკითხა გიორგი კალანდაძემ და სპეტაც ჭალარაზე ნერვიულად გადაისვა ხელი.

პოეტმა გაიღიმა. მის მოღუშულ სახეზე ისე უცნაურად გაერთა ეს მწარე ღიმილი, თითქო ვიღაცამ პანაშვიდზე ხმამალა და მჭახედ გაიცინაო. საოცრად შთამბეჭდავი იყო ღმერთკაცის ეს ტირილ-სიცილი!

— მზე პირს იბანს! — წაიჩურჩულა თვალეზივით ჰკეუღმა ექიმმა და პოეტს ჰკითხა, — ახლა ხედავთ ცრემლში ცისარტყელას?

— ახლა? ახლა არა. ახლა ნაწიმიბარი იორივით მღვრივ ცრემლი მაჭქს, ჩემი ტყვილის ტალახი თუ ამოაქვს, — და ისევ „ალაბაჩაკდა ღმერთთან“.

— დაჟენია მღვრივ ჩრდილი ჩემი ცრემლის ცისარტყელას!

რა იქნება ცისარტყელას რითმა? გალაკტიონი რითმაზე არასოდეს ფიქრობდა, არც რიტმ-

ზე. მასში ეს შინაგანად იყო მოცემული და რაღაცნაირი, უცნაური, გამაბრუებელი მსახურით რებოდა. ვახსოვთ?

შედვიარ სასახლეში. წმიდაო, დამიცე! სუროში საშიშრად მივარდნილ კედლებით ეს სახლი მაგონებს დაწყვეტილ სამარეს. აქ მკვდრები დაჰქრიაან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით, ჰაერი სიყვდილით დეფარეს!... —

აბა, თუ ავლია რამე! სამარეს, სამარეს! ოჰ! — ამოიხზრა და მუშტი დაჰკრა მაგიდას, — მესამე ვინ გუადგება მთაწმინდის გზას? ალბათ მე!

— რას ამბობთ! რა დროსია! — ძლივს ამოეცალე ტუჩებს.

მომიბრუნდა, ისევ ამინჩა თმა: — შენ ჭერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, არ დაგდგომია ის დრო, სულის ტყვილით რომ დაგაფიქრებს ამაზე, თორემ ასე იოლად ვერ ამოთქვამდი მაგ ნუგეშს, პატარაშლეულო! — მერე ისევ მიყვარდნო სკამის ზურგს. — მესამე ვინ იქნება?

მე არ ვაპირებ, შენს მიწაში ჩავყარო ძელები, მე შენს აღმართზე არ დავიღლი ჩურღაის მუხლებს,

მე შენი ზეცის სინათლეს ვეტრფი, მე შენი ზეცის სიმაღლეს ვუმღერა!

უსასოოდ დახუჭული თვალებით ახედა ჰერს და ლოცვასავით წაიჩურჩულა:

„ჰაი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ!...“



ზახანგ კანდაკიშვილი

სამშობლოზე ფიქრით

სიცხე იყო და სუნთქვა ჰირდა. გრძელი გზა გვექონდა გამოვლილი და დალილი ვიყავით, მაგრამ ჩენსლოვაციის პატარა ქალაქ ხეზის ქუჩებში რომ გავიარეთ, როგორღაც ყველა ერთბაშად გამოცოცხლდა და გახალისდა. მე-ამა რატომღაც. შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ მომჩვენა, რომ თითოეულ ჩემს თანამემამულეს ქართული მიწა მოაგონდა მყისვე, მისმა გარდასულ დღეთა ელვარებამ თუ აებდითი წარსულის სურათებმა ჩაუქროლა თვალებს; ამ ქალაქს ახლაც კი შენარჩუნებული აქვს შუასაუკუნეებრივი სახე და არ შეიძლება ქართველ კაცს ჩვენში შემორჩენილი ჩახლართული ქუჩებისა და ციხე-კოშკების თავისებური ეშხი არ მოაგონოს.

ისტორიულ მუზეუმში მიგვიყვანეს, — ჩეხი და სლოვაკი (და არა მარტო მათი) ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის მშვენიერ საფანეში. მოგვხსენებთ, ისტორიულ მუზეუმში სულიერი თრთოლვა და მოკრძალება ეუფლება აღამიანს; აქ ჯამთა ცვლისაგან გაზუნებული და ჩაფერფლილი ნივთები ჩურჩულით გიამბობენ გარდასულ დღეთა საკვირველ ამბებს.

აგერ, ორასამდე წლის წინ გამოქერწყლი გლენკაივი გვიყურებს, ჩვენებურ მახვს რომ მოგვაგონებს შეუბოვარი და სპეტაკი იერით, აგერ, ათასი წლის წინათ სლავურად დაწერილი რელიგიური წიგნი და...

პოი, საკვირველება! ვიტრინის ქვეშ ფოტოსურათი დევს. ფოტოსურათზე საფლავის ქვას აწერია:

„ამ ძეგლსა ვუდგამთ სახსოვრად ქართველნი ტყვენი მოძმე ქართველებს. 1914—1917“.

— მეგობრებო, აქეთ მოიწიეთ, მალე, მალე მოდით-მეთქი, — შევძახე გაოგნებულმა და აღტაცებულმა. შემომეხვიენენ ქართველნი,

რუსნი, ჩეხები და ყველა, ვინც იქ იყო. იყო ბეჭობა და კამათი. სიხარული იყო ყველაზე მეტი. ეს იყო დიდი სიხარული, რადგან საუფუძლად ედო სამშობლოს სიყვარული, ყოველგვარი სიკეთის სათავე და დასაბამი. დრო აღარ იყო კვლევა-ძიებისა, სამშობლოში უნდა გამოებრუნებულყავით. ასე რომ ქართველთა ეს ძეგლი ვერ ვნახე...

ეს იყო 1962 წლის აგვისტოში. შინ ჩამოსულს ხშირად მაწვალებდა ფიქრი იმ ქართველთა ბედზე, მათ თავზე გადახდენილ ჰირ-ვარამზე, იმაზე, თუ სად იმყოფებოდა მათი საფლავი. ბეერნი არიან? არის თუ არა მათი გვარები წარწერილი და როგორ არის მოვლილი მათი საუკუნო ნათესაყუდელო.

ერთს ჩემს მეგობარს გავუზიარე ჩემი გულისტყვილი, დაუოკებელ ცნობისწაღის რომ ახლავს ხოლმე მუღამ. ეს კაცი — ამირან სართანია საქართველოს გულანთებული პატრიოტი გახლავთ (პროფესიით იგი ტექნოლოგია და გავრის ხორცკომბინატში მუშაობს, საქართველოს ისტორიის ჩინებული მცოდნე და მეკვლევარია).

და აი, სამი წლის შემდეგ ამირან სართანია ეწვია ქ. ხეზს. 1965 წლის 12 ივლისს ამირან სართანია პლზენის გზაზე მდებარე რკინიგზის მახლობელ დაღმართს დაჰყვა. პოდლათთან მშვენიერი დაქემული ადგილი გამოჩნდა, რომელზეც დაბურული ტყე იყო შეფენილი. აი, აქ არის სასაფლაო იმ ქართველებისა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე იბრძოდნენ და ტყვედ ჩაუვარდნენ გერმანელებს. გერმანელებს ტყვე ქართველნი, ასევე რუსები, თათრები და სხვანი, გერმანიის სხვადასხვა კუთხეში წაუყვანიათ, მათი ნაწილი კი ხეზში მოხვედრილა, ცოცხლად გადარჩენილთ დაღუპულთათვის ძეგლი



დაუდგამთ დიდის ვაი-ვაგლახით შეგროვილი ფულით. მათვე შემოუვლიათ სასაფლაოსათვის მწვანე ნარგავები, რომლებიც ახლა უკვე ტყვედ არის ქცეული.

ა. სართანას სურათები გადაუღია იმ ადგილისათვის, ძეგლისა და ქართველთა საფლავებისათვის. აქ ასობით ქართველის საფლავი ყოფილა. სასაფლაო ორად არის გაყოფილი: დასავლეთით მართკუთხედის ფორმის ქვის ობელისკი დგას. ამ მხარეს ქრისტიანთა სასაფლაოა, ხოლო აღმოსავლეთით — მუსულმანებისა. მათს ბირამიდისებურ სვეტს ჩაღმა ახურავს და საფლავები აღმოსავლეთისაკენ არის ბირშექცეული. ქრისტიანთა სასაფლაოზე ქართველებთან ერთად რუსებიც არიან. ქართული წარწერის გვერდით ჩეხურადაც იგივე ტექსტია ამოკვეთილი.

როგორ, რატომ მოხდნენ აქ ქართველები? როგორც გამოირკვა, ქ. ხეზში პირველი მსოფლიო ომის დროს ბრძოლები არ ყოფილა.

ა. სართანიამ ზოგ რამეს მიაკვლია. აესტრიის სამხედრო ხელისუფალთ 1915 წლის თებერვალსა და მარტში აქ (ყოფილი სამხედრო აეროდრომის მახლობლად) ტყვეთათვის აღშენებია 180 ხის ბარაკი 1 000 კაცი-სათვის. ასე გაჩნდა პატარა ქალაქი, რომელსაც გარს ერტყა ეკლიანი მავთულხლართები. აქვე სადარაჯო კომპები აღუმართავთ და საერთო საცხოვრებელიც აღშენებიათ 800 ჭარისკაცისთვის. წყალსადენი და ელექტრონიც გაუყვანიათ.

ტყვეთა ბირველი ნაკადი ხეზში 1914 წლის 24 მარტს ჩაუყვანიათ. პირველ ხანებში აესტრიის სამხედრო ხელისუფალნი ტყვეებს ნებას რთავდნენ თავისუფლად ევლოთ და შეხვედროდნენ თავიანთ ნაცნობებს, ისინი ცდილობ-

დნენ აღმოსავლეთ ფრონტზე თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ ტყვეები. მუსულმანთა ბისათვის ბანაკში მერეთიც კი დაუდგამს. მათს შრომას, როგორც ჩანს, ამაოდ ჩაუვლია და არც რაიმე ნაყოფი გამოუღია.

ტყვეთა ბანაკში ანტროპოლოგთა სპეციალური კომისიაც კი გაუგზავნიათ, რომელსაც მოუხდენია მათი აღწერა, ჩატარებია რასობრივი გამოკვლევა, თითების ანაბეჭდები შეუსწავლია, სურათები გადაუღია ტყვეთათვის. ასე შეუსწავლიათ 1016 ტყვე.

ომი რომ დასასრულს მიუახლოვდა, ტყვეები ძალიან დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან და შიმშილთ იხოცებოდნენ თურმე.

არავინ იცის, გადაარჩა კი ვინმე? ეს კია, რომ ომის დამთავრების შემდეგ ბანაკები დაანგრეის და ადგილობრივმა მკვიდრმა მოსახლეობამ წაიღო, სასაფლაოდა გადაარჩა მხოლოდ და რამდენიმე სითამამო, რომლებიც მუსულმანებს გამოუტყრიათ, და ძალიან ოსტატურადაც. მათი ზოგიერთი ნახელავი ახლაც ინახება ხეზის ისტორიულ მუზეუმში. გადაარჩენილა აგრეთვე საუწყებო ჟურნალები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ქართველ ტყვეთათვის სხვადასხვა ხასიათის ცნობები მიუციათ. ოლქის არქივში ინახება ეს მასალები.

ქართველ ტყვეებზე ბევრი მოგონება შემოუნახავთ აქაურ მკვიდრთ.

ეს არის და ეს ჭერ-ჭერობით, სხვა ცნობები ა. სართანას არა აქვს. ქართველი ისტორიკოსები უთუოდ დაინტერესდებიან ამით და შუქს მოჰფენენ ბნელით მოცულ ხეგდარს უცხოეთში გადაზავნილი ქართველებისა. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი მათგანის შთამომავალსაც მივაკვლოთ და იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ამა თუ იმ კუთხე-კუნძულს შუქი მოვფინოთ.



საინგილო ქართულ მწერლობაში

საინგილო აღმოსავლეთ კახეთის უკიდურესი მხარეა. სწორედ ამგვარმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ხშირი განადგურება და გავერანება გარეშე მტრების მიერ. აღმოსავლეთიდან დაძრულ მტერს ძალაუვნებურად პირველად საინგილოს ტერიტორია, ანუ ჰერეთის მიწა-წყალი უნდა გაეელო, რათა საქართველოს ცენტრისკენ გაეყვლია გზა. მუსლიმანური აღმოსავლეთის ძალადობას, მართალია, ეს პატარა კუთხე ხშირად ცალკე არ უმკლავდებოდა, მას ესმარებოდა დედა კახეთი, მაგრამ უფრო ხშირად კახეთს საკუთარი ღირსებაში აწუხებდა და ეს მხარე თავისი მცირე ძალებით უნდა შეებოდა მტერს. ყოველივე ეს იწვევდა საინგილოს სასიცოცხლო ძალების დაშრეტას, თანდათანობით ასიმილაციას სხვა ხალხებთან, მათ აღათ-წყებთან, ჩვევებთან, მიუხედავად იმისა, რომ თვალის ჩინივით შეინახა მშობლიური ენა.

ჩვეულებრივ, ქვეყნის რომელიმე კუთხეს მხატვრულ ლიტერატურაში ამავე კუთხიდან გამოსული მწერალი აქცევს ასახვის ობიექტად. საინგილოს არ მოუცია ისეთი მწერალი, რომელიც ამ მხარეს ღირსეულად ასახავდა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი?

საქმე ისაა, რომ სასიცოცხლო ძალების შენარჩუნებამ მთლიანად შთანთქა ამ კუთხის მკვიდრთა პოტენციური შესაძლებლობანი და მხატვრული ლიტერატურის დარგში წარმომადგენელი ვერ მოგვცა. მიუხედავად ყოველივე ამისა, აღმოსავლეთ კახეთის ეს მხარე მაინც იქცა ასახვის ობიექტად დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქართულ მწერლობაში. ეს განაპირობა ქართული ლიტერატურის მთავარმა და უძლიერესმა ლეიტმოტივმა — პატრიოტიზმის ინტენსიურმა ხასიათმა. დედა საქართველოს სხვა კუთხის შეილებმა, რომლებმაც მხატვრული სიტყვის ოსტატობა იღეს თავს და

რომელთაც კარგად ესმოდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეროვნული მთლიანობისათვის იდეოლოგიური ბრძოლის მიზნები და ამოცანები, კემპარიტი მხატვრული ნაწარმოებები შექმნეს, ამ კუთხესთან დაკავშირებით.

საინგილო, როგორც ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი, მხოლოდ მე-17 საუკუნიდან ფიგურირებს. მას სხვადასხვა ახსნა აქვს. მაგრამ ყველაზე მართებული ჩანს სხელწოდების დაკავშირება ცნობილ სოფელ ენგიანთან (სა-ენგილო-ო).

საინგილოს უძველესი სახელწოდება არის ჰერეთი. აღმოსავლეთ კახეთის ამ მონაკვეთს ისტორიის სარბიელზე ხშირად ამ ფორმით ვხვდებით.

ქართული მწერლობის პირველსავე წარმომადგენელ ოკობ ცურტაველთან საინგილოს ეს ტერიტორია სწორედ ამ ფორმით აღინიშნება. და რაც მთავარია, აქ იგი ნიშნავს უკვე არსებული ცალკეული კუთხის ადგილსამყოფელს. ი. ხუცესი წერს: „და იქმნა მეფისაგან სპარსთაისა ბიტიახშმან, და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაითა აღუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი...“

როგორც ვხედავთ, ჰერეთს ეწოდება ქვეყანა. აქ ჰერეთის მიმართ მეტი მსჯელობა არ არის მოცემული, მაგრამ მაინც ირკვევა, რომ ჰერეთს ი. ხუცესი თვლის საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად. ამასთანავე, ჰერეთი შედის საქართველოს საზღვრებში.

ი. ხუცესის შემდეგ ჰერეთის ასახვის ფაქტები ქართულ მწერლობაში მე-17 საუკუნემდე არ მოგვემოვება. მე-17 საუკუნიდან კი თანდათანობით უფრო და უფრო ხშირდება ქართულ მწერალთა დამოკიდებულების გამოვლენა ამ კუთხისადმი.

გრ. ორბელიანი ამგვარ სოფლებად თვლის ალიაბადს, მოსულს, ვერხვიანს, თასმალუს, ზაგამს, შოთვეანს, ყორაიანს; თალის ოლქის სტატისტიკაშიც საგანგებოდ გამოყოფს ქართულ სოფლებს: ყანდახსა და ქათანაქჩს. მუხის ოლქში ქართულ სოფლად მიაჩნია ენგიაიან².

პკითხავდნენ ინგილოები,
შემოხვევიან კარხედა.

მგონის სტატისტიკურ ჩანაწერებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დიდი პოეტი დაფიქრებულია საქართველოს ამ პატარა კუთხის ბედზე. ეს გასაკვირი არცაა „იარალის“ ავტორისაგან. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰარ-ბელაქანიდან გამოგზავნილ პოეტის ზოგიერთ წერილს აშკარად ატყვია ინგილოურ პეიზაჟთა კვალი.

ბერი ისმილი აუხსნის მათ სევდა-გლოვის მიზეზს. იგი შორიდან იწყებს. მოუთხრობს ჰევდერეკლესა და კობტა ბელადის ბრძოლებს. ჩვენ, ლეკები, არ ვისვენებდით. ხშირად შემოგვესვლიდა მშვიდობისმოყვარე ინგილოები, ახელებსა და ქართლებს. ბევრჯერ დალაშქრეთ ისინი. ერთხელ კი ერეკლე მეფემ შეკრიბა ჯარი და ჩვენზე წამოვიდაო. და რადგან „ჩვენი სარდალიც განთქმული იყო ჰარ-ბელაქანზედა“, ამიტომ არ შეგეპუეთ მას. ბრძოლა გაუმართათო. ერეკლემ მოკლა ჩვენი ბელადი. დაგვამარცხა, და მაშინ, როცა გვეგონა გავგველტოდა, სულგრძელად გვაპატია. თან მამაშვილურად ვეთიხრა: „შვილებო, ერთმანეთს ნუ ებრძვით, გაერთიანდით და საერთო მტერს შეებრძოლეთო“. ჩვენ მაშინ მას არ დაუტყვერეთ და აი, ახლა ვკვამთ იმის ნაყოფს, როცა ყველა ერთ ბელქვეშა ვართ ცარიშმის ბრწყალებშიო.

როგორც ვხედავთ, უკვე მე-19 საუკუნის შუა წლებამდე გვაქვს ქართულ მწერლობაში გარკვეული ცდა საინგილოს მხატვრული ასახვის ობიექტად ქცივისა, მიუხედავად ამისა, ინგილოს ტიპური, კონკრეტული სახის ჩვენება მხატვრულ სიტყვას მე-19 საუკუნის ბოლო წლებამდე არ მოუცია. ამ მხრივ პირველი სიტყვა ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილს.

ირ. ევლოშვილის პოემაში ჩანს საინგილოს ხალხი, მშრომელი ადამიანები, მათი გულკეთილობა და სტუმართმოყვარე ხასიათი. განსაკუთრებული ფონი ეძებნება ინგილოთა კოლექტიურ სახეს მონაწიე ლეკის ისმილის დახატვის საფუძველზე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ირ. ევლოშვილის პოემაში რამდენადმე ზოგადად არის მოხაზული საინგილოს, კერძოდ, ჰარ-ბელაქანის მიდამოები. მწერალს არ სჭირდებოდა და ამიტომაც არ ჩაღრმავებია აქტური ადამიანების სულის ლაბირინთებს.

ი. გოგებაშვილის პატარა მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ ქართულ მკითხველში პატრიოტული გრძნობის აღძვრას ემსახურება. ლეგენდარული გვირის აბუჩად აგდება არ შერჩებოდა ინგილო გოგონას, მეფე ერეკლეს რომ მასში პატრიოტი ქართველი ქალი არ ამოეცნო. ინგილო ქალის საკმაოდ შთაბეჭდავი სახე შექმნა ი. გოგებაშვილმა ამ პატარა მოთხრობაში, რითაც არსებითად დიფერენციალურად განსაზღვრა ინგილოთა სიკეთის ხატვა სიტყვავაზმულ მწერლობაში.

ასეთია საინგილოს მხატვრული ადექვატირეოლოგიკამდელი ქართული მწერლობის მიხედვით. რეკოლუციურმა სინამდვილემ ახალი თემები და მოტივები მოიტანა. ამან თავისთავად გამოიწვია საინგილოს თემატიკის ახლებური გააზრება. ქართული მწერლები და საზოგადო მოღვაწეები უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებენ მზიან საინგილოსთან. უფრო ახლოს ეცნობიან ამ მხარეს, მის განახლებულ ცხოვრებას, ხედავენ ახალ ნიუანსებს — ინგილოთა ყოფასაქმიანობაში.

საინგილოს თემატიკისათვის აგრძობა არ აუვლია ისეთი წმინდა რევოლუციური თემატიკის ტრიბუნასც კი, როგორც იყო იროდიონ ევლოშვილი. მეამბოხე სულის პოეტი 1846 წელს წერს პატარა, ანტიცარიტულ პოემას „ლეკ ისმილი“. ისმილი საინგილოში ინგილოებს, ლეკებსა და სხვა კავკასიელ ტომთა წარმომადგენლებს შორის ჩამდგარი ტირის და გლოვობს. იგი მოუწოდებს მათ:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ლიტერატურა არ იცნობდა ინგილოს პერსონაფიციურებულ სახეს. ამ მხრივ გარკვეული ჩანასახი მოიპოვება ი. გოგებაშვილის მოთხრობაში, სადაც ინგილო ქალის სახე გახსნილია პატრიოტული თვითშეგნების გამოვლენით. მაგრამ არაკლორიტულობა გვირ ქალს საშუალებას არ აძლევს იქცეს ინგილო ქალის ტიპურ სახედ. ი. გოგებაშვილის შემდეგ ინგილოს ტიპი სრულყოფილად, ჩამოყალიბებულად მოცემულია ი. აბაშიძის „ინგილოებში“. პოეტი მოუ-

— ლეკო, ინგილო, კახელი,
შემოსევით შავითა,
გმართებთ გლოვა და ტირილი
თქვენის ცოცხალს თავითა.
ჰარ-ბელაქანის მთაც ტირის
ამგვარის სანახავითა.

რა არის ამ გლოვა-ტირილის მიზეზი? სწორედ ამას იძიებენ სტუმართმოყვარე ინგილოები:

— რად სტირი, ბერო ისმილი,
რა ქირი ვადგა კარხედა?
თმა-წვერი გაგიწეწია
ხანჯალ დაგვირავს მკერდზედა!

ასრატ ომარაშვილი

სანინგილო ქართულ მწერლობაში

² გრ. ორბელიანი, ლირიკა, თბ. 1959, გვ. 297.

ლოდნელად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ხატავს ინგილოთა სახეებს.

დასვენებულნი, დანაყრებულნი,
მკერდზე შეხსნილი ღილილოებით,
დაწითლებულნი, დაღლებულნი
კოცონს უსხედან ინგილოები.

ავტორი კოლორიტულობას აღწევს საინგილოს პერსაჟების ეფექტური შემოტანით და გაზეღული ფერების დინამიური შენაცვლებით.

ირგვლივ კუპრი დგას შუღამურად,
სძინავთ ბერძნულებს გარინდებულებს,
სძინავთ მყეფარებს ტკბილ-საამურად
თივის ბულულზე თავმიღებულებს.
წიფის კუნძებზე ცაცხლის ენები
მუხის კუნძებზე — ბიბილოები...
ღამის მებრენი, ღამის მთველები
კოცონს უსხედან ინგილოები.

ინგილოთა სახეები ბუნებრიობას ინარჩუნებს მშობლიურ ბუნებასთან ორგანული კავშირის ჩვენებით.

ამავე ლექსის მთავარი გმირი — ლაზარე, მთელს ქართულ პოეზიაში რჩება, როგორც ინგილოს კონკრეტული, მხატვრული ტიპი.

ი. აბაშიძის ინგილოური ციკლი „მონადირის ღამე“, მართალია, კონკრეტულ კუთხეს და ამ კუთხის სხვადასხვა მოვლენებს აშუქებს პოეტური ფერადებით, მაგრამ არასოდეს არ რჩება ვიწრო, ერთეული ფაქტების კონსტატაციად. მათშივე გამოსჭვივთ მთლიანი, დაუყოფლო საქართველოს ტრფიალები, მისღამი უსახღვრო სიყვარული: მხოლოდ სამშობლოსადმი სიყვარული როდი კმარა, რათა მკითხველმა იგრძნოს პოეტის მიერ განცდილი და ნაზრეკი. ამისათვის პოეტს თავისი ემოციური სამყაროს სხვისთვის სათუთად გადამცემი პოეტიკური არსენალიც უნდა გააჩნდეს. ამ უკანასკნელთან შედევანი სინთეზი პოეტის ემფაზისა — იძლევა კეთილ ღირებულებას. ი. აბაშიძე ახერხებს საინგილოზე დაწერილ ლექსებში სამშობლოს სიყვარული საინგილოსათვის დამახასიათებელი კოლორიტითა და ლანდშაფტებით გადმოგვცეს. სამშობლოს სიყვარულს იგი უძებნის ამ კუთხისათვის დამახასიათებელ მიმღობით ფორმებს. პოეტს ხელწყობება საქართველოს ყოველ კუთხეს გამოუნახოს მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური, რაც ხელს არ უშლის მას ამ თავისებურში პოეტურად განჭვრიტოს ის ზოგადიც, საქართველოსათვის საერთოდ რომაა დამახასიათებელი.

ციკლის საგულესხმო ლექსია „მონადირის ღამე“. ნაწარმოების ფინალურ სტროფში გაერთიანებულადაა წარმოდგენილი ინგილოებისა და თეთი პოეტის შფოთიანი სიზმრები. ამ უკანასკნელში სიმბოლურად მინიშნებულია იმაზე, რომ სტუმრისა და მასპინძლების სუბიექტურ ლტოლვას ერთიანობისაკენ რაიმე ობიექ-

ტური მიზეზებით დარღვევა არ უწყობია. ამ უკანასკნელზე პოეტურ კადენციას გარკვეულად უყვარავს პესნიმისტური პანგი. მაგნიტუდისაა ვნა, რომ ეს პესნიმისმი გადაზრდას პოეტის პოეტური მხნეობით სავე სტროფის ბოლო ორ სიმბოლურ ტაქში.

ღამით, მთელ ღამით, შფოთიან ძილში
დაკვდევდა სიზმრად ყუმი და კახი
და თასმალსთან ბერძუნის ძირში,
ხმელ ფოთლებს გლჯდა დაპირილი ტახი.

ი. აბაშიძეს პერსაჟებთან მოულოდნელად კი არ მიუყვართ, არამედ ჩვენს თვალწინ ხატავს მათ და გვიჩვენებს აღამიანთა მოქმედების ფონზე. აღამიანთა მოქმედება არაა წარმოდგენილი შიშვლად, ხოლო პერსაჟები გააღიერებულა მათი მოქმედების დინამივით. ამიტომაცაა ასე შთამბეჭდავი საინგილოს ბუნება მის ლექსებში. მკითხველი თითქმის პოეტთან ერთად მოგზაურობს საინგილოში და თვითონაც განიცდის ყოველივეს.

შემოვალამდა ალი-აბადთან
ელრან ტუის პირად გავცევით ტალი,
წიფის ტოტები წითლად განათდა,
ცაში ბუბუნით ავარდა ალი.
ტყეში კი ისევ ტყაცუნით სქამდა
ნადირი ნადირს, რკოსა და ხეხილს...
ბერძუნის უკან მგლის თვალი სჩანდა
მურყანის უკან — ფოცხვერის ფეხი.

ი. აბაშიძის მიერ დახატული საინგილო და ინგილოები კოლორიტულია იმის გამოც, რომ პოეტს უხვად შეაქვს პერსაჟებსა და ტიპებს შორის საინგილოსათვის დამახასიათებელი სიტყვიერ-ფრაზობრივი და სურათოვანი ელემენტები. არაწი (ხელადა), ქართული (სიტყვა), აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებანი: კახი, ბელაქანი, ალიაბადი, ზაქათალა, ყუმი, თასმალე. ყოველივე ეს თვალწინ გვიყვენებს საინგილოს კონკრეტულ გარემოს. ამასთანავე ლექსები არაა ვადატვირთული ამგვარი ელემენტებით, რაც პოეტურ ზომიერებაზე მიუთითებს.

ი. აბაშიძის მთელს პოეზიაში ეგრძნობთ საქართველოს სიყვარულს, მაგრამ მას განსაკუთრებულად ელერადობა ემატება, როცა პოეტი საინგილოს უმღერის.

საინგილოს დიდი დარდი აწუხებდა საქართველოს სახალხო პოეტს — გიორგი ლეონიძეს. ჯერ კიდევ ადრე დაწერილ ლექსში „სიყვარული მამ გაქვს ვისი?“ საინგილო მთელ საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა.

პანეთს, კლარჯეთს ცრემლი სცვიდა,
ვიცი, არ გსურთ დაიცილო;
შემუღერებ ფშაგ-ხვესტრეთს,
თუშეთსა და საინგილოს.

ასე ეუბნებოდა პოეტი საყუთარ თავს. მართალია, მას საგანგებო ციკლი არ მიუძღვნია



ამ მხარისადმი, აოც აქტურ მკვიდრთა სახეები არ ჩამოუქნია ლექსის ჩარჩოში, მაგრამ პოეტის შინაგანი არსება შეეხოს ამ კუთხის ნალღლიანი ბედობის საკითხს. ძლიერ ახლოს მიიტანა გულთან საინვილოს დარდი. საინვილოში მყოფს, აქ ნახანმა კესანემ ამ კუთხის გარდასული ავბედობა გაასენა და სტრიქონები ასე ააქრემლებინა:

კესანე,
შენი კენესამე,
სევდა შეგატყვე კილოში, —
პატარა, მორცხვო ყვაილო,
გაზრდილო საინვილოში...

ამ სტრიქონებში ყველაზე ძლიერ გამოჩნდა ნამდვილი ქართული სევდა. ამ სტრიქონების ავტორს კუშპირიტალ შეეძლო ეთქვა: მე მტკიავა ჩემი ქვეყნის, საინვილოს მხარეო.

ქართლის ცხოვრების მხატვარ-მემკვიდრის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ გამოყვანილი ჰყავს ინვილო მონადირე. მწერალმა კარგად იცის, რომ ჰერეთი განთქმულია სანადიროთი და მენადირეებით. ამიტომაცაა, რომ რომანში გარკვეული ეფექტისათვის ინვილოს ჰერეთიდან ჩამოაყვანილებს გაწვრილ ავაზებს, „ერთმა ინვილომ ორი ავაზი მოჰგვარა ჰერეთიდან მეფეს“, მართალია, რომანში მოცემული მოვლენის დროისათვის ტერმინი საინვილო და ინვილო არ არსებობდა და ამდენად აქ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ მწერალს სურდა თავიდან აეცილებინა უსარგებლო ტავტოლოგია. ამიტომაც ასე ვაბედულად აცხადებს, ჰერეთში ინვილოები ცხოვრობენო. რაც შეეხება მონადირე ინვილოს მხატვრულ სახეს — იგი, მართალია, ეპიზოდურია, მაგრამ რამდენიმე დიდოსტატური შტრახში მას საკმაოდ ცოცხლად გვიჩვენებენ. „ინვილო მიწაზე იჯდა, ცალ ხელში ორი საბელი ეჭირა, ცალშიც შოლტი. როცა ვარსმოჯარულ უცხოთ შეუღრენდნენ ავაზები, ატყაუნებდა შოლტს, როგორც ჩვენებური მურღმე ამინებს ხოლმე კამეჩს...“

კიდევ უფრო ზუსტდება ინვილოს მხატვრული პროფილი ცოტა ქვემოთ, სადაც იგი მეფეს დახმარებას აღუთქვამს ავაზების მოვლა-პატრონობაში. „მეც წამიყვანეთ, მეფეე ბატონო თან, თავი მომპყროთ თუ ჩემს მიერ დავემილი ავაზები გავეძენენ“.

რომანის ერთ-ერთ საინტერესო რეალას წარმოადგენს მეფესა და ინვილოს შორის ავაზის დაჭერის წესებზე საუბარი.

საქართველოს ისტორიულ წარსულზე დაწერილ რომანებში, ბუნებრივია, ჰერეთს დამოუბილი აქვს საკმაო ადგილი, რადგან ისტორიის სარბილზე ჰერეთი ხშირად ფიგურირებდა როგორც ძლიერი კუთხე საქართველოს სამეფო-სა. ლევან გოთუას „გმირთა ვარაშვიც“ სწორედ ამიტომაც ხშირად ვგვხვდება ჰერეთის ად-

ვილმდებარეობათ. „უწერა, აქაუო პეიზაჟები და მცხოვრებლების ასახვა. ბუნებრივად მთლიანი საქართველოს ისტორიული ხანის ასახვა — უამისოდ შეუძლებელიცაა. რომანში დეტალურადაა აღწერილი მეგამისა და ვატების მიდამოები, აგრეთვე ვაიოცხლებულია ისტორიული წარსული: — საინვილოს ძველ მიწაზე შამ-ახასის ცეცხლიანი შემოსევისა. მიწვეწვლავანი ადგილი ეთმობა ჰერეთ-მინდორის ბრძოლის ბატალურ სცენებს, სადაც ქართველთა და რუსთა ჯარებმა გაიმარჯვეს სპარსთა წინააღმდეგ. ამასთანავე ასახულია ბელაქანში მომხდარი ისტორიული ბრძოლებიც.“

თუ ისტორიულ თემებზე დაწერილ რომანებში საკმაო სისრულით გვხვდათ საინვილოს მხატვრული ასახვის ობიექტად, ეს არ ითქმის თანამედროვე თემაზე დაწერილ რომანებზე. რაც შეეხება თანამედროვე პოეზიას, იგი უფრო ისტორიკულად აქცევს ყურადღებას ამ კუთხეს.

განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა საინვილოს თემატიკისა ქართულ პოეზიაში მას შემდეგ, რაც დაიწყო ინვილო ახალგაზრდების მიღება საქართველოს უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში. ამ კულტურულ ურთიერთობას საფუძველი ეყრება 1958 წლიდან. ეს მოვლენა იწვევს ქართული ეროვნული სულს-კეთების შესაჩინვე და ხშირად ვადამწვეტ ზრდას საინვილოს სოფლებში. ამას თან სდევს ქართული კულტურის მუშაეთა არაერთგზის ჩასვლა საინვილოში. რასაც რა თქმა უნდა, მოჰყვა საინვილოს თემატიკის გამოცოცხლების პროცესი. განახლებული საინვილო, ახალ თემებსა და მორჩეუბს აძლევს ნიჭიერ მწერლებს.

სწორედ ამ წლებს ეკუთვნის ხტა ბერულავას მშვენიერი ლექსების ციკლი „საინვილოსაკენ“.

ბ. ბერულავას პოეტურ ხედვას, უპირველეს ყოვლისა, საინვილოს მისადგომები იპყრობენ. „ახოვანი და ხნოვანი“ ხეები შიაცილებს მას საინვილოსაკენ. პოეტი ზოტბას უძღვნის მათ, ვინც დარგო ეს ხეები, მაგრამ ვინ არის იგი? მართალია, ეს ცნობილი კაცის ხეები ვირონ-ცივის მითითებით იქნა გაშენებული, მაგრამ პოეტი საპროლოანად თვლის ქართველ გულხაკს ამ მითითებათა პრაქტიკულად შემსრულებელს. ლექსის სამადლობელი სტრიქონებიც მას ეძღვნება.

ის კაცი იყო, ღმერთი კი არა,
მაგრამ ახსოვდა შთამომავალი

საინტერესო ვადამწვეტას აძლევს პოეტი ამ ხეების მოლოდინს, ცდას, უცუთესი მომავლისაკენ მიპყრობილ ტოტებს:

ანბანთ მხარაშვილი

საინვილო ქართულ მწიგნობარში



არ უკრთით ღრუბლებს, ნიაღვრებს, წვიმებს თუმც დაგიმსხვრიეს ბევრჯერ ტოტები, თქვენ არასოდეს არ ჰქარვავთ იმედს, და აედარაშიაყ მშენ ელოდებით.

პოეტი ბრძენი მიწიას მღვმარე ენით ესაუბრება წინაპრთა დარგულ ხეებს და ვგრძნობთ, რომ ამ ღუმლის საუბარში მეტია თქმული, ვიდრე ამას სტრიქონები იტყვენ:

საინგილოსკენ ერთად მიდიან
სი წლის წინათ დარგული ხენი
და ყოველ მათგანს, როგორც მიწია
ვესაუბრები მეგობრის ენით.
წარსული... არა, მიჯობს ღუმლით,
თორემ ვგრძნობ ტკივილს განუკურნებელს
მე ვდგავარ კლდეზე მიჯაჭვულივით
და გადავქაჩი საუკუნეების.

საინტერესო მომენტის ფეხსირებას ახერხებს პოეტი პატარა ლექსში — „ორი დობილი“, სადაც თათრის ქალისა და ინგილო ქალის მეგობრობა მოუხვეწარ სეველ ადვიტებს პოეტის მგრძნობიარე გულში.

ორივე ჰგავდა აპრილის ლოცვას
თათრის ქალი და ქალი ინგილო!
ეს იყო წუთი, ისეთი, როცა
არ შეიძლება არ დიავიწინო.

ხუტა ბერუღავეს პატრიოტულ ღირთეობაში პირველი სიღიდის ვარსკვლავით ანათებს საინგილოზე დაწერილი ლექსების წრე, რომლის მკითხველზე შემოქმედების დიდ ინტენსიურ ხასიათს, მათი მხატვრული პლანი განსაზღვრავს.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან დაეინახეთ, საინგილოს თემა ხშირად წარმოადგენს სხვადასხვა აზრობრივი შეფერილობით, მაგრამ მთავარი ლეიტმოტივი ერთია — საინგილოს დღევანდლობის მხატვრულ სახეში მოქცევა. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო ფაქტია თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსების წრე „სიმღერის დაბადება“, რომელშიც ექვსი ლექსია შესული. ამ რკალის ლექსებში ფართოდაა გაშლილი პოეტის მხატვრული პერსპექტივები. ლექსები ისეთი თანმიმდევრობითაა დაგვებული, რომ ობტიმალურ სამუალებას ვეძღვევინ ჩანაფიქრთან მიხლოვებისა. პირველ ლექსში მოცემულია საინგილოს გზის სურათი:

მარცხნივ სისხლსავსე ტყეები,
მარჯვნივ რძესავსე ველი
ქარვადახსული ხეები,
ოქტომბერი და რთველი.

მეორე ნაწარმოებში „მასპინძელი“ — პოეტი, უპირველეს ყოვლისა, ამჩნევს იმას, რომ საინგილოში ქართული კოლორეტი არ დაუკარგავს სახლ-კარს, ეზო-უბრეს, პურ-მარბილს.

ბროლის კრილა თასებში
მიწის სისხლი სჩქევს თავნებობით
საესეა საინგილოშიც
შოის ქართული მარნები.

ამ ლექსის დასასრულს კი მხატვრული ფერადების სიუხვე აძლევს პოეტურ სილამაზეს.

ღენოც ვერ ჩრდილავს სიყვარულს
ძილს როგორ უნდა მინებდე...
და საფერავი ღამისა
ღნება ფანჯრების მინებზე.

განსაკუთრებული ინტიმი ემატება პოეტურ მეტყველებას, როცა თ. ჯანგულაშვილის ციკლის ერთ-ერთ მშვენიერ ლექსში „შენ გლოცულობდი“ ოსტატურად შემოაქვს იაკობ გოგებაშვილის მხატვრული სახე. მართალია, ეს სახე წამიერად ვაიფილებს ლექსის ჩარჩოში, მაგრამ ძლიერი შემოქმედებით ინტენსიობით გვიქმნის დაუფიქრარ შთაბეჭდილებას.

შენებრ კეკლუცი, შენებრ ღამაში
ეს საინგილო — ძველი პერეთი,
მტკავლის დაღება ნედლი ხმელეთი
მღერის თვისი ზერით და დღეთი.
შენსავით მღერის, შენს წინა ვდგავარ
ამ სილამაზით დამუნჯებული,
მეხდაკვებულ მუგუზულს გვაგარ,
მკარდს მინგრევეს გული გაურჩებული.
ლობის გაღმიდან მოჰქრის ნიაგი,
სავსე ღაწვები იწვის გიზგიზით
და ერთი მუჭა მწიფე ქლიავი
ვადმომაყარე სიცილა-კისკისით.

პოეტის ადამიანურ წუხილს იწვევს კანი-კობის (სისხლის ღელის) გახსენება. „კანი-კობი, სისხლის ღელე, ვინ დაგარქვა ნეტავ?“ კითხულობს იგი. მისი ჰუმანური მგრძნობლობა ცდილობს დაიწვევას მისივე სისხლისა და უბედურების გახსენება, მაგრამ ძველი ასე ადვილად არ ეძლევა დაიწვევას. იგი თავს ვგახსენებს სახელწოდებებშიც კი და პოეტი ვონების თვალთ გადახედავს რა წარსულ ისტორიას ამ პატარა კუთხისა, მწუხარე ხმით აზნობს:

წლების ნახირმა ზანტი ზღაზნით გადაიარა,
წყვდიადის ცელმა, მტრობის ცელმა საღ არ იალა,
მხოლოდ ტირილი, მხოლოდ კენესა შემორჩათ
ჰერებს.

მაგრამ არსებობს პერეთი ძველი და ახალი. სოციალისტური ცხოვრების მუქი ახალ პერსპექტივებს უშლის ამ პატარა კუთხესაც და აქ პოეტი სჭერეტს ნათელ მომავალს:

მღერის პერეთი ნიზამის და შოთას ლექსებით,
ღღვის ღერ რეკავს იმ ლექსებში და იმ კილოში,
სიმღერა ახლად იბადება საინგილოში.

თ. ჯანგულაშვილმა მთელს ქართულ პოეზია-



ში ი. აბაშიძის შემდეგ ყველაზე კოლორიტული ფერები მოგვცა საინგილოს ყოფა-ცხოვრებისა. მან უხვად, მაგრამ ზომიერად შემოაქვს ინგილოური დიალექტის სემანტიკური ერთეულები, რომლებიც აცოცლებენ ლექსის სიტყვიერ-ისტორიულ ფაქტურას. დარვაზა (ჭიშკარი), აყარი (ბანი), ბახლობა (ბავშვობა), პენა (მაყარი ქალი) და აქაურ მდინარეთა სახელები ლამაზი სიტყვებით გაიფლებენ თ. ჭანგულაშვილის ლექსების ციკლში.

ამვე თაობის პოეტმა ვახტანგ გორგანელმა შექმნა პატარა რკალი „საინგილოში“, რომელიც ორი ლექსისაგან შედგება. ერთი მათგანი „ირილო ქალი“ რამდენიმე სენტიმენტალურ-პრიმიტივის შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ამასთან ზოგადი შტრიხებითაა დახატული ინგილო ქალის სახე. პოეტი მხატვრულ განარჯვებს აღწევს მეორე ლექსში „პურის მკაქაში“. ნაწარმოების შინაგანი მდინარეთა ემორჩილება აზრობრივ ღერძს. — კახის ბარაქა საქართველოს ბარაქა. მისი სიხარული — საქართველოს სიხარულია.

ცეცხლი ეღება პერში ნიჩბებს, ოქროსფერ მარცვლებს ტომრებში ყრიან და მკერდდადლილ ინგილო ბიჭებს კახში მანქანით დოვლათი მიაქვთ. ელისოს მთების სიმღერას ვისმენ და ფიქრში ქართლის ქედებს ვეხვევი. შე ეს ბარაქა მახარებს ისე, ვით საქართველოს სავეს ბედლო.

ამავე ლექსში მიღწეულია იმ მხატვრული დონისათვის, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა დავარწმუნოს, რომ მკა არის კახში და არა კახეთში ან ქართლში. მიუხედავად იმისა, რომ „მაქც ისეთი ვარდები იცის, ივრის პირებზე დილით რომ ბრწყინავს, აქაც ისეთი ვაშლია ყანა, როგორც უსაზღვრო შირაქის ველზე“.

გ. გორგანელის პოეზიისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი მთელი სიცხადით იჩენს თავს საინგილოზე დაწერილ ამ ლექსებშიც. საინგილოს შესახებ დაწერილ ლექსებში განვასხვავებთ ორგვარ პლანს. ერთი, როცა პოეტები ცდილობენ აზრის ემოციური მოწოდებისათვის გამოიყენონ კოლორიტის შემქმნელი საშუალებები, ინგილოური პეიზაჟები და სახეები. მეორე — როცა წერენ ვ. წ. მიძღვნილ ლექსებს. ამ დროს შესაძლებელია პოეტი სულაც არ იყოს ნამყოფი საინგილოში, მაგრამ გონებაში ჩარჩენილი ინგილოური დარდი ცხადდება. მართალია, ზოგადი სახეებით, მაგრამ ემოციური ნაყადის დიდი ინტენსივობით. ეს კი ლექსს საშუალებას აძლევს მკითხველზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს.

სილოვან ნარიმანიძის ლექსი „საინგილოვ, ძველი დარდო!“ წარმოადგენს მეორე ტიპის ლექსს. აქ ვერ ვხვდებით საინგილოს სურათებს,

ადამიანთა ტიპებს, მაგრამ პოეტის აზრობრივი მიმართულება გაშლილია სუბიექტურ-სტილისტური პლანით.

საინგილო, ძველი დარდო, უტყვილსო მთა და ბარო, შენის ცრემლით და წუხილით გაზრდილი ვარ, ამავედარო. შენი სისხლის ნაწილი ვარ, ამა როგორ გაგეყარო.

ვაეკაცური ქვრადობა და მომხიბველლობა ემატება ლექსის აზრობრივ განვითარებას, როცა ვკითხულობთ შემდეგ სტროფს:

არ გგვონოს დაგივიწყო, კობალას მთის ნიაქვარო, უშენობით, კახის გორო, მევიწროოს ეს საშყარო.

ს. ნარიმანიძის „საინგილოვ, ძველი დარდო!“ ინვილიანის ერთ-ერთ კარგ ნაწარმოებს წარმოადგენს.

თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პროზულ ნაწარმოებებს, როგორც უკვე აღინიშნა, თითქმის ყურადღების გარეშე დარჩა საინგილოს პროზოებიც. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით. პროზული ნაწარმოების დასაწერად საჭიროა დიდი ხნით ცხოვრება საინგილოში. ათეისება და შესწავლა ამ კუთხის ყოფითი დეტალებისა. ზედმიწევნით ცოდნა დიალექტისა. აქ პოეტურად, წამიერად დანაზული ფაქტები არ გამოდგება. ეფიქრობთ, სწორედ ამან განაპირობა თანამედროვე ქართული პროზის მიერ საინგილოს თემის იგნორირება. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს გარკვეული ცდები ამ მხრივაც.

კარლო კობერძის მოთხრობა „დილა, შუადღე, საღამო“ ეხება საინგილოს გაქრისტიანების საკითხს.

ეკრძოდ, ივანე ბულუღაშვილს, რომელმაც გამუსლიმანებული საინგილოს ნაწილი გააქრისტიანა. მოთხრობაში მეტად ზოგადი მსკელობაა ამ საკითხის ირგვლივ. საინგილოს ასახვის ცდა აქ არც წარმოებულა. თანამედროვე საინგილოს მხატვრული სურათები ჩროზაში მოგვცა მწერალმა ქალმა ალექსანდრა ჩხენკელმა. მწერალ ქალს ეკუთვნის 1957 წელს გამოცემული ისტორიული ნარკვევი „მზიან საინგილოში“. მანამდე კი 1950 წ. გამოვიდა მისი „მეირფასი სახსოვარი“, ინგილოური მოთხრობების კრებული. 1960 წელს მეორედ გამოიცა ინგილოური ამბავი „რომიკო“.

ალ. ჩხენკელის კრებულში, რომელიც სამ მოთხრობას აერთიანებს, პირველი მათგანი საბავშვოა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ქალის მხატვრული ძალა ძირითადად

ასრატ მხარაშვილი
საინგილო ქართულ მწერლობაში



ინგილო ბავშვებზე შექმნილ ნაწარმოებებში გამოვლინდა.

„ძვირფასი სახსოვარი“ სხარტი, ლამიადარული სტილითაა დაწერილი. მოთხრობის ქარგის მიხედვით ზარმაც ინგილო ბიჭუნას შოთას — გარდაქმნის საქართველოდან საინგილოში ჩასვლი, აღიარებული მასწავლებლის მიერ ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსანი“. პატარა ინგილო შეიგნებს, რომ ინგილოებიც ქართველები არიან, საქართველო კი მხოლოდ საინგილოს არ მოიცავს. „ჩონ ვათან საქართველო“ — იზიერებს იგი და ცდილობს ისწავლოს კარგად, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს „ვეფხისტყაოსანს“. სწორად გაიგოს, თუ ვინ არის მისი მტერი და ვინ — მოყვარე. მართალია, ეს იდეური ხაზი შესაფერისი მხატვრული სრულყოფილებით ვერ არის მოწოდებული, მაგრამ მოთხრობა მაინც იქცევა მკითხველის ყურადღებას ინგილოური სოფლის რეალისტური სურათების ჩვენებით.

მოთხრობა „ახალწლის დამე“ საინტერესოდ გვიჩვენებს ინგილო ქალიშვილის ბრძოლას სცენებს სამამულო ომში. ამ ომში იგი მიიღებს ნერვულ დაავადებას, რაც შემდეგ ჰიპოზონდროში გადაიზრდება.

კრებულის ბოლო ნაწარმოები „ინგილოური წინდები“ მკითხველს მოუთხრობს კოლექტივიზაციის ცალკეულ ტიპურ სცენებზე ინგილოს სოფელში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. ჩხენკელის მოთხრობებს არ ახასიათებს მხატვრული აქსესორების ძლიერი ეფექტაცია. ეს იწვევს იმას, რომ ამ მოთხრობების კითხვის შემდეგ ბუნდოვანი შთაბეჭდილება გერჩება.

მწერლის მხატვრულ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს საბავშვო მოთხრობა „რომიკო“. აქ კარგადაა გაცხნილი პატარა პატრიოტის ფსი-

ქიკური სამყარო, მისი გმირული შექმნის შედამიწვენი ზუსტადაა ნაჩვენებს. სიყვარული ყოველივე მშობლიურისადმი. მწერალი არ ზღუდავს მოთხრობის რეალიებს უმწიფარი მხატვრული აქსესორებით, რასაც ადგილი აქვს სხვა ნაწარმოებებში. საბოლოოდ საინტერესო სახე ყალიბდება რომიკოსი, მწლის ბიჭუნასი, რომელიც ბავშვთა სახლის საახალწლო ნაძვის ხიდან გაიპარება, რათა მამისეულ გამოკეტილ სახლში მამის დანაბარები შეასრულოს. ე. ი. კომლი არ ჩააქროს.

ასეთია საინგილოზე მწერალი ქალის ალ. ჩხენკელის მოთხრობების იდეურ-მხატვრული პერსპექტივები.

ქართულ მწერლობას ჯერჯერობით არ მოეპოვება რომანები, პოემები და დრამატული ნაწერები საინგილოს შესახებ. რაც შეეხება ქართულ სალიტერატურო კრიტიკას — იგი სრულებით არაფერს ამბობს საინგილოზე დაწერილი იმ მცირე მოცულობის მხატვრულ ფასეულობაზე, რაც ასე თუ ისე არსებობს.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას ჯერჯერობით არ მოუწოდებია თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსებისათვის, რათა საქართველოს ამ ისტორიული და ძველი კუთხის ყოფაცხოვრების უთუოდ თავისებური და საინტერესო მომენტები მხატვრული ასახვის ობიექტად აქციოს. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვწამს, რომ ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ძეგლები საინგილოს თანდათანობით მიაყრობენ მწერას. ამის საწინდარია ის გაცხოველებული კულტურული ურთიერთობანი, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისსა და საინგილოს შორის ამ უკანასკნელ პერიოდში. ამის საწინდარია მთელი საინგილოს სიყვარული დღესამშობლოსადმი.



ოლფერტ დაპერის ცნობები საქართველოს შესახებ

1. XVII საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების ამსახველი ქართული თუ სხვა აღმოსავლურენოვანი წყაროების გარდა, ვრცლად მოიხილება ამ პერიოდის ევროპულ მოგზაურ-მისიონერთა თუ ისტორიკოს-გეოგრაფთა ცნობებიც.

საქართველოში იგზავნებოდნენ ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა ორდენთა წარმომადგენელი მისიონერები; ფრანგი იეზუიტები: ალექსანდრე დე როდესი, ფილიპ ავრილი, ფაე ვილო...; თეათინელები: პეტრო ავიტაბილე, ფრანჩესკო დამარილე, ჟაკომო დი სტეფანო, ლეონ ჟულიე, არქანჯელო ლამბერტი...; ფრანგი პროტესტანტი ჟან შარდენა და სხვები...¹

1. ასეთი სახის წყაროების შესახებ ვახუშტი წერს: „სრულად ჩვენთა ქორიონიონებთა სპარსთაგან და გუჯარათა და სიველთაგან ვაჩვენების. აგრეთვე როსტომ მეფისა და მისი შვილები ჩვენამდე ხსოვნა ქორიონიონებთაგან... ცხოვრებითგან მათთა შევახავეთ“. — ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800, თბ., 1913, გვ. 13.

2 1900 წელს ზ. კოჩინაძე წიგნში „საქართველოს შესახებ ევროპიელ მომღვაერთა და მოგზაურთა ცნობები“. (ტფ., 1900) წერდა: „...ყველაზე მეტი ყურადღება ქართველთა და საქართველოსა ევროპელთაგან XVII საუკუნის ნახევარიდან მოიპყრო, ნამეტურ იტალიელები და ფრანკუზების შემდეგ. ევროპის სხვადასხვა ტომთაგან ყი თითოორთა პირნი, ესენიც ფრანგების წიგნიდან ცნობილობდნენ საქართველოს“ გვ. 11.

³ დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ იხ. M. A. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис., 1935. ვრცელი ბიბლიოგრაფია Enciclopedia de orientacion Bibliografica, (EOB), Barcelona, 1964, გვ. 1201—1337.

XVII საუკუნის შერე ნახევარში წინამორბედ მოგზაურთა და ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით დასავლეთ ევროპაში (ყერძოდ პოლანდაში) იმუნება პირველი ისტორიოგრაფიული ესკიზები აღმოსავლეთის შთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის ამიერკავკასიის ვრცელ აუზში მდებარე მხარეების შესახებ. ინტერესთა სფერო იფარავლება არა მარტო ქვეყნის აღწერის ევზოტაქურ-ლეგენდარული ასპექტებით, არამედ მიმართულია ამ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიურ-კულტურული ხასიათის ძვრების ფიქსირებისაკენ, ისტორიულ წარსულის, ენის, ფსიქიურა ცხოვრების, რელიგიური რიტუალებისა და, საერთოდ, ზნე-ჩვეულებების აღწერისაკენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა პერიოდი, როდესაც ევროპული ისტორიოგრაფიის ასპარეზზე გამოდიან მოზეფ ვანერე, ოლფერტ დაპერი, ნიკოლაე ვიტსენი და სხვები... ესაა, თუ შეიძლება ითქვას, პირველი (წინარეგმეცნიერული—Vorzissenschaftliche) მისამზადებელი ეტაპი ისტორიულ-გეოგრაფიულა ძიებებისა, რასაც ისინი „ახორციელებდნენ, ამდენად ვასაგებია რაგი ისეთი ცნობებისა და ეპიზოდების გადმოცემა მათ წიგნებში, რაც დღეს მხოლოდ დიმილს მოგვგვრის ან გულწრფელად ვაკვირებთ. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა გვამოვადის მხედველობაში, რომ ავტორები წყაროდ გულუბრყვილო ან ტენდენციურ ცნობებს ეყრდნობიან ამა თუ იმ მოცულის გაშუქებისას; გარყვეული კრიტიკული საზომით მიდგომა, პოზიტურის შეჩვენება ასეთ აღწერებსა და წყევებს სრული ისტორიოგრაფიული სურათის შექმნის საწინდარია, პირიქით. მათი უზულებულოვან ცალმხრივი, ტენდენციური და არასწორი დასკვნების კეთების საფრთხეს შექმნიდა.

1. 2. XVII საუკუნის შერე ნახევარს განეკუთვნება პოლანდიელი ექიმისა და გეოგრაფის ოლფერტ დაპერის (olfert Dapper) მოღვაწეობა. მან მათთვის დამახასიათებელი მშვენიერა



სტალით და გარკვეული მეთოდების გამოყენებით შექმნა შრომები, რომლებშიც მოათავსა მრავალი საინტერესო აღწერა ქვეყანათა, ხალხთა, ადგილთა, მხარეთა...

მის კალამს ეკუთვნის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შრომები: ამსტერდამის აღწერა, (1663), ახალი აღწერა აფრიკის ქვეყნებისა (1668), ჰოლანდიელთა სამახსოვრო ექსპედიცია ტაისანგის ანუ ჩინეთის იმპერიაში (1670), ამერიკისა და სამხრეთის მიწათა აღწერა (1673), აზიის ახალი აღწერა (1680), არქიპელაგის უძძულების ახალი აღწერა (1688). და სხვა.

მთაწლით თითქმის ყველა კონტინენტი მოხდა დაპერიული ტოტალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ დესკრიფციებში.

1672 წელს დაპერმა გამოაქვეყნა ვრცელი „აღწერა სპარსეთისა“⁴, სადაც ამირკავკასიის ქვეყნების ისტორიულმა ესკიზებმაც დიკავეს სათანადო ადგილი.

1. 3. დაპერის დროინდელი ჰოლანდია კაპიტალისტური განვითარების იმ დაწყებით სტადიაშია, როცა კ. მარქსის თქმით, „პირველადი დაგროვება ნაწილდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის გარკვეული ისტორიული თანმიმდევრობით: ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი“⁵.

XVII საუკუნის დასაწყისის ჰოლანდიაში კაპიტალიზმის ნიშანდობლივი არსებობა უტყუარი ფაქტია.⁶ ჰოლანდიური საეპრო ფლოტი მთი განსხვავდებოდა ინგლისის ფლოტისაგან, რომ იგი მირითადად ეკონომიურ მიზნებს ისახავდა და მას უკავშირებდა ქვეყნის პოლიტიკური მნიშვნელობის განმტკიცებას.⁷ ამასთან

ჰოლანდიას, როგორც შუამავალ სავაჭრო ქვეყანას, არ ჰქონდა განვითარებული მწარმოებელი ძალა, თუმცა მდიდარი კოლონიების შეღებულს წარმოადგენდა. სავაჭრო კაპიტალის დამორჩილება სამრეწველო კაპიტალისადმი „მისი, როგორც დომინანტი სავაჭრო ერის დაეკმას განაპირობებდა XVII საუკუნის ბოლოს“⁸.

ამრიგად, დაპერის თანამედროვე ჰოლანდია, ჯერ კიდევ აყვავებისა და ეკონომიური სტაბილიზის პერიოდში მყოფი, აშკარად იყენს ტენდენციას დაეკმასაყენს.

დაპერის მრავალრიცხოვანი შრომებიც ინფორმაციულ-დესკრიპტიულ საფუძველზე დაწერილი XVII საუკუნის II ნახევრის ჰოლანდიის რესპუბლიკის მმართველ პოლიტიკურ-ეკონომიურ წრეებს ემსახურებოდა სავაჭრო-საზღოვანო ღონისძიებების დაგეგმვისა და საერთო-სავაჭრო პოლიტიკური პერსპექტივის განხორციელებაში.

2. 1. XVI-XVII საუკუნეებში საქართველო აღარა ერთიანი სახელმწიფო. ნ. ბერძენიშვილი წერდა: «Грузия разделена на три равноправные царства, но все эти Грузини в отношении внешнего мира сохраняют культурную целостность»⁹.

ცხადია, დეცენტრალიზებული ქვეყნის სისტემა გამოწვეული განცალკევებულ სათავადოთა პარტიკულარისტული ტენდენციებით, ამავე სათავადოთა სიძლიერეს ნიშნავდა. ამდენად XVII საუკუნის საქართველოს ისტორია, ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობის, ცალკეულ სამეფო-სათავადოთა ისტორიაა¹⁰.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საქართველო გახანგრძლივებულ-კონსერვირებული ფეოდალიზმის საერთო სისტემაში მოექცა, რომელშიც გაბეული იყო თითქმის მთელი ისლამური

⁴ სრული სათაურია: Beschrijving des Koningrycks van Persie behelzende de Landschappen Fars, Schirwan, Erak... Benesseus de onderhorige Gebuurgewesten van Georgie, Imereti, Kacheti, Karduel, Guriel, Mengrelie, Avogasie, Cirkassie, Albanie, Kurdistan en Curgistan, door Dr. olf. Dapper. t'Amsterdam, 1672.

ქართულად: სპარსეთის სამეფოს აღწერა... და მისდამი დაქვემდებარებული მეზობელი მხარეებისა: საქართველო, იმერეთი, კახეთი, ქართლი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ჩერქეზეთი, ქრთისტანი და გურჯისტანი. (sic!)

⁵ იხ. Соч., т. 17, გვ. 821.

⁶ იხ. Соч., т. 19, I, გვ. 360.

Капитал, т. I, М., 1949, გვ. 757.

⁷ Ernst Baasch, Holländische Wirtschafts geschichte, Iena, 1927 (რუს. გამოც. Москва, 1949, გვ. 35).

⁸ იხ. W. Vogel, Zur Grösse der europäischen Handelsflotten im 15, 16 und 17 Jahrhundert, 1915, გვ. 331.

⁸ Маркс., Соч., 19, ч. I, 358.

⁹ P. I. Blok, Geschiedenis van het Nederlandsche Volk, Leyden, 1923, გვ. 176-180.

იხ. ასევე: Н. А. Gejder, Histoire des Pays-Bas du XVI-e siècle a nos jours, 1936, გვ. 194. R. Mousnier, Les XVI-e et XVII-e siecle. Les Progrès de la civilisation européenne et le declui de l'Orient; წიგნში: Historia general de las civilisaciones, ტ. IV, 1959, გვ. 674 და ა. შ.

¹⁰ იხ. Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI), Тб., 1938, გვ. 35.

¹¹ იხ. III. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 103.



აღმოსავლეთი¹², აქ მაინც ვერ მოიციდა ფეხი, ვერც მონღოლურმა ულუსობამ (XIII-XV), ვერც ირანულმა ყიზილბაშობამ და ვერც თურქულმა ოსმალობამ (XVI-XVIII), ცალკეული ადგილების გარდა¹³, სადაც ვახუშტის ტერმინს თუ ვიხმართ: ე. წ. „შერეული წესი“ დამყარდა.¹⁴

დამპყრობლები საქართველოს ინკორპორაციის საკითხს უშუალოდ უკავშირებდნენ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის შეზღუდვას... რასაც ლოგიკურად მოჰყვებოდა პოლიტიკურ-სოციალური სისტემის „გაუცხოება“. XVI-XVII საუკუნეების ფეოდალურად დეცენტრალიზებულმა, დამიღმა საქართველომ შემოღო რიგი ფაქტორების წყალობით (ქართული მიწისმფლობელობის, გლეხთა ექსპლუატაციის ფორმების და საერთოდ ეკონომიკური ბაზისის შენარჩუნება, ხალხის მეღვარე წინააღმდეგობა, რუსეთის გამოსვლა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე¹⁵), საკუთარი პოლიტიკურ-სოციალური სისტემის („ქართველობა“) შენარჩუნება და სხვა.

შესაძლოა, დაპყრობის მიერ ნახშირი ტერმინი Charteloba ამ აზრს გულისხმობს?! (იხ. f. 1) ვფიქრობთ, არაა გამორიცხული ხალხის (ერის) აღმნიშვნელი საზოგადო-კრებითი სახელი, გარკვეულად სპეციფიკური (ოსმალეთ-ირანისაგან განსხვავებით) პოლიტიკურ-სოციალურსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა თვისობრივ ერთობლიობასაც გულისხმობდეს.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — საქართველო აღდგომისა და გამოსწორებისათვის ძალას იკრებდა... ერანის

¹² შტრ. M. Khakhanoff: „ისლამი სწრაფ პროგრესს განიცდიდა ქრისტიანობის ნაგრეკებზე XVI საუკუნის დასაწყისში მუსულმან მეფეთა მთელმა სერიაში შესცვალა ერთმანეთი ქართლის ტახტზე“. იხ. Histoire de Georgie, P.-Tif., 1900, გვ. 58.

¹³ ასე მოხდა აღმ. კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-საათაბაგოში.

¹⁴ იხ. ვ. ვაბაშვილი, დასახ. წიგნი, ფ. 15-19, 417-418. შტრ. ქართლის ცხოვრების (ქმ) პარალელური ტექსტი: „და მას ეამსა (როსტომის დროს) იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის მოყუარება, წამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან და განწრაველა ტანთმამა ყიზილბაშურად და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრებოდნენ და რაყმით იშოვნიდნენ მამულებსა“. იხ. ქმ, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით) ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 424.

¹⁵ ვრცლად იხ. Н. Т. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968.

პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლ აღნიშნულ დროს ეკონომიკურად და კულტურულად წინ მიდიოდა... ამ დროს პოლიტიკისა და მართლმადიდებლობის ერთ-ერთი საფუძვლიანი იყო საქართველოს ერთ სამეფოდ გაღმარება¹⁶.

2. 2. ოლფ. დაპყრობის „სპარსეთის აღწერა“, წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით წარმოადგენს პირველ ისტორიკოგრაფიულ ცდას საქართველოს ისტორიული წარსულისა და განსაკუთრებით XVII საუკუნის საშინაო თუ საგარეო ვითარების აღმუშავებულ ცნობების თავმოყრისა.

აღმწერისა და აღსაწერის ისტორიული ურთიერთმიმართების კვლევა ფსიქოლოგიური ტიპოლოგიზმის შესწავლის ობიექტია; რამდენადაც ქართული წყაროების (ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი ფარსადან გორგჯანის ძე, ვახუშტი...) და აღმოსავლურტურენოვანი (სპარსული: ისკანდერ მუნშის, მოჰამედ თაჰერის, ჰასან-რუმელის)... თურქული: (იბრაჰიმ ფეჩევის, ევლია ჩელეების)... სომხური: (არაქელ თაერიზელის, ზაქარია სარკავაის...) ფონზე დასავლეთ ევროპული წყაროები (და მათ შორის დაპყრობის ისტორიული „აღწერაც“), მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა არიან. ევროპელი ავტორები უფრო მეტად მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკური მდგომარეობით (სავაჭრო-სამომხსოვლო გზები, ქალაქები, ვაჭრობა, მეურნეობის სხვადასხვა დარგები...) იყვნენ დაინტერესებულნი¹⁷.

მაშინ, როცა თურქეთი და ირანი ძალ-ღონეს იმეორებდნენ საქართველოს ცალკეულ რაიონთა (სამთავრო-სათავადოთა) სრული და უშუალო ინკორპორაციისთვის, რაც შესაბამისი ჭეყნის კანონ-ნაშევებსა და რისალებში აიხსებოდა ხოლმე ევროპელი მოგზაურები დახვედრით გვეგებს ისახავდნენ, რაც თავისთავად მათ მიერ აღწერულ ცნობებში ზოგად-სპეციფიკურ ინტერპრეტაციას იძენდა¹⁸.

¹⁶ იხ. ნ. ბერძენიშვილი, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალების საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, თბ. ფ. 173-174.

¹⁷ ვ. ვაბაშვილი, ქართ. ფეოდალ. წყ. XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 26-59.

¹⁸ კათოლიკური-მისიის ერთგული მასხურნი (ლაშხერტი, ქაში, ფაენცა და მისთ.) ერთგვარ გამოწყალის წარმოადგენდნენ, ისინი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში. მართებულად წერს შა. აბქ. ლამბერტის შესახებ შ. პოლიგრაფიკი: «Ламберти только с большими оговорками может быть причислен к «Путешественникам» по Кавказу. Но он еще и не иностранец, окончательно осевший на

ისაკ დაპითაშვილი
ოლფარტ აბპირის ცნობები საკანონმდებლო შესახებ.

ზემოთქმულის მიუხედავად, ბევრი რამა საგულისხმო და პოზიტიური დაპერის „აღწერაში“, ამდენად მისი იგნორირება გაუმაართლებელი და უსაფუძვლო იქნებოდა.

2. 3. მთელ რიგ ევროპელ ავტორთა თხზულებებში და ცნობებში შორის, რომლებიც საფუძვლად დაედო დაპერის „აღწერას“, მნიშვნელოვან ადგილს უკავია ნეაპოლელი თეათინელი ბერის არქ. ლამბერტის „სამეგრელოს აღწერას“. (ქართ. თარგმ. ა. კუნიასი, თბ., 1938 წ.) იტალ. *Relazione della Colchide hoggi detta Mengrellia, nella quale si tratta dell'origine, Costunsi e Così naturali di quei paesi Del P. D. Archangelo Lamberti, Clerico Regolare, Missionario in quelle Parti.*

(Napoli, 1654).

მართალია, ლამბერტი პირდაპირ აცხადებს, რაც შეეხება ისტორიას და ენის სიწმინდეს, არც ერთისა და არც მეორის ზედმიწევნით ცოდნა შე არ მომთხოვებო (გვ. 4), როგორც ჩანს, დაპერს შესაძლებლად მიუჩნევია სწორედ ლამბერტის „აღწერით“ ესარგებლა თავისი „ისტორიის“ შედგენისას.

2. 4. ორივე სიტყვით ვინდა შეეხებოთ ისტორიის მეთოდოლოგიის ერთ-ერთ საკითხსაც. წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით არა ნაკლებ საინტერესოა გარკვეული ტიპოლოგიურ-შეღარებითი კვლევის ჩატარება სხვადასხვაენოვან წყაროთა ურთიერთმიმართების, ამა თუ იმ ავტორის წერის მანერისა და სტილის, ობიექტურობის კრიტიკისა და სხვ. რიგ სპეციფიკურ ნიშან-თვისებთა გამოკვლევის მიზნით¹⁹.

ჩვენს კერძო შემთხვევაში ურთიერთშეხებაში მოდიან ევროპული (იტალიურ-პოლანდიური) და ქართული მასალები. ამ ასპექტში, თვით უსიქოლოგიური განწყობილება, ამა თუ იმ ერის შემატანე-ისტორიკოსისა, მისი დამოკიდებულება აღსაწერი მოვლენებისადმი, სოცია-

чужбине. Но в силу его длительного пребывания в Мингрелии и в зависимости от его профессии, у него уже установились определенные связи, определенные и пристрастия и предубеждения. Его сочинения о Мингрелии не путевые заметки, но обработанные труды, снабженные всего рода научным (конечно «научным» для своего времени) аппаратом». Евр. пут. XIII—XVIII вв. по Кавказу, гв. 138.

¹⁹ იხ. ვრცლად: E. Bernheim, *Lehrbuch der Historischen Methode und der Geschichtsphilosophie*, Ipt; გვ. 179—270; P. Barhati, *Gli studi di psicologia e la storiografia*, Napoli, 1903; H. Berr, *La syuthé se en histoire*, Cessai critique et théorique) P. — 1911, გვ. 40—82 და სხვ.

ლურ-პოლიტიკური დისტანციის არსებობა ადრე წერსა და აღსაწერს შორის, დამყარებული კრეტულ ეროვნულ ნიადაგზე, მხოლოდ: ქართულ-ლოკალურ-შეღარებითი კვლევის შედეგად გამოჩნდება.

რაოდენი განსხვავებაა თუნდაც დაპერსა და ლამბერტის შორის, მიუხედავად ამისა, თუ კარგად დავუკვირდებით, დაპერის აღწერათა ის ნაწილი, რომელიც სამეგრელოს და სავროთლ დასავლეთ საქართველოს შეეხება, ფაქტობრივად ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ შემოკლებულ-შეკუმშულ პოლანდიურ კონსპექტს წარმოადგენს.

3. 1. ოლფ. დაპერმა, მეორემ სტ. პაოლინის შემდეგ²⁰, ევროპაში დაბეჭდა ქართული მხედრული ანბანი ლათინური ტრანსკრიფციითურთ (22 ასო) (ქ. 2.) მთელ რიგ ლინგვისტურ და ეტიმოლოგიურ საყურადღებო იმ ფაქტის კონსტატირება, რომ „მთელს ამქვეყანაში (გულისხმება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში) ერთ ენაზე ლაპარაკობენ, რომელსაც ქართული ჰქვია და მთელი ამ ხალხსათვის საერთო-საყოველთაოა²¹. დამწერლობისათვის ორგვარი ანბანი გამოიყენება ზუცური (Kudhuri), რომელიც მხოლოდ ეკლესიებშია და სასულიერო წიგნების შედგენისას იხმარება

²⁰ *Dittionario Giorgiano, et Italiano, composto da Stefano Paolini cou laiuo del M. R. P. D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio uso de Missionarii della sagra Cougr. de Prop. Fide, Roma, CICDCXXIX იხ. ასევე: არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 22—26.*

²¹ ამ თვალსაზრისით საინტერესოა რომელი პატრიუსის თეათინელთა ორდენის წარმომადგენლის Pietro della Valle (1586—1652) «*Iuformazione*» პაპა ურბან VIII-დმი საღაც გატარებულია აზრი ქართველი ხალხის ერთიანობის შესახებ, სწორედ ერთიან ქართული ენის საფუძვლზე. იხ. *Iuformazione della Giorgia datte olla Sautita da nostro signore Papa Urbano VIII da Pietro della Valle Pellerino, Roma, 1627.* საგარეულო დაპერი ამ თვალსაზრისს იყენებდეს წყაროდ.

Н. О. Орловская-ს აზრით: «Эти сведения Даппера были для того времени очень ценны, если принять во внимание, что авторы и более поздних работ обычно не приводят названия, которые сами грузины дают своему языку, но называют грузинский язык (Iberisch, Georgisch, Grusinisch, и очень туманно представляли себе вопрос о распространении этого языка в разных частях страны». იხ. *Грузия в материалах зап. Европы» XVII—XVIII веков*, Тб., 1965, 221.

და მხედრული (Chedroli), რომელიც სხვა დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება... ქართულ ენაში სულ 36 ასოა... № 2)22. უყრდნობა რა ფიგურას, დაპერი დასძენს: „ქართული ასოები განსხვავდებიან ქალღერსი, ებრაული და სომხური ანბანის ასოებისაგან და წერენ ისინი, როგორც ჩვენ, — მარცხნიდან მარჯვნივ“ (f. 3).

3. 2. მრავალმხრივ განსწავლული პოლანდიელი ისტორიკოსი და გეოგრაფი ფართოდ იყენებს ძველი, ანტიკური და შუასაუკუნეების ავტორთა ცნობებს, ამასთან, გარკვეულად ცდილობს მათ კრიტიკულ გააზრებას თანამედროვეობის თვალსაზრისით. იგი იცნობს არისტოტელეს, პეროდოტეს, სტრაბონის, არიანეს, პტოლემესის, პლინიუსის თხზულებებს... არაერთგზის იმეორებს ამიანე მარცელინს, ბელინიუსს, ელიენს, იორნანდესს, ავრიკოლას, ფიგურასს, შინადას, დელა ვალეს, სვართს, პოსტელუსს, ლამბერტის, ჯეფერისა და სხვებს ამა თუ იმ ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის აღწერისას, მოსახლეობის დასახიათებისას და ა. შ.23.

3. 3. საქართველოს ისტორიული საზღვრებისა და ქვეყნის ეტიმონიის შესახებ დაპერა წერს: „დღეს საქართველო ის ქვეყანაა, რომელსაც ძველად კოლხეთსა და იბერიას ეძახდნენ... ვადაჭიშულია იგი შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე... აღმოსავლეთით ალბანია ესაზღვრება, რომელიც სპარსეთს ემორჩილება დღეს და საღვთ მდებარეობენ ქალაქები: ბაქო, დემირქაფი, ანუ დერბენი. ოდნავ სამხრეთით კი შირვანია, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კასპის მთებია (ანუ კავკასია), რომლებიც შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე ვადაჭიშულან... ჩერქეზეთი და კასპის მთები, საქართველოს მოსკოვის სამეფოსგან თიშვენ“.

ტყვიარას ცნობით, ქვეყნის ნამდვილი სახელია გურჯისტანი ანუ ქართველთა ქვეყანა. — Stan სპარსულად ადგილის აღმნიშვნელი ნაწილად24. იხმარება სიტყვა გურია და ქართველობად (Chartueloba), ქართველს კი ამ ქვეყნის ენაზე Chartueli, ანუ Kortueli ეწოდება... ჯეფერის მოწმობით, თურქები მათ

Ljverous ეძახიან, რაც ახლოსაა იბერიანთა სხეების მიხედვით კი თურქები მათ Kurchi ეწოდებდნენ... სახელი Georgie ქართველებს წმინდა გიორგისაგან მიიღეს, რომელსაც ისინი დღიად სცემენ პატოს“...

„საქართველოს მხარეებს შორის, — აღნიშნავს დაპერი, — გამოირჩევა იმერთი (ბაშიაჩუკი), კახეთი, ქართლი, გურია და სამეგრელო“ (f. 1.).

პოლანდიელ გეოგრაფს საქართველო ნაყოფიერი და ლამაზი რელიეფის მქონე ქვეყნად მიაჩნია.

პილდოლოგური ქსელის დახასიათებისას დაპერი გამოყოფს მდინარეებს — მტკვარს, არაქსს, ქანავს; ტბებს — გულუხლათდუს, ლეიციტიუსს და სხვა. (1) უზრუნველბა გამახვილებული საქართველოში მისასვლელ გზებზეც; დაპერის აზრით, ასეთი გზა სამი იყო: „პირველი და უმოკლესი კონსტანტინეპოლის გავლით... მეორე — სპარსეთის გავლით, საიდანაც კაცი ადვილად მოხვდებოდა მეფე ლუარსაბის ქვეყანაში (ე. ი. ქართლი — ი. დ.) მესამე კი — პოლონეთსა და შავ ზღვაზე გადიოდა...“ (2/2).

3. 4. აღმოსავლეთ საქართველოს აღწერისას დაპერი ცალკე გამოყოფს ქართლს, ახასიათებს მის საზღვრებს დიდ არმენიასთან, სპარსეთთან და წერს: „ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია თბილისი, რომელიც საიმედო ადგილას მდებარეობს და ჩაუდის პატარა მდინარე მტკვარი, ახლო მოეზოდან რომ ჩამოედინება და მდ. არაქსს მიერთვის.25. ამ ადგილეს ბტოლემეს ცნობით Zogokara ეწოდება... ხოლო იოსკუ ბარბოზას (ბარბარო?! — ი. დ.) ცნობით, აქ

25 შავიზღვისპირეთისა და ამიერკავკასიის პილდოლოგური ქსელზე არაერთი საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული XVII ს-ის იტალიელ დომინიკანელ ბერს ლორტელი დასკოლის. იხ. მისი: *Descrizione del Mar Negro e della Tartaria per il D. E. Dascoli, 1636*, არის რუსული თარგმანიც პიმენოვისა «Описание Черного моря... ЗООНД, (XXIV), 1902.

შღრ. Giovanni da Iucca (XVII ს.) *Relatione fatda da me Fra Giovanni da Lucca Domeuicano circo il modo da vivere colle particola rita de'costumi deilli Tartari percopiti, Nogai, Circassi, Abbaza etc. Mengrili e Giorgiani, 1633*, იხ. Tamarati, გვ. 444.

გ. დაპერის მიერ აღნიშნულ მესამე გზაზე მიანიშნება Fra Antonio di Fiandra, იხ. Berchet. დას. წ. გვ. 218—225.

26 აქ დაპერს, გეოგრაფიული აღწერისას, აშკარა უზუსტობანი აქვს დაშვებული.

იხაკ ღაბიათაშვილი
რეზუმირ ღაბიათის ცნობები სპარსეთის შესახებ.

22. ტაბულაში (იხ f. 2) დაპერს მხოლოდ 22 ასო მოჰყავს.

23. მართალია დაპერი არ მიუთითებს მთელ რიგ იტალიელ მისიონერ ბერებზე (თეათინური-დომინიკანური ორდენების წარმომადგენლები) გრანეც, ფანცა, დასკოლი, ფინდრა და სხვ, მაინც რიგი შინაარსობრივი დამთხვევები გვაფარაულებინებს, რომ დაპერს, გარკვეულად, მათი ცნობებითაც უნდა ესარგებლა.

24. XVII ს-ის დომინიკანელი ბერის ფანცელას ცნობით, ამ პერიოდში საკმაოდ ყოფილა საქართველოში გაერთელებული თურქული ენა (ჩანს...დას. საქართველო იგულისხმება—ი. ჯ.), „ხოლო ბერძნული ენა მხოლოდ სასულიერო პირებმა და მცოდნე ხალხმა იცის“.

დღესაც გვხვდება საქართველოს ამ მხარის გამგებულთა საპარზები. დაახლოებით ამ საუკუნის დასაწყისში მას ვინმე სიმონი მართავდა, რომელიც მერე კონსტანტინოპოლის ციხეში დაიღუპა.²⁷ შემდეგ ქვეყანას სიმონის შვილიშვილი ლუარსაბი მართავდა²⁸, რომელიც სპარსეთის გამგებლობამ კახეთის მეფე თეიმურაზთან ერთად საქართველოდან გააძევა. ლუარსაბი სპარსეთში გარდაიცვალა... სპარსეთმა 1622 წელს (ქმ)-ის მიხედვით 1619) ამ სამეფოში მეფე ლუარსაბის გამაჰმადიანებელი ძმისშვილი ბაგრატ მირზა დააყენა ხანად და გამგებლად“ (ქ. 5).

ამ ეპიზოდს ქმ-ის პარალელური ტექსტი ასე გადმოგვცემს: „ხოლო შემოვლო კახეთი შააბზ და მოვიდა ქართლად და დასუა მუნ ქართველი ბატონად მმისწული მეფისა სვიმონისა ბაგრატ, მაშინ ქრისტეს აქეთ ჩქით (1617). ნაშობი კახის ბატონის გუარის ქალისაგან“. ტ. II, გვ. 400. სხვაგან: „ხოლო დაჯდა ქათლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მამაონისასა და არცა იყო ღირსი მეფობისა...“ ქმ გვ. 402 (შდრ. ვახუშტი. დას. წ. გვ. 39).

თურქეთ-სპარსეთის ომს²⁹. უკავშირებს დაპერი თეიმურაზისა და ლუარსაბის დამარცხებასა და დაღუპვას. იგი პირდაპირ აღნიშნავს: „...თურქეთი და სპარსეთი ერთდღედნენ რა ამ ორი ქართველი მეფის საქმეებში, დავობდნენ იმაზე, თუ ვის უნდა დამორჩილებოდნენ ისინი“ (ქ. 6).

ამ დავას კი სისხლისმღვრელი ომების მთელი სერია მოსდევდა ჩვეულებრივ. დაპერი ქებით იხსნივს ლუარსაბის ერთგულებასა და თავდადებას ქრისტიანობისადმი³⁰ და გულისტკივილით ღაპარაკობს მისი დაღუპვის შესახებ ტყვეობაში ქალაქ ასტრბადში (ქ. 6-7). დაწერილებით გადმოგვცემს აგრეთვე თეიმურაზის მრავალმხრივი მოღვაწეობისა და ანტისპარსული ბრძოლის ეპიზოდებს³¹. მისი აზრით, ის გა-

რემოება, რომ „ქართველ მეფეებს (Vorsten) ხშირად ლაღატობდნენ მათი თავადები და დიდებულნი edelen რომლებიც სიამოვნებით უკენებდნენ გზას მოხველურ მტერს და ქვეყნისაკენ მიუძღვებოდნენ „...არის მიზეზი ქართველ მეფეთა წარუმატებელი ბრძოლისა საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე (ქ. 8). ამ გარემოებამ განაპირობა თეიმურაზის ანტისპარსული ბრძოლის წარუმატებლობაც³².“ შედეგად, — განაგრძობს დაპერი, — სპარსელები დამკვიდრდნენ ქვეყანაში³³.

რისი გაკეთება-ლა შეეძლოთ ქართველებს? — მათ გაერთიანება რომ მოეხერხებინათ და საკუთარ სახლში წყურსი მმართველობის დამყარება. ათარ მოუხდებოდათ თეიმურაზის შენარჩუნება-დაცვაზე ფიქრი...“ (ქ. 8).

გაცილებით ადრე, ვალე მიუთითებდა საგანგებოდ შაჰ აბასის პოლიტიკურ ტენდენციებზე, მიმართულს ცალკეულ ქართველ გამგებულთა შორის ურთიერთშულის გაღვივებისაკენ³⁴. შემოთქმულიდან აშკარად იკვეთება დაპერის როგორც ევროპელი ისტორიკოსის მიერ პოლიტიკურ-სოციალური რიგის მოვლენებზე დაკვირვებისა და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარი.

3. 5. „ქართველები სტოვენენ სამშობლოს და სპარსეთს მიღიან“ — ასეთი სათაური აქვს ქვე-

²⁷ სმარტილიანდ შენიშნავს თ. ბოცვაძე. — თეიმურაზის მთელი უბედურება ის იყო, რომ იგი მოხვდა რუსეთ-ირანის, თურქეთ-რუსეთისა და თურქეთ-ირანის ურთიერთობათა ისეთ სტადიაში, როდესაც თითოეული მათგანისაგან საქინტერესების აშკარა დაცვა შეიძლებოდა მათ შორის განვითარების ვაშლად ქვეყნულიყო“. იხ. დასახ. წიგნი, გვ. 103.

თავადთა ნაწილი პოლიტიკურ კონსტრუქტორს უყურებდა; მაგ. იოთამ ამილახორის შესახებ ქმ წერს: „ხოლო იოთამ ამილახორი ხან მიუღებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და, სიტყვაც დროი დააქნდის, იქითვე იყვის“. გვ. 423.

შდრ. ვახუშტი: „არამედ იოთამ ჯამთა მკვრეტი ჯამიყვის ბატონის თეიმურაზისა თანა, ჯამ როსტომის წინაშე“. გვ. 48.

³³ ქმ: შაჰ აბასმა „დასუა მუნ ბატონად ლეიქარხან და მოუყენა, რომელიმე ჯარი და ელი...“ გვ. 401. შდრ. „ელის დებულება“ „დასტურალაბაი“ 3. უმეცაშვილის გამოც. თბ., 1886, გვ. 27-75.

„და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათარებლად და ელის დასახლება“. გვ. 434.

³⁴ იხ. Pietro della Valle, *Relazione della condizione di Abbas, re di Persia, Venezia, 1628.*

²⁷ შდრ. ქმ გვ. 380, 536... ასევე: ფ. გორგჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ტფ., 1926, გვ. 15.

²⁸ „რომლის ჟამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახაკი და საქმართაგან უღონო“ ქმ გვ. 384.

²⁹ შდრ. Th. Minadoi, *Historia della guerra fra Turchi e Persiasi, Venetia, 1588.*

³⁰ შდრ. ქმ გვ. 396: „...და უშიშ იყო ვითარცა ღომი საყოფელსა თვისსა და არა იგონებდა წარმავალსა ქუეყნიერსა ბრუნვასა, არამედ ზეზმად მიმართ აღაფრენდა გულსა და გონებასა თვისსა“.

³¹ იხ. М. Д. Полиевктов, *К вопросу о сообщении Ростомя Карталинского с Москвою, Известия ИЯИМК, № V—VI, Тб., 1940, стр. 523.*

თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, XV-XVIII), თბ., 1968, გვ. 96-103.



თავს, რომელსაც პოლანდელი ისტორიკოსი და-
მარცხებული ქართველთა უკუღმართ ბედზე ლა-
პარაკობს. ყველას იძულებით დაატოვებანეს
სამშობლო, კაცსა და ქალს, თავადსა და მდა-
ბიოს, დიდსა და პატარას, ყოველგვარი ასაკის,
ქონარისა და შესაძლებლობის მქონეს... მეფის
ჯარი მისდევდა მათ უკან; ასე ჩაიყვანეს ისინი
სპარსეთში. სამშობლოდან შორსმს, ჩასახლეს
კასპიის ზღვის რაიონებსა (ქირმანი, მახანდერა-
ნი) და სპარსეთის სხვა ადგილებში³⁵. მათთან ერ-
თად ჩერქეზებიც წაიყვანეს, ეს ის ჩერქეზები
იყვნენ, — გვიხსნის დაბერი, — რომლებიც სა-
ცხოვრებლად ჩერქეზეთიდან კახეთს ჩამოსახლ-
დნენ. ახლა კი ქართველებთან ერთად გაიზიარეს
სპარსეთში გადასახლების მწარე ხვედრი“ (ქ. 9).

ჩანს, ჩერქეზები სხვადასხვა ადგილებში (კომ-
პაქტურად ფარისტანსა და მაზანდარანში) და-
სახლებულან და ჩქარა შეგუებიან ადგილობრივ
ცხოვრების წესს, რელიგიასა და ჩვეულებებს
(იქვე). დაბერი სინანულს გრძნობთ აღნიშ-
ნავს, რომ გადასახლებული ქართველები ცულ,
უცხო ვაგრძელონ აღმოჩნდნენ და „შომშლით
რომ არ გამწყდარიყვნენ, იძულებული გახდ-
ნენ, მაშპაღიანობა მიეღოთ (ქ. 9). ...მრავალი
მათგანი სპარსთა მონობაში მოექცა... როგორც
კაცი, ასევე ქალი“ (იქვე). მათი სიღამაშით მო-
ხიბულ „შპა აბასს მრავალ ჰყოლია მსახუ-
რებად ქართველი კაცები და ქალები და სხვას
არავის არ იმსახურებდა“ (იქვე).

ფერებს არ უნდა ამქეებდეს დაბერი, როცა
წერს: „მაშემა ძალიან შორს არიან შეიღებისა-
გან, ქმრები ცოლებსაგან, მშებნი დებისაგან...
ვაფანტულან ერთმანეთისაგან დაშორებულ
სივლებში... სპარსელები დიდი რაოდენობით
ყოფიან მათ, ამდენად მათი შეძენა შეიძლება
ისეთივე მცირე ფასით, როგორც პირუტყვისა“.

3. 6. უბრუნდება რა თეიმურაზის შემდგომ
ბედს, დაბერი წერს: „სხვა ქართველი მეფის
მიერ³⁷, განდევნილი თეიმურაზი თურქეთს³⁸
აღარებს თავს, სადაც მსს სამართავდ ქალაქი
გონიო (kogne) მისცეს კაპადოკიის მცირე ნა-
წილითურთ“ (ქ. 10).

დაბერი კარგად ხვდება თეიმურაზის სამხედ-

რო მიზნებს, კერძოდ, მის ცდას, დაიყოლოს
თურქები სპარსეთის საწინააღმდეგო მოქმედებებზე
ბაზე, რასაც თითქმის მაილწია კიდეც გააგრძელებს
ლად³⁹. და აი, თეიმურაზი „ქალაქ არღენდის
მიადგა, რომელიც სპარსელების მიერ წმინდა-
ადგილად იყო შერაცხული, მათი უმადესი
წმინდანის შეხიუხუტვის სამარხის გამო; თეი-
მურაზმა მოაოხრა იგი, რითაც საქართველოში
მოხრებული ეკლესიების შერი ძიია“ (ქ. 10).

შემდეგ დაბერი თეიმურაზისა და თურქთა
უმაღლესი სარდალს ჰალია-ბაშის (300 000 კა-
ციით) ერთობლივ ანტირანულ სამხედრო ოპე-
რაციებზე ჩერდება. მათ მოგვიანებით ამბოხე-
ბული სომეხი ქრისტიანების ჯარი მიერთებია
დეღუ-მელიქის მეთაურობით⁴⁰. ერთობლივი
ანტისპარსული კოალიცია ჩქარა დაშლილა,
რადგანაც თურქთა უმაღლესი სარდალს აწინიგ-
ხელი აეღო სპარსეთის წინააღმდეგ ომზე და-
კონსტანტინოპოლში გაბრუნებულყოფ, სადაც
„ეროპელთა ჯარებს საომარი მოქმედებები და-
ეწყით ოსმალთა წინააღმდეგ“ (ქ. 10). ასე იყო-
თუ ისე, ნებით თუ უნებლოეთ, ამჟერად ევრო-
პული ქვეყნების სამხედრო მოქმედებებმა თურ-
ქების წინააღმდეგ განაპირობეს თეიმურაზის

39 ქმ „ხოლო რაჟამს მოვიდა ბატონი თეი-
მურაზ სამშობლოს, მაშინ იჯდა ხონთქარი სულ-
თან-იბრაჰიმ; შეუხვეწა ბატონი თეიმურაზს;
სთხოვა ჯარი... „მაგრამ უარი მიიღო, რადგანაც
მაშინ „ყოზილბაშთა და ურუმთა შუა საღიჯარი
იყო და შერიგებულყოფნათ, როდეს ვაეყოთ
ქვეყნები, სირიზა დაღეფეთ, რომ არღარა იყოს
ბრძოლა ერთმანეთში...“ გვ. 403.

საინტერესოა, რომელ წყაროს ემყარება და-
ბერი, როცა თეიმურაზის მიერ ანტისპარსულ
მოქმედებებში თურქეთისა და დელუ-მელიქის
დაყოლიებაზე წერს?!

ქმ მხოლოდ ხონთქარისაგან განდგომილ
ქალიზბაშთან თეიმურაზის (7000 კაცი) გამარჯ-
ვებას იხსენიებს. გვ. 403. სხვაგან უარაბალის
მოხრებაზეა ლაპარაკი. გვ. 416. შდრ. ფ. გორ-
გიჯანიძე, გვ. 30-31. მისივე გადმოცემით ხონთ-
ქარი ანტისპარსულ მოქმედებებზე უარს რელი-
გიური მოსაზრებებით ასახულებდა: „ხოთქარ-
მან ბატონს თეიმურაზს მოახსენა: ჩვენგნით
ლაშქარს თხოულობ ყიზილბაშზედანი, ჩვენ და-
ისინი ერთის რჯულიანი ვართ და შენ ქრის-
ტიანი ვართს!“ გვ. 23.

40 დაბერი ასე განმარტავს დელუ-მელიქის
სახელს: „შემლილი მელიქი — წერს იგი, —
იმ მიზეზით შეარქვეს, რომ თავისნება იყო და
ხშირად ევათებოდა სპარსეთის ხელმწიფის“.
(ქ. 10)

35 შდრ ქმ „და წარვიდა (შაბაზ) და ჩაე-
ლო კახეთი და ამოსწყვიტა. და წაივიდა და მოა-
ოქრა და სხუანი აპყარნა და თანა წაასხნა... რო-
მელიმე ფერისა...“ გვ. 401.

36 ვახუშტი: წაირიყვანა აყრილინი კახნი
ტყვედ, და დასხნა რომელიმე მაზანდარს, ხვა-
რასანს და ფერისას“. იხ. ჩუბინაშვილი გვ. 118.
აღსანიშნავია, რომ ჩერქეზების გადასახლების
შესახებ ქართულ წყაროებში არაფერი არაა
ნათქვამი.

37 იგულისხმება ბაგრატ მირზა.

38 შდრ. ქმ „...ხოთქარმან... მიხვდა გო-
ნისა (დაბერის kogne ი. დ.) და ახალციხესა და
გარემემო მისსა მამული სარჩოდ...“ გვ. 402.

ინსა ღავითაშვილი
ოლმობრ ღავირის ცნობები სამართავლოს
შესახებ.

შორივი ანტიპარსული ღონისძიების ჩაშლა, მასაც ისლადარჩენოდა, უკან დაეხია თავის ქვეყანაში და თურქთა მიერ ბოძებული გამგებლობა აელთხელთ“ (იქვე).

შემდეგ დაპერს შირაზში გადაყვარათ, სადაც შაჰ აბასმა თეიმურაზის დედა დედოფალი ქეთევანი აწამა 1624 წლის 24 ოქტომბერს (Herfst laenti), ხოლო მისი შვილი-შვილები ლევანი და ალექსანდრე დაასაბურთეს (f. 11)41.

4. 1. ქართლის და მისი ისტორიული ვითარებას აღწერის შემდეგ დაპერი კახეთს ეხება, რომელიც მას იბერიისა და ალბანიის ნაწილებად აქვს წარმოდგენილი. კახეთში იყო მეფე თეიმურაზის სატახტო ქალაქი ჰეგამი (Zagain, Zafam). მნიშვნელოვანი ქალაქიაო გრემი42, მეფეც და დიდებულნიც, რომელთაც ახნაურთ უწოდებენ, სოფელ ადიღელში უფრო არჩეულ ცხოვრებას, ვინემ ქალაქად (f. 5).

ქალაქში ხელოსნობას და ვაჭრობას უცხოტომოვანი პირები მისდევენ, რომლებიც აქ მრავლად არიან (სომხები, ებრაელები). საკუთრივ ქართველები იმით არიან დაკავებულნი. ან მშვიდობიან დროს მიწათმოქმედებას მისდევენ, აი ბერძნული Georgi მიწათმოქმედთ ნიშნავს“ — დასძენს დაპერი (f. 5)43.

საერთოდ, ქალაქები ცოტაა კახეთში, — წერს დაპერი, — თუმცა ქვეყანა მრავალი ლამაზი სოფლებითა და დაბებით ყოფილა დასახლებული44, ყოფილა ამ დროს მრავალი კარგად ნაგები ეკლესიაც.

დაპერის აზრით, კახეთს განსაკუთრებული გამგებელი (Vorst — თავადი მეფე) მართავდა, უკანასკნელი ასეთთაგანი თეიმურაზი იყო. (f. 5).

4. 2. პოლანდიელ ისტორიკოსსა და გეოგრაფს საქართველოს (ერთ-ერთ უძლიერეს მხარედ იმერეთი ანუ ბაშაიჩის ქვეყანა მიაჩნია)45. იმერე-

თი დასავლეთით სადადიანოს (Dadian) ანუ სამეგრელოს და გურიას ესაზღვრებო. გვეუბნები რჩება დაპერის ფრაზა: „ამ მხარესსა იმერეთისა — ი. დ.) აქვს ქალაქი იმავე სახელისა“ (Jmereti? — ი. დ.), სხვა მისდამი დაქვემდებარებულ ქალაქებთან ერთად46. შესაძლოა ქუთაისის გულისხმობდეს დაპერი, ყოველ შემთხვევაში ეს ადგილი ტექსტში ბუნდოვანია (f. 4).

მეფეს, რომელიც დღეს მეფობს ამ ქვეყანაში, გიორგი ქვეია, მისი მოკლე (? — ი. დ.) ტიტულია მეფეთ-მეფე, რომელიც მხოლოდ წერილობითი ფიქსაციისას (in schrift) იხმარება, ჩვეულებრივ კი მას გიორგი მეფეს უწოდებენ47. ამ მხარეს თურქები ბაშიაჩუცის ანუ თავლიათა (ongedekit hooft) ეძახიან.

დაპერი ხაზს უსვამს იმერთა მეფის სიძლიერეს. „ადრე, — წერს იგი, — დადიანი და გურიელი იმერთა მეფის ქვეშევრდომნი იყვნენ (რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით მეტ მიწებს ფლობდა, ვინემ ისინი...48). და ასეც იყო, რომ როცა იგი ცხენზე მხედრდებოდა, ერთს სადავე ეჭირა, მეორეს კი უზანგები (steegzeel-reef) შეშვდომ ისინი ისე ვაძლიერდნენ, რომ არა მარტო დააღწიეს თავი მის ქვეშევრდომობას, არამედ ვაუთანებდნენ კიდევ მას ძლიერებით და მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ერთიანდებოდნენ“ (f. 4)49.

მაველითისთვის იგი გადმოგვცემს 1622 წლის ამბებს, როცა დადიანმა იმერეთს შეუტია, ხოლო მეფემ დახმარებისათვის შაჰ აბასს მიმართა და ვინემ Battoni Mehrab-ის შეიარაღებული რაზმები გამოითხოვა თბილისიდან და გორიდან:

ნაგულისხმევი? — ი. დ.) ნუ უკუე კახეთი ჰან დაიპყროს და მოვიდა კახეთს... და გაბატონდა თეიმურაზ და მაშინ იყო კაუტრისა“. გვ. 383 (1615 წ.). სხვაგან:“ და მაშინ (1617 წ.) კეთილად ბატონობდა ბატონი თეიმურაზ კახეთისა“. გვ. 384.

48. ქ. ქუთაისზე არაორზროვნად ლაპარაკობს ლამბერტი, გვ. 10, ცხადია დაპერს ამ ადგილით, რომ ესარგებლა, აღარ დაწერდა: — „ამ მხარეს აქვს ქალაქი იმავე სახელისაო“...

47. შესაძლოა დაპერს საკუთარი სახელი ერის აღმნიშვნელ საზოგადო სახელად ესმოდეს, რამეთუ Georgier Koning — ქართველთა მეფე.

48. ჩანს, პოლანდიელ ისტორიკოსს ქვეყნის ან მისი მეფის, გამგებლის სიძლიერე (პოლიტიკური-სამხედრო თვალსაზრისით) უშუალოდ მიწათმფლობლის რაოდენობრიობის ხარისხიდან გამოკაცეს.

49. ქმ: „ხოლო ეამსა ამას მყრობელი იმერთისა გიორგი და დადიანი შურად ედგნენ ერთმანეთსა და იყო კლომა და შური ურთიერთას, აოკრებდნენ ქუეყანასა ურთიერთას“. გვ. 415.

41. ქმ: „და ესრეთ სრულ-ყო წამება მისი და ლუაწლი წმინდამან ქეთევან...“ გვ. 401-402 შდრ. ვახუშტი, გვ. 118-119.

42. იხ. III. Месхия, Города..., стр. 106 — 109, 117 — 129.

43. შდრ. ლამბერტი, რომელიც იმოწმებს რა ბიბლიის ბერძნულ თარგმანს (დაბად. 9, 20) σοφς αυθρονος γεοργος ე. ი. ნოე — კაცი მიწათმოქმედი, მიანიჩა, რომ ქართველებს დღემდის მარტო სახელი კი არა, ჩვეულებრივ თავის პირიდანელი წინაპრისა (წინაპრებისა) შერჩენიათ. გვ. 9.

44. იხ. III. Месхия, Города... გვ. 106 — 108.

45. შდრ. P. Della Valle, Iufarmazione...

შდრ. ასევე ქმ: „მაშინ წამოვიდა თეიმურაზ ჩაუტრად (შაჰ აბასმა — ამჟობინა იგი ჩაუტრად გამოეშვა, ამ სამხედრო ჩინში ხომ არა დაპერი-სეული „განსაკუთრებული გამგებელი“ Vorst,

ელჩობა სპარსეთს უშუალოდ დამთავრდა⁴⁰.

ასეთი საშინაო შუღლისა და ურთიერთქმედობის ფონზე (დადიანი — იმერთა მეფე), დაპერი ამ ქვეთავის ბოლოს თითქმის განგებაც კი მიუთითებს მათ ახლო ნათესაურ კავშირზე — „იმერთა მეფეს ცოლად დადიანის და ჰყავდაო“ (f. 4).

4. 3. გურის⁴¹. შესახებ ოლფ. დაპერი ასე წერს: „სამეგრელოს სამხრეთით, შავი ზღვის ზემოთ კაბადოკიის, ტრაპიზუნდისა და გონიოს საზღვარზე მდებარეობს გურის მხარე, რომელიც იმწმობს დაპერი დელა ვალეს, კაბადოკიის ანუ კოლხეთის (?) ნაწილია... 1620-იან წლებში მას მართავდა ერთი თავადთავანი, რომელიც შთამომავლობით მეფეთა უძველეს შტოს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მდებარეთა (Dienaeers) წრიდან იყო გამოხული, მას იესე (? — ი. დ.) ერქვა⁴², მეორე თავადი კი სამეგრელოს მართავდა“ (f. 11).

ამრიგად, დაპერის თხრობიდან თვალნათლივ ჩანს დამოუკიდებელი, დაქსაქსული ქვეყნის ვითარება.

5. 1. შედევლობიდან არ გამოჩნდა დაპერის ის ისტორიული ვითარება, რომელიც ადრე იყო საქართველოში. ეხება რა მმართველობის სისტემას; საერთოდ, იგი შენიშნავს: „წინაო ქვეყანას ერთი მეფე მართავდა, რომელსაც სპარსელნი და საეუთრიე ქართველებიც შაჰს ემსახურებდნენ (იმწმობებს ტყეხირას)... 1430 წელს კი საქართველოს თავს დაესხა ყარა ჯუსული და მოკლა კონსტანტინე, რომელიც მაშინ მეფეობდა.“

1507 წელსაც ერთი მეფე ჰყავდა ქვეყანას, სახელად ბაგრატი (f. 3). ბაგრატი ქვეყანა ოთხ საგამგებლოდ (zoonen) დაჰყო... უფროს

⁴⁰ 4. ქმ: „და მიერთვან მძღაერობდა დადიანი იმერეთზედა...“ გვ. 421.

⁴¹ გურია-სამეგრელოს აღწერისას, დაპერი, გარკვეულად XVII საუკუნის ფრანგი იეზუიტი ბერის I. Granger-ის ცნობებითაც უნდა ესარგებლა იხ. Aug. Carayon, Documents inedits concernant la Compagnie de Iesus V. XX., 1869.

ასევე: Tamarati, op. cit., გვ. 491-494. (განსაკუთრებით სარწმუნოებრივ-რელიგიურ საკითხებზე მსჯელობისას)

⁴² ევგენობო. სხენებულ თავადში სვიმონ მამიას-მე გურიელი იველისებდა. იხ. ქმ „ესე სვიმონ გურიელი იყო კაცი მქნე და გულოვანი, და მოვიდა ესეც ლანჩხუტს, შეიბინე, და გაემარჯვა ლევან დადიანსა, შეიპყრა სვიმონ გურიელი და დასწვა თუალევი და გამოაბრთა დაჲ თვისი მარიაჲ და დასუა გურიელად ქაიხოსრო“. გვ. 419-420.

ეახუტო: „შეიპყრეს სვიმონ გურიელი და მოართუნა დადიანსა, მაშინ ლევან დადიანთან აღმოხანდა თვალნი სვიმონს და დასვა გურიელად ქაიხოსრო“. გვ. 198.

ვინაა დაპერის მიერ მოხსენიებული იესე?

შეილს ყველაზე დიდი ნაწილი უბოძა, სწორედ ამის გამო დღესაც შერჩა მას ტიტულე, ქვეყნის მფეისა, სხვები კი საქართველოს თავადთა ტულთი დაქმავიფილდნენ (Prinsen)⁴³ ესენი დღესდღეობით ექვსნი არიან, ოთხი მეფეთა სისხლს ეკუთვნის, ორი კი მეფეთ-მეფის მსახურთავან დაწინაურდნენ და გამლიერდნენ... (f. 4)⁴⁴.

ასე თანმიმდევრულად წარმოვიდგენს პოლადიელი ისტორიკოსი ქვეყნის დეცენტრალიზაციის შორს წასულ პროცესს, ავიწყრს საერთო ვითარებას XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

5. 2. ქართველთა სარწმუნოებრივ მხარეზე მსჯელობისას, დაპერი აღნიშნავს: „ქართველები კონსტანტინე იმპერატორის დროიდან არიან ქრისტიანები, მათ შორის ეს რელიგია მხევალმა ქალმა (slavin) გაავრცელა“. თუმცა აქვე არასწორად დასძენს: „ქართველებმა კ არ იციან მისი სახელი“ (f. 3). საშავიეროდ რომელთა ეპისტოლეებსა და წმ. მოწამობრივ წიგნებში მას Ancella (Nino) — ი. დ.) ერქვაო (იქვე). ქართველები თავიდანვე მისდევდნენ ბერძნულ წესს და დღესაც მას იცავენ⁴⁵ (f. 3). დაპერი საყურადღებოდ მიიჩნევს ტომარო მინაღლის ცნობას, რომ „სახლეიერო სამსახურს ქართველები ქართულ ენაზე ატარებენ და არა ბერძნულად... მართალია, სცნობენ (აღიარებენ) კონსტანტინოპოლის პატრიარქს. მას მაინც არ ემორჩილებიან უშუალოდ და საეუთარი მიტროპოლიტი ჰყავთ“. (f. 3).

⁴³ შდრ. ლამბერტი, op. cit., გვ. 11. თუმცა იგი არ აღნიშნავს, რომ „უფროს შვილს ყველაზე დიდი ნაწილი უბოძაო“... (ე. ი. იმერეთი — ი. დ.) როგორც ამაზე მოუთითებს დაპერი.

⁴⁴ არც ახლად წარმოქმნილ საერისთავოსათავედოთა რიცხვს ასახელებს ლამბერტი.

⁴⁵ XVII საუკუნის გარიგაზე, თეათინური (ლამბერტი, ვალე) და დომინიკანური ორდენის (ფაენა) ბერები, რომის პაპისადმი წარდგენულ ანგარიშებში, — ამტკიცებდნენ, რომ კათოლიკური პროპაგანდა საქართველოში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს, ან შეიძლება ჰქონდეს. (რა თქმა უნდა ბერძნულ-მართლმადიდებლური წესის შეზღუდვით. იხ. მაგ. Faenza, Sincera relatione dei regni della Georgia, Napoli, 1621. Tamarati, 494-496.

გაცოლებით სეკტატურად იყო განწყობილი არც ლამბერტი ბერძნული ტიპიკონის ქვეყნებში (რუსეთი, საბერძნეთი, გალიცია, ბულგარეთი, საქართველო) კათოლიკობის გავრცელების მიმართ. იხ. სამეგრელოს აღწერა. თბ. 1938, გვ. 3.

იხბა ღვთისმშობლი
ილფმბრ ღვაპირის ცნობები სპარტოპოლოს შესახებ.

ქრისტიანობის, როგორც სარწმუნოების წმინდად დაცვისა და შენახვის თვალსაზრისით, დაპერი მის ველგარიზაცია-შერყვნას სწამებს ქართველთ, თუმცა ხაზს უსვამს მათ მტკიცესა და ერთგულ დამოკიდებულებას ქრისტიანულ სარწმუნოებისადმი.

5. 3. ქართველების ფსიქიკური წყობისა და ხასიათის შესახებ დაპერი წერს: „ქართველები არ არიან ველურნი და უმეცარნი, პირიქით, მეტიმეტად სათნო ბუნებისანი არიან, თუმცა თავის საკუთარ ჩვეულებებზე (manier) არიან აღზრდილნი; ესაა კეთილშობილი, კარგი თვისებებით აღსაჯე ხალხი... დიდებულთ (Edelen) აზნაურებს უწოდებენ. მათ მუდამ ხელთა აქეთ იარაღი და სულ არაკეთილმოსურნე მამა-ლიანთა წინააღმდეგ არიან ბრძოლაში. არც თუ ისე ბევრია წერა-კითხვისა და, ბერძნების მსგავსად, განათლების მქონე... ოდნავ ახირებული ხასიათიც მოსდევთ... ბერძნებით ამპარტაენანი და დიდგულნი როდი არიან, პირიქით, შრომისმოყვარე და კეთილგონიერი ხალხია...“

როგორც Keotwijk-ი იმორწმებათ, —

წერს დაპერი, — ქართველებს სწრაფვა აქვთ სმისა და დატობისაკენ... ქალები ფეხებზე წინი, განათლებულნი და უღამაზესი არსებობენ მთელს აზიაში. კაცებიც და ქალებიც ტანმალანი არიან... დიდრონი, შავი-ყავისფერი თვალები აქვთ... სახე უმეტესად შეწითლებული აქვთ, როგორც ჩანს, ღვინის მიზეზით“ t. 29.

5. 4. ცალკე ნაწილად აქვს ოლფ. დაპერს აღწერილი ოდიშის ანუ სამეგრელოს (ძვ. კოლხეთი) მხარე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეგრელოს აღწერისას დაპერი ძირითადად არქ. ლამბერტის ცნობებს ეყრდნობა.⁵⁶

ასეთია დაპელობით საკითხების ის არე, რომლებიც ოლფ. დაპერის „სპარსეთის აღწერის“ შესწავლის დროს წამოიჭრა. დღემდე რამდენადმე უცნობი „სპარსეთის აღწერა“, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის საქართველოს საშინაო თუ საგარეო ვითარების შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისით.

⁵⁶ იხ. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, აღ. ჭყონიას თარგმანი, თბ., 1938.



ქეთევან ბუჩხუაძე

რამელივე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მიმდევარ პოეტზე

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოეტ იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძეს: „იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე, ჩვენი დროის ცნობილი მთარგმნელი ბაირონისა ქართულად...—წერს ი. როსტომაშვილი...—დროებით დაწყობილი თითქმის არც ერთი ქურნალი და გაზეთი არ ყოფილა, რომ იოსებს მცირე რამ მონაწილეობა არ მიეღოს ლექსების და სტატიების, თუ კორესპონდენციების წერითა“¹.

ი. ბაქრაძეს, როგორც ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს, იხსენიებენ ქურნ. „ივერია“², გაზ. „თეატრი“³, პროფ. ალ. ხახანაშვილი⁴, სოფრომ მგალობლიშვილი⁵ და სხვ.

იმ დროს, სამოედათიანი წლების დასაწყისში, — წერს ს. მგალობლიშვილი, — ქართველ საზოგადოებაში გასული იყო ჩვენი ამხანაგი იოსებ ბაქრაძე, პოეტი; იგი ნათესავი იყო ანტონ ფურცელაძისა, ვისთანაც ხედებოდა იგი ჩვენს მწერლებს⁶.

სწორედ ი. ბაქრაძემ გააცნო პირველად ს. მგალობლიშვილი ი. ჭავჭავაძეს, როგორც ივერიის კორესპონდენტი:

„პირველად ილია გაიციან 1877 წლის შემოდ-

გომაზე, — წერს ს. მგალობლიშვილი, — როცა ივერიას თანამშრომლად გავუხდით... პოეტ იოსებ ბაქრაძისთვის ეთქვა, დაიბარე შენი მეგობარი კაცი და გამაცანიო... წამიყვანა იოსებმა, გზაზე საშინელი ლეღვა ამივარდა. იოსებმა ლაპარაკზე შემეტყო. გვეტყვი, რომ ილიას დანახვაზე ენა ჩამივარდებდა და რას იფიქრებს, ეს უნო კაცია ჩემი თანამშრომელიო“⁷.

ი. ბაქრაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოიპოვა პოპულარობა მკითხველთა ფართო მასაში. ზოგიერთი მისი ლექსი პოეტის სიჭაბუქეშივე იქცა სიმღერად. ასეთი ბედი ეწია მის „სიმღერას“ (არც სახლი მაქვს, არც კარი), რომლის შესახებაც ს. მგალობლიშვილი ვადმოგვემს: „ვასო (დევანოზიშვილი, ქ. ბ.) წერილებს უყრიდა ძირს ტუსალებს⁸. და ისინი აგზავნიდნენ დანიშნულების მიხედვით. ვასომ მაინც ვერ მოსვენა, პაპიროსის ქალღმრთელ მარგალიტის პრობით წერილი ყარანდამით სწერდა ჩვენი პოეტების ლექსებს და უყრიდა ტუსალებს; მაგალითად გაავრცელა ლექსი პოეტი სოსიკო ბაქრაძისა, რომელიც დაბეჭდილი იყო კვირულ „ივერიაში“ ოქტომბრის ფსევდონიმით — „არც სახლი მაქვს, არც კარი“... ეს ლექსი გავრცელდა ტუსალებში, რომელთაც თურმე სიმღერად გადააკეთეს“⁹.

ს. მგალობლიშვილი ცდება, როდესაც ამ ლექსს „ივერიაში“ დაბეჭდილად წარმოგვიდგენს¹⁰. მართალია, ეს ლექსი ი. ბაქრაძემ 1878

¹ ივ. როსტომაშვილი — რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წიგნი II, 1896 წ., თბილისი, გვ. 216-218.

² ქურნ. „ივერია“, 1881 წ., № 12.

³ გაზ. „თეატრი“, 1885 წ., № 15.

⁴ А. С. Хаханов — Очерки по истории грузинской словесности, вып. 4-й, литература XIX века, 1906 г., Москва, და მისივე — ქართული სიტყვიერების ისტორია, 1911 წ., თბილისი.

⁵ ს. მგალობლიშვილი — მოგონებანი, 1936 წ., ტფილისი.

⁶ იქვე, გვ. 175.

⁷ იქვე, გვ. 130.

⁸ ლაპარაკია 1878 წელს დაპატიმრებულ ხალხოსანთა შესახებ.

⁹ ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 107-108.

¹⁰ „ივერიაში“ დაბეჭდილადვე იხსენიებს ამ ლექსს ს. ყუბანეიშვილი (იხ. ი. ბაქრაძე — ლექსები“, 1938 წ. გამომცემლობა „ფედერალია“), უთუოდ პ-ლი ს. ყუბანეიშვილი ს. მგალობლიშვილის მოგონებების საფუძველზე გამოთქვამს ამ აზრს ქ. ბ.



წელს დაწერა, მაგრამ როგორც ჩანს, იგი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რადგან პირველად იგი დაბეჭდა 1880 წ. გაზეთ „დროების“ 106-ე ნომერში.

თავთ პოეტისავე სიცოცხლეში იქცა სიმღერად მისი სხვა ლექსებია: „უანგარო სიყვარული“, „როდესაც გული კენსას დამიწყებს“. სიმღერებზედ გადავიდა ხალხში აგრეთვე მისი თარგმანებიც: „ბრძოლა, ძმებო, ბრძოლა მამა-პაპერი“, „ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ“, „მერცხალო, მერცხალო, გახაფხულის ფრინველო“.

ი. ბაქრაძეს წერა დაუწყია ჯერ კიდევ სემინარიის მეოთხე კლასიდან, სემინარიელების ხელნაწერ ეურნალ „შრომაში“, რომელიც 1871 წლის მარტამდე გამოდიოდა. ეურნალში თანამშრომლობდნენ: გ. ეურული (რედაქტორი), ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ი. ბაქრაძე, მ. სანებლიძე, ი. მეუნარგია, შ. შიუთაშვილი და სხვ.

სემინარიაში ყოფნის დროს ი. ბაქრაძე ძალიან დაუახლოვდა თავის მასწავლებელს ი. გოგებაშვილს. „როგორც იაკობს, — წერს ს. მგალობლიშვილი, — ისე სხვა ქართველ მასწავლებლებს შემოჰქონდათ კლასებში ახალ-ახალი წიგნები ჩვენი მაშინდელი მწერლებისა, განსაკუთრებით ილიასი, გვიკითხავდნენ კლასებში ჩუმად, რომ სემინარიის მთავრობას არ გაეგო. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მაშინდელ მოაზრებებზე, რომელთაც სემინარიაში გამოსცენ ხელნაწერი ეურნალი „შრომა“. ამ იაკობთან შრავალი ჯგუფის გავლენით ალი-ზარდნენ სემინარიაში რამდენიმე მწერალი: ნიკო ლომოური, იოსებ ბაქრაძე, გიორგი უფთრავული, იონა მეუნარგია, სხვათაშორის მეც, ამ სტრუქტურის დამწერი და სხვანი“¹¹.

სემინარიაში ყოფნის დროსვე დაუახლოვდა ი. ბაქრაძე თეატრის მოყვარულთა წრესაც და მონაწილეობას იღებდა ქართულ წარმოდგენებში: „ამ წრესთან, — წერს ს. მგალობლიშვილი, — უფრო დაახლოვებული იყო პოეტი იოსებ ბაქრაძე, რომლის ლექსები უკვე იბეჭდებოდა „მნათობში“. იოსებ ბაქრაძის წყალობით წარმოდგენებში ვიღებდით მონაწილეობას მე, შიო შიუთაშვილი. ისინი ნათამე და სხვ.“¹²

პირველი პიესა, რომელშიაც ი. ბაქრაძე მონაწილეობდა და ასრულებდა ბოჭაულის როლს იყო „ქშარი ხუთი ცოლისა“.

ი. ბაქრაძე მარტო ლექსებს კი არ ბეჭდავდა ეურნალ „მნათობში“, არამედ დიდ მონაწილეობას იღებდა მისი ბეჭდვის ორგანიზაციის საქმეშიც. „1869 წლის მარტიდან გამოვიდა ეურნალი მნათობი. — წერს ს. მგალობ-

ლიშვილი, — რედაქცია ნიკო ავალიშვილის მთავრებული ჰქონდა თავის ძმის სახელს. მისი კალის ქუჩაზე. იქვე, ქვედა სართულში იყო პატარა სტამბაც. ერთი ხელის მამინა იყო, აწყობასა და დაბეჭდვაში ეშველოდით სემინარიელები: ვ. სამადაშვილი, ი. ბაქრაძე, მე და კიდევ სხვები“¹³.

მეშვიდეკლასელი სემინარიელი ი. ბაქრაძე ამ ეურნალის აქტიური თანამშრომელი შეიქნა. ეურნალში დაბეჭდა მის მიერ ბაირონიდან თარგმნილი ლექსები, ნაწყვეტები „დონ-ჟუანიდან“, ჰაინრიხ ჰაინეს ლირიკა, ნაწყვეტი ალფიერის „ვირგინიდან“ და სხვ.

სემინარიის პერიოდშივე ჩაება ი. ბაქრაძე ხალხოსნურ მოძრაობაში. როგორც ცნობილია, 1876 წელს ხალხოსნთა ერთმა ჯგუფმა მიწო (მიხეილ) ყვიფიას თაოსნობით მიზნად დაისახა ხალხისათვის იაფფასიანი ბროშურების გამოცემა, რისთვისაც სოფ. ტყვიავში, ვასო სამადაშვილთან, დააარსა სტამბა. ამ ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ: ი. ბაქრაძე, ს. მგალობლიშვილი, გ. უფთრავული, ნ. ლომოური, ვ. სამადაშვილი“¹⁴.

როგორც აღენიშნეთ, ი. ბაქრაძე, სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა. „პირველი შრომა იოსებ ბაქრაძისა — წერს ს. მგალობლიშვილი, — იყო „ჩაილდ-ჰაროლიდი“ ბაირონიდან ნათარგმნი. ეს ლექსი დაბეჭდა „მნათობის“ 1870 თუ 1871 წლის მეორე ნომერში... მაშინ სოსიყო ბაქრაძე ჩემთან ერთად მეშვიდე კლასში იყო“¹⁵.

ი. როსტომიშვილი ი. ბაქრაძის პირველა ლექსის დაბეჭდვის თარიღად 1869 წელს ასახელებს: „პირველი მისი ორიგინალური ლექსი, — წერს ის, — დაბეჭდა 1869 წლის „დროებაში“, მაგრამ რა ლექსი ყოფილა ეს თვითონაც აღარ ახსოვს. მეორე ლექსი იყო ნათარგმნი ჰეინეადამ, აღბეჭდილი ი. ელაჭიძის ფსევდონიმით“¹⁶.

თუ მართალია ი. როსტომიშვილის ცნობა და მართალი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც თავისი ლექსიკონი მან ი. ბაქრაძის სიცოცხლეში შეადგინა და, როგორც ჩანს, ცნობები თვით პოეტისაგან მიიღო. ი. ბაქრაძის კალამს უნდა ეყუთფონდეს 1869 წ. გაზეთ დროებაში დაბეჭდილ ხელმოუწერელ ლექსთაგან ერთ-ერთი მაინც¹⁷.

ი. ბაქრაძის მეორე ლექსი, რომელზედაც ი. როსტომიშვილი შიუთითებს თავის ლექსიკონ-

13 იხ. იქვე, გვ. 58.
 14 იხ. იქვე, გვ. 207-208.
 15 ს. მგალობლიშვილი, გვ. 59.
 16 ი. როსტომიშვილი, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 217.
 17 იხ. გაზ. დროება, 1869 წ. № 8, 16, 24, 32, 50.

11 იხ. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 47-48.
 12 იქვე, გვ. 48.



ში, არის უსათურო ლექსი „თუ რომ გავქვს შენა სარჩო მრავალი“, თარგმნილი ჰინდინა¹⁸.

ამ ლექსში ხაზგასმულია მწვავე სოციალური დიფერენციაცია საზოგადოებისა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ტრაგიული ყოფა მშრომელი ადამიანისა. პოეტი ერთგვარი ირონიით მიმართავს ჩაგრულს:

სადღავში ჩაღი, თუ ღარიბი ხარ,
რადგან სიცოცხლის ღირსი არა ხარ,
იმას აქვს მხოლოდ სიცოცხლის ნება,
ვისაც ჭიბეში რამ ებადება.

ლექსის ირონია და სიღარიბის ტრაგიზმი კიდევ უფრო მძაფრდება ბოლოს:

დღეს ძალიანა პური ძვირია,
რა ვქნათ! მაღალის ხმით შენ უვალობე
მეცენატების საყვარელ ძალღებს
და მით შუცველი გამოიყვებ!

როგორც ვხედავთ, სემინარიის მეშვედგ კლასის მოსწავლემ იმთავითვე სოციალურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება და მისი ორიგინალური შემოქმედება შემდეგში სწორედ ამ თემატიკითაა შეპირებული.

რაც შეეხება ბაირონის ჩაილდ-პაროლდს, რომელსაც ს. მგალობლიშვილი ი. ბაქრაძის პირველ ნაბეჭდ თხზულებად ასახელებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პოემის თარგმნი ი. ბაქრაძემ 1871 წელს დაიწყო და მისი ერთი ნაწილი ფურნალ „მნათობშიც“ დაბეჭდა¹⁹. მაგრამ როგორც მისი არქივიდან ჩანს, პოემა საბოლოოდ 1879 წელს²⁰ დაასრულა და იმავე წელს მთლიანად დაბეჭდა ფურნალ „ივერიაში“.

ი. ბაქრაძე სხვადასხვა ფსევდონიმით წერდა და ეს ერთგვარ სირთულესაც კი ქმნის, რათა თავი მოეფარათ ქართულ პრესაში გახვეწულ ყველა მის ნაწარმოებს. დღესდღეობით ი. ბაქრაძის ფსევდონიმებიდან ცნობილია: ი. ელაქიძე, ი. ოქრიაშვილი, გ. თენაძე, გ. ცაბაქურიძე, თ. გ. ც²¹. მის ლექსებსა და თარგმანებს, მის კორესპონდენციებსა და ფელეტონებს სისტემატურად აქვეყნებდნენ 1870-90-იანი წლების ფურნალ-გაზეთები: „ივერია“,

„მნათობი“, „მოამბე“, „დროება“, „ცხარე მწიკნი“ „ფურცელი“, „კვალი“.

იოსებ ბაქრაძე დაიბადა 1852 წლის 1 თებერვალს სოფ. არბოში (გორის მაზრა), სადაც მამამისი ჯერ დიაკვანად, ხოლო შემდეგ მღვდლად გაუმწესებიათ. მან ბავშვობიდანვე გამოსცადა ობლობა და სიღარიბე (ხუთი თვის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა). ყველაზე თბილად და თანაგრძნობით მას ნათესავთა შორის დეიდა (ნიკო ლომოურის დედა) ექცეოდა, რომელი ოჯახშიც გაატარა ბავშვობის უმეტესი ნაწილი. პატარა იოსები ჯერ გორის სასულიერო სასწავლებლებში მიაბარეს, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს, რომელიც 1875 წელს დაასრულა. სემინარიაში იოსები საუცუთესო მოწავე იყო. აქ მასზე ვაილენა მოუხდენიათ აგრეთვე უფროსი კლასის მოსწავლეებს, შემდგომში ცნობილ პროფესორებს — ვასილ პეტრიაშვილსა და ალექსანდრე ცაგარელს, აგრეთვე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ჯანაშვილს, რომელმაც იოსები მეგობრობას შემდგომშიც განაგრძობდა.

განსაკუთრებით უყვარდა იოსებს ლიტერატურა, „ფული რომ არ ჰქონია დაბეჭდილის ვეფხისტყაოსნისათვის, — წერს ი. როსტომაშვილი, — აულია და საკუთარის ხელით თვითონ ბოლომდის გადაუწერია ის“²².

სემინარიის დამთავრების შემდეგ ი. ბაქრაძემ მუშაობა დაიწყო ჯერ გრიგოლ მელიქიშვილის სტამბის კანტორაში, შემდეგ 26 წელიწადი მუშაობდა საოლქო სასამართლოში, ჯერ მდიუნის თანამშემწედ, შემდეგ კი სასამართლოს ბოქაულად.

„ამდენი ხანია იოსები არის ბოქაულად, — წერს ივ. როსტომაშვილი — და იშვიათად ყოფილა, რომ მას ვისმესთვის სახლის ავეჯეულობა გაეყიდოს, ყოველ თავის საქმეს ის უფრო მორიგებით ამთავრებს“²³.

ი. ბაქრაძის პიროვნებას შესანიშნავად გვიხატავს აგრეთვე მისი თანამედროვე მთარგმნელი ქალი ელენე ანტონის ასული მამულაშვილ-ვასაძეც: „იოსებ ბაქრაძე ნაშტანი პატიოსნებით აღჭურვილი ადამიანი იყო. მის ცხოვრებაში იმის პატიოსნებას ჩირქი არ მოსცხებია (ის იყო სასამართლოს მოხელე-ბოქაული). იყო ამისთანა შემთხვევა: ერთ დღილით იმის ბინაზედ მოვიდა ვიღაცა კაცი, რომელსაც ბლომად შეკრული რალაყები ეჭირა. მან იყითხა პრისტავი, სახლში არის; სახლში იყო და გამოვი-

¹⁸ ვაზ. დროება, 1870 წ., № 8.

¹⁹ იხ. ფურნალ. „მნათობი“, 1871 წ., № 2.

²⁰ საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, № 9358-6, ი. ბაქრაძის ფონდი.

²¹ ეფიქრობთ, ი. ბაქრაძესვე უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი ი. რომანიძე. ამ ფსევდონიმით დაიბეჭდა საყმაწვილო ფურნალ „წყაროში“ ლექსი „ყმაწვილის ღოცვა“ (1881 წ. № 3-4), ვაზ. „დროებაში“ „აავარებიანი სიყვარული“ (1878 წ. № 115), რომლის ორი სტროფი ი. ბაქრაძის არქივშიც აღმოჩნდა, პოეტის მიერ ჩასწორებული. ქ. ბ.

²² ი. როსტომაშვილი, გვ. 217.

²³ ივ. როსტომაშვილი, გვ. 218.

ქართველ ბურჟუაზიამ

რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ კომიტატ.



და. საღამო მისცეს ერთმანეთს და მერე მან გამოუწოდა თავისი მონატანი რაღაცები. ეგრე არისო რომ ჰკითხა, მან უთხრა თქვენ მე ისეთი საქმე გამიკეთეთ, რომ ეს რა უნდა იყოსო. იგი ძალიან აღელდა ამის გაგონებზედ, მაგრამ თავი შეიკავა და დინჯად უთხრა, ემ წყლადფერი უკან წაიღე, შენ მოხმარე, მე თუ საქმე გაგიკეთე, ის ჩემი მოვალეობა იყო და გაგიკეთეთო. ის კაცი თავის მონატანი ძღვენით აღვა და ცივად წავიდა²⁴.

ი. ბაქრაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოხელის თანამდებობაზე გაატარა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისი სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ანუ როგორც ვახუთი „ივერია“ გვაუწყებს მის ნეკროლოგში: „ი ბაქრაძემ სასამართლოს უწყებაში 26 წელზე მეტი დასჯო, მაგრამ ამ სამსახურმა არ დაუშალა და სიყვდილამდე ქართულ ლიტერატურის მოჭირნახულე იყო... გარდა თარგმანების ბეჭდვისა, განსვენებული სხვადასხვა რედაქციების „შავ მუშაობაშიც“ იღებდა მონაწილეობას, თუ ხელნაწერების წაკითხვა-გასწორებით, მასალის მომზადებით. საზოგადოდ დიდი მოყვარული იყო ჩვენი მწიგნობრობისა და აგრეთვე მოღვაწე ჩვენი ერის, საზოგადოებისათვის თვითცნობიერების განვითარების ასპარეზზე“²⁵.

ი. ბაქრაძე აქტიურ მონაწილეობას რომ იღებდა ეჭრნ. „მოამბის“ სარედაქციო საქმიანობაში, ამას ადასტურებს მისი წერილი ელ. მამულაშვილისადმი:

„პატივცემულო ელენე! — წერს ის, — სწორედ კარგ დროს გამომიგზავნე შენი ნათარგმნი²⁶, ე. ი. ისეთ დროს, როცა არაფერი არ გვეკონდა დასაბეჭდი და მე უნდა დამეწერა რამე“²⁷.

სიყვდილის წინა წლებში ი. ბაქრაძეს ნანატრი ოცნება აუსრულდა, იგი სასოფლო-სამეურნეო ბანკში გადავიდა სამუშაოდ და ახლა უფრო მეტი დრო რჩებოდა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, მაგრამ ამ პერიოდში მას ნელ-ნელა შეეპარა ღვიძლის მწვავე დაავადება, რომელმაც ორ-სამ წელში ბოლო მოუღო.

ი. ბაქრაძე გარდაიცვალა 1904 წ. 14 მაისს (ძველი სტილით). მის შესახებ ნეკროლოგი გამოაქვეყნა ყველა იმდროინდელმა გაზეთმა და ეჭრნალმა. იგი დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

²⁴ სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, № 20815-6, გვ. 4-5.

²⁵ ვახ. „ივერია“, 1904 წ. № 115.

²⁶ ლაპარაკია სენკევიჩის „კანდელის მეფარნეზე“, რომელიც დაიბეჭდა 1894 წლის „მოამბეში“.

²⁷ საქ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, № 016095.

ი. ბაქრაძეს გარკვეული წვლილი მიუძღვის თავისი თანამედროვე მთარგმნელის მამულაშვილის²⁸ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის საქმეში.

ქართული ენა და ლიტერატურა ი. ბაქრაძემ ძალიან კარგად იცოდა, — წერს ელ. მამულაშვილი თავის „ჩანაწერებში“, — მე პირველად თარგმნა იმან მასწავლა. ისე გასაგებად მიხსნიდა ყველაფერს, რომ სულ ადვილად შევისწავლე თარგმანს. ის მომცემდა ხოლმე პატარა სათარგმნს და როცა გავითავებდი, ჩემი თანდასწრებით დაიწყებდა ხოლმე ვასწორებას და მეტყუოდა ხოლმე, ეს ესე არ არის, ეს ესე უნდაო... მისი წყალობით ცოტაოდენი წვლილი მეც მიმიძღვის ქართულ მწერლობაში“²⁹.

ელ. მამულაშვილის ჩანაწერებიდანვე ჩანს, რომ ი. ბაქრაძის ოჯახის სტუმრები იყვნენ ჩვენი მწერლობის კორიფეები: „მასთან მოდიოდნენ ხოლმე წერს იგი, — ზოგი ჩვენი ქართველი პოეტები და მწერლები. მოდიოდა ხოლმე მასთან ჩვენი ბუმბერაზი პოეტი ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვანო მარანიანი და სხვ. კითხულობდნენ თავთავიანთ ნაწერებს, მსჯელობდნენ აკრიტიკებდნენ. სასიამოვნო იყო მათი ყურის ვდება, გეგონებოდათ ლიტერატურულ საღამოზე ვარა“³⁰.

ი. ბაქრაძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ცნობილ სომეხ მწერალს გაბრიელ სუნდუციანს. მისი პიესები: „პეპო“, „ხათაბლა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“ ი. ბაქრაძის უშუალო მონაწილეობით ითარგმნა.

„თუმცა მან (ი. ბაქრაძემ, ქ. ბ.) სომხური ენა არ იცოდა, — წერს ელ. მამულაშვილი, — მაგრამ სუნდუციანის შემწეობით დაიწყო სომხურიდან თარგმნა. როცა სუნდუციანი მოვიდოდა ხოლმე მასთან და დაიწყებდნენ თარგმნას, ისე გაერთობოდნენ ხოლმე თარგმანში, რომ ზოგჯერ ზედ დაათენდებოდათ“³¹.

ი. ბაქრაძე იყო აგრეთვე ეჭრნალ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელი. სისტემატურად და-

²⁸ ელ. მამულაშვილი XIX საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. მისი თარგმანები იბეჭდებოდა ეჭრნ. „ივერიაში“, „ჭეიღში“, „მოამბესა“ და „კვალში“. ელ. მამულაშვილის თარგმანებიდან აღსანიშნავია: ვარზიშის „წითელი ყვავილი“, სენკევიჩის „კანდელის მეფარნე“, „წერილები ლორენცო ბენონისა“, „სამაგელი იყო“ და სხვ. ეჭრნ. „ჭეიღში“ იგი ბეჭდავდა ზასონდისმცის, სისოეთეს, ანენსკიას, არსენევის და სხვა მწერალთა მოთხოვნების თარგმანებს. ასეთებია: „სხვისი პური“, „წითელი რაინდი“, „გიგას მოწყალეობა“, „აი სიტყვა“ და მრავალი სხვა.

²⁹ საქ. სახ. ლიტ. მუზ. № 20815-6.

³⁰ საქ. სახ. ლიტ. მუზ. № 20815-6, გვ. 2.

³¹ ს. ლ. მ. № 20815-6, გვ. 1.



ლიოდა იმ კრებებზე, რომელსაც ი. ჭავჭავაძე აწყობდა ჟურნალის რედაქციაში და მონაწილეობას იღებდა საეურნალო მასალის კითხვა-გარჩევაში. აქვე ეცნობოდნენ „ივერიის“ თანამშრომლები ილიას ახალ თხზულებებსაც³².

ი. ბაქრაძემ არც უცხო ენები იცოდა. იგი თარგმნიდა რუსულიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. სუნდუციანცის „პეპოში“, რომელიც ქართულ სცენაზე პირველად 1875 წლის 27 ნოემბერს დაიდგა, კაჟულას როლს ი. ბაქრაძე ასრულებდა.

ი. ბაქრაძე ძირითადად მთარგმნელის სახელით შეიქნა ცნობილი. ამ სახელით იხსენიებს მას გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ნეკროლოგში: „ახლადგარდაცვალებული იოსები ჩვენში ცნობილი იყო, როგორც მთარგმნელი უცხოელთა ხელოვნური ნაწარმოებებისა. მის თარგმანიდან უფრო ცნობილია ბაირონისა და ჰეინეს ლექსები, ვალტერ სკოტის „აივენგო“ და სხვ. ბევრი ლექსი მშვენიერისა ენითა და პოეტურად ჰქონია თარგმნილი და ზოგიც ისეთი პოპულარული შეიქმნა, რომ ბევრს მისი საკუთარი ეგონა, როგორც მაგალითად აღმაფრთოვნებელი ლექსი „ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამა-პაპური“³³.

ი. ბაქრაძისადმი მიძღვნილი ნეკროლოგში გაზეთი „ივერია“ გვაუწყებს: „ახლად გარდაცვალებულ ი. ბ. ბაქრაძეს ბაირონისა და ჰეინეს ლექსებს გარდა სხვაც მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები აქვს თარგმნილი, რომელიც თავის დროზედ ვერ მოვიხსენიეთ. მაგ. „ჟურიელ აკოსტა“ გუცოვისა, თვით ავტორისავე დახმარებით გ. სუნდუციანცის შემდეგი პიესები: „პეპო“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „ხათაბა“ და სხვა³⁴.

ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი „ჟურიელ აკოსტა“ დიდხანს წარმატებით იღვგებოდა ქართული თეატრის სცენაზე. რაც შეეხება ვ. სკოტის „აივენგოს“, იგი ერთხელ გამოიკა თვით ავტორისავე სიცოცხლეში, 1895 წ., ხოლო მეორედ 1937 წელს გამოსცა სახელგამმა.

ი. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ფ. შილერის „მარია სტიუარტის“ თარგმანი, ბაირონის „ღონე-ჟუანის“ ერთი ნაწილი (პოემა მანვერ დასრულა), ვ. პოტტოს „საქართველო და მისი წარსული ისტორიული დრო“, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1894 წელს.

„როდესაც ქართველთა ამხანაგობამ“ გადაწყვიტა ვ. პოტტოს „საქართველო და მისი წარსული ისტორიული დროს“ ქართულ ენაზე

გამოცემა, ი. გოგებაშვილს შეეკითხნენ, ეჭვსაყენებელი მისი ვადმთარგმნა; უკანასკნელმა კი ი. ბაქრაძეზე მიუთითა, როგორც კარგ დახელოვნებულ მთარგმნელზე³⁵.

ი. ბაქრაძის ლექსების მცირე ნაწილი ერთ წიგნად დაიბეჭდა 1938 წელს, პროფ. ს. ყუბანეიშვილის რედაქციით (სულ 63 ლექსი და ერთი პოემა).

გარდა დიდბანიანი თარგმანებისა (როგორცაა „აივენგო“, „ჩაილდ-ჰაროლდი“, „ვირჯინია“, „ღონე-ჟუანი“, „პეპო“, „მარია სტიუარტი“, „ხათაბა“ და სხვ.), ჩვენ მივაყვლიეთ ი. ბაქრაძის ორასამდე ლირიკულ ნაწარმოებს. აქედან 72 მისი საკუთარია, დანარჩენი კი — თარგმნილი. რასაკვირველია, ეს კიდევ არ არის სრული აღწესება მისი შემოქმედებისა.

ი. ბაქრაძე მეტად ნაყოფიერი შემოქმედი იყო და თავისი ორიგინალური ლირიკით მეტად თამამად ეხმარებოდა ყველა იმ საკითხს, რომელიც მის თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას აღელვებდა. მას მოღვაწეობა უხდებოდა ბიუროკრატიზმის მომძლავრებისა და ცარიელთა რუსეთის კოლონიური რეაქციის მძიმე პერიოდში და ამიტომ ვასაკვირველი არ არის, რომ, ხალხის წიაღიდან გამოსულმა ღარიბმა პოეტმა თავისი შემოქმედების ცენტრში ეროვნული და სოციალური თავისუფლების იდეები დააყენა.

დიდი პატრიოტული მგზნებარებითაა გაყვნილი 1873 წელს დაწერილი ლექსი „მე ქართველი ვარ“, რომელშიც მკვეთრად მოისმის ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მოტივები:

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუაა გადაჭიმული,
თუმცე პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული...

...მე ქართველი ვარ! მთლად ქართველობა
რადაც ღრმა ძილში არის ჩაფლული
და მამულისთვის აღარ დღედება
გაქვავებული იმისი გული...

მე ქართველი ვარ! მწამს რომ ოდესმე
წავა, გაივლის, ეს დრო ძილისა
და დღესა თუ ზეად უმკვლად
გამობრწყინდება დღე მომავლისა.
მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარით,
აწ რაღა არის კაცი ქართველი?
ის იმყოფება სინდელშია
და თვალდას სქვალავს დღისა ნათელი...

ი. ბაქრაძის მთელი რიგი ლექსები ეროვნულ სევდას გაუსმტვალავს. იგი რომანტიულ ფერებ-

35 ს. მაგალობლიშვილი, გვ. 189.

ქართველ ბურჟუაზიამ

რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მიწიყვამულ პოეტზე

³² ცნობა მოგვაწოდა ი. ბაქრაძის ქალიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა, „დღეა ენის“ ავტორმა ე. ბურჯანაძემ.

³³ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. № 2496.

³⁴ გაზ. „ივერია“, 1904 წ. № 115.

ში წარმოგვისახავს ქართველთა დიდებულ წარსულს, როდესაც თვით მზესაც კი „სამშობლოს ცეცხლი ეკიდებოდა“ და თავისი ცხოველმყოფელი სხივით „ათბობდა ქართველთა გმირობას“.

პოეტური კონტრასტებით უპირისპირებს პოეტი ერთიმეორეს მოწინავე ქართველთა მისწრაფებასა და ბუნების უშუალობას, გვიჩვენებს იმ დიდ უფსკრულს, რომელიც მის თანამედროვეობას შეუქმნია პატრიოტი ადამიანის სურვილებსა და სინამდვილეს შორის. პატრიოტ ადამიანთა სურვილი დათრგუნვილია, მისი არსებობისათვის აუცილებელი ბუნებრივი ატმოსფერო ბიუროკრატიზმის ეკლიან ბარიერს შემოუსაზღვრავს და სწორედ ეს ქმნის ნიადაგს ამოა ნატურისას, ეს იწვევს სევდას მოაზროვნე ადამიანისას. ასეთი იდეითაა შთაგონებული ი. ბაქრაძის ლექსი „ღარიღი“, რომლის ბოლო სტროფებშიც მძაფრ კონტრასტად იწლება ბუნების სილალე და ადამიანის ჩაგრული ყოფი:

შეხედეთ ფრინველთ, ამ ბუნებაში
რა მხიარულად სუნთქვენ, გალობენ
და თავიანთსა მწუხარებასა
თავისუფლად, ცხადად ამბობენ.

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ამ ბუნებაში,
კაცი რად სუნთქავს ასე ძნელად,
რისათვის იგი თვის ზრახვთა,
არა გამოსთქვამს თავისუფლად.

მაგრამ თუ ერთის მხრივ რომანტიული სევდა ეუფლება თავისი აწმყო შემხედვარე პოეტს და დიდებული წარსულისაკენ ახედებს, მეორეს მხრივ, სწორედ ეს წარსული და აწმყო იწვევენ მის შეგნებაში ბრძოლის სურვილს ეროვნული ჩაგრვის ბორკილთა დასამსხვრევად.

ეროვნული ბრძოლის სურვილითაა შთაგონებული ი. ბაქრაძის ლექსები: „გამომბომა“, „თუ გინდ ატყდეს ქარიშხალი“, „გულდაწყვეტით ცაზედ ეძებ“, „ნუ ჰყარავ იმდეს“, „წარვლენ წაღნი“, „ჩემი სამშობლო“ და სხვ.

1881 წ. დაწერილი ლექსში („თუ გინდ ატყდეს ქარიშხალი“) პოეტი დიდი მგზნებარებით აცხადებს:

თუ გინდ ატყდეს ქარიშხალი,
თუნდ ცაზედ მოიშაგებდოს,
ვერაფერი მე ვერ გამხდის
სულმოკლეს და უიმედოს...

პოეტი განსაკუთრებული სიმახვილით გამოკვეთს იმ აზრს, რომ ქვეყნიერების შემოქმედი, მშრომელი გლეხი, უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს და ნატრობს, რომ მოიხსოს სოციალური ჩაგვრა ამქვეყნად:

ღმერთო! ნეტავი როს გვეღირსება,
რომ ყველა თავის ღვაწლით ტკბებოდეს
და ამოღენა მუქთად მყლაპავი
ჩვენის ოფლითა არ სარგებლობდეს!

როგორც აღენიშნეთ, ჯერ კიდევ 80-იან წლებში იქცა სიმღერად ი. ბაქრაძის ლექსი „არც სახლი მაქვს, არც კარი“. ამ ლექსში კარად მოჩანს მშრომელი კაცის ბუნების სილალე: მისი დაუშრეტელი ენერჯია და რწმენა საკუთარი ძალისა. სწორედ ამიტომ აიტაცა იგი ხალხმა და თავის საკუთრებად აქცია.

არც სახლი მაქვს, არც კარი,
ვარ შრომის ანაზარად,
მიწა დ მა და ბარი,
მიმანია სახლ-კარად.
ყაღის ფულით სიმდიდრეს
გულში არ გავიტარებ,
რასაც შრომით მოვიგებ
იმითი გავიხარებ...

ი. ბაქრაძის ამ ლექსმა დიდი აღშფოთება გამოიწვია მის თანამედროვე მაღალ საზოგადოებაში. ერთმა მდიდარმა ნათესავმა პირდაპირ განუცხადა თურმე — კი გავგზარდებთ, რომ მდიდრებმა გვა მოგვით, მაგრამ ამას ვერ მოესწრებთო.

მხატვრული ოსტატობით გადმოგვეცემს გლეხის ოჯახური ცხოვრების უბრალოებასა და უშუალობას ი. ბაქრაძის ლექსი „გლეხის საღამო“ (იდილია), შეიძლება ითქვას, რომ ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს მისი ლექსი „ქმუნვა“, რომელიც უდიდესი რეალიზმითაა წარმოსახული შრომის უღელში ქედმოხრილი ადამიანის მძიმე და შეგნელი ფიქრები.

ხალხოსან მწერალთა შორის ი. ბაქრაძე ერთ-ერთი პირველთაგანი მოუწოდებდა გლეხობის შეერთებული ბრძოლისაკენ:

ქმნა, გამხნედი! ჩვენ სიყმაწვილით
სინაზეს არ ვართ მიჩვეულები...

თუ აწ ვინავერით მტარავლთა ხელით
შემდეგ ვიქნებით თავისუფლები.
მხოლოდ ერთმანეთს ხელი-ხელს მივცეთ,
ისე აღუვადგეთ ჩვენსა მძარცველებს,
უსამართლობას თავზარი დავცეთ
მამინ მზე ჩვენცა გამოვიანთებ!

(„გლეხების სიმღერა“, 1877 წ.)

36 ცნობა მოგვაწოდა მისმა ქალიშვილმა ეკატერინაძემ.

ერთხელ ი. ბაქრაძეს ხელმოსაწერად მოუტანეს კრებანუ მოწვეულ პირთა სია, სადაც ეწერა: **Кн. Вачнадзе, Кн. Чолокаев, Кн. Ернстов** და სხვ. ე. ი. თავიდი ვაჩნაძე, თავიდი ჩოლოკაივი და სხვ. ი. ბაქრაძემ დახედა ამ სიას და თავის გვარს **Кн-ს** მაგიერ **Кр.** მიუწერა **Кр. Вакрадзе** (ე. ი. გლეხი ბაქრაძე) ამის გამო თავდაზნაულობამ ჩაიჭოლია ატენა, ი. ბაქრაძემ კი ლიბერთ წარმოთქვა თურმე: საკვირველია, ღმერთმანი, ამდენი **Кн.** როგორ დააფრთხო ერთმა ჩემმა **Кр.**-მთ.



ღრმა სოციალური და საბრძოლო იდეების პროპაგანდისათვის ი. ბაქრაძის ლექსებს ბეგრ-ჯერ დაადო ყადაღა საცენზურო კომიტეტმა. მეტად თავისებური და საინტერესო ისტორია აქვს ი. ბაქრაძის ლექსს „მომილოცინია ახალი წელი“. ამ ლექსით მიეგება ი. ბაქრაძე 1882 წელს. ლექსი იწყება ასე:

ჯამთა მდინარე მირბის და მირბის,
მაგრამ ქვეყანა უცვლელი რჩება;
ვინც დღემდის სტროფა, ის ისევ სტიქის,
ისევ იტანჯვის და ეწვალება.
მიანიც ახალის წლისგან ელიან
შეებასა გლახა, ბრძენი, სულელი,
და აღტაცებით გაიმახიან:
„მომილოცინია ახალი წელი!“

ლექსი შემოკლებული სახით დაიბეჭდა 1882 წლის ეჟრნალ „ივერიის“ იანვრის ნომერში. საცენზურო კომიტეტს ლექსიდან ამოუღია III, IV, V, და VI სტროფები, რომელშიაც აშკარა-დაა ვადმოცემული პოეტის ეროვნულ-სოციალური იდეები. ე. ი. „ივერიაში“ დაიბეჭდა მხოლოდ I, II და VII სტროფი, ამავე სახით დაიბეჭდა იგი ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემულ ლექსთა კრებულში. და ამ სახითვე შეგვხვდა იგი იაკობ ნიკოლაძის არქივში, სადაც ინახება ი. ბაქრაძის ხელით გადაწერილი მის საყუთარ ლექსთა რეკული, ამოწერილი სხვადასხვა ეჟრნალ-გაზეთებიდან³⁷.

ამჟამად ჩვენს ხელთ არის ი. ბაქრაძის არქივის ნაწილი (ნაბეჭდი წიგნები), რომელიც ქნმა ე.ე. ბურჯანაძემ ვადმოგვცა. ამ წიგნებს შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეჟრნალ „ივერიის“ 1882 წ. პირველმა ნომერმა. როგორც აღვნიშნეთ, ეჟრნალში ეს ლექსი შემოკლებული სახით დაიბეჭდა და გამოტოვებული სტროფები მრავალწერტილითაა აღნიშნული. ლექსი იწყება 32-ე გვერდიდან და 33-ე გვერდზე, სადაც მთავრდება ეს ლექსი, ფურცლის ბოლოს აწერია 3, რაც თაბახის რიგს მიგვანიშნებს. 34-ე გვერდზე კი დაბეჭდილია რ. ერისთავის ლექსი — „ხალხური ლეგენდა“.

ი. ბაქრაძის ნაწონ ეჟრნალში აღმოჩნდა საცენზურო კომიტეტის მიერ ეჟრნალიდან ამოგდებული 33-ე გვერდი, სადაც სრულადაა დაბეჭდილი ლექსის გამოტოვებული სტროფები და ფურცლის ბოლოში ასევე აწერია 3 ე. ი. მესამე თაბახი, მაგრამ აქ ლექსი გრძელდება 34-ე გვერდზეც, სადაც შემდეგ რ. ერისთავის აღნიშნული ლექსი დაიბეჭდა.

თუ რატომ ამოიღო საცენზურო კომიტეტმა ლექსის ის ოთხი სტროფი, ამაზე მეტყველებს მათი შინაისი:

საქართველოსას ესეამ სადღეგრძელოს,
აბა მედლოვე, ტუში დაქარი!
ეს სადღეგრძელო ვინც არ დასცალის,
იგი ჩვენს შორის წყუღიმც არის.
ის იყოს ჩვენი ტრფობის საგანი,
მას მტლად დაედოს ყველა ქართველი,
აბა, აღვისეთ, ძმანო, სტაქანი,
მომილოცინია ახალი წელი!

IV

ქვეყნისა ბურჯო, შრომისა შეილო,
შენთვისაც შეგესამ საესე ფიალას,
ყველასგან ჩაგრულ და გალენილო,
შენში ხედავენ ქვეყნისა ძალას.
და ძალაცა ხარ, თუმცა ჯერედ კი
უტრად მოგვიკეცავს უბედურს წელი,
უქმთ მაწაწვლათ მაცხოვრებელი,
მომილოცინია ახალი წელი!

V

შენ, ფუფუნების, განცხრომის შეილო,
სხვისი ოფლითა გამდიდრებულხარ;
კეთილ საქმისთვის ქუნწო, მოთხრილო,
ვარყენილებისთვის ხელ-ვაშლილი ხარ.
შენც იქნებ ამ წელს მოგელოს ბოლო
და აღმოიფხვრას შენი სახელი,
ჰია-ლუათა საკეებად ქმნილო,
მომილოცინია ახალი წელი!

VI

ვისაც მწერლობის ღროშა გიპყრიათ,
აწ თქვენთანაცა ვარ ალავერდი,
თქვენ მძიმე ტიერთი კისრად გილიათ,
გსურთ დაუბრუნოთ სამშედლოს ბედი.
მაგრამ ამ თქვენსა წმინდა სურვილსა
ჰყავს უთვალავი ხელის მომკრელი,
ვინც მტკიცედა სდევთ ზახს დანიშნულსა,
მომილოცინია ახალი წელი!

როგორც ვხედავთ, ლექსში მეტად თამამად და დიდი საბრძოლო შემართებით არის გამოთქმული ი. ბაქრაძის ეროვნულ-სოციალური მრწამსი და ესთეტიკური შეხედულებანი მწერლის დანიშნულების შესახებ. სწორედ ეს სტროქონები ვახდა ი. ბაქრაძის დაპატიმრების მიზეზი. მას, როგორც მეგრძოლ, ხალხისან პოეტს არასოდეს გადაუხვევია „დანიშნული“ ზნისათვის და თავისი სადა, ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსებით მუდამ მტკიცედ იღვა მშრომელი ხალხის საბრძოლო თვითშეგნების გამოფხიზლების სადარაჯოზე.

საქართველოს ცენტრ. არქივის საცენზურო კომიტეტის საქმე № 147 აშკარად მიგვიითითებს,

37 იხ. ს. ლ. მ. ი. ნიკოლაძის არქივი № 8258-6. ი. ნიკოლაძე, პრაფ. ანა ნიკოლაძის მამა, იყო რკინიგზის მუშაკი, რევოლუციონერი.

ქათმზან ბურჯანაძე
რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მიმჩიყებულ კონტზე



როგორ სდევნიდნენ მეფის მოხელეები ი. ბაქრაძის ყოველ სტრიქონს. აქ დაიკვლია მისი ლექსი „წარვლენ წელნი და სამშობლო მხარევ“, დაწერილი 1884 წელს, რომელსაც ცენზურის ვადალა აქვს დადებული. ამ ლექსს თვით ი. ბაქრაძის სიციცხლეში დაბეჭდვა არ ღირსებია.

წარვლენ წელნი და სამშობლო
მხარევ,
მუხთალი ბედი შენც გავიღიმებს,
გავა ლამე და სხივ მომფინარე
დილის ცისკარი მოგაფენს სხივებს.
კურთხეულ იყოს ის წმინდა წამი,
ვულს გეპყრება, ვით ვარდს ცის ნამი.
მაშინ შენ ლხინად გარდაეცვლება
ვსლენ ხნის ტანჯვა გულის დამწველი;
სწავლისა ლხინი მოგეფინება,
დაგებადება სხვა რუსთაველი,
და როს გაისმის მის წმინდა ქნარი
ვაცხოველდება მთლად მთა და ბარი...

შეტად საინტერესოა ი. ბაქრაძის სატირული ლექსები, რომლებითაც იგი დასციენის ბიუროკრატ მოხელეებს, ხალხის მჩაგვრელებს, ვაჭრებს, ფუქსავატ თავდაზნაურობას. ასეთ ლექსებს იგი უმეტესად „დროების“ საფელეტონო განყოფილებაში ბეჭდავდა. ასეთებია: „გაუმარჯოს კოტრობას“ („დროება“, 1880 წ., № 7), „გაზაფხული და ჩვენი მწერლობა“ („დროება“, 1883 წ., № 81), „ჩვენს მწიგნობრობაზედ“ („დროება“, 1876 წ., № 83), „მგზავრის შენიშვნები“, („დროება“, 1876 წ., № 44), „საახალწლო“ („დროება“, 1885 წ., № 1) და სხვ.

თუ რამდენად რბილი და უგესლო იყო ი. ბაქრაძის სატირა, ამის ნიმუშად მოვიტანთ ნაწყვეტს ერთ-ერთი „საახალწლოდან“:

ამბობენ, ამ წელნიწადს
თან დაჰყვება ქუდ-ბედი,
და ბევრს აუსრულდება
ოცნება და იმედი.
ამბობენ, „ივერია“
კვლავ ვალესავს თვის კალამს;
მტერს მტრობასა ვაუწყებს,
მოყვარეს მისცემს სალამს.

ამბობენ, ქაეკავაძეც
მოთხრობას დაამთავრებს
და მთელ ვალსა გადაუხდის,
„მოამბისა“ მკითხველებს.
ვენწოსნებიც საყრივოდ
აპრილს მოელიანო,
ბიჭებო, პაი ვიდიო,
კაჟის თავებიანო!³⁸

ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი ლირიკაც ძირითადად ეროვნული და სოციალური შინაარსისა, ამასთანავე მის მიერ თარგმნილი მრავა-

ლი ლექსი დიდი საბრძოლო პათოსითაა შეთავაზებული.

ი. ბაქრაძე იცავდა დედნის შერჩევის იმ პრინციპს, რომელიც ჩვენმა სამოციანელებმა წამოაყენეს ქართული სალიტერატურო კრიტიკაში: იგი არჩევდა ისეთი შინაარსის დედანს, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა ეპოქის საერთო პროგრესულ მიზნებსა და იდეებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სერბიელი პოეტის ივან დრავაშევიჩის ლექსი „ბრძოლა“. ჩვენს ხელთ იყო სწორედ ის კრებულები³⁹, საიდანაც ი. ბაქრაძემ ეს ლექსი თარგმნა. ამ უზარმაზარ კრებულში პატრიოტული სულისკვეთებით გაყვანილი მრავალი ლექსია, მაგრამ ი. ბაქრაძემ სწორედ ი. დრავაშევიჩის აღნიშნული ლექსი აირჩია იმ საბრძოლო პათოსის გამო, რომელიც ამ ლექსს წითელ ზოლად გასდევს. კაპიტანი დრავაშევიჩი მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში ცნობილი იყო, როგორც პატრიოტული ლექსების ავტორი და სერბიელთა ვაჟთ „ხელგარადელი მეომრის“ რედაქტორ-გამომცემელი.

ი. ბაქრაძემ თარგმანის მხატვრულ ქსოვილში კიდევ უფრო გაამძაფრა ორიგინალის საბრძოლო პათოსი და პატრიოტული მგზნებარება, კიდევ უფრო მძლავრად გამოჰკვეთა ბრძოლის მიზანი და ეროვნული იდეა:

В бой, братья, в бой! Нас сам
господ зовет,
Зовет народ — ударит на тирана.
В бой, сербы, в бой! Пусть иго
в прах падет!
Ведь рана брата есть и наша рана.
В бой, сербы, в бой, в кровавый бой,
За свой народ, за край родной!

ბრძოლა, ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური,
თორემ მტრისგან ილუბება მამული;
ბრძოლა, ბრძოლა! ნუ დაგვივადია ყური!
ჩვენდა წყლულად მიგვანდეს ერის წყლული.
ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მტერთან მეღვარო,
სისხლით მოვრწყათ სამშობლოს მთა და ბარი!

О, скоро ль серб, болгарин и хорват
страхнут позор, престанут быть
рабами?
О, скоро ль наш забытый всеми брат
поднимет взор, расстанется
с цепями?
Восстанем все — и враг падет,
Не-то он сгубит наш народ!

ოხ, ნეტავი მოვეწვრები იმ დროსა,
როს სერბიას კვალად ვაღვიძებოდეს,

³⁹ იხ. Поэзия славян, Сборник под редакцией Ник. Вас Гербеля, Санкт-Петербург, 1871 г., стр. 287, перевод Н. В. Гербеля.

³⁸ საქ. ლიტ. მუხ. № 20814-6.

აღმართოს თავისუფლების დროსა
და თავის მტერს მამაცურად ებრძოდეს?!
აღვსდგეთ და მსწრაფლ დაემხობა მონება!
გვეყო, გვეყო, ამდენი მოთმინება.

В бой, сербы, в бой! Друзья, ударил
час —
И враг падет под нашими мечами!
В бой, братья, в бой! Пусть мир
узнает нас,
Узнает враг, что стали мы мужами.
В бой, серб, болгарин и хорват!
Вперед! Ужь слышится набат!..

ბრძოლა, ძმანო, მონებაში ცხოვრებას
სჯობს შევეწიროთ თავი თავისუფლებას,
ბრძოლა, ბრძოლა დაე დარწმუნდეს მტერი,
რის მქნელია ვალვიძებული ერის!
ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მამა-პაპური,
ნაღარის ხმა ისმის, დაუგდეთ ყური!..

როგორც ვხედავთ, ი. ბაქრაძემ მთელი სიცხა-
ლით გამოხატა ამ თარგმანში ქართველი პატრი-
ოტის ნატვრა, მჭუხარე შეძახილით გააძლიერა
სამშობლოს ეროვნული თავისუფლებისათვის
ბრძოლის წყურვილი და ერთგვარი რისხვით
შესახა კოლონიალური ჩაგვრის გამჩაღებლებს:
„ბრძოლა, ბრძოლა! დაე დარწმუნდეს მტერი,
რის მქნელია ვალვიძებული ერის!“ ლექსი თა-
ვისუფლადაა თარგმნილი, მაგრამ თუ მსგავსი
შინაარსის ლექსებს პოეტი ამ პრინციპით თარ-
გმნიდა, სამაგიეროდ პ. ჰაინესსა და ჯ. ბაირონის
რუსული თარგმანების საუცხოო ადეკვატებს
ქმნიდა.

ცნობილი რუსი მთარგმნელის მ. მიხაილოვას
თარგმანიდან გადმოიღო ბაქრაძემ პ. ჰაინესს
უსათაურო ლექსი „ტურფავი, ტურფავი“ ბაქრა-
ძისეულ თარგმანში სავსებით დაკულია ის ლი-
რიზმი, განწყობილება და უშუალობა, რაც მ.
მიხაილოვის თარგმანს ახასიათებს და შეიძლე-
ბა ითქვას, რომ ბაქრაძემ კიდევ უფრო მძაფრი
ხალხური კოლორიტით ამბეტყველა იგი:

Привяжи, душа — рыбачка,
Ты у берега челнок,
Подойди, рука с рукою
Сядем вместе на песок.
Без боязни припади ты
Мне на сердце головой,
Ведь без страха сию морю
Ты челнок вверяешь свой.
Это сердце тоже море:
Также часты бури в нем,
Также, бурное, богато
Многоцветным жемчугом.⁴⁰

⁴⁰ Немецкие поэты, под ред. Н. В. Гербеля, СПб, 1877 г., стр. 445—446.

ტურფავი, ტურფავი, რას უყურებ,
მოცურე ჩემსკენ ნაივი,
ერთად დასხდეთ და ვუყუროთ,
როგორ არხვეს წყალს ნიაივი.
ნურას ფიქრობ ჩემზედ აესა,
გულს მხურვალედ ჩამეკარი,
თუ რომ შენს თავს ანდობ ზღვასა —
მე რითლა ვარ უნდობარი.
მაგრამ გულიც ხომ ზღვა არის,
ხან ლეღავს და ხან მშველდება
და ძვირფასი მარგალიტი
იმასიაც იმალება.

რასაკვირველია, საყურნალო სტიქიაში ძნე-
ლია ჭერ კიდევ შეუსწავლელი და ესოდენ ნა-
ყოფიერი, მრავალმხრივი მწერლის შემოქმედე-
ბის სრული მიმოხილვა. ჩვენ შევეცადეთ ზო-
გადი ცნობები მოგვეწოდებინა ი. ბაქრაძის
ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ქართ-
ველ ხალხის მწერალთა შორის ი. ბაქრაძემ
პოეტური სიტყვით გამოთქვა ის იდეალები და
სურვილები, რასაც ემსახურებოდა მისი თანა-
მედროვე მოწინავე საზოგადოება. გამოთქვა მე-
ტად მკაფიოდ, საბრძოლო პათოსით, ხალხისა
და ერის უდიდესი სიყვარულით, ნატიფი, ღრმა
გრძობითა და ხალხისათვის გასაგები, საღა
ენით.

ი. ბაქრაძის თარგმანებმა გააცნეს ქართველ
მკითხველს ბაირონი, ვ. სკოტი, ჰაინე, გ. სუნ-
დუქიანი, კ. გუცოკი და სხვ. მისმა თარგმანებ-
მა გაამდიდრეს ჩვენი თეატრის რეპერტუარიც.
ი. ბაქრაძის ფელეტონებსა და კორესპონდენ-
ციებში გამოიხატება მისი თანამედროვეობის
ყველა საჭირო და აქტუალური საკითხი.

ერთ-ერთ თავის ფელეტონში ი. ბაქრაძე
წერდა: „ჩვენი ქართველი კაცი არც ერთ ზო-
ზოვადო საქმეს ისე არ ეტანება, როგორც მწერ-
ლობას. ჩვენი საზოგადოებაც არც ერთ მოღვა-
წეს ისე არ აფასებს როგორც მწერალს. განს-
ვენებული მიზელი ყოფიანი რომ ქალაქში ჩამო-
ასვენეს დასაყრძალავად, ბევრმა არც კი იცოდა
ვინ იყო იგი და რა ღვაწლი მიუძღოდა ქართ-
ველი საზოგადოების წინაშე. რატომ? იმიტომ
რომ ის ჩუმად და მღუმარედ მოქმედებდა თავი-
სის ქვეყნის წარმატებისათვის და ჩუმად მომუ-
შავეს ბევრი ვერ დაინახავს.“⁴¹

ჩუმი და უპრეტენზიო მუშაი იყო ი. ბაქრა-
ძე თავისი ხალხის ბედნიერებისათვის. თავისი
უანგარო, უმწიკვლო და თავდადებული შრო-
მით მან სიცოცხლეშივე მოიპოვა ნიჭიერი პო-
ეტისა და საზოგადო მოღვაწის სახელი და სამ-
წუხაროა, რომ დღემდე არავის უზრუნია მისი
შემოქმედების სათანადოდ შესწავლისა და სრუ-
ლყოფილი გამოცემისათვის.

⁴¹ საქ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, ხელნაწ. № 20814-6.



მეჩინე ღანელი

ეთიქის პრობლემა ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველაში

უილიამ ფოლკნერი საზღვარგარეთ ცნობილია ძირითადად როგორც რომანისტი, მაგრამ საბუთთა კავშირში თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქციეს ფოლკნერის ნოველას. ი. კაშკინი აღნიშნავდა, რომ ფოლკნერის სტილის თავისებურება განსაკუთრებით ვლინდება ნოველაში, თხრობის მცირე ფორმაში. ამერიკაში იმავე აზრს მრავალი კრიტიკოსი იზიარებს. ჰაით უაგონერი წერს, რომ ფოლკნერი არის „მწერალი, რომლის ბუნებრივ ფორმას მოთხრობა წარმოადგენს“¹. კრიტიკოსი მარქსისტი ჯონ ლოსონის აზრით „ფოლკნერი მოთხრობის უბაღლო ოსტატია. მისი მოთხრობის ფორმა გროტესკული შემთხვევის ან მწკვავე, მოკლედწერილი სიტუაციის განსაკუთრებული გამოკვეთის საშუალებას იძლევა“². „ფოლკნერის ნიჭის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება უფრო გამოკვეთილად ვლინდება მოთხრობაში, ვიდრე რომანში“, ამბობს ედმონდ ლ. ვოლპე³.

ფოლკნერი, როგორც ფსიქოლოგიური ნოველის ოსტატი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ადამიანის შინაგან თვისებებს. ფოლკნერის გმირების ფსიქოლოგია რთულია. ისინი პატივს სცემენ ტრადიციას, მათი ასოციაციები და ხშირად მოქმედებას დაკავშირებულია წარსულთან, მაგრამ მათ შესწევთ უნარი ამაღლდნენ წარსულზე. მისი გმირები განსაკუთრებუ-

ლი სიამაყის გრძნობით, პატივმოყვარეობით, გამოირჩევიან.

ვირჯინია დიუ პრეს თავდაპირა, მისი ღირსება და სიამაყე იქცევა ყურადღებას ნოველაში „ოდესღაც ცხოვრობდა დედოფალი“. ვირჯინია დიუ პრე წარმავალი არისტოკრატიული (სარტორისების) გვარის წარმომადგენელია, იგი ტოვებს ამ სამყაროს ისევე ღირსეულად როგორც ცხოვრობდა. ფოლკნერი უთანაბრობს მას და სინანულით ეშვიდობება სარტორისების დიდების ამ უკანასკნელ წარმომადგენელს, რომელიც, თუმცა ვარეგნულად დამარცხებულია, მორალურად იმარჯვებს. ამიტომ მის მხარეზეა ზანვი მსახური ელნორა — აუტორის შეხედულების გამოხმატველი.

ამ ნოველის მეორე გმირი ნარცისა ბიმბაო ცდილობს თავისი ღირსების დაცვას, მაგრამ მისი დაცვის ხერხი ერთგვარად განსხვავდება ვირჯინია დიუ პრეს მრწამსისაგან, რადგან ნარცისა ახალ თაობას განასახიერებს. ნარცისა თავისი დაცემის გზით ახერხებს ვარეგნული ღირსების შენარჩუნებას, ხოლო ვირჯინია დიუ პრე მიეკუთვნება ისეთ ადამიანთა პლეადას, რომლებიც არასოდეს არ ეცემიან, მათი სიკვდილიც მათ გამარჯვებას ასახიერებს: ისინი რომელი იმპერატორების მსგავსად ზეზეურად კვლდებიან. ასეთი მედიდური ადამიანების პატრიოტია ფოლკნერი. იგი განიცდის მათ დღეულებს, თუმცა როგორც ობიექტური რეალისტი მწერალი გრძნობს მათი დღეულების გარდუვალობას.

ღირსებისათვის ბრძოლა უილიამ ფოლკნერს განუშეორებელი ოსტატობით აქვს აღწერილი ნოველაში „ვერბენის სურნელება“. ამ ნოველაში თავმოყვარეობის შებღალვა იწვევს სხვადასხვა ჩახლართულ კოლიზიებს. მოქმედი გმირი ბაიარდ სარტორისი, გამოჩენილ მხედართმთავრის ჯონ სარტორისის ვაჟი, მამის მკვლელო-

¹ Hyatt H. Waggnar. William Faulkner. From Jefferson to the World. Univ. of Kentucky Press, 1959, p. 194.

² Д. Лоусон. После слов. в кн. У. Фолькнера. Особняк. М., Худ. Лит. 1965, с. 439.

³ Edmond L. Volpe. A Reader's Guide to William Faulkner. New York., Farrar, Straus, Giroux, 1965, p. 28.



ზისთან დაკავშირებით განიცდის დიდ ბრძოლას მოვალეობასა და სამართლიანობას შორის. აქ დაბირისპირებულია ძველი და ახალი თაობის შეხედულებანი, მამებისა და შვილების წარმოდგენები ვეაქციობაზე, შურისძიებაზე, სიამაყეზე, თავმოყვარეობაზე. დრუზილა, — ბაიარდის ბიძაშვილი და დედინაცვალი ერთ და იმავე დროს, — ეტრფის ძველ იდეალს, ხოლო ბაიარდს, ფოლკნერის საყვარელი გმირი, შინაგანად უფრო კეთილშობილი ბუნებისაა, ერთი შეხედვით თითქოს სუსტი, სინამდვილეში უფრო ძლიერი სულიერი ძალითაა დაჯილდოებული. ამით ის ერთგვარად მოგვაგონებს ვეა-ფშაველას გმირებს ჯოჯოხოს და ალუდა ქეთულაურს, ჰემინგუეის სანტიაგოს („მოხუცი და ზღაპი“) და მანუელ გარსის („დაუმარცხებელი“), რომელთა გარეგნული დამარცხება მათ მორალურ გამარჯვებას უდრის. ბაიარდ სარტორისი მამამისზე უფრო ვეაქცია, რადგან ის ყი არ კლავს ადამიანებს მამამისის მსგავსად, არამედ შეუთარალებელი უშიშრად უხვდება მტერს და შესწევს უნარის სხვისი ვეაქციობა დაფასოს, აგრეთვე გააანალიზოს მამამისის მოქმედება ყოველგვარი მიყრდნობის გარეშე, დინახოს მისი დაუღერებლობა და აღიაროს სხვისი სამართლიანობა.

ბაიარდ სარტორისი თავიანთ სცემდა ძველი თაობის კიდრ გამომუშავებული ქცევის მორალურ მოდელს, რომელიც მას ტრადიციით ჰქონდა შესისხლბორცებული და მისთვის ძალიან ძნელი იყო ამ საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმების დარღვევა.

ვერბენას ტოტი ვეაქციობის სიმბოლოა, ძველი იდეალის გამომხატველი, რომლის მატარებელია დრუზილა. ამ ნოველის მეორე არანაკლებ საინტერესო გმირი ქალის, დრუზილას დაბირისპირებით ავტორმა ბაიარდის თვისებები უფრო გამოკვეთილად აჩვენა.

ფოლკნერისათვის დამახასიათებელია მორალური უპირატესობის ძიება ადამიანის ხასიათში. მორალური უპირატესობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ფოლკნერს მიანიჩა ადამიანის შინაგანი ღირსება, სიამაყე. სწორედ ამიტომ უთანაბრებლობს ავტორი ლუკას ბიშუმს „ცეცხლი და კერა“-ს მოქმედ გმირს, რომელიც არ უშინდება თეთრკანიან ზეკ ედმონდთან ხელჩართულ ბრძოლას თავისი პირადი ღირსების, თავისი კერის სიწმინდის დასაცავად. გამარჯვება ზეკ ედმონდზე აძლევს მას უპირატესობას ზეკის ვეჯით, როს ედმონდთან, ოცი წლის შემდეგაც („ცეცხლი და კერა“).

ლუკასი მულატია, ამიტომ მისთვის უფრო ძნელია მორალური გამბედაობის შენარჩუნება, რადგან მას უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება გარესამყაროსთან შეჯახების დროს. და მიუხედავად ამ სიძნელისა, ლუკასი პირიქცდება. ის უმკლავდება როგორც რასობრივ, ისე სოციალურ უსამართლობას და იმარჯ-

ვებს თეთრკანიანზე: ის ზეკ ედმონდს ეუბნება „მე ზანგი ვარ, მაგრამ მე ადამიანი ვარ“⁴... ასეთ თქმას ერთგვარი გამბედაობა სჭირდება. ზეკ ედმონდი მორალიკა ლუკასის ადამიანურმა ღირსებამ. ლუკას ბიშუმს შეიძლება მიეყუენოთ ფოლკნერის სიტყვები ნათქვამი ნობელის პრემიის მინიჭებისას სტოკჰოლმში: „მჭერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, კიდევ გაიმარჯვებს“.

პირადი ღირსების აღდგენის სურვილი აიძულებს უომ ჯონს შური იძიოს სატბუნზე. უომი ვეღარ უძლებს დამცირებას სატბუნის სახედისწერო სიტყვების შემდეგ, რომლებიც მილისადმი იყო მიმართული... „ნეტავ ფაშატი მისციყო, — მაშინ ერთ რიგან ბაგას მივიჩინდი ჩემს თავლაში“⁵, და ვადაწყვეტს მოკლას იგი. მაგრამ აქ ადგილი აქვს არა შინაგან მორალურ გამარჯვებას, როგორც ნოველაში „ცეცხლი და კერა“, არამედ გარეგნულად გამოხატულ მოქმედებას, რაც ტერორისტული აქტით ვლინდება. ფოლკნერი განუყოფელი ოსტატობით ქმნის ძლიერ ხასიათებს. ასეთია მისი უომ ჯონსი, ანერ სნოუპსი, ემილია გრიერზონი და მრავალი სხვა. მაგრამ თუ უომი საზოგადოების მსხვერპლია, ემილია გრიერზონი, რომელიც საზოგადოების შალად წრეს მიეკუთვნება, თვითონ განუდგება საზოგადოებას. ის თავისი ეგოიზმით, თავისი პათოლოგიური მისწრაფებით — არ დარჩენს მარტო, უდროოდ უსპოსს სიცოცხლეს თავის საყვარელს, რომ ის სამუდამოდ თავისთან დატოვოს. ემილია გრიერზონი ქედმაღლობის, მედიურობის, სიამაყის ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ ეს მისი სიამაყე განსხვავდება, ადრე ჩამოთვლილი გმირების ვირჯინია დიუ პრეს, ბაიარდ სარტორისის, ლუკას ბიშუმის და სხვების ღირსების გრძნობისაგან. მისი ღირსება მოჩვენებითია და ამიტომ მისი აღწერის დროს ფოლკნერს ირონიული ინტონაცია შეაქვს. ემილიას იდეალები და მისწრაფებები განუზოცრციელებელია, მკვდარია, როგორც მისი საყვარელი ვეამი.

პირველმა მსოფლიო ომმა უარყოფითად იმოქმედა ინდივიდთა ფსიქიკაზე. ეს ვადაუნა სხვადასხვანაირად გამოიხატა. ერთი მხრივ, წარმოიშვა „დაკარგული თაობა“ — ადამიანე-

⁴ W. Faulkner. Go Down, Moses and Other Stories., Penguin Books, 1965, p. 42.
⁵ W. Faulkner. Collected Short Stories. vol. III, London, Chatto & Windus, 1958, p. 133.
 თარგმანი ვ. ქვალუასი („ხომლი“, 1971, № 6, გვ. 78).

ბარინა დანელია
 ეთიკის პროფესორი ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველაზე

ბი, რომლებმაც ომის შემდეგ ვერ იპოვეს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ზედმეტ ადამიანებად იგრძნეს თავი. მეორე მხრით, ომის საშინელებამ, მისმა უაზრობამ საზოგადოებას შესძინა გამოფიტული, ყოველგვარ ეთიკურ კრიტერიუმს მოკლებული ახალგაზრდები.

„ომის შემდგომი ვითარებით უკმაყოფილებამ იღლიამ ფოლკნერის შემოქმედებაში მიიღო რალაც უნივერსალური ხასიათი“⁶...

ავტორის უკმაყოფილება ომის შემდგომი ვითარებით და მისი ზიზი ამ დეგრადირებული თაობის მიმართ ნათელია, თუმცა ფოლკნერი ღრმად არ ჰგრეტს პრობლემას და აღწერს თვით ადამიანის დაკნინების პროცესს და არა მის გამოწვევს მიზეზს, — იმ გაერმოციველ საზოგადოებას, იმ პირობებს, რომლებმაც ხელი შეუწვეს ადამიანის გადაგვარებას.

უილიამ ფოლკნერს აინტერესებს ომის საშინელებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ძვრები ადამიანის ფსიქიკაში.

ადამიანზე ომის უარყოფითი გავლენის, ადამიანის სულიერი დაცემის, ადამიანური ღირსების დაცვების ნათელ სურათს წარმოადგენს სერენტი გრეი ნოველაში „გამარჯვება“.

ალეკ გრეი, შოტლანდიელ გემთმწეებელთა ოჯახიდან წარმომადგარი, არღვევს თავისი ოჯახის ტრადიციას და ბრძოლაში ერთი გამარჯვებისაგან თავბრუდახვეული, ომის დამთავრების შემდეგაც აღარ ბრუნდება მშობლიურ სოფელში, რომ გაგრძელდეს მამა-პაპათა საქმე. მამის თხოვნის მიუხედავად, მიწიერ სახელმძებვეს აყოლილს, ვერ წარმოუდგენია თავისი სიცოცხლე ომის ვარეშე, თავის გამოჩენის ვარეშე. მდაბალი პატივმოყვარობა აიძულებს ცხოვრების ლონდონში და ასანთის გაყიდვით ირჩინოს თავი. ერთი შეხედვით სერენტი გრეი შეიძლება დაკარგულ თაობას მივაკუთვნოთ, რომელიც ომმა ნამდვილ გზას ააციდინა, მაგრამ ფოლკნერი სხვანაირად სვამს საკითხს: მისთვის რა არის არა მარტო მსხვერპლი, არამედ მორალურად დეგრადირებული ადამიანი, ნაძირალა, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა უარყოფითი თვისებები, ხოლო ღრობითმა წარმატებამ ხელი შეუწყო მისი ნაკლის, მისი მდაბიო სულის გამოაშკარავებას.

„ნოველა „გამარჯვება“ ეს არის ზვიადი სიამაყის ამბავი, რომელმაც უბრალო ადამიანობა უქუადლო“, ამბობს ვ. პალიევსკი⁷.

ამიტომ ვერ ვეთანხმებით ელ. რომანოვას, რომ ნოველა „გამარჯვება“ ძირითადად წარ-

მოგვიდგენს ომის შედეგად დამახინჯებულ ადამიანს, რომ გრეის წერილები მშობლებთან მოწოდებენ „მის სევდას მშვიდობიანად უსმინებლად ბისადში“, რომ „გამარჯვების“ გმირი, რომელსაც გააჩნდა ძლიერი ნებისყოფა, თავდაპირა, სურვილი შეენარჩუნებინა საკუთარი „მე“ ცხოვრების ულმობელი პირობების შედეგად... ცოცხალი მკვლარს ემსგავსება“⁸.

გრეის სახე მოცემულია სხვადასხვა პირობა შეხედულებების მიხედვით. გრეის ლექსიცა ღარბობა. ის თითქმის მუდამ უტყვიია, მაგრამ ამ უთქმელობაში გამოიხატება გმირის შინაგანი არსი, მისი გულცივობა, არაჩვეულებრივი ეგოცენტრიზმი და პატივმოყვარეობა. გრეი ძლიერი ნებისყოფის ადამიანია და ამავე დროს ყოველგვარი ემოციებისაგან დაცილი პიროვნება, ამას მოწმობს მისი წერილები მშობლებთან. პირველი შეხედვისთანავე ტოვებს გრეი უგულო ადამიანის შთაბეჭდილებას. ის თითქმის არ ვაქს ცოცხალ ადამიანს, რომელიც ადვილად რეაგირებს გარემომცველი სამყაროს ამა თუ იმ მოვლენაზე ან შემთხვევაზე. ამიტომაც ფოლკნერისათვის, რომელსაც ძლიერი ემოციური გზნება ახასიათებდა, მიუღებელია ასეთი გამოფიტული, ემოციებით ღარიბი ადამიანის არსებობა. ფოლკნერისათვის გრეი მკვდარი სულია, ცოცხალი ლეშია.

რა თქმა უნდა, ომი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო გრეის ცხოვრებაში. ომმა შეუქმნა მას რალაც ილუზია, იმედი და შემდეგ წარატვა ყველაფერი, ადამიანური ღირსებაც კი, მაგრამ არა გრეი ომი იყო ამაში დამნაშავე, — ომმა მხოლოდ ხელი შეუწყო წვრილმანი პიროვნების სულმდაბლობის გამოვლინებას.

მორალურად ზნედაქმული ადამიანის, ბავშვის ფსიქოლოგია აქვს ასახული ფოლკნერს ნოველაში „ეს შესანიშნავი იქნება“.

შვიდი წლის ჯორჯის ერთადერთი სურვილია გამდიდრდეს, შეაგროვოს რაც შეიძლება მერი ფული. მაგრამ „ნორმალური ბავშვისაგან განსხვავებით მას არავითარი მიზანი არა აქვს, „სიხარბის ვარდა“⁹.

მას არაფერი აინტერესებდა, მას არ აწუხებდა არავითარი ოჯახური ამბავი. ერთადერთი მისი მისწრაფება ცხოვრებაში იყო ფული და ამ ფულის მიღება და ხალხსაც მხოლოდ მოგების თვალსაზრისით უყურებდა. ახლობლების მიმართ არავითარი სიყვარული და სითბო არ გააჩნდა.

„თუ პაპა მომცემს 1/5-ს, შემდეგ, როცა ბიძია როდნი მომცემს ოცს, მაშინ მექნება ოცი

⁶ М. Мендельсон. Современный американский роман. Изд-во «Наука». М., 1964, стр. 202.

⁷ В. Палиевский. Путь А. Фолкнера к реализму. Матер. научн. конф., М., 1964, стр. 20.

⁸ Ел. Романова. Антивоенные мотивы в творчестве Уильяма Фолкнера. «Иностранная литература», 1955, № 6, с. 172.

⁹ Joseph Gold W. Faulkner. A Study in Humanism From Metaphor to Discourse. Oklahoma, Press, Norman, 1967, p. 23.

და 1/5 დოლარი და ეს შესანიშნავი იქნება¹⁰.
რამ წარმართა ასე პატარა ბავშვის გონება,
ფსიქიკა? „ჩვენ სწრაფად ვხვდებით, ამბობს
ამერიკელი კრიტიკოსი ჯოზეფ გოლდი, რომ
უფროსი თაობა იმის ნაცვლად, რომ ბავშვის
შთაგონის სისპეტაკე, მოთხრობაში პასუხს
აგებს იმ პატერიალური დინამიკურებისათვის,
რაც ბავშვის სამყაროს შინაგან არს წარმოად-
გენს“, და, ვინაიდან ფული ადამიანების ძირი-
თადი მამოძრავებელი ძალაა, ამიტომ ბავშვის
სამყაროც მეტად ღარიბია და მას მოგვების გარ-
და არაფერი არ იზიდავს.

ამერიკის სამხრეთი ქმნის ვარკვეულ პირო-
ბებს, რათა ადამიანს გამოუმუშავდეს ვარკვეუ-
ლი შეხედულებები ეთიკის სხვადასხვა კატე-
გორიებზე. ადამიანის ბუნება ვლინდება სინდი-
სის ცნების გაგების თანხმად. ადამიანის ჰუმანი-
ზმის მიჩვეუბელია მისი პირადი ღირსების
გრძნობა, მის შიგნით, გონებაში არსებული ინი-
ნაღმდევობათა გადალახვა, სინდისის ქენჯნა.

ადამიანის მორალის ანუ სინდისის საკიბს
ფოლკნერი შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავა-
რი აღვლილ უჭირავს.

ადამიანის მორალური უპირატესობის საჩვე-
ნებლად ფოლკნერი თავის გმირს აძლევს არ-
ჩვევანის შესაძლებლობას—გადაწყვიტოს კონფ-
ლიქტი მოვალეობასა და სინდისის შორის.

წინააღმდეგობათა გადალახვა, მორალურა
გარდაქმნა, შინაგანი კონფლიქტი, სიკეთისა და
ბოროტების დიფერენცირება ფოლკნერის თით-
ქმნის ყოველი მოთხრობის ძირითადი საკითხია.
მწერალი მუდამ უპირისპირებს ორ საწინააღმ-
დეგო ეთიკის კლას: „თუ ის წერს ღირსებაზე,
აგრეთვე წერს უღირსობაზეც. იმედს გულისხ-
მობს უიმედობის შესაძლებლობას. სიამაყე,
პატივმოყვარეობა, თანაგრძნობა, უაღმარაობა,
შეცოდება, მადლიერება და თავგანწირვა დამ-
ყარებელია თავის გადარჩენის გრძნობაზე“, ამ-
ბობს მერი კუპერ რობი¹¹.

ფოლკნერის ჰუმანური მრწამსი მოცემულია
თვით ავტორის მიერ თავისი ბრწყინვალე აღ-
რინდელი ნაწარმოებების აღწერისას: „თქვენ
წერთ მოთხრობას, რომ სთქვამთ რამე ადამია-
ნებზე, ადამიანზე მისი მუდმივი ბრძოლით სა-
კუთარ თავთან, სხვებთან ან თავის გარემოს-
თან. ადამიანი ვლინდება თავის გაუთავებელ,
მარადიულ ჭიდილში, რომელსაც ჩვენ ვიღებთ
მემკვიდრეობით“¹².

ფოლკნერის აზრით, ადამიანს უნდა შესწევ-

დეს უნარი გააკეთოს არჩევანი სწორსა და
მცდარს შორის, ადამიანურ ღირებულებებში, ურ-
თი გჯერდის სასარგებლოდ. არჩევანს აუცილებ-
ლად უნდა მოყვებოდეს კონფლიქტი. ფოლკნერის
დადებითი გმირები ბაიარდ სარტორისი, პატა-
რა სარტი სნოუპსი კონფლიქტში არიან რო-
გორც საკუთარ თავთან, ისე მათ გარემომცველ
სამყაროსთან. მათ კეთილშობილურ მისწრაფე-
ბებში უნდა ვეძებოთ საზოგადოებისაგან მათი
გათიშვის, საკუთარ წარსულთან დამორბევის
მიზეზი.

პატარა სარტი სნოუპსი განიცდის შინაგან
წინააღმდეგობას მოვალეობას და სინდისის შო-
რის მოთხრობაში „ამფეთქებელი“. ბავშვის
გაორება გამომდინარეობს არსებულ პირო-
ბებთან შეუგუებლობისგან: მის კეთილშობილ
ბუნებას ეხამებოდა სიკრუტე, მაგრამ მოვალეობ-
ბა იჯახის წინაშე აიძულებს ტყუილი სთქვას.

ბავშვი ძალიან პატარაა, რათა მამინვე დაი-
წყოს ბრძოლა, წინააღმდეგობა გაუწიოს მამ-
მას, არ დაემორჩილოს მის ძალას. მისი წლო-
ვანება „სამკარისი არ იყო იმისათვის, რომ ეს
ფეხზე მტკიცედ მდგარიყო, ამ სამყაროსათვის
წინააღმდეგობა გაეწია და მასში რაღაც შეეც-
ვალა“¹³.

მაგრამ იმდენად ძლიერია ბავშვში ესთეტი-
კური გრძნობა, სილამაზის განსაკუთრებული
შეგრძნება, რომ ის ბრძოლას იწყებს, შორდე-
ბა იჯახს, საკუთარ წარსულს, არ სურს მონა-
წილეობა მიიღოს დე სპეინების სასახლის
აფეთქებაში. ანარქისტული ბუნების პატრონ,
პირქუსე და მაკარ მამასთან შეჯახება არც თუ
ისე ადვილი იყო. ამიტომაც პატარა სარტი
უკანასკნელ წუთამდე ამყარებს იმედს, რომ მამის
ხასიათი შეეცვლება, ის სულ ორპო-
ფობს: „შეიძლება ეს შეცვლის მას და ის აღარ
იქნება ისეთი, როგორც ახლანა. შესაძლოა, ეს
არც არის ძვირი გადასახადი იმისათვის, რომ
ეს საბოლოოდ შეწყდეს და მამა აღარ იყოს
ისეთი როგორც ყოველთვისაა. შეიძლება ეს
ყველაფერი ერთი ერთმანეთზე დაეწყობა —
ხორბალი და ნოხი და ცეცხლი და ყველაფერი
გაქრება, ეს შიში და დარდი, და აღარ იქნება
საკირო გაორება, თითქოს შენ გწვივდეს სხვა-
დასხვა მხარეს ორი ცხენი — ყველაფერი, ყვე-
ლაფერი დამთავრდება საბოლოოდ“¹⁴.

თვით ფოლკნერიც თავის გმირთან ერთად
ელის სამყაროს შეცვლას, ადამიანთა ფსიქო-
ლოგიის შეცვლას.

კონფლიქტი მამარდება და სარტის განცაღა

¹⁰ W. Faulkner. Collected Short Stories. vol. I, p. 182.

¹¹ Mary Cooper Robb. William Faulkner: An Estimate of his Contribution to the American Modern Novel, Pittsburgh, 1957, p. 24.

¹² F. Gwynn and I. Blotner. Faulkner in the University. Charlottesville, Virginia, 1959, p. 25.

¹³ W. Faulkner. Selected Short Stories. The Modern Library. New York, 1961, p. 10.

¹⁴ Ibid., p. 10.

მარიონ დანელია

ბიტიკის პრობლემა ფოლკნერის ფსიქოლო-
გიურ ნოველში



კულმინაციას აღწევს, როდესაც ის ატეობინებს დე სენინებს მამამისის გადაწყვეტილებას.

ბავშვის „ტრაგედია“ ძალიან დახვეწილად, დამაჯერებლად და პოეტურად არის გაშუქებული¹⁵, წარსულთან დაშორება, ოჯახის მიტოვება წარმოდგენილია ბჭის განცდებში, მის გაქცევაში ტყისაკენ, თავისუფლებისაკენ.

„ის ზურგით იჯდა იმის მიმართ, რაც ოთხი წლის წინათ მისი სახლი იყო და შესცქეროდა დაბურულ ტყეს, რომელიც მის შეიფარებდა, როდესაც ის ძალას მოიკრებდა და შიგ შევიდოდა... უიმედობით და დარღვეთ შეპყრობილი“¹⁶.

მოთხრობის დასასრული, ჩვენი აზრით, ოპტიმისტურია, ის საზეიმოდ ეღერს და თითქოს პატარა სარტის აიძულებს იმედიანად შეხედოს მომავალს: „ის მიოდან ჩამოვიდა და გაემართა დაბურულ ტყისაკენ, საიდანაც მოისმოდა ფრინველთა შეუჩერებელი წკრაილა ჰიჰიჰი — გაზაფხულის ღამის ჭიუტი და მგალობელი გულის სწრაფი და ჭიუტი გულისცემა“¹⁷.

სარტის გაქცევა ტყისკენ გამოხატავს მის გათავისუფლებას, მის სიციხისოსტრიანობას, მის გამარჯვებას. ის დაუშარცხებელია, „unvanquished“ როგორც ფოლკნერის საყვარელი გმირები, რომლებიც მის იდეალს განასახიერებენ. „მჭერა... ადამიანი უცვლელია, ვანა იმიტომ, რომ ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ მას აქვს ბოლომდე ჩაუშობელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს გული, აქვს სული, სული, რომელსაც შესწევს თანაგრძობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი... შშის უქანასკნელად ჩასვენების ემს, როდესაც ირგველი თანდათან მწუხრი დისაღებურებს, დაშრეტელ ზღვაში უბადრუკად გამოყოფილ უქანასკნელ კლდეზე საბედისწერო განკითხვის ზარების გრგვინვა-გუგუნი რომ მიწყდება“¹⁸, მაშინაც გაისმის კიდევ ერთი ხმა: სუსტი, მაგრამ დაუშრეტელი, შეუჩერებელი ხმა ადამიანისა.

აეტორის ჰუმანურ იდეალს განასახიერებს აიზეკ მაკასლინი, მონათმფლობელთა გვარის ჩამოშავალი, რომელიც უარს ამბობს საკუთარ მამულზე და დურგლად იწყებს მუშაობას, რათა თეატრკანიათა მიერ მიყენებული ზიანი გამოისყიდოს, საუკუნეობრივი ვალი მოიხადოს ზანგებისა და ინდიელების წინაშე.

„არსად აღარ არის ადგილი, სადაც ცალკეულ ინდივიდს შეუძლია გავსაუბროს წყნარად მეორეს ისეთ მარტივ რაღაცაზე, როგორცაა პატრონსება, პასუხისმგებლობა სხვების მიმართ, სუსტთა დაცვა და ყველასადმი თანაგრძნობა და

სიბრალული“¹⁹.

„მაგრამ დამარცხებისა და უიმედობისკენ მიყვანილ ხელდავად, გამძლეობის პატარა ცენტრი“²⁰ მჭერს მალევე აღაგონებს და ტანჯული გულით ფოლკნერის ხმას იმალებს ადამიანის სულის დათრგუნვის წინააღმდეგ²⁰.

აიკ მაკასლინი თავის მსოფლგაგებით, თავისი მოქმედებით მძლეობდა და ჰუმანიზმის ზოგად საკაცობრიო იდეალს გამოხატავს. მისი სინდისი საზოგადოებრივი სინდისის გამოხატულებაა.

ფოლკნერი ამბობს: „მე ჯერ კიდევ მჭერა ადამიანისა, რომ მას ჯერ კიდევ აქვს სურვილი, ნატვრა, მისწრაფება გააკეთოს უკეთესად, ვიდრე შეუძლია, და ზოგჯერ ის აცეთებს ოდნავ უკეთესად, ვიდრე ვინმე მოელის მისგან. ასეთი ადამიანი უკვლავია“²¹.

ეს სიტყვები შეიძლება მიგვეტონთ აიზეკ მაკასლინს, რომელიც ცდილობდა გადაეწყვიტა რასობრივი პრობლემა და აეტორთან ერთად თავისი ადამიანური ღირსება და საერთო სამართლიანობა დემტციეცინა.

„ქუშმარიტება ერთია. ის არ იცვლება. ის ფარავს ყველაფერს, რაც გულს ხედება—ღირსება, სიამაყე, შებრალება, სამართლიანობა, გულადობა და სიყვარული. გულადობა, ღირსება, სიამაყე, სიბრალული, სამართლიანობა და თავისუფლების სიყვარული, ყველაფერი ეს გულს ხედება და რასაც გული იტყვის, ის ჰუმარიტებად იქცევა, რადენადაც გვესმის ჰუმარიტებისა“²².

ჩვენ შეგვხვთ ეთიკის არს ფოლკნერის ნოველაში და დავინახებთ, რომ აეტორი მხოლოდ ისეთ ადამიანს თვლის ჰუმარიტ ადამიანად, რომელსაც შერწყმულად აქვს მოცემული ყველა ძირითადი ადამიანური თვისება: ღირსება, სიამაყე, სიბრალული, სამართლიანობა, გულადობა და სიყვარული. მხოლოდ ასეთი მდიდარი სულის პიროვნება არის ფოლკნერის იდეალი და აეტორი მოუწოდებს კაცობრიობას განკურნოს სამყაროს ყველა მანკიერება, რადგან მან იცის, რომ „ყოველ ადამიანს შეუძლია ვადაარჩინოს სხვა უსამართლობისგან თუ ის ამას უბრალოდ მოინდომებს, ან ეცდება, ან ხმას აიმალებს“²³ და ამიტომ XX საუკუნის დიდი მწერალი უდიდეს ფოლკნერი ძალას არ ზოგავს, რომ მონაწილეობა მიიღოს სამყაროს სრულყოფის საქმეში.

¹⁹ F. Gwynn and J. Blotner. Faulkner in the University, p. 242.

²⁰ Melvin Backman. The Major Years. Indiana Univ. Press, Bloomington-London, 1966, p. 186.

²¹ R. A. Jelffe(ed). Faulkner at Nagano. Tokyo, 1956, p. 5.

²² W. Faulkner. Go Down, Moses and Other Stories, 1965, pp. 226-227.

²³ Nagano, p. 76.

¹⁵ M. Мендельсон. Современный американский роман, с. 231.

¹⁶ W. Faulkner. Selected Short Stories, p. 26.

¹⁷ Ibid., p. 27.

¹⁸ ფოლკნერის სიტყვა სტოკპოლში ნობელის პრემიის მიღების დღეს. — „ზოზლი“, 1971, № 6, გვ. 77. თარგმ. ც. თოფურბისი.

ვახუშტის პირობა

თქვენთვის, პოეტებო!

ძლივს... ძლივს არ ეშველა ჩვენს პოეზიას! აწი (ეს კუთხური სიტყვაა, ნიშნავს — „ამიერიდან“) ვინღა დაწერს ცუდ ლექსებს, ვინღა გაბედავს „ხელაღებით შემოიტანოს მწერლობაში ბავშვობისას გავონილი (!) დიალექტიზმები“, აწი „სიტყვის გრძნობას მოკლებული ადამიანი ვერ იბოგინებს სამწერლო ასპარეზზე“, შეწყდება „ზოგ-ზოგის დროებითი სრბოლა პოეზიის მაღალ თაღებს შორის“ და ა. შ. და ა. შ.

უკვე ვხედავ, პოეტებმა ყურები ცქვიტეს — რა მოხდა ასეთიო, ვინ მოგვევლინა მხსნელადო. არ გაგივათ? ეეჰ, არც ასე ვარგა, კარგი იქნებოდა, საკუთარი და ერთმანეთის ლექსების გარდა წაგვეკითხათ ი. მაისურაძის წერილი სათაურით „სიტყვის გრძნობა“ აი, სწორედ იქ იპოვით უებარ რეცეპტს კარგი ლექსის დასაწერად. ნახეთ? აბა, რა გეგონათ! ახლა ისღა დაგრჩენიათ, ამოიწეროთ ამ რეცეპტიდან (ცალ-ცალკე) ის სიტყვები, რომლის ხმარება შეიძლება ლექსში და რომლის არ შეიძლება. ამოიწერეთ? კეთილი და პატიოსანი! ჰოდა, ნუღარ იხმართ აწი (ე. ი. ამიერი-

დან) „მკვეთრ დიალექტიზმებს“, რაკიღა „კუთხური სიტყვები ამღვრევს ენის სიწმინდეს“. აღარ იხმართოთ **გამთენია** (ტიციან ტაბიძე, მართალია, კი ამბობს: „გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო“, მაგრამ ასეთი ლექსი „აბა, რა მოსაწონია“), **კადო, ნაჯო, ლენჯო, სოხანე, ლაფარო, ვასკა** (ოლონდ, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ნუ გაუმხელთ, რომ ამ სიტყვის ხმარება აიკრძალა), **კრილი, კაბელა, არჩივი, ფინჩხა, ამოპოტნა** და ა. შ. მართალია, ამ სიტყვებს ხმარობენ ე. ნინოშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, ბარბარე ჯორჯაძე, ა. ბელიაშვილი, რ. ქორქია, რ. გვეტაძე, „ივერია“, „კომუნისტი“ და სხვანი, მაგრამ ეს პროზაში ხდება, ლექსში კი მათი ხმარება მომაკვდინებელი ცოდვაა. თუმცა გალაკტიონი კი ამბობს „სახლს აწვალეზდა კრილიო“, მაგრამ არ გაბრიყვდეთ და თქვენც არ იხმართოთ ეს, თურმე, „კუთხური“ სიტყვაა. მ. მაჭავარიანი იმასაც ნატრობს, „გამართონია თბილისში ერთხელო“. არც ამან შეგაცდინოთ. აიღეთ და ასე დაწერეთ: „გამატარა

თბილისში ერთხელ“ და, მოგეცათ ლხენა, შეითხველი გაიხარებს ამისთანა „მალალთალებიანი“ პოეზიით!

კი მაგრამ, რა ეიხმაროთ ზემოთ ნახსენები აკრძალული სიტყვების მაგივრადო, — გიკვირთ თქვენ. რა იხმარეთ და ოღოროზად ადგილი (ნაჯაო), კაკალ გაცლილი წენგო (ლენჯო), მიწის იატაკი (სოხანე). პატარა მწვანე ბაყაყი (ვასაყა), წილი ან კერძი (არჩივი), ჭრელი (კაბელა — რა ვუყოთ მერე, რომ ჭრელი ყველაფერზე ითქმის, კაბელა კი მარტო ხარზე ან ძროხაზე). ლაფაროს მაგივრად შეგიძლიათ ლექსში დაწეროთ: „შენაობის ირგვლივ ადგილი, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს“. ასე წერია „განმარტებით ლექსიკონში“ და იქვე უწერია: „კუთხ. (იმერ. გურ)“. რაკი ლაფარო არის „კუთხ. (იმერ. გურ.)“, მის მაგივრად უნდა იხმაროთ ზემოთ ციტირებული წინადადება.

რეცეპტი მარტო აკრძალვას როდი წარმოადგენს. აკრძალული სიტყვების შემდეგ ნებადართული სიტყვების სიას გაწოდებთ ავტორი. თქვენც ისარგებლეთ ამ ზრუნვით და, რაც შეიძლება, ხშირად იხმარეთ „ისეთი მლაღადებელი სიტყვები, როგორიც არის ჰაპანწყვეტა, ორომტრიალი, ვაიუშველებელი, ჰირნახული“ და „პოეტურად მოციმციმე“ სიტყვები: „ბამბისქულა ღრუბელი, კოკისპირული წვიმა, ნამგალა მთვარე, ცხრათვალა მზე, ზღვა ხალხი, ქორბუდა ირემი, გალომებული, გააფთრებული, გაწიწმატებული, დედიშობილა, ცისარტყელა, ციციანათელა...“ (ხომ

გახსოვს, „ჩემო ციციანათელა“ ჰქვია ჰაპანწყვეტას არ შეუშინდებით და ვაიუშველებელ ორომტრიალში ჩაებმებით, ისეთ ჰირნახულს მიიღებთ, რომ კოკისპირულ წვიმაშიც გალომებული, გააფთრებული, იქნებ გაწიწმატებულიც, ზღვა ხალხი დედიშობილა მოაშურებს თქვენი პოეზიის ცხრათვალა მზის (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხშირად უნდა იხმაროთ) გამოწმაცე ცისარტყელას.

მაგრამ მარტო სიტყვების (თუნდაც შერჩეული სიტყვების) სწორად ხმარება ვერ გიშველით (ავერ მეც ვიხმარე ის სიტყვები, მაღალი პოეზია კი არ გამოვიდა!). ცოტა მხატვრულ სახეებზეც უნდა იზრუნოთ. ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დაწეროთ: „დავალ, დავათრევ უშველებელ კრწანისის სევდას“. აქ პოეტს უნდა ეხმარა „ვაიუშველებელი“ ანდა უბრალოდ ეთქვა: „კრწანისის ვაიუშველებელი ორომტრიალის ამბავი რომ გამახსენდება, გული მისევდიანდება“ (ყურადღება მიაქციეთ მოხდენილ რითმას: გამახსენდება — მისევდიანდება!). „სიტყვის გრძნობის“ კარნახით არც „გულის ყვილი“ უნდა იხმაროთ. რამ დავავიწყათ, თქვე ოჯახუნებულებო, გულისთქმა ანდა გულის ძახილი!

ამხანაგო პოეტებო! დაანებეთ თავი საკუთარი „გულის ყვილი“, ისარგებლეთ ი. მაისურაძის უებრო რეცეპტით და, თუ გინდათ „იბოგინოთ პოეზიის მაღალ თალებს შორის“... დაწერეთ კაიკაი (ვაიმე! ესეც „კუთხ.“ ხომ არ არის?) ლექსები.

აბა, თქვენ იცით!





პსკიქან



აუშ

ერნესტ ჰემინგუეის „აფრიკული დღიური“

ყოველკვირეულმა „სპორტს ილუსტრაციულმა“ გამოაქვეყნა ამერიკელი მკითხველისათვის დღემდე უცნობი ნაწარმოები ერნესტ ჰემინგუეისა — „აფრიკული დღიური“, რომელზეც მწერალი 1954-1956 წლებში მუშაობდა. ნაწარმოები გამოცემის 1956 წლის ნამდვილ ამბებს, როცა მწერალი და მერი ჰემინგუეი კენიას გამგზავრდნენ და მონაწილეობა მიიღეს დიდ სამონადირეო ექსპედიციაში, მწერალმა კენია პირველად 1933 წელს იხილა, ასე რომ 20 წლის შემდეგ იგი კვლავ ესტუმრა ამ ქვეყანას.

„აფრიკულ დღიურში“ ჰემინგუეი აგვიწერს კენიის ბუნებასა და აფრიკელ მონადირეებს, მოგვითხრობს კენიის ბრძოლაზე ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ და რელიგიის პრობლემებსაც ეხება, მაგრამ ყველაზე საინტერესო და ნათელი ფურცლები ნადირობის სცენებს ასახავს, როცა მერი ჰემინგუეიმ ღოში მონადირა, თავად მწერალმა კი — ლეოპარდი.

როგორც „სპორტს ილუსტრაციულმა“ სარედაქციო წინიშვნაშია აღნიშნული, ნაწარმოები თითქმის მთლიანად სინამდვილის ასახავს, თუმცა მწერალს კენიაში მოგზაურობისას

არავითარი ჩანაწერები არ უწარმოებია.

„მისი მემსიერება ყოველთვის მარცხდა, — ამბობს მერი ჰემინგუეი, — მე მთელი ამ ნადირობის მანძილზე დღიურებსა ვწერდი და ყველაფერი ის, რაც აღვწუსებ, ჰემინგუეიმ კუბაში მემსიერების წყალობით ჩამოიყვალა. შემდეგ ხშირად ვუყიკრებდი დღიურებს, რათა დეტალები შემემოწმებინა, მაგრამ ჰემინგუეის ყოველივე პირვანდელი სიზუსტით ჰქონდა აღწერილი“.

მწერალი ხელნაწერზე მუშაობას შინ დაბრუნებისთანავე შეუდგა, წერდა 1956 წლის თებერვლამდე, ზოგჯერ შეივსენებდა ხოლმე და მონაწილეობდა ფილმის „მოხუცისა და ზღვის“ გადაღებაში. „აფრიკული დღიურის“ უკანასკნელი სტრიქონები 1956 წლის 27 თებერვლს დაიწერა, შემდეგ კი ჰემინგუეიმ ხელნაწერი ცელოფანში გაახვია და დროებით გვერდზე გადადო, მოგვიანებით კვლავ მოუხებრუნდებო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, გადაღება რომ დასრულდა და შინ დაბრუნდა, იგი უკვე სხვა ნაწარმოებზე გაიტაცა.

ყოველივე ეს შურნალისტებს მერი ჰემინგუეიმ უამბო.

მწერლის ქვრივს „აფრიკული დღიური“ დაუმთავრებულ ნაწარმოებად მიანიშნა. მწერალი ნაწარმოებზე ძალზე დაძაბულად მუშაობდა — დღეში ექვსსამ-

დე სიტყვასა წერდა და განზარახული ჰქონდა ხელნაწერის დახვეწა-გაშალა-შინება.

„სპორტს ილუსტრაციულ-დისეული“ პუბლიკაცია მთელი წიგნის მეოთხედს შეადგენს. საბუნებრივად ნაწარმოების მომზადება წელიწადნახევრიდან ორ წლამდე დროს მოითხოვს.

ბელგია

პარლამენტული ფრანს მახარაძე

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ბელგიელი მხატვარი ფრანს მახარაძე. ყოველთვის, როცა კი ხელში ყალმის დაკავება ძალშიმდა, ხატვას ვიწყებდით, — წერდა იგი შვიდი წლის წინათ თავისი ერთ-ერთი გამოფენისათვის მომზადებული კატალოგის წინასიტყვაობაში. გაზეთი „იუმანიტე“ მკითხველს აუწყებს მხატვრის გარდაცვალებას და ვრცელად ასახავს მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

გენტის სამხატვრო სკოლის დასრულების შემდეგ მახარაძე შევიცარიას მიემგზავრება და პირველი მსოფლიო ომის წინ რომენ როლანს უმეგობრდება, რის შედეგადაც მხატვარი დასავლეთის პროგრესული შემოქმედებით ინტელიგენციის წინა რიგებში დგება. 1917-1920 წლებში მისი ნახატები თითქმის ყოველდღიურად იბეჭდებოდა შვეიცარიის

გაზეთ „ფიონიში“. მაჭერე-ელი მრავალი წლის მანძილზე თანამშრომლობდა შურნალ „კლარტში“, რომელსაც ანარი ბარბიუსი ხელმძღვანელობდა, ხოლო 1937-1938 წლებში უან-რი-შარ ბლოკთან გაზეთ „სე სუარში“ მუშაობდა, მეორე მსოფლიო ომის დროს კი წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო.

მაჭერელის პირველი ვრცელი ნაწარმოები 1918 წელს შეიქმნა, ეს გახლდათ გრავიურათა სერია ხეზე, უტექსტო რომანს — „ადამიანის ვნებას“ რომ წარმოადგენდა. განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა შედგომი ათწლეული, როცა მხატვარმა დაასურათა „უღუნე-შპიგელის ლეგენდა“ და „უან კრისტოფი“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მაჭერელი სამხრეთ საფრანგეთში დასახლდა და მის პალიტრას, აღრე ჩრდილოეთის მკაცრი ტონები რომ ახასიათებდა, ხმელთაშუა ზღვის ნათელი ფერებიც შეემატა, თუმცა მხატვარი თავის შემოქმედებაში ხშირად დაბრუნებია იმ ქვეყანას, სადაც დაიბადა. მაჭერელის უკანასკნელი 15 წლის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ჩემი ქვეყანა“ (1956 წ.) და „ანტერპენი“ (1968 წ.) მაჭერელის შემოქმედება გრავიურათა გარდა ზეითითა და აკვარელით შესრულებულ არა ერთ ტილოს მოიცავს, განსაკუთრებით ცნობილია დამის პარწისადმი მიძღვნილი მისი აკვარელები.

მხატვრის გრავიურათა კრებული მსოფლიო მრავალ ქვეყანაში გამოიცა. მხატვრის საუკეთესო კმნილებანი, უპირველესად კი მისი დიდებული ილუსტრაციები შარლ კოსტერი-

სა და რომენ როლანის ნაწარმოებთათვის, სამარადინოდ შევა წიგნის გრაფიკის მსოფლიო საგანძურში.

ბულგარეთი

შრომის საღმრთო

უჩვეულო შრომისმოყვარეობა, ბულგარელი ხალხისთვის რომაა დამახასიათებელი, რამდენადმე განსაზღვრავს კიდევ ამ ერის ისტორიულ ბედს. „იშვიათია მოიქმნოს ბულგარელი პოეტი — წერს გაზეთი“ „რაბოტნიჩესკო დელო“, — შრომისათვის რომ არ ემდეროს. სწორედ ამიტომა გამართლებული ანთოლოგიის — „შრომის ბულგარული პოეზიის“ დროული გამოცემა. კრებული მოიცავს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი შექმნილა მხატვრული ლიტერატურის ამ დარგში“.

ანთოლოგია, რომელიც ა. ტოდოროვის რედაქციით გამოსცა პროფგამომცემლობამ, 120 ავტორის 270 ნაწარმოებს აერთიანებს. აქ შეხვდებით როგორც კლასიკოსებს — პ. სლავეიკოს და ქრ. ბოტევს, აგრეთვე თანამედროვე ახალგაზრდა პოეტებს — მ. შოკინს, ი. დიშოვსა და სხვებს.

გვრ

როლფ შოპუტის პიესა

— ჩემი შემდეგი პიესა კომედია იქნებაო, — ასე ამბობდა უოველი ტრაგედის დასრულების შემდეგ ცნობილი დრამატურგი როლფ შოპუტი, მაგრამ ამაოდ, ხელახლა ტრაგედიებს წერდა.

ამას წინათ კი შოპუტმა მართლაც შეასრულა დანაპირები, ასე რომ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მწერლის პირველ

კომედიას — „ბებიჟკოსი“ პიესის ცენტრში დგას დედაბერი, რომლის მხედველობა 5801 ჩვილს გაუვლია. „დაუმორჩილებელი და ვაჟკაცი სულის ადამიანი სოფია, ტიპური შოპუტისეული ფიგურა“. — წერს შურნალ „შპიგელის“ რეცენზენტი.

სოფია ბებიჟკოსი, ამავე დროს იგი ვილეგმსტლის ქალაქის საბჭოს წევრიცაა, უკანონოდ იყენებს ხოლმე საკუთარ უფლებებს. ვისაც სურს წარმეტებას მაილწიოს, კანონი უნდა დაარღვიოსო — ასე ფიქრობს სოფია და წარამარა არღვევს კანონს. ცბიერობს უაღბისქნელია, მიუხედავად იეროდერტი აქვს — ადამიანურად იცხოვრონ იმით, ვისაც იგი ენმარება ამქვეყნად მოვლენისას. სოფია იბრძვის სხვათა ბედნიერებისათვის: ცდილობს მიწურებში იცხოვრებინი კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდოს, დახმაროს დატაკებს, გააუჭკაბესოს მოხუცთა ცხოვრება. პიესას საფუძვლად ახლო წარსულის ზოგიერთი სინამდვილე უდევს. 1971 წელს უსახლკარონი ცარიელ ბინებში შეიჭრნენ, მაგრამ პოლიციის ჩარევის შედეგად იძულებული გახდნენ მიწურებს დაბრუნებოდნენ. პიესაში კი ყველაფერი სხვაგვარად მთავრდება. სასამართლო უსახლკარობის ბინებს აძლევს, ბრალმდებელი სოფია, მერე კი სიტყვის დამთავრებისთანავე უსულოდ ეცემა.

„შოპუტმა ტრაგიზმის გარეშე კომედიაშიც ვერ გაძლო“, — წერს შურნალ „შპიგელის“ რეცენზენტი და იხსენებს სტენდალის სიტყვებს, რომ მზიარულ სურათებს, რომლის დახატვა მწერალს სურს, აუცილებლად ბინდავს მწუხარება.

დასავლეთ გერმანიის პრესის ცნობით, პიესა დასადგმელად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიისა და შვეიცარიის ხუთმა თეატრმა მიიღო.

პენესუელა

მიგელ ოტარო სილვას რომანის დიდი წარმართვა

„უპრეტენდენტო გამოცემლობითი გამარჯვებანივენი ქვეუნი უკანასკნელი წლები ლიტერატურაში“, — ასე უწოდა ვენესუელის უდიდესმა გაზეთმა „ნასიონალმა“ მიგელ ოტარო სილვას უკანასკნელი რომანის ხელახალ გამოცემას, რომანის სათაურია „როცა ტირილი მსურს, არ ვტირი“.

მიგელ ოტარო სილვა საბჭოთა კავშირში ცნობილია რომანებით — „ციცხვები“, „მკვდარი სახლებითა“ და „ხუთნი, რომელიც დუმან“, ეს უკანასკნელი რომანი პირველად „ინოსტრანაია ლიტერატურის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, შემდეგ კი ხელახლა გამოსცა „რომან გაზეთამ“ და „მოლოდია გვარდიამ“.

ახალი რომანი, „როცა ტირილი მსურს, არ ვტირი“, მწერლის სამშობლოში ექვსჯერ გამოქვეყნდა და გამოსვლისთანავე გასალდა.

რომანის ცენტრში თანამედროვე ვენესუელის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი სამი ახალგაზრდა დგას. უჩვეულო სიუჟეტური აღნაგობა, ფსიქოლოგიური სიღრმე, თხრობის დამატებითი, სიმახვილე და პრობლემატურობა აქტუალობა — აი, ყოველივე ის, რამაც მიიპყრო კრიტიკოსთა და მკითხველთა ყურადღება.

საზრანგეთი

1971 წლის ლიტერატურული კრიმინალი

გონკურის დიდა ლიტერატურული პრემია მიიღო ეს ლორანსა რომანისათვის „სისულღეები“, ვიუარის გადაწყვეტილება კრიტიკოსებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ ეს ლორანი, ნე წლის მწერალი, კრიტიკოსი და მემარჯვენე პუბლიცისტი, დღემდე სისულღე-ლორანის ფსევდონიმით რომ იყო ცნობილი, ფრიად რეაქციული ნაწარმოებებისა და დეტექტიური რომანების ავტორია.

ყოველივე ამან საფუძველი მისცა ლიტერატურათმცოდნეს პიერ დეკსუს გაკრიტიკებინა გონკურის აკადემია, რომელმაც მხარი დაუჭირა მდარე ზარისხისა და კომერციულ ნაწარმოებთა ავტორს.

ანდრე სტილი „იუმანიტეს“ მეშვეობით. ვახსენებ ეს ლორანის ბიულეტენის უკლიტიკურ პოზიციებს. იგი ახალგაზრდობაში ვიწის რეჟიმთან თანამოსაქმეობდა, ხოლო ალტირის ომის დროს ფრანგი კოლონიზატორებისა და მათი ტერორისტული ორგანიზაციის მოთავენი და მომხრე იყო. საფრანგეთის აკადემიის წევრი, მწერალი და კრიტიკოსი, პიერ ანრი, გაზეთ „მონდის“ ფურცლებზე ეს ლორანის რომანს რომ ანალიზებს, გამოთქვამს აზრს — ნაწარმოები „ახალი რომანის“ უანრს უახლოვდება, რადგან სიუჟეტი გავმოგვემს, თუ როგორ და პირობებში იქმნებოდა რომანი და როგორ იცვლებოდა ავტორის ჩანაფიქრი.

რენოდის პრემია მწერალ პიერ უან-რემის მიენიჭა რომანისათვის „საზრანგეთი“.

პიერ უან-რემი უან-პიერ ანგრემის ფსევდონიმია, იგი დიპლომატად მოწოდებული, პეიესა და ლონდონში. „საზრანგეთი“ მისი მესამე რომანია, თუ არ ჩავთვლით დეტექტიურ რომანებს, სხვადასხვა ფსევდონიმებით რომ ქვეყნდებოდა.

პიერ დეკსი „ლიტერატურის“ ფურცლებზე „საზრანგეთი“ სასახლის-დარბევას წლის უველაზე მახვილ და ძლიერ წიგნად მიიჩნევს. რომანის ძირითადი მოქმედება ჩინეთში ვითარდება და საკმაოდ ვრცელ პერიოდს მოიცავს. აქ ვენესუელი რევოლუციონერული (მანკურის დენსატის დასაზრანგის), 1951-1956 წლებისა და „კულტურული რევოლუციის“ ამბებს.

ეს დამსხვრეული სამუაროს რომანია, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა პერსონაჟები, სიცილიელი ფაშისტი ქალათები თუ ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილენი. ნაწარმოებში ვხვდებით ოცენებს, მოლოდინს, პოლიტიკურ ხრიკებს, კომერციასა და ქალათობას. — წერს პიერ დეკსი.

პასკელ ლენეს რომანისათვის: „არარევოლუცია“ გადაეცა მედიის პრემია. ეს მწერლის მეორე ნაწარმოებია. პასკელ ლენემ ნაწარმოებს დღიურის ფორმა მისცა. იგი მოგვითხრობს საკუთარ თავზე და მკითხველს წარმოუდგენს 1965 წლის სტუდენტურ მღელვარებას. ანდრე სტილმა ამ ნაწარმოებს „მარცხის, სასოწარკვეთისა და იმედის გაცრუების რომანი“ უწოდა.

ფემინის პრემია მიენიჭა 80 წლის მწერალ ანუელო რილანდის. პრემიარებული ნაწარმოები „ატლანტა



სახლი“ მწერლის მეორე წიგნია. მისი ორივე რომანი ერთსა და იმავე თემას ეძღვნება — კუნძულ კორსიკის (მწერლის სამშობლო) მაღალი საზოგადოების ბიწიერებათა მხილვას. თხრობა ნი წლის ადვოკატის პირით მიმდინარეობს, რომელსაც სიმდიდრისათვის მიუღწევია და სახელიც მოუხვეჭია. იგი სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფია და აღსასრულის მოლოდინში ახლებურად აფასებს განვლილ ცხოვრებას.

ა. სტილი „იუმანიტეს“ ფურცლებზე წერს რომ მწერალს უნარი შეეწყვეს შექმნას დამაჭრებელი სახეები, ხოლო წერის მანერით იგი პრუსტსა და სტენდალს გვაგონებს. უკვლევია პიატიე „მონდში“ აღნიშნავს, რომ „ატლანტა ბინა“ ზნეობრივი თვალსაზრისითა და ხასიათებით სტენდალისეული რომანია.

ენტერალიეს პრემია წილად ზედა პიერ რუანეს, პრემირებული ნაწარმოები ექიმ-ქალის სახელის

ცხოვრებას ასახავს. ა. სტილი „იუმანიტეს“ ფურცლებზე რუანეს გმირ-ქალს აღარებს ბორის პოლევოის გმირს — ალექსი მერსიეის. კასტელის სახე მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას, ისევე როგორც მერსიეის, უნდა ჰყავდეს თავისი პროტოტიპი. რომანის გმირი — ქალი სავტომობილო კატასტროფაში ზღვდება. იგი სიკვდილის პირამდე მისულის, დამახინჯებულიცაა და სულიერად განადგურებულიც, მაგრამ მეგობრები: ქირურგები და მედდები მას სიცოცხლეს უნარჩუნებენ. კასტელმა უკუაგლო თვითმკვლელობაზე ფიქრი და აუტანელი ტკივილების ფასად კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნდა.

საფრანგეთის აკადემიის „გრან პრი“ მიიღო უან დორმესონმა წიგნისათვის „იმპერიის დიდება“. პრესამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აკადემიის არჩევანს და უან დორმესონის რომანი „პრემიის სეზონის“ ყველაზე ორიგინალურ ნაწარმოებად ცნო: ეს პირვე-

ლი ცდაა აკობრიობის გამოწვევის ისტორიის შემოქმნისა. რომანი ისტორიული ეხსენ ფორმითა დაწერილი და დართული აქვს ისტორიული დოკუმენტები, გეოგრაფიული რუკები, ქრონოლოგიები, ბიბლიოგრაფიები.

ყველაფერი, რაც კი რომანში ზღვება, შეიძლება აკობრიობის ისტორიის სრულიად სხვადასხვა ელექს მიეკუთვნოს. „აჰ, — წერს უკვლევმა პიატიე „მონდის“ ფურცლებზე, — სპარტისა და ათენის ბრძოლაცაა და ეკლესიის ისტორიაც. ჭვაროსნული ღაშქრობებიცა და ჰუნთა თარეშიც, ნაპოლეონის ელპეაც და რომის აღსასრულიც“.

ფრანგული აკადემიის „გრან პრი“, რომელიც მწერლებს მთლიანი შემოქმედებისათვის მიენიჭებათ ხოლომე, მიიღო უორენმანუელ კლანსიმე, პოეტმა და პროზაიკოსმა, გახმაურებული რომანის „შვიდ პურისა“ და „მეფის ფაბრიკის“ ავტორმა.

გარეკანის II გვ-ზე ნახ. დ. ერისთავის.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჭ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს შიილებს არა უმეტეს ერთი სავტორის თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეტის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-98-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 10/IV-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-72 წ., ქალაქის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა 1342. უე 01874. ტირაჟი 33000.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 32/109

ფანდი 60 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236